საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№31 (169)
15 - 21 აგვისტო, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## მიშჰაუზენი



## პროპაგანდა დაფრინავს, პროპაგანდა არა დადის! 5

**მიხეილ სააკაშვილი:**

„კარგად მახსოვს, რომ გარშემო რუსეთის საოკუპაციო ჯარი იდგა, მაგრამ იქ ჩასვლა და ხალხის გამხნევება აუცილებელი იყო. გზები დაკეტილი იყო და ღრუბელ-ღრუბელ, მალვით ჩავფრინდით ფოთში. დავიწყე გამოსვლა და რუსებმა პირდაპირ ეთერში რომ დამინახეს, რამდენიმე ათეული „ბეტეერით“ ჩემს დასაჭერად გამოემართნენ“.

8 **საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაბერებულია**

მამა თეოდორე:

13 **ვინც პატრიარქის წინაშე ბობოქრობს და ყვირის, თვით ქრისტეს წინაშე ბობოქრობს და ყვირის**

**«დემოკრატიის შუქურამ» ამერიკას მილიარდ 900 მილიონი დოლარი «მოუტეხა»** 14

ჰანს გან ბალენი:

19 **«ვარდების რევოლუცია» უფერულდება**

# მთვრალი შიმპანზეს ორდენი 4



2

## რა უთხრა პუტინმა 8 აგვისტოს საქართველოს და მსოფლიოს?



ხიზრი ალდამოვი: 6

## დაფიქრდი, სააკაშვილო, ამდენი ხალხის სისხლს არ შეგარჩენენ!

ავიგდორ ესკინი: 7



## სააკაშვილის პოლიტიკის შედეგი კატასტროფულია საქართველოსთვის

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის სათავეში სააკაშვილისთვის სასურველი პარტნიორების მოსვლის შანსი დღეს იმდენად მცირეა, რამდენადაც გრენლანდიელი ესკიმოსების მიერ მეტროპოლიაში, დანიაში ხელისუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ სააკაშვილი სრული სერიოზულობით გვთავაზობს, რომ საერთაშორისო არენაზე რაღაც სხვა რუსეთის გამოჩენას დაველოდოთ.**

# რა უთხრა პუტინმა 8 აგვისტოს საქართველოს და მსოფლიოს?

**გასულ კვირას ქართულმა საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ოთხი წლის წინანდელი მოვლენები; როგორც სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებმა შესაბამისი განცხადებები გააკეთეს, ჩატარდა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მასმედიამ ფართოდ გააშუქა. გაცილებით ნაკლები ინფორმაცია ადგილობრივმა აუდიტორიამ იმის თაობაზე მიიღო, თუ როგორ შეხვდა აგვისტოს ომის მეოთხე წლისთავს რუსეთი, არადა, იქ განვითარებულ მოვლენებზე დაკვირვება აუცილებელია 2008 წლის კრიზისის და რუსეთ-საქართველოს დღევანდელი ურთიერთობების ანალიზისთვის.**



**„გეგმა სადღაც 2006-ის ბოლოს ან 2007 წლის დასაწყისში გენერალურმა შტაბმა მოამზადა. მე ის დავამტკიცე, შევათანხმე. მეტიც, ამ გეგმის ფარგლებში ტარდებოდა სამხრეთოსეთელი „ოპოლჩენცების“ მომზადებაც“**

## როდის დარეკა ტელეფონმა?

აგვისტოს ომთან დაკავშირებულ ცენტრალურ მოვლენად რუსეთში 5 აგვისტოს ინტერნეტში ახალი დოკუმენტური ფილმის **„ომის დაკარგული დღე“** გავრცელება იქცა. **ფილმის ავტორებმა გააკრიტიკეს დიმიტრი მედვედევი და უმაღლესი თანამდებობის ზოგიერთი სხვა პირი იმისთვის, რომ 2008 წლის აგვისტოში გადაწყვეტილება ცხინვალის რეგიონში რუსული ჯარების შეყვანის თაობაზე დაგვიანებით მიიღეს, რასაც მსხვერპლის გაზრდა მოჰყვა;** ამასთანავე, **ვლადიმერ პუტინის მოქმედებას კრიზისის პერიოდში დადებითი შეფასება მისცეს. ფილმის ავტორების პოზიციას მაღალჩინოსანი რუსი სამხედროების ინტერვიუები ამყარებდნენ, რომელთაგან ყველაზე მკვეთრი განცხადებები გენერალური შტაბის ყოფილ უფროსს, იური ბალუევსკის, ეკუთვნოდა.**

ფილმი საკმაოდ რეზონანსული გამოდგა. 7 აგვისტოს რუსმა ჟურნალისტებმა ლენინგრადის ოლქში მყოფ ვლადიმერ პუტინს ჰკითხეს, ნახა თუ არა ფილმი და რა რეაქცია აქვს ბალუევსკის განცხადებაზე იმის შესახებ, რომ **ვიდრე პუტინმა „პანღურები არ ჩამოარიგა, ყველა გაუბედაობის ტყვეობაში იმყოფებოდა“.** რუსეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ ფილმი არ უნახავს და რომ **„ყველა კოლეგასთან ურთიერთობის ხასიათი და იმ გადაწყვეტილებების დონე, რომელთაც ვიღებთ, ასეთი კატეგორიებით ოპერირების უფლებას არ იძლევა“.** როდესაც მას ჰკითხეს, ეთანხმება თუ არა იმას, რომ რუსეთმა ომის პირველი დღე „დაკარგა“, პუტინმა უპასუხა: **„გადაწყვეტილება შეიარაღებული ძალების გამოყენების შესახებ ძალზე საპასუხისმგებლოა, რადგან ეს არის ბრძანება საბრძოლო მოქმედებების დაწყების თაობაზე. იქ კი ისვრიან, იღუპებიან ადამიანები. ეს რთული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა“.** პუტინმა თქვა, რომ ფიქრს ამ გადაწყვეტილებაზე 4-5 აგვისტოდან მოყოლებული, როდესაც სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა, **„დაახლოებით სამი დღე“** დასჭირდა.

საუბარი ამ თემაზე 8 აგვისტოს რუსეთისა და სომხეთის პრეზიდენტების ერთობლივ პრესკონფერენციაზე გაგრძელდა. პუტინს ჰკითხეს, დაურეკა თუ არა 2008 წლის 8 აგვისტოს პეკინიდან მედვედევს, როგორც ამას ფილმის ავტორები ამტკიცებდნენ. საქმე ისაა, რომ ერთი წლის წინანდელ ინტერვიუში, მედვედევმა თქვა, რომ პუტინს საბრძოლო მოქმედებების დაწყებიდან მომდევნო დღეს დაუკავშირდა, როდესაც ყველა ბრძანება უკვე გაცემული ჰქონდა. ამასთანავე, რუსი ჟურნალისტი დაინტერესდა: **„ნუთუ რუსეთს არ ჰქონდა გეგმა სამხრეთ ოსეთში საქართველოს სამხედრო აგრესიის შემთხვევისთვის?“** (ფილმში ამ გეგმაზეც იყო საუბარი).

**პუტინმა უპასუხა, რომ „გეგმა არსებობდა და სწორედ ამ გეგმის ჩარჩოებში მოქმედებდა რუსული მხარე. მე ამაზე საჯაროდ ადრეც მისაუბრია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს საიდუმლოს არ წარმოადგენს. გეგმა სადღაც 2006-ის ბოლოს ან 2007 წლის დასაწყისში გენერალურმა შტაბმა მოამზადა. მე ის დავამტკიცე, შევათანხმე. მეტიც, ამ გეგმის ფარგლებში ტარდებოდა სამხრეთოსეთელი „ოპოლჩენცების“ მომზადებაც. მართალია, ჩვენი სამხედრო სპეციალისტები, გულწრფელად ვიტყვი, მიიჩნევდნენ, რომ ეს მეტ-ნაკლებად უსარგებლო საქმეა, ჰქონდათ რა მხედველობაში, რომ რეგულარული არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია, თუნდაც ეს ისეთი მცირე სახელმწიფოს არმია იყოს, როგორიცაა საქართველო“.**

ამის შემდეგ პუტინმა ცხინვალელ „ოპოლჩენცებს“ მაღალი შეფასება მისცა, ხოლო სატელეფონო ზარებთან დაკავშირებით განაცხადა: **„ორჯერ დავურეკე დიმიტრი ანატოლის ძეს და თავდაცვის მინისტრს, 7-სა და 8-ში“.**

სატელეფონო ზარებთან დაკავშირებით, პუტინის ეს და მედვედევის ერთი წლის წინანდელი განცხადება ერთმანეთთან გარკვეულ წინააღმდეგობაში შევიდა. ამასთანავე, საუბარმა 4-5 აგვისტოს დაწყებულ ფიქრზე შეიარაღებული ძალების გამოყენების თაობაზე ირიბად გააუფასურა მედვედევის ადრინდელი მონაყოლი დრამატულ გადაწყვეტილებებზე, რომელთა მიღება 7-8 აგვისტოს მოუხდა. მედვედევმა, რომელიც აგვისტოს ომის მეოთხე წლისთავს ცხინვალში შეხვდა, თავი შეიკავა საუბრისგან იმაზე თუ ვინ, ვის და როდის დაურეკა, ხოლო ფილმში გაჟღერებულ მთავარ, „დაგვიანების“ ბრალდებასთან დაკავშირებით თქვა: **„ყველა გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სწორედ მაშინ, როდესაც ამის გაკეთება აუცილებელი იყო“. „მე ამოვდიოდი იქიდან, რომ ეს გადაწყვეტილებები ეხებოდა იმ მომენტისთვის უცხო სახელმწიფოს, რომელსაც 26 აგვისტომდე საქართველოდ ვაღიარებდით“,** — განაცხადა რუსეთის პრემიერმა.

ახლა კი, იმისთვის, რომ სიტუაციაში უკეთ გავერკვეთ, ინფორმაციის ამ მასივიდან, ალბათ, საკვანძო გზავნილები უნდა გამოვკვეთოთ, რომელიც როგორც შიდარუსულ, ისე გარე აუდიტორიას ეხებოდა.

## მიკიბ-მოკიბვის გარეშე

**რუსული საზოგადოების დიდი უმრავლესობა მიიჩნევს, რომ 2008 წლის კრიზისის დროს მათი ხელისუფლება სწორად მოქმედებდა და კრიტიკულ შეფასებებს მხოლოდ ზოგიერთ დიპლომატიურ ნაბიჯთან ან სამხედრო ოპერაციის ცალკეულ ასპექტებთან დაკავშირებით გამოთქვამს.** ამ მიდგომის ერთ-ერთი გამოვლინებაა ფილმ „დაკარგული დღის“ ავტორების პოზიცია — **ისინი მიიჩნევენ, რომ მთლიანობაში ყველაფერი სწორად გაკეთდა, თუმცა ჯარების შეყვანა ცხინვალის რეგიონში დაგვიანებით დაიწყო, რის გამოც მსხვერპლი უფრო დიდი აღმოჩნდა. ამასთანავე, მათი მიზანი იყო, „მთავარ გმირად“ ვლადიმერ პუტინი და არა დიმიტრი მედვედევი წარმოეჩინათ, რომელიც გაუბედაობისთვის და ზედმეტი ყოყმანისთვის მაღალი რანგის რუსმა სამხედროებმა გააკრიტიკეს.**

ზოგიერთმა კომენტატორმა ეს ფილმი შეიძლება შეაფასოს, როგორც რუსი გენერლების სხვადასხვა ჯგუფს ან პუტინისა და მედვედევის გარემოცვას შორის დაპირისპირების ერთ-ერთი გამოვლინება, თუმცა, ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ დაპირისპირებას შიდასისტემური და, ასე ვთქვათ, კონვენციური ხასიათი აქვს, ხოლო გარესამყაროსთან ურთიერთობაში ისინი ერთ პოზიციაზე დგანან. **ეს არ არის ელცინის რუსეთი, სადაც სხვადასხვა ელიტური დაჯგუფება თუ ალიანსი ფუნდამენტურ საკითხებზე კონსენსუსს ვერ აღწევდნენ; დღეს პუტინი ყველა დაპირისპირებულ ჯგუფს და ხელისუფლებას მთლიანობაში გაცილებით დამაჯერებლად აკონტროლებს.**

**ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა უთხრა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პუტინმა გარესამყაროს** (განხილულმა ფილმმა მისი განცხადებებისთვის სათანადო საბაბი შექმნა), ვიდრე ის, თუ რაზე მიანიშნა გენერალმა ბალუევსკიმ მინისტრ სერდიუკოვს ან თუნდაც პრემიერ მედვედევს, რადგან **არაფერი სერიოზული რუსულ ელიტასა და პოლიტიკაში დღეს პუტინის გვერდის ავლით არ ხდება.** აშკარაა, რომ ფილმმა რუსული აუდიტორიის თვალში, მედვედე- ▶

## ბრიტანეთი და საფრანგეთი ხმელთაშუაზღვისპირეთში გემებს გზავნიან

**დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი უახლოეს მომავალში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში სამხედრო საზღვაო ძალების მძლავრ დაჯგუფებას აგზავნის. მოსალოდნელია, რომ გემები ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაიძვრებიან, ვინაიდან აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში გასაგზავნად გამზადებული ვერტმფრენმზიდი „Illustrious“-ი მანამდე ლონდონის რაიონში უსაფრთხოების დაცვითაა დაკავებული.** იგი ბრიტანეთის დედაქალაქში ტემზით შემოიყვანეს და იქ ოლიმპიადის დასრულებამდე დარჩება. დიდი ბრიტანეთის სამხედრო უწყების ოფიციალური ვერსიით, ინგლის-საფრანგეთის ოპერატიული ჯგუფის გემები მონაწილეობას მიიღებენ სწავლება „Cougar-12“-ში, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთში ტარდება. ამასთან, ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში წყარომ განაცხადა, რომ გემები არ მიიღებენ მონაწილეობას სირიის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციაში, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დარჩებიან აუცილებლობის შემთხვევაში რეგიონიდან ბრიტანეთის მოქალაქეების ევაკუაციისთვის.



## ჩინეთის დიდი კედელი ინგრევა

**ჰებეის პროვინციაში ჩინეთის დიდი კედლიდან 36 მეტრი ჩამოინგრა.** ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ნგრევის მიზეზი გახდა ძლიერი წვიმა, რომელიც ჩინეთის ჩრდილოეთში რამდენიმე დღეა გრძელდება. რეგიონის მთავრობა აცხადებს, რომ კედლის ჩამონგრეული ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში იყო და შეკეთებას საჭიროებდა. ამჟამად მსოფლიოს უდიდესი არქიტექტურული ძეგლის ჩამონგრეულ ადგილზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

მოკლედ

## რუსეთმა «მისტრალებისთვის» ვერტმფრენების დამზადება დაიწყო

**კომპანია „რუსეთის ვერტმფრენებმა“ ვერტმფრენმზიდ „მისტრალისათვის“ პირველი ვერტმფრენების — „კა-52კ“-ს დამზადება დაიწყო.** განცხადება ამის შესახებ კომპანიის პრესმდივანმა რომან კირილოვმა გააკეთა. ზუსტი რაოდენობა, თუ რამდენი ვერტმფრენი გაკეთდება, არ სახელდება. კომპანიაში აცხადებენ, რომ ეს თავდაცვის სამინისტროს ინტერესებშია. კირილოვის თქმით, შემოწმებას აფრენა-დაფრენაში ვერტმფრენები „ადმირალ კუზნეცოვზე“ გაივლიან. ადრე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოთხი „მისტრალიდან“ თითოეულზე ოთხი „კა-52კ“ და რვა სატრანსპორტო-საბრძოლო „კა-29“ იქნება. საფრანგეთმა და რუსეთმა „მისტრალების“ შესყიდვის შესახებ შეთანხმებას ხელი 2011 წლის ივნისში მოაწერეს. შეთანხმების მიხედვით, ორი ვერტმფრენი საფრანგეთში, ორი კი რუსეთში აიგება. საფრანგეთში პირველი „მისტრალის“ მშენებლობა 2012 წლის 1 თებერვალს დაიწყო, რუსეთში კი — 1 აგვისტოს. სავარაუდოდ, პირველი „მისტრალის“ მშენებლობა 2014 წელს უნდა დასრულდეს, მეორის კი — 2015 წელს.



## საქართველოს პრობლემების გასაღები რუსეთშია და მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე თბილისს არაფერი გამოუვა, თუნდაც საჩივრებით ყველა საერთაშორისო ინსტანცია აავსოს, მითუმეტეს, რომ დღეს დასავლეთს სურს, რაც შეიძლება მალე დატოვოს წარსულში აგვისტოს ომი, ხოლო საქართველოს პრობლემები, დღის წესრიგიდან თუ არ ამოაგდებს, უკანა პლანზე მაინც გადაწიოს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვის იმიჯის ხარჯზე, პუტინის იმიჯი გაამყარა, მაგრამ ეს ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებად საინტერესო და აქტუალურია.

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია პუტინის განცხადებაზე, როგორც ყოველთვის, სწრაფი და უნიათო იყო. მთავარი აქცენტი მის განცხადებაში გაკეთდა არა ცხინვალელი „ოპოლჩენცების" მომზადებაზე, არამედ რუსეთის გენშტაბის მიერ გეგმის შემუშავებაზე, თანაც ეს ორი საკითხი ვაშაძის უწყებამ ერთმანეთს მხოლოდ იმით დაუკავშირა, რომ ერთიც და მეორეც პუტინმა თქვა და არ გამოიყენა შესაძლებლობა, რომელიც „ცხვირწინ ედო", კერძოდ კი რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები იმის თაობაზე, რომ „ოპოლჩენცების" მომზადება გენშტაბის გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო.**

**პუტინი და რუსი ჟურნალისტები საუბრობდნენ გეგმაზე, რომელიც ქართული ძალების შეტევის მოგერიებას ითვალისწინებდა,** ზოგადად კი, ამა თუ იმ ქვეყნის გენშტაბისთვის, ნებისმიერი, თუნდაც დღესდღეობით მეგობრული, მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მოქმედების გეგმების შემუშავება სხვადასხვა სცენარის ფარგლებში ჩვეულებრივი სამუშაო პრაქტიკაა. ის საერთაშორისო ურთიერთობებში კრიმინალად არ ითვლება და მაქსიმუმ, სათანადო საინფორმაციო შეფუთვის შემთხვევაში, შეიძლება „აგრესიული ზრახვების" ირიბ დადასტურებად ჩაითვალოს. **სულ სხვა საქმეა „ოპოლჩენცების" მომზადება, რომელიც, თუ სიტუაციას საერთაშორისო სამართლის რაკურსით შევხედავთ, შეიძლება ძალიან სერიოზული სკანდალის საბაბი გახდეს. მაგრამ საქართველოს საგარეო უწყება, როგორც ყოველთვის, რაღაც გაურკვეველი მიმართულებით წავიდა.**

**საინტერესოა, რა ამოძრავებდა პუტინს, როდესაც ასეთი რამ თქვა.**

ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სპეცსამსახურებს, კერძოდ კი ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, ნება დართო, სირიელ ოპოზიციონერებს დახმარება აღმოუჩინოს. ამასთანავე, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პატრიკ ვენტრელმა განაცხადა, რომ ასადის მოწინააღმდეგეებმა 25 მილიონი დოლარის ამერიკული დახმარება უკვე მიიღეს. თუ ამ სიტუაციას „ლაბორატორიულ პირობებში" სირიის სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის კლასიკური პრინციპებიდან გამომდინარე შევაფასებთ, ის შეიძლება ძალზე უხერხულად მოგვეჩვენოს.



**პუტინის განცხადება ამ კონტექსტში, უპირველესად, წარმოადგენს გზავნილს ამერიკელი პარტნიორების მიმართ, უფრო ფართოდ კი, გეოპოლიტიკურ განაცხადს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ინტერესების პრიორიტეტულობას გულისხმობს**

თუმცა **დღევანდელ მსოფლიოში ბევრი რამ შეიცვალა; ხსენებული სამართალი, ისევე როგორც სამართლიანობა, ნაფლეთებად იქცა და პუტინის განცხადება, ამ კონტექსტში, უპირველესად, წარმოადგენს გზავნილს ამერიკელი პარტნიორების მიმართ, უფრო ფართოდ კი, გეოპოლიტიკურ განაცხადს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის ინტერესების პრიორიტეტულობას გულისხმობს, დაახლოებით ასეთს: „თქვენ (ამერიკელები) ისე იქცევით, როგორც საჭიროდ თვლით, მეც ასე მოვიქცევი. დავეხმარები, ვისაც საჭიროდ ჩავთვლი, მოვამზადებ და გადავამზადებ კიდეც".** თუ ჟურნალისტებთან საუბრის სტენოგრამას თვალს გადავავლებთ, ვნახავთ, რომ პუტინს თავისუფლად შეეძლო ცხინვალელი „ოპოლჩენცები" საერთოდ არ ეხსენებინა, თუმცა მან ეს, როგორც ჩანს, განგებ გააკეთა. ამ კუთხით, მისი განცხადება რუსულ-ამერიკული პოლემიკის ნაწილია, თემაზე „როგორ ვიცხოვროთ იალტის პრინციპების უკუგდების შემდეგ", რომელიც დიდი ხანია დაიწყო და სულ უფრო აქტუალური ხდება.

ცხადი იყო, რომ ამ განცხადების შემდეგ ოფიციალური თბილისის პასუხი ხმაურიანი იქნებოდა და ის მორიგი საჩივრით საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავდა. გამორიცხულია, რუსეთის პრეზიდენტს ეს არ სცოდნოდა, მაგრამ მან, როგორც ჩანს, საჭიროდ ჩათვალა, მიენიშნებინა ქართული მხარისთვის, რომ ასეთი ტიპის ქცევა კონტრპროდუქტიულია და დიდად არ ანაღვლებს, ხოლო დასავლელი პარტნიორების რეაქციას (ვინმემ თუ შეამჩნია ეს რეაქცია საერთოდ?) ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მიანიჭებს; ისევე, როგორც ტრადიციულ დისკუსიებს თემაზე **„ვინ დაიწყო ომი?"**. ეს პოზიცია თავის თავში, სავარაუდოდ, შემდეგ გზავნილს შეიცავს: **საქართველოს პრობლემების გასაღები რუსეთშია და მისი ინტერესების გათვალისწინების გარეშე თბილისს არაფერი გამოუვა, თუნდაც საჩივრებით ყველა საერთაშორისო ინსტანცია აავსოს, მითუმეტეს, რომ დღეს დასავლეთს სურს, რაც შეიძლება მალე დატოვოს წარსულში აგვისტოს ომი, ხოლო საქართველოს პრობლემებს დღის წესრიგიდან თუ არ ამოაგდებს, უკანა პლანზე მაინც გადაწიოს.**

### სიზმრები, ხილვები და ჰალუცინაციები

კიდევ ერთი და, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი, რომელიც ამ განცხადების უკან იდგა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: **რუსეთი არ გრძნობს უხერხულობას იმის გამო, რაც 2008-ში გააკეთა და მომავალში, ანალოგიურ სიტუაციაში, სწორედ ასე და, შესაძლოა, უფრო ხისტადაც იმოქმედებს.**

ერთის მხრივ, ყოველივე იმას, რაც პუტინმა თქვა, შეიძლება ეწოდოს **საუბარი ძალის პოზიციიდან**, თუმცა დღევანდელ აწეწილ მსოფლიოში ამ პოზიციიდან ყველა, გლობალური თუ რეგიონული მოთამაშე საუბრობს და საკუთარი ამბიციების შენიღბვის დახვეწილ ფორმებს სულ უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს რეალობის ხმაა, მიუხედავად იმისა, მოგვწონს ის თუ არა. ჩვენ შეგვიძლია დავხარჯოთ უამრავი დრო, იმის მტკიცებაზე, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთი საუბარი არ შეიძლება, მაგრამ, ალბათ, **გაცილებით კონსტრუქციული იმ ფაქტის გააზრება იქნება, რომ ახლო პერსპექტივაში საქმის დაჭერა სწორედ ასეთ, რეალურ და არა წარმოსახვით, რუსეთთან** (და მსოფლიოსთან) **მოგვიწევს.**

**მთელი ეს საუბრები «იმ რუსეთზე», სავარაუდოდ, მოდის ხელისუფლების იმპოტენტური უუნარობიდან — ააწყოს რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა «ამ რუსეთთან», რომელიც ხელშესახებ პერსპექტივაში არ შეიცვლება**

სააკაშვილის ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, კვლავინდებურად სირაქლემას ცნობილი პოზიდან საუბარს ამჯობინებს. **„ძალიან მალე, ერთ პატარა გაელვებაში მოვესწრებით ახალ რუსეთს, რომელშიც სამარადჟამოდ დასამარდება საბჭოეთის აღდგენის იდეა, უარს იტყვის იმპერიულ ამბიციებზე... რუსეთს, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს შენებას დაიწყებს. იმ რუსეთთან ჩვენ მართლაც დავალაგებთ ურთიერთობას და ამას გავაკეთებთ არა ჩვენი ინტერესების ხარჯზე, არამედ როგორც ნატოსა და ევროკავშირის თანასწორუფლებიანი, პარტნიორი ქვეყანა. ასეთ რუსეთთან ჩვენ მოვძებნით კომპრომისებს, მაგრამ არასდროს წავალთ კომპრომისზე ჩვენი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ხარჯზე"**, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 7 აგვისტოს. **მთელი ეს საუბრები „იმ რუსეთზე", სავარაუდოდ, მოდის ხელისუფლების იმპოტენტური უუნარობიდან — ააწყოს რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ურთიერთობა „ამ რუსეთთან", რომელიც ხელშესახებ პერსპექტივაში არ შეიცვლება.**

რუსეთის სათავეში სააკაშვილისთვის სასურველი პარტნიორების მოსვლის შანსი დღეს იმდენად მცირეა, რამდენადაც გრენლანდიელი ესკიმოსების მიერ მეტროპოლიაში, დანიაში ხელისუფლების ხელში ჩაგდება. მაგრამ სააკაშვილი სრული სერიოზულობით გვთავაზობს, რომ საერთაშორისო არენაზე რაღაც სხვა რუსეთის გამოჩენას დაველოდოთ.

ეს, სინამდვილეში პრინციპული არჩევანის მომენტია: **შევძლებთ თუ არა ურთიერთობის აწყობას ამ ხისტ, მაგრამ ამავე დროს პრაგმატულ პუტინის რუსეთთან, თუ ხელებს ჩამოვუშვებთ და ჩრდილოეთით „ალტერნატიული რუსეთის" გამოჩენას დაველოდებით, რომლის ხელისუფლება, გამორიცხული არაა, ვლადიმერ პუტინზე გაცილებით მოუხერხებელი თანამოსაუბრე აღმოჩნდეს?** დრო ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს, სეპარატისტული რესპუბლიკები საქართველოს სულ უფრო შორდებიან, უსაფრთხოების ვაკუუმი კი ქვეყნის განვითარებაზე გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს. ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი რეალობასა და ხილვებს, პოლიტიკასა და შიზოფრენიას შორის და ის საქართველოს ბედს რამდენიმე მომავალი ათწლეულის განმავლობაში განსაზღვრავს.

**საკითხი ძალიან მარტივად დგას: აი ის — რეალური რუსეთი, მისი ხელმძღვანელი და მისი პოზიცია. როგორი იქნება ჩვენი მომდევნო ნაბიჯი?**

**დიმიტრი მონიავა**

### ლატვიაში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი შეურაცხყვეს

**ლატვიაში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა საფლავები შეურაცხყვეს. მათ მემორიალს სიტყვა „ოკუპანტები" დააწერეს. ეს ფაქტი ერთ-ერთ ლატვიურ დასახლება სპირგუსში მოხდა.** ინფორმაცია ამის შესახებ ლატვიის რუსული საზოგადოების წევრმა ალექსანდრე რჟავინმა გაავრცელა. „მემორიალის უკანა მხარეს წითელი საღებავით წერია სიტყვა „ოკუპანტები", სასაფლაოს შესასვლელში, სადაც არის წარწერა „ძმათა სასაფლაო" სიტყვა „ძმათა" ასევე წითელი საღებავითაა გადაშლილი", — განაცხადა რჟავინმა. ამ ძმათა სასაფლაოზე დაკრძალულია 907 საბჭოთა ჯარისკაცი, რომლებიც 1944-45 წლებში დაიღუპნენ მეორე მსოფლიო ომის დროს. მათი სახელები და გვარები კი 98 ფილაზეა დატანილი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ჯარისკაცების საფლავების შეურაცხყოფის შემთხვევები ბოლო დროს მოლდავეთშიც დაფიქსირდა.



### ფილიპინებზე წყალდიდობას 70-მდე ადამიანი ემსხვერპლა

**ფილიპინებზე წყალდიდობას 70-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სტიქიის შედეგად ფილიპინების დედაქალაქ მანილას 2,4 მილიონი მცხოვრები დაზარალდა. სახლებიდან 650 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.** წყალდიდობა გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია. წყალმა სახლები დატბორა, გარდა ამისა, შეჩერებულია ტრანსპორტის მოძრაობაც, ბევრი სახელმწიფო და კერძო კომპანია იძულებული გახდა, მუშაობა შეეჩერებინა. მაშველები ათიათასობით ადამიანის ევაკუაციას ახორციელებენ იმ რაიონებიდან, რომლებიც, შესაძლოა, სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალოს. სამაშველო ოპერაციაში მონაწილეობას სამხედრო ძალებიც იღებენ.

მსოფლიო

### მიტ რომნი ადმინისტრაციას აყალიბებს

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ მიტ რომნის შტაბმა შეარჩია აშშ-ის მომავალი ადმინისტრაციის მინისტრობის კანდიდატები, რომლებიც რომნის გამარჯვების შემთხვევაში შესაბამის პოსტებს დაიკავებენ.** ადმინისტრაციის სრული ფორმირება ჯერ არ დასრულებულა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, განსაზღვრულია რამდენიმე ძირითად თანამდებობაზე დასანიშნი პერსონა. ცნობილი ხდება იმის შესახებაც, რომ სიის ფორმირებას 3 სექტემბერს შეუერთდება მსოფლიო ბანკის ყოფილი ხელმძღვანელი რობერტ ზელიკი. იგი რომნის ადმინისტრაციაში ეროვნული უსაფრთხოების სექტორზე იქნება პასუხისმგებელი. ქვეყნის თავდაცვის მინისტრი რომნის ადმინისტრაციაში ყოფილი სენატორი, რესპუბლიკელი ჯიმ ტელენტი გახდება. იგი ამჟამად რომნის მთავარი მრჩეველია ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში და მის საარჩევნო შტაბში ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. იგი გამორჩეული ქორია და რესპუბლიკელთა სრული შემადგენლობა მას მოკრძალებითა და პატივისცემით ეკიდება. სახელმწიფო დეპარტამენტს რომნის კაბინეტში დამოუკიდებელი სენატორი ჯოზეფ ლიბერმანი ჩაუდგება სათავეში.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**საზოგადოებას სჭირდება პოლიტიკოსი, რომელიც გარდამავალ პერიოდში დემოკრატიული ფასეულობების „მთავარი დამცველი“ გახდება და მათზე ორიენტირებული ძალების კონსოლიდაციას მოახდენს. ეს ერთი პარტიის ან ლიდერის დროშის ქვეშ გაერთიანებას არ ნიშნავს, არამედ საერთო პრინციპების ერთგულებას, რომელმაც საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოდ უნდა გადააქციოს. მან ქვეყნის მომავალ მმართველ ივანიშვილსა და „ბელადისტების“ ჭაობს (თუ „მთვრალი შიმპანზეს ორდენს“) შორის ფართო დემოკრატიული ფრონტის მყარი კედელი უნდა აღმართოს. შეძლებს თუ არა ალასანია, ამ კედლის მთავარი არქიტექტორი გახდეს?**

# მთვრალი შიმპანზეს ორდენი

**მთვრალ შიმპანზეზე დაკვირვება, რაც თავიდან სახალისოა, ადრე თუ გვიან მოსაწყენი ხდება. ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები ალკოჰოლური ინტოქსიკაციის უკიდურეს სტადიაში მყოფ მაიმუნებს პირველმა კურტ ვონეგუტმა შეადარა. ერთნიც და მეორენიც ვერ ჩერდებიან, სანამ უგონოდ არ გამოთვრებიან (ძალაუფლებით და ალკოჰოლით, შესაბამისად) და გარშემო ყველაფერს არ დალეწავენ. დემოკრატიას ამ კონტექსტში შეიძლება შევხედოთ, როგორც მთვრალი შიმპანზესთვის გალიას, რომელიც აღვირახსნილი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობას უზღუდავს.**



**იმას, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ბოლო დროს აკეთებს, ძალიან ძნელია, პოლიტიკა ეწოდოს, ის მთვრალი შიმპანზეების თარეშს დაემსგავსა**

ნასვამი მაიმუნი, ისევე როგორც კეთილგონიერების ჩარჩოებიდან გასული ხელისუფალი, თავიდან სასაცილოა, თუმცა მალევე აუტანელი ხდება, სავარაუდოდ, იმ მომენტში, როდესაც ირკვევა, რომ მისი ქცევის უკან, პრიმიტიული ცხოველური ინსტინქტების გარდა, არაფერი დგას და მის ამღვრეულ თვალებში ინტელექტისა და ადამიანობის ერთი ნაპერწკალიც კი არ ჩანს. შეიძლება კამათი იმაზე, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი თავშეკავებულობას ავლენს და ცალკეული შიმპანზეები მთელ ცისტერნას ერთბაშად არ სვამენ, თუმცა **არც ერთი საზოგადოება არასოდეს დათანხმდება იმას, რომ თავი დაანებოს ფიქრს შემზღუდავი სისტემის შექმნა-სრულყოფაზე და მხოლოდ პოლიტიკოსების** (და გალოთებული მაიმუნების) **კეთილგონიერებას მიენდოს. საქართველოსთვის ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია.**

იმას, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ბოლო დროს აკეთებს, ძალიან ძნელია, პოლიტიკა ეწოდოს, ის მთვრალი შიმპანზეების თარეშს დაემსგავსა. ამ ფაქტის კონსტატაცია მმართველი პარტიის წარმომადგენლებისთვის დიდად საწყენი არ უნდა იყოს, რადგან თავის დროზე მაიმუნებს მათივე ყოფილმა გენმდივანმა გიორგი არველაძემ შეადარა („ბანდერლოგებივით შევესიეთ პარლამენტის სხდომათა დარბაზს“). მეტიც, ეს შედარება გარკვეულწილად საპატიოცაა — სად კიპლინგის მიერ გამოგონილი ბანდერლოგები და სად შიმპანზე, რომელიც ჰომინიდი პრიმატია, ანუ თითქმის ადამიანი. თუმცა ეწყინებათ მათ თუ არა მეორეხარისხოვანია, მთავარია ნგრევის მასშტაბები, რომელიც სტიქიურ უბედურებას მოაგონებს. აქტუალური მაგალითი: **ანგარიშების მასშტაბურმა დაყადაღებამ, სხვა ყველაფერთან ერთად, შეარყია ნდობა ბანკების მიმართ, რომლის ჩამოყალიბებას თავის დროზე წლები დასჭირდა. დღეს არაერთი ადამიანი ფიქრობს იმაზე, რომ ბანკში ერთი ზედმეტი თეთრიც კი არ დატოვოს.** ცხადია, ხელისუფლება ამ შემთხვევაში თავისი ტაქტიკური მიზნის მიღწევას „ქართული ოცნებისთვის“ ზიანის მიყენებით ცდილობდა, თუმცა ფაქტობრივად, იერიში მთელ სისტემაზე მიიტანა. მთვრალი შიმპანზე მეტს კი არაფერს აკეთებს, ის თავისი, სხვებისთვის ძნელად გასაგები, მიზნების მიღწევას ლამობს, თუმცა ეს ნგრევით და სრული ქაოსით სრულდება.

**ამ ხელისუფლებას უკვე აღარაფერი ეშველება, თუნდაც იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც კანონების ჩარჩოდან გავიდა, „ხელისუფლება“ შეიძლება მხოლოდ პირობითად ეწოდოს. ამ არჩევნებზე იქნება თუ ოდნავ მოგვიანებით, საზოგადოება, სავარაუდოდ, მოექცევა მას, როგორც მომთვინიერებელი მთვრალ მაიმუნს, რადგან ამას ელემენტარულად თვითგადარჩენის ინსტინქტი უკარნახებს.** როგორც უკვე ვთქვით, მოსაწყენი მისი დაკვირვებაც კი გახდა, მის ქცევაში რაიმე სახალისოს ან საინტერესოს აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა. სტრატეგიული თვალსაზრისით, სააკაშვილის ხელისუფლება განწირული ჩანს და მასზე საუბრის გაგრძელება, ალბათ, არ ღირს. თუმცა **პრობლემა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ავლაბრის რეზიდენციიდან ერთი ადამიანის გამოსახლება, რადგან ქართულ საზოგადოებას ჯერაც არ მოუმზადებია „გალია მთვრალი შიმპანზესთვის“, ის ჯერ კიდევ ძალიან შორია დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისგან, რომელიც ძალაუფლებით გაგიჟებული პოლიტიკოსების დამაკმაყოფილებელ კონტროლს უზრუნველყოფს.**

სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში გარდამავალი პერიოდი გველის, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სუპერდემოკრატიული კანონების მიღების შესაძლებლობა უფრო რეალური გახდება, ჩვენ არ გვაქვს ის, რასაც ზოგადად შეიძლება „დემოკრატიული გამოცდილება“ ეწოდოს და მის დაგროვებას საკმაო დრო დასჭირდება. თანაც არ არსებობს გარანტია, რომ მომდევნო წლებს ამ კონსტრუქციულ საქმიანობას მოვახმართ და ამის ნაცვლად ეროვნული პოლიტიკური სიგიჟის რაიმე ახალ ფორმას არ გამოვძებნით. ამ გამოცდილების გარეშე კი ვერ შეიქნება სისტემა, რომელიც ქვეყანას „მთვრალი შიმპანზეებისგან“ დაიცავს; მხოლოდ კანონები ამას ვერ უზრუნველყოფენ.

**ვიდრე ეს გარდამავალი პერიოდი არ დასრულდება, პოლიტიკოსების კეთილგონიერება და თავშეკავებულობა** (ან მათი არარსებობა) **კვლავ დარჩება ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად, რომელიც ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობასა და საქართველოს განვითარებაზე უმნიშვნელოვანეს ზეგავლენას მოახდენს.**

ამ კონტექსტში ჩვენ, ალბათ, უნდა შევეხოთ იმ ძნელად შესამჩნევ, შესაძლოა, ჯერ კიდევ ნაკლებად გააზრებულ დაპირისპირებას, რომელიც ოპოზიციური საზოგადოების შიგნით დაიწყო.

**ერთის მხრივ, არიან ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილი ხელს შეუწყობს დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, ისინი მის ბიოგრაფიას და დღევანდელ ნაბიჯებს აანალიზებენ და ვარაუდობენ, რომ ის „ძალაუფლებით ცდუნებას“ გაუძლებს.**

**მეორე მხრივ, არიან ყოფილი „მიშისტები“, რომლებიც ოპოზიციას ახლახან შეეკედლნენ, ისინი, ვისთვისაც სააკაშვილთან დაპირისპირების მთავარი მიზეზი არა რეჟიმის ანტიდემოკრატიულობა და უსამართლობა, არამედ პირადი შემოსავლების დაკარგვა ან შემცირება გახდა.** მნიშვნელოვანია, ეს „გადაღებილი მიშისტები“ გავმიჯნოთ იმ ადამიანებისგან, რომლებიც 2003 წლის შემდეგ რეჟიმთან გარკვეული დროის განმავლობაში თანამშრომლობდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „ძირძველი“, შეურიგებელი ოპოზიციონერების თვალში, ერთიც და მეორეც, დანაშაულის ტოლფასია.

**ამ მიშისტურმა ჯგუფებმა ოპოზიციურ მოძრაობაში ბელადიზმის ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი ფორმის სულისკვეთება შემოიტანეს. მათ არ სჭირდებათ „დემოკრატი ივანიშვილი“, რადგან გაცილებით კომფორტულად თავს ავტორიტარიზმის ჭაობში გრძნობენ, მათ არა დემოკრატია, არამედ „მიშიზმის“ მსგავსი „ბიძინიზმი“ და „ავტორიტარი ივანიშვილი“ სჭირდებათ.** ეს მიდგომა მათი გამოცდილებიდან, სააკაშვილის კარზე შეძენილი უნარ-ჩვევებიდან მოდის. ამ ადამიანებს და მათ მსოფლმხედველობას შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის „გამოსამშვიდობებელი საჩუქარი“ ვუწოდოთ.

დღეს, ოპოზიციური კოალიცია გააფთრებულ ბრძოლაშია ჩაბმული, ხელისუფლება არანაირ წესებს არ იცავს, შესაბამისად, ისევე, როგორც ომში, წინა პლანზე ერთმმართველობის პრინციპი გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტების ლიდერებს შორის დისკუსია მუდამ მიმდინარეობს, საბოლოო გადაწყვეტილებას საკვანძო საკითხებზე ბიძინა ივანიშვილი იღებს. ბოლო თვეებში მისი პასუხისმგებლობის სივრცე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ეს გასაგებიცაა, ის გამოცდილი მენეჯერია, ხოლო მისი პარტნიორები ბოლო წლებში გასაოცარ უნიათობას სწორედ მენეჯმენტის საკითხებში ავლენდნენ, თუმცა ეს სიტუაცია ირიბად ხელს უწყობს იმას, რომ „ბელადისტებმა“ (თუ ამ ტერმინს სტრუგაცკებისგან ვისესხებთ) კოალიციაში მათთვის სასურველი ატმოსფერო დაამკვიდრონ.

**ბიძინა ივანიშვილი არ არის ავტორიტარული მმართველობისკენ მიდრეკილი ლიდერი, მან დემოკრატიის ფასი და მნიშვნელობა კარგად იცის, თუმცა, თუ აღწერილი კატეგორიის ადამიანების გავლენა ოპოზიციურ კოალიციაში (და მომავალ ხელისუფლებაში) კრიტიკულ ზღვარს გადასცდება, შეიძლება ძალიან ცუდი პროცესები განვითარდეს, რომელთაც მხოლოდ ივანიშვილის კეთილგონიერება ვერ შეაჩერებს.**

ამ საკითხებზე დისკუსიის გამართვა, ერთობ ნაადრევი ჩანს, რადგან ოპოზიციურ საზოგადოებას სააკაშვილის პრობლემა გადაჭრილი ჯერ არ აქვს, თუმცა თემის წინასწარი მონიშვნა, ალბათ, მაინც აუცილებელია. **ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დემოკრატიული ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციის საკითხი დადგება, რომელიც რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპზე კონსენსუსის მიღწევაში უნდა გამოიხატოს.**

**რესპუბლიკური პარტია, რომელიც დემოკრატიულ ლოზუნგებს ყველაზე ხშირად იყენებს, სუსტია იმისთვის, რომ ამ საქმეში ფლაგმანის როლი შეასრულოს.** როგორც წესი, თითოეული ცალკე აღებული რესპუბლიკელი შესანიშნავი, დემოკრატიის პრინციპების ერთგული პიროვნებაა, თუმცა ერთად ისინი პარადოქსულად ემსგავსებიან ტოტალიტარულ სექტას, რომელსაც მხოლოდ საკუთარი (მოკრძალებული) გავლენის გაფართოება ანაღვლებს. **„ეროვნულმა ფორუმმა“ რამდენიმე წლის წინ შესანიშნავი სტარტი აიღო, თუმცა შემდეგ რიგი პრობლემები შეიქმნა და მათი მდგომარეობა დღეს შეიძლება დაახლოებით ასე შევაფასოთ: „საკუთარ თავში ბოლომდე ვერ გარკვეულან“.** მიზანშეწონილი არაა, ამ ორ ძალას იმაზე მეტი პასუხისმგებლობა დავაკისროთ, ვიდრე შეუძლიათ იტვირთონ და დროებით მომავალი ლიბერალური და ნაციონალისტური (შესაბამისად) ოპოზიციის ერთ-ერთ მთავარ ნაწილებად ჩავთვალოთ, რომელსაც (ეს მნიშვნელოვანია) ლოკალური გასაქანი ექნება.

**გაცილებით საინტერესო ამ კონტექსტში ირაკლი ალასანიას პერსპექტივაა. მას მანევრისთვის მეტი სივრცე აქვს. აღსანიშნავია, რომ კოალიციაში შემავალი სუბიექტების ლიდერებიდან, მან ბიძინა ივანიშვილთან საუკეთესო, ყველაზე კონსტრუქციული ურთიერთობების დამყარება მოახერხა, ისე, რომ „ბელადისტებისთვის“ დამახასიათებელ ხრიკებს არ მიმართა.** არაერთი მინუსის მიუხედავად, მას უდავო პლიუსებიც აქვს: სააკაშვილის ხელისუფლებაში მუშაობის მიუხედავად, ის არანაირად არ ასოცირდება მის აღვირახსნილ ანტიდემოკრატიულობასთან, ის სასურველი თანამოსაუბრეა ნებისმიერი უცხოელი პარტნიორისთვის და კონსტრუქციული მოლაპარაკებების გამართვა სეპარატისტების ლიდერებთანაც შეუძლია. **ბევრი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ის არ აღიზიანებს თბილისურ საზოგადოებას და სხვადასხვა ელიტურ ჯგუფთან დიალოგის წარმართვა ძალუძს;** აქვს გარკვეული საიმიჯო უპირატესობები, თუმცა ეს ცალკე საუბრის თემაა. ამ კონტექსტში კი მთავარია, **ბევრი ქართველი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, ის არა დათრგუნვაზე, არამედ თანამშრომლობაზე, კონსენსუსის მიღწევაზეა ორიენტირებული.**

გავამარტივოთ სიტუაცია: **საზოგადოებას სჭირდება პოლიტიკოსი, რომელიც გარდამავალ პერიოდში დემოკრატიული ფასეულობების „მთავარი დამცველი“ გახდება და მათზე ორიენტირებული ძალების კონსოლიდაციას მოახდენს. ეს ერთი პარტიის ან ლიდერის დროშის ქვეშ გაერთიანებას არ ნიშნავს, არამედ საერთო პრინციპების ერთგულებას, რომელმაც საქართველო დემოკრატიულ სახელმწიფოდ უნდა გადააქციოს.** მან ქვეყნის მომავალ მმართველ ივანიშვილსა და „ბელადისტების“ ჭაობს (თუ „მთვრალი შიმპანზეს ორდენს“) შორის ფართო დემოკრატიული ფრონტის მყარი კედელი უნდა აღმართოს. **შეძლებს თუ არა ალასანია ამ კედლის მთავარი არქიტექტორი გახდეს? თუ ეს ასე იქნება, საზოგადოებისგან გაცილებით მეტ მხარდაჭერას მიიღებს, ვიდრე ოდესმე წარმოედგინა, ხოლო თუ არა, სხვა პოლიტიკოსის მოძებნა მოგვიწევს.** ამ თემაზე საუბრის გაგრძელება კი მიზანშეწონილი, ალბათ, მას შემდეგ გახდება, რაც სააკაშვილი ხელისუფლებას დატოვებს.

**იუსტიციის სახლებით ტრაბახი და „ფერფლიდან აღდგენილი ფენიქსის“ კორუფციით დაშინება სააკაშვილის საფირმო ნიშნად იქცა. ამ თემაზე იგი ყველგან ლაპარაკობს და ხალხს „წარსულის დაბრუნების“ აჩრდილით აფრთხობს.**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პროპაგანდა დაფრინავს, პროპაგანდა არ დადის!

**„ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი ხალხი ცხოვრობს რაჭაში (სამეგრელოში, იმერეთში, კახეთში და ა.შ. — გააჩნია, სად არის ჩასული სააკაშვილი. – ავტ.), განსაკუთრებით მშრომელი, თბილი, მეგობრული და პატრიოტი“.**

**ასეთ სიტყვებს სააკაშვილი უშურველად არიგებს რეგიონებში სტუმრობისას. ახალციხეში მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას მან 2008 წლის აგვისტოს ახალი ინტერპრეტაცია წარმოადგინა, ხოლო რაჭაში სულ „ტკბილი ხალხი“ უძახა ადგილობრივებს.**



ახალციხეში სტუმრობისას მან მოსახლეობას ვრცლად მოუთხრო ოთხი წლის წინანდელი ამბების შესახებ: **„დღეს ჩვენთან არიან ჩვენი მეგობარი პოლონელები და კერძო ვიზიტით, ოჯახთან ერთად ლატვიის პარლამენტის სეიმის თავმჯდომარე სოლვიტა აბოლტინა. ჩვენ არასდროს დაგვავიწყდება, რომ 2008 წელს ლატვიის მთავრობის თავმჯდომარე იყო იმ ხუთ ევროპელ ლიდერთან ერთად, რომლებიც ჩამოვიდნენ არა მიტინგზე და კონცერტზე, როგორც ვიღაც ავადმყოფებს ეჩვენებათ, არამედ ჩვენი უზარმაზარი ეროვნული აღმაფრენის გამოხატვაზე. მათ ემუქრებოდნენ, რომ დაბომბავდნენ, მაგრამ ხალხი არ დაიშალა და ისინიც მაინც ჩამოვიდნენ. ჩვენ ლატვიის მაშინდელი ხელმძღვანელობისა და ლატვიელი ხალხის, პოლონელების მადლობელი ვართ იმიტომ, რომ ისინი დაგვეხმარნენ, გაგვერღვია ის ტყუილის რკალი, რომელშიც გვაქცევდნენ.**

**რა უცნაური ფენომენია, რომ მთავარი ბრძოლის იარაღი ჩვენ წინააღმდეგ იყო ტყუილი. ომის დღეებში რუსული ტელევიზიები ჩვენი ტელევიზიების მიერ გადაღებულ კადრებს აჩვენებდნენ, თუ როგორ ბომბავდნენ რუსული თვითმფრინავები ქართულ ქალაქებს და მათ ქართველების მიერ ცხინვალის დაბომბვის კადრებად ასაღებდნენ. დღეს რა ხდება? — რუსეთის ტელევიზიები გადმოსცემენ ჩვენ მიერ აღდგენილი გორისა და სხვა ქალაქების კადრებს და ასაღებენ, როგორც რუსების მიერ აღდგენილ ცხინვალს. არაა ეს პარადოქსი?! ამ ხალხს ნგრევის მეტი არაფერი შეუძლია. მე რუს ხალხს არ ვერჩი, მაგრამ მათ ხელმძღვანელობასთან არათუ პრეტენზია გვაქვს, არამედ ისინი არიან თავი და თავი, რაც საქართველოსთან მიმართებაში მოხდა და ასევე ის ხალხი, ვინც მათთან ერთად მუშაობს, ვინც ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო და დიახ, სწორედ ერთი კაცის ბრალია ყველაფერი“,** — განაცხადა პრეზიდენტმა.

მთელ ამ ტირადაში, სხვა ბევრ მანიპულაციაში **(პრეზიდენტს რომ არ ვაკადროთ, პათოლოგიური ცრუპენტელა ხარ-თქო!),** ყურადღებას ერთი რამ იქცევს: **„ჩამოვიდნენ არა მიტინგზე და კონცერტზე, როგორც ვიღაც ავადმყოფებს ეჩვენებათ, არამედ ჩვენი უზარმაზარი ეროვნული აღმაფრენის გამოხატვაზე“. ის ტაშ-ფანდური, რომელიც პარლამენტის წინ იყო გაჩაღებული, თურმე მოგვჩვენებია „ვიღაც ავადმყოფებს“, სინამდვილეში კი ეს მიტინგი კი არა, აღმაფრენა ყოფილა.**

კიდევ კარგი, სიტყვა „სამგლოვიარო“ არ გამოიყენა სააკაშვილმა — **ეს ხომ სწორედ მაშინ ხდებოდა, როცა ჩვენი დაღუპული ბიჭების ცხედრები უპატრონოდ იყო მიტოვებული აგვისტოს ცხელი მზის ქვეშ!**

თუმცა სააკაშვილის პროპაგანდისტულ ინტერპრეტაციებს უკვე ყური მივაჩვიეთ, მაგრამ ყველაზე საინტერესო მის მიერ სახელდახელოდ შეთხზული „გმირული ისტორია“ იყო, როცა მან 2008 წლის აგვისტოში ფოთში ჩასვლის დეტალები „გაიხსენა“. მის იქ ყოფნას ვერც მისივე ადმინისტრაცია, ვერც ადგილობრივები და ვერც ჟურნალისტები იხსენებენ, მაგრამ იგი წარბშეუხრელად ქადაგებს: **„კარგად მახსოვს, რომ გარშემო რუსეთის საოკუპაციო ჯარი იდგა, მაგრამ იქ ჩასვლა და ხალხის გამხნევება აუცილებელი იყო. გზები დაკეტილი იყო და ღრუბელ-ღრუბელ, მალვით ჩავფრინდით ფოთში. დავიწყე გამოსვლა და რუსებმა პირდაპირ ეთერში რომ დამინახეს, რამდენიმე ათეული „ბეტეერით“ ჩემს დასაჭერად გამოემართნენ. ფოთის შესასვლელში მათ მსუბუქად შეიარაღებული ადგილობრივი პოლიციის რაზმი გადაუდგა და უთხრეს, „ჩვენ მაინც გავისვრით და არ გაგატარებთო“.**

**რუსებს თან ახლდა ერთი ქართველი (სხვათაშორის, რამდენიმე ასეული ქართველი იყო მათთან, ისინი ყოველთვის ამზადებენ ხოლმე მე-5 კოლონას, მე-11 არმიის პროტოტიპებს და ბოლო წლებში მოზდოკში ქართველების რაღაც არმიის გაწვრთნა გრძელდება) და ამ ქართველმა ჩვენს პოლიციელებს უთხრა, ნუ გეშინიათ, ჩვენ ფოთში შევალთ, მხოლოდ ერთი ადამიანი გვაინტერესებს, არავის არაფერს დავუშავებთო. ამ პოლიციელმა უპასუხა: „ამ შემთხვევაში ის ერთი ადამიანი არის საქართველო“.**

სააკაშვილმა ახლა თავმდაბლობის ნიღაბი მოირგო და განაგრძო: **„მე ნამდვილად არ გავკადნიერდები ისე, რომ ჩემი მოკრძალებული პიროვნების იდენტიფიკაცია მოვახდინო საქართველოსთან, მაგრამ საუბარი იყო ეროვნულ სიმბოლოებზე; იმაზე, რომ მათთვის საქართველოს მთავრობის ფიზიკური განადგურება ქვეყნის დამონების სიმბოლოა და ახლაც ასე რჩება. ისინი თავს გამარჯვებულად ვერ ჩათვლიან, სანამ საქართველოს იგივე მთავრობა ჰყავს. სამცხე-ჯავახეთის შემოსასვლელში ახალქალაქის სპეცრაზმის მეთაური გეორგ საგოიანი დახვდა რუსებს, რომლებმაც უთხრეს, „ჯავახეთის გასათავისუფლებლად მოვდივართო“. მან მკვახედ მიუგო: „მე, როგორც ჯავახეთის ეთნიკურად სომეხი მკვიდრი, გეუბნებით, რომ ჯავახეთი არის საქართველო და ჩვენ ვიბრძოლებთ საქართველოსთვის“.**

**ამიტომ ის, ვინც დღეს რუსების მიერ ჩამოყვანილი ქართველის ენით გველაპარაკება, რომ პრობლემა მარტო ერთი კაცია, ერთ-ორ რეგიონს აგაწაპნით და ა.შ., იმას ქართველი ხალხის არსი არ ესმის. ყველა ლიდერი გამოიცვლება, მაგრამ საქართველოს ვერავინ დააკნინებს იმიტომ, რომ ჩვენ თავისუფლებას და აღმშენებლობას გავუგეთ გემო. რუსეთის ადგილობრივ დამქაშებს ყველაზე მეტად სწორედ იუსტიციის სახლები აღიზიანებთ, სწორედ იმის გამო, რომ ვერასდროს ამ გამჭვირვალე შენობაში ისინი ქრთამების აღებას ვეღარ შეძლებენ. სხვა ფსიქოლოგია შეიქმნა. აი, რატომ აღიზიანებთ პრორუსულ ელემენტებს ეს სახლები, ახალი პარლამენტი, ყბადაღებული შუშის ხიდი – იმიტომ, რომ ეს ყველაფერი ახალი საქართველოს სიმბოლოებია. განსხვავებით მათგან, ვისაც თვალები და ყურები არ აქვს და იძახის, რომ „გაურკვეველია, თუ ვინ დაიწყო ომი და ამას სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს“.**

**ქართველი ერი მშვენივრად ხედავს, რა არის მისი მომავალი. რატომ გვიჭერენ მხარს ევროპელები, ამერიკელები, იაპონელები?! იმიტომ, რომ მათ იციან, რომ ჩვენ თვითონ გვინდა ჩვენი თავისუფლება, კრემლი კი ცდილობს, რომ საქართველოს შიგნით მოაძლიეროს ის ხალხი, რომლებიც ორაზროვნად ლაპარაკობს თავის თავისუფლებაზე, დამოუკიდებლობაზე და ერთმნიშვნელოვნად ამბობს, რომ „ომში დამნაშავე საქართველოა“. ეს ყველაფერი კომპლექსია. ჩვენ გავაგრძელებთ შენებას და ფენიქსივით ფერფლიდან აღდგომას და საქართველოს გავამთლიანებთ“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

**ამ «მოკრძალებული პიროვნების» პროპაგანდისტული ფრენები ვეღარ არის ისეთი შედეგიანი, როგორც გასულ წლებში, მაგრამ იგი კვლავაც ჩვეული სტილის ერთგული რჩება**

**იუსტიციის სახლებით ტრაბახი და „ფერფლიდან აღდგენილი ფენიქსის“ კორუფციით დაშინება სააკაშვილის საფირმო ნიშნად იქცა. ამ თემაზე იგი ყველგან ლაპარაკობს და ხალხს „წარსულის დაბრუნების“ აჩრდილით აფრთხობს.** წინა ღამეს მომხდარი მიწისძვრის შემდეგ სააკაშვილი 10 აგვისტოს რაჭაში ჩაფრინდა და სოფლების — ხვანჭკარის, ხვარცუთისა და ნიკორწმინდის მოსახლეობას შეხვდა. ადგილობრივ მოსახლეობას რაჭაში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო და, ჩვეულებისამებრ, იმ სოციალურ პროგრამებზეც ისაუბრა, რომლებიც უახლოეს მომავალში უნდა ამოქმედდეს.

**„ჩემთვის დიდი პატივია ხვანჭკარის თემში ჩამოსვლა, სადაც რამდენიმე სოფელი შედის. ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელი ხალხი ცხოვრობს რაჭაში, განსაკუთრებით მშრომელი, თბილი, მეგობრული და პატრიოტი. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ვფიქრობ იმაზე, როგორ უნდა განვითარდეს აქაურობა. ყველგან რაჭაში ვაკეთებთ გზას, ყველგან რაჭაში მივალთ კარგი გზით. რაჭის ყველა სოფელში ჩვენ გავაკეთებთ წყლის სისტემას, რომ ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოიხსნას“,** — განაცხადა სააკაშვილმა და მოსახლეობას დაჰპირდა, რომ მოხდება რაჭის ყველა სოფლის გაზიფიკაცია და რაჭაში იქნება ევროპული სტრანდარტების შესაბამისი სკოლები. არადა, **მისი საყვარელი მინისტრი — კახა ბენდუქიძე ამ რამდენიმე წლის წინ გაზიფიკაციას „სისულელეს“ ეძახდა და „რა საჭიროა სოფლებში გაზიო“, კითხულობდა! სკოლები კი ოპტიმიზაციის საბაბით დახურა და ახლა ბავშვებს ერთი სოფლიდან მეორეში უწევთ სიარული გაკვეთილებზე. ალბათ, ამას უწოდებს სააკაშვილი „ევროპულ სტანდარტს“!**

**მისი საყვარელი მინისტრი — კახა ბენდუქიძე ამ რამდენიმე წლის წინ გაზიფიკაციას «სისულელეს» ეძახდა და «რა საჭიროა სოფლებში გაზიო», კითხულობდა! სკოლები კი ოპტიმიზაციის საბაბით დახურა და ახლა ბავშვებს ერთი სოფლიდან მეორეში უწევთ სიარული გაკვეთილებზე. ალბათ, ამას უწოდებს სააკაშვილი «ევროპულ სტანდარტს»!**

ხვანჭკარის მოსახლეობასთან შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა: **„ახლა ძალიან კონკრეტული სიტუაციაა, გვაქვს არჩევნები. წეღან ქალბატონმა თქვა, რომ მინდა, სიმართლე გითხრა რაჭაზეო. მეც მინდა ვთქვა, რომ ამ არჩევნებზეც გაირკვევა სიმართლე. ოქტომბერი ეს მარტო ის კი არ არის, რომ თავი მოვიწონოთ, პირველ რიგში ისაა, რომ თავი დავიცვათ, თითოეულმა ჩვენმა ოჯახმა თავი დაიცვას წარსულის უკან მობრუნებისგან. ღმერთმა არ ქნას, წარსული უკან მობრუნდეს. ისინი პირდაპირ გვეუბნებიან, „წარსული უნდა დავაბრუნოთო“; პირდაპირ გვეუბნებიან, რომ უნდა დაანგრიონ მარტო შუშის ხიდი კი არა, მთელი სია აქვთ: პარლამენტი, იუსტიციის სახლები, რომლებიც აღიზიანებთ იმიტომ, რომ მათი კორუმპირებული ჩინოვნიკებისთვის იუსტიციის სახლი არის პრობლემა. როგორც კი კორუფცია დაბრუნდება მთავრობაში, კორუფცია დაბრუნდება პოლიციაში, საავადმყოფოებში, სოფლებში, უბნებში“,** — განაცხადა სააკაშვილმა, რაზეც ერთ-ერთმა ადგილობრივმა უპასუხა, რომ **„ეს არ მოხდება“.**

**სააკაშვილი, მერაბიშვილივით, სხვადასხვა რეგიონში ერთი და იმავე ტექსტებით გამოდის, ოღონდ სიტყვაწყლიანობით ახალ პრემიერს, ცხადია, ჩრდილავს. ყველა სხვა წინა არჩევნებისგან განსხვავებით, სააკაშვილს რეგიონებში შეხვედრისას უკვე ძალიან ხშირად საყვედურობენ. მას ეს ძალიან აღიზიანებს, მაგრამ ისიც კარგად ესმის, რომ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთან კამათს აზრი არ აქვს — ძვირი დაუჯდება. ამიტომ ამჯერადაც თავი მოუქონა ადგილობრივებს და უპასუხა: „თქვენს პირს შაქარი. ძალიან ტკბილი ხალხი ხართ“.**

ამ „მოკრძალებული პიროვნების“ პროპაგანდისტული ფრენები ვეღარ არის ისეთი შედეგიანი, როგორც გასულ წლებში, მაგრამ იგი კვლავაც ჩვეული სტილის ერთგული რჩება. **მიშა ხომ სიყვარული არ არის, მიშა პროპაგანდაა. ჰოდა, ერთი სიმღერისა არ იყოს, პროპაგანდა დაფრინავს, პროპაგანდა არ დადის!**

**თამარ დავითულიანი**

საქართველო და მსოფლიო
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მთელმა მსოფლიომ იცოდა, ყველას ეგონა, რომ საქართველო დაიწყებდა რუსეთთან ომს, ამიტომ მუსლიმანურმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ბოევიკებისთვის ფულის მიცემა და თანხა იგზავნებოდა სააკაშვილის ბანკებში. ზოგი ისედაც მოსდიოდა მინისტრების გზით. ამერიკამ რამდენიმეჯერ გამოუგზავნა ფული, ასე ჩაიგდო ხელში ეს გზა სააკაშვილმა. ამერიკა და მუსლიმანური ქვეყნები დიდ თანხას უგზავნიან საქართველოს."



**ხიზრი ალდამოვი:**

# დაფიქრდი, სააკაშვილო, ამდენი ხალხის სისხლს არ შეგარჩენენ!

**იჩქერიის ყოფილი წარმომადგენელი საქართველოში, ხიზრი ალდამოვი, რამდენიმე კვირის წინ გროზნოში ჩავიდა, რამზან კადიროვს შეურიგდა და საქართველოს ხელისუფლებას ტერორისტულ საქმიანობაში დასდო ბრალი. ალდამოვის ამ და სხვა მძიმე ბრალდებებს დიდი რეზონანსი მოჰყვა. „საქართველო და მსოფლიო" ხიზრი ალდამოვს გროზნოში დაუკავშირდა და რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.**




## «სოჭში თუ რამე მოხდება, ყველაფერი იქნება სააკაშვილის ჩადენილი»

**— ბატონო ხიზრი, თქვენ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდით ჩეჩნეთში და ოფიციალურ თბილისს ტერაქტების ორგანიზებაში დასდეთ ბრალი. რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ „ტერაქტები, რომლებიც იმ პერიოდში ჩეჩნეთსა და რუსეთში ხდებოდა, საქართველოდან იმართებოდა... მათ მისი სპეცსამსახურები განახორციელებდნენ... ისინიც, რომლებიც დღეს ხდება, მათივე ორგანიზებულია". თქვენი ინფორმაციით, კონკრეტულად რომელ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობდნენ ქართული სპეცსამსახურები?**

— მე დავბრუნდი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, საიდანაც 1994 წელს ჩამოვედი. მე გამხადეს იძულებული, რომ წამოვსულიყავი. ამას ბევრი დრო სჭირდება, რომ აგიხსნათ მიზეზი. დიდი ხანია, რუსეთში ტერაქტები მიდის, შევარდნაძის დროსაც ხდებოდა და ახლაც, სააკაშვილის დროსაც, ხდება. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სააკაშვილი აფინანსებს შემსრულებლებს. მე ძალიან კარგად ვიცი მათი საქმიანობა, შევარდნაძის დროს გია გაბუნია იყო ხელმძღვანელი, სააკაშვილის დროსაც იგივე გია გაბუნია ასრულებდა ამ დავალებას. გია გაბუნიას შემდეგ ატც-ს (ანტიტერორისტული ცენტრი) ხელმძღვანელები იცვლებიან. ისინი აგრძელებენ ამ მისიას.

**— ცდილობდა თუ არა საქართველოს ხელისუფლება 2008 წლის ომის დაწყებამდე ჩეჩენ ბოევიკთა გადმობირებას და სამხედრო ოპერაციაში მათ ჩართვას?**

— საქართველოს ჰყავს მეომართა ჯგუფები, რომლებსაც იყენებს სპეცოპერაციის დროს. მე მქონდა ანტიტერორისტული ცენტრის უფროსთან შეხვედრები. მე ვიცოდი ამ ჯგუფების მოქმედებები. მე არ მიმალავდა არაფერს გია. **უნდოდათ, რომ რუსეთის წინააღმდეგ წასულიყვნენ ჩეჩნები და ქისტები. ეს ნატვრა იყო სააკაშვილის. ბიჭები ყვებოდნენ უკან წამოსვლის დროს, მთავარსარდალმა ბრძანა, „შახმატურად" გამოიქეცითო. ჩვენ „შახმატის" თამაში არ ვიცით, როგორ უნდა წამოვსულიყავით?!**

**— თქვენ განაცხადეთ, რომ „სააკაშვილი და ქართული სპეცსამსახურები ე. წ. იჩქერიის მთავრობის ახალი შემადგენლობის შესაქმნელად დგამენ ნაბიჯებს, რუსეთზე ზემოქმედების ორგანიზებისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ტერორისტული დაჯგუფებების გააქტიურების მიზნით. „იჩქერიის მომავალი მთავრობის" წევრები ჩართულნი არიან „პანკისის ჯამაათის" საქმიანობაში, რომელიც აშშ-ისა და ახლო აღმოსავლეთის ფინანსური დახმარებით ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს ჩრდილოეთ კავკასიაში".**

**რამდენად ზუსტი ინფორმაცია გაქვთ იმის თაობაზე, რომ პანკისის ხეობაში შეიარაღებული მებრძოლები არიან, რა აკავშირებთ მათ საქართველოს ხელისუფლებასთან, ვინ აფინანსებს ამ ხალხს, სააკაშვილის გარემოცვიდან კონკრეტულად ვინ კურირებს მათ საქმიანობას?**

— სააკაშვილმა ამ ბოლო დროს შექმნა დიასპორის სამინისტრო, მოადგილედ დანიშნა გიორგი გამსახურდია. პარლამენტშიც შეიქმნა კომიტეტი დიასპორის საკითხებში, უფროსად დაინიშნა წიკლაური. ამ ორმა კაცმა უნდა გადაწყვიტოს ჩეჩნების საკითხი. გიორგიმ ყველაფერი გააკეთა, რომ ზაკაევი და მე წავსულიყავით. ზაკაევის კაცი წაიყვანეს და გადასცეს რუსეთს. ჯერი ჩემზე იყო. შვილს პასპორტს არ აძლევდნენ. მე გაფრთხილებული ვიყავი, რომ საქართველოდან წავსულიყავი. მე ვიცოდი, ან შვილს აიყვანდნენ, ან მე. გიორგიმ გამონახა საფრანგეთში ახიად იდიგოვი, საქართველოში ჩამოიყვანა ალა დუდაევაც, ჩამოიყვანა შვილთან ერთად, შეიქმნა დუდაევის ჯგუფი. მასხადოვის ხალხი მტრად გაგვხადა. ვითომ შევარდნაძის მეგობრები გაგვხადეს, თვითონ ეს მთლიანი ჯგუფი იყო შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის წევრები...

ეს დალოცვილები სად იყვნენ ომის დროს! ეს წვალება მე გადავიტანე, რატომ არ ეხმარებოდნენ ლტოლვილებს, ამდენი ხანი იჯდა ცოლ-შვილითურთ საფრანგეთში და ახლა ვის სჭირდება? სააკაშვილის გარდა — არავის. **ადრე ახალგაზრდები იღებდნენ ფულს უცხოეთიდან. ახლა შეწყდა. დღეს ფულს იღებს სააკაშვილის ბანკი. ამ ყველაფერს ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრი. ისინი ჩვენებს აწვდიან ცოტ-ცოტა ფულს. ამით სრულდება მათი დავალება. ამერიკას სურს მუსლიმანების ბრძოლა რუსეთში და იყენებენ სააკაშვილს. მე ყველას ვერ დავარქმევ მებრძოლს. ისინი გამოქცეულები არიან ქვეყნიდან. რატომ არ იბრძვიან სახლში, რა უნდათ საქართველოში?! მათ აფინანსებს სააკაშვილი და მისი შინაგან საქმეთა სამინისტრო.**

**— ვაშინგტონის ჩართულობა საქართველოს ძალოვანი და სპეციალური უწყებების საქმიანობაში საკმაოდ მაღალია, ამას არც ოფიციოზი მალავს და არც თქვენთვის უნდა იყოს საიდუმლო. შესაბამისად, როდესაც თქვენ ოფიციალურ თბილისს ტერორიზმში ადანაშაულებთ, ბუნებრივად ჩნდება კითხვა — შეუძლებელია ეს ხდებოდეს და ამერიკელები ამის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი. შეგიძლიათ თუ არა ივარაუდოთ, რომ ისინი მფარველობენ სააკაშვილის ხელისუფლების ამ საქმიანობას?..**

— 2008 წელს ომი დაიწყო სააკაშვილმა. 3 დღე ტელევიზორში იჯდა, გვარწმუნებდა, რომ, აი, უკვე ერთ სოფელსაც ავიღებთ და მორჩა, ამერიკამ იცოდა, რომ დიდ შეცდომას უშვებდა, მაგრამ გადაარჩინეს, ასევე ყველა შეცდომას აპატიებენ. მე ერთ რამეს გეტყვით: **ტყუის სააკაშვილი, ყველგან ტყუის. ატყუებს ხალხს. ამერიკამ იცის, რომ ომი მან დაიწყო, ამერიკამ იცის, რომ პატარკაციშვილი მან მოკლა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. მე არ მინდა, ჩემზე ნაწყენი დარჩნენ ამერიკაში, მაგრამ ეს კაცი ტყუის.** ახლა მე დაგისვამთ კითხვას: აქ მე რაღაცა ვთქვი, ხომ მართალია, ეს შევეკითხოთ ქართველ ხალხს — ჩემს ძმებს, დებს. ვკითხოთ: თხუთმეტი წელიწადი ამ ხალხთან ვიყავი, ვიცი, ზოგი პარლამენტში იყო, ზოგი — მინისტრი. მე არაფერი გამომპარვია. შე დალოცვილო, ყველაფერზე იძახით, ეს საიდანო, ბევრი რამე ჩემით ხდებოდა, ეს რუსეთმა იცის. მე არ ვმალავ. ჩემზე გადიოდა ყველაფერი. ასე რომ, სააკაშვილს ამერიკა დაიცავს. მე ყოველთვის ვფიქრობ, სად წავა ამ თანამდებობის შემდეგ. **ჩვენ ვართ კავკასიელები, ჩვენ ჩვენი წესები გვაქვს, შენი ჩადენილი არ შეგრჩება. მე მახსოვს ერთ-ერთი ოსი ქალის სიტყვები: მე ჩემი ძმის სისხლს არ გაპატიებო. დაფიქრდი, სააკაშვილო, ამდენი ხალხის სისხლს არ შეგარჩენენ!**

**— რას იტყვით გილაევისა და შევარდნაძის „მეგობრობის" შესახებ, უწყობდა თუ არა შევარდნაძე ხელს გილაევის რაზმების აფხაზეთში გადასროლას და როგორ მოხდა ეს რაზმები აფხაზეთის ტერიტორიაზე?**

— არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ შევარდნაძესა და გელაევს. ისინი ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ჩვენი საშუალებით. **გილაევი მე გავაცანი კახა თარგამაძეს. კახამ მთხოვა და გავაცანი კენჭაძეს, შემდეგ შეხვედრა მოვუწყვეთ შევარდნაძეს. აფხაზეთში შესვლაზე გილაევმა თქვა, რომ, თუ საქართველოს დასჭირდება, ის მზად არის, მონაწილეობა მიიღოს. ეს მოხდა კახა თარგამაძის თხოვნით. მანქანები დაიტვირთა მეომრებით და წაიყვანეს. ეს სჭირდებოდა საქართველოს და შესრულდა. ეს დიდი შეცდომა იყო.**

**— რას იტყვით სააკაშილის ხელისუფლების მიერ ეგრეთ წოდებული „ჩერქეზების საკითხის" ესოდენ მონდომებით და დაჩქარებული ტემპით ლობირებაზე; ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების უკიდურეს აქტიურობას აქვს თუ არა კავშირი იმასთან, რომ თქვენივე განცხადებით, „სააკაშვილმა დაიწყო მოგზაურობა სხვადასხვა მაჰმადიანურ ქვეყანაში და მოლაპარაკებების გამართვა იმის თაობაზე, რომ ფულს, რომელსაც მოჯაჰედებს ომისთვის აძლევდნენ, იგი თვითონ განაწილებს. ამერიკამ მაშინ მაგრად შეუტია რუსეთს. ისინი ამერიკელებს დაუკავშირდნენ და მათაც დიდი სახსრები გამოუყვეს".**

**— როდესაც პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ყარაჩაი-ჩერქეზეთის გენოციდის საკითხზე, მე ყოველთვის ვამბობდი, ეს ცუდად გადაწყვეტს საქართველოს ბედს-მეთქი. საერთოდ მუსლიმანური ქვეყნები და ამერიკა წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის. ადრე პატარ-პატარა თანხებს აძლევდნენ ბოევიკებს, მაგრამ სააკაშვილმა და მისმა მინისტრებმა დაიწყეს მუსლიმანურ ქვეყნებში სიარული. მთელმა მსოფლიომ იცოდა, ყველას ეგონა, რომ საქართველო დაიწყებდა რუსეთთან ომს, ამიტომ მუსლიმანურმა ქვეყნებმა შეწყვიტეს ბოევიკებისთვის ფულის მიცემა და თანხა იგზავნებოდა სააკაშვილის ბანკებში. ზოგი ისედაც მოსდიოდა მინისტრების გზით. ამერიკამ რამდენიმეჯერ გამოუგზავნა ფული, ასე ჩაიგდო ხელში ეს გზა სააკაშვილმა. ამერიკა და მუსლიმანური ქვეყნები დიდ თანხას უგზავნიან საქართველოს.**

**— თქვენ პრეზიდენტი სააკაშვილი ღიად დაადანაშაულეთ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების მკვლელობაში. რა მტკიცებულებებს ეყრდნობით, როცა ასეთ მძიმე ბრალდებებს უყენებთ მიხეილ სააკაშვილს?**

— სააკაშვილი დამნაშავეა ჟვანიას მკვლელობაში, სააკაშვილი დამნაშავეა პატარკაციშვილის მკვლელობაში, სააკაშვილი დამნაშავეა დუმბაძის მკვლელობაში. ჟვანია რომ ცოცხალი ყოფილიყო, ომს არ დაიწყებდა. ჟვანიას სიკვდილი იყო მოწყობილი. ეს მთელმა მსოფლიომ იცის. თქვენც იცით, რომ პატარკაციშვილმა თქვა, მე ჩემს ბოლო კაპიკს დავხარჯავ, რომ ეს კაცი დავამარცხოთო. ეს არ შეარჩინა მას...

**— როდესაც რამდენიმე წლის წინათ აგორდა ამაზრზენი კამპანია, თითქოს რუსეთის პრეზიდენტის ბიოლოგიური დედა კასპში ცხოვრობს და ამ საწყალი ქალბატონის მონაწილეობით ფილმიც კი გადაიღეს, გავრცელდა ვერსია, რომ ამ ქალბატონთან და მის ოჯახთან, ასევე ამ თემის „საინფორმაციო უზრუნველყოფაზე" მომუშავე რიგ მედიასაშუალებასთან, ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ ჩეჩნებს, მათ შორის თქვენც... მეორე ვერსიის თანახმად, ამ „სკანდალის რასკრუტკით" აქტიურად იყვნენ დაკავებულნი ბერეზოვსკის ნდობით აღჭურვილი პირები. რა არის თქვენთვის ამ ფაქტის გარშემო ცნობილი, ვის დასჭირდა ეს სიცრუე, ვინ აფინანსებდა ამ ორგანიზებულ კამპანიას, ვინ „უკვეთავდა მუსიკას"?**

— რამდენიმე წლის წინ ეს ჭორი გაავრცელეს საქართველოს ჟურნალისტებმა, ჩაერთნენ ჩეჩნებიც. ყველა ამტკიცებდა, რომ ის დედაა მისი, მაგრამ ყოველთვის ეჭვი მეპარებოდა ამაში. სად იყვნენ პრეზიდენტები, სად იყვნენ მინისტრები. ეს სჭირდებოდა საქართველოს. ამის გამკეთებლები სხვები იყვნენ და ამის გამკეთებლები დღესაც არ ვიცი, სად არიან. ეს თუ ბერეზოვსკის დაწყებულია, მას უნდა ჰკითხოთ. ის აგებს პასუხს. თქვენ თუ გაინტერესებთ, მე ამ ადამიანს არ ვიცნობ. მასთან ჩეჩნები მეგობრობენ, მე რომ ბერეზოვსკის ვიცნობდე, დღეს ინგლისში ვიქნებოდი და არა გროზნოში.

**— გამოცემა „ვზგლიადისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვენ სააკაშვილის მისამართით განაცხადეთ: „2014 წელს ოლიმპიური თამაშები გაიმართება სოჭში — იგი აუცილებლად რაღაცას ჩაიდენს". რა გქონდათ მხედველობაში? შესაძლოა თუ არა, რომ ბოევიკებმა საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ რუსეთში სოჭის ოლიმპიადის დროს დესტაბილიზაციის მოსაწყობად?**

**— 2014 წელს ოლიმპიადა ტარდება სოჭში. იქ აუცილებლად რაღაცას ჩაიდენს სააკაშვილი. ჩვენ ტყუილად ვაბრალებთ ბოევიკებს. იქ არავინ ჩავა სხვა გზით, საქართველო უნდა გაიაროს. ასე რომ, სოჭში თუ რამე მოხდება, ყველაფერი იქნება სააკაშვილის ჩადენილი.**

„გაქვთ ამერიკული მასკულტურა და ანტირუსული პროპაგანდა. ეს მღვრიე ტალღა არღვევს თქვენს ტრადიციებს, ძირს უთხრის თქვენს მრავალსაუკუნოვან ოჯახურ წესებს. ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა არასოდეს ასე მწვავედ არ მდგარა თქვენ წინაშე. ბავშვები მშობლებისადმი პატივისცემას კარგავენ. ეს ყველაფერი იაფფასიანი ამერიკული კულტურის გავლენის შედეგია.“

ინტერვიუ

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავიგდორ ესკინი: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა — სააკაშვილის პოლიტიკის ეს შედეგი კატასტროფულია საქართველოს ინტერესებისთვის

**ინტერვიუ ისრაელელ პოლიტოლოგ და თეოლოგ ავიგდორ ესკინთან.**



**— ორი წლის წინათ თქვენ საქართველოში არ შემოგიშვეს. მაშინ ისრაელიდან ჩამოხვედით თბილისში. რა მოხდა?**

— ბავშვობიდან განსაკუთრებულად მიყვარდა ქართველი ხალხი. ჩემი საყვარელი მეკარე ანზორ კავაზაშვილი იყო, რომელიც მოსკოვის „ტორპედოში“ თამაშობდა... ჩვენი თაობისთვის ქართული ეპოსი, ქართული სიმღერა და თქვენი ხალხის ღიმილიანი გულგახსნილობა კეთილი სულისა და მოყვასის სიყვარულის განსახიერება იყო. განსაკუთრებით აღვნიშნავ მეგობრობას ებრაელ და ქართველ ხალხთა შორის, რომელიც ორი ათას ხუთას წელზე მეტს ითვლის. ეს ჩემთვის ფუძემდებლური და უცვლელი ფაქტორებია.

**— და ყველაფერ ამის მიუხედავად, საქართველოს კარი დაგიკეტეს. რატომ?**

— აეროპორტში ჩამაბარეს ქაღალდი გაძევების შესახებ, რომელშიც პუნქტი, რომელშიც მითითებული უნდა ყოფილიყო გაძევების მიზეზი, ცარიელი იყო. ოფიცრებს, რომლებმაც დამაკავეს, ვუთხარი, რომ ისინი უკანონობას სჩადიან, რადგან მაძევებენ ქვეყნიდან მიზეზის აუხსნელად. პასუხად მათ დამცინეს.

ორი დღის შემდეგ ერთმა ქართულმა ტელეარხმა განაცხადა, რომ მე ვარ ექსტრემისტ მუსლიმანთა დაჯგუფების მეთაური და რომ ზურგი დამშვენებული მაქვს სვირინგით: „ქართული სისხლი მწყურია, გაუმარჯოს აფხაზეთს“. კომენტარი ზედმეტია.

**— რა მიზნით ჩამოხვედით საქართველოში?**

— „ერეკლე მეორეს საზოგადოებაში“ უნდა წამეკითხა ლექცია რუსთაველის დიადი პოემის ივრითზე თარგმანების შესახებ; დიპლომატიურ აკადემიაში კი — ლექცია ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე.

**— ამ ინციდენტის შემდეგ თქვენ მკვეთრად გააკრიტიკეთ საქართველოს მთავრობა, რის გამოც ზოგიერთი ქართველი პუბლიცისტის ასევე მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდით.**

— არ დავფარავ ჩემს აღშფოთებას საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩემდამი უკანონო მოქმედების გამო. ხაზგასმით ვიტყვი, რომ **ბრძენი მმართველები ქვეყნის მტრების მეგობრებად გადაქცევას ელტვიან. ზოგიერთი თქვენი პუბლიცისტი ცდილობდა, საქართველოს მტრად წარმოვეჩინე. ეს სრული აბსურდია!** პირდაპირ გეტყვით, ჩემნაირი გულწრფელი მეგობარი საქართველოს მსოფლიოში ბევრი არ ჰყავს. ამასთან, მე არ ვცდილობ, დავმალო ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკის გარკვეული ასპექტების მიმართ.

**— კერძოდ, რა არ მოგწონთ?**

— ჩემს მაგალითზე შეგიძლიათ დარწმუნდეთ, როგორ ირაციონალურად იღებენ ზოგიერთ გადაწყვეტილებას საქართველოში. **მეგობრების არაკეთილმოსურნეებად ქცევის უფრო მნიშვნელოვანი მაგალითი იყო ორი ისრაელელი ბიზნესმენის დაპატიმრება. ამ საქმეში ბევრი უსინდისობა იყო. რა აზრი ჰქონდა ისრაელთან ურთიერთობის ამგვარად გაფუჭებას?**

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თქვენი მთავრობის პოლიტიკის შედეგების ანალიზი. ერთის მხრივ, **სააკაშვილის მმართველობის პირველ პერიოდში საქართველო გაიწმინდა კორუფციისგან და შეეძლო სხვებისთვის მაგალითი გამხდარიყო, მაგრამ რუსეთის ბაზრის დაკარგვა, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, ასევე, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაკარგვა — სააკაშვილის პოლიტიკის ამ შედეგებს საქართველოსთვის კატასტროფული შეიძლება ვუწოდოთ.**

**— გამოდის, რომ ყველა კონფლიქტში თქვენ მხოლოდ საქართველოს ადანაშაულებთ...**

— მე ჯერ სიტყვაც არ მითქვამს, ვინაა მართალი, ვინ — მტყუანი. მაგრამ სააკაშვილის მმართველობის შედეგების განხილვისას, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ **სწორედ მან ჩაითრია თავისი ქვეყანა ევრაზიულ სივრცეში ყველაზე მნიშვნელოვანი და გავლენიანი სახელმწიფოს წინააღმდეგ კონფლიქტში; სწორედ მისი, სააკაშვილის, ბრალია ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის დაკარგვა.**

სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლები საქართველოს პოზიციების შესუსტებით გამოირჩა.

რაც შეეხება საკითხს — ვისი ბრალია, გიპასუხებთ, რომ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტი დაიწყო ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს. ეს საკითხი საკმარისად საფუძვლიანად შევისწავლე.

**— თქვენზე ამბობდნენ, რომ გსურდათ რუსეთის ჯარების შემოსვლა თბილისში.**

— გულწრფელად ვწუხვარ, რომ ზოგიერთმა ქართველმა პუბლიცისტმა გადმოიღო ოცდაათიანი წლების დასასრულის საბჭოთა პროპაგანდისტების მეთოდი. ჩემს წერილებსა და ინტერვიუებში მე ბევრჯერ განმიცხადებია საქართველოსადმი ჩემი თანმიმდევრული მეგობრული დამოკიდებულების შესახებ. ყოველთვის ხაზს ვუსვამ, რომ პასუხისმგებელი ვარ ჩემს პუბლიკაციებსა და ინტერვიუებზე, რომელთა შინაარსი ეჭვქვეშ არ დამიყენებია. ჩემს პოზიციას ყოველთვის ნათლად და ცალსახად გამოვხატავ.

**— აღიარებთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას?**

— უეჭველად — დიახ! მაგრამ მიმაჩნია, რომ **პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ სამხრეთ ოსეთის პრობლემის ომის გზით გადაწყვეტის მცდელობა დაუშვებელი იყო.**

**— როგორ გესახებათ კონფლიქტის გადაწყვეტა?**

— საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ გადაწყვეტილების პოვნა შეიძლება მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციით და ოს ხალხთან შერიგების გზით. დღეს საქართველოს ტერიტორიაზე ას ათასზე მეტი ოსი ცხოვრობს. ეს ამტკიცებს, რომ თანაარსებობა შესაძლებელია. სამხრეთ ოსეთმა უნდა შეინარჩუნოს გაფართოებული ავტონომიის სტატუსი. მისი ინტეგრაცია შესაძლებელი იქნება რევანშიზმზე უარის თქმის, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენისა და ყველასთვის მისაღები კონფედერაციის სტატუსის შემუშავების შემთხვევაში.

**დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ შეგიძლიათ მოელაპარაკოთ და შეურიგდეთ ოსებს, თუ კეთილ ნებას გამოამჟღავნებთ და აღადგენთ ნდობას. არ უნდა გეშინოდეთ საკუთარი შეცდომების აღიარების. ეს მხოლოდ გააძლიერებს პატივისცემას თქვენდამი და დაგეხმარებათ უწინდელ მეგობრობასთან ხიდების გადებაში.**

**უფრო რთული იქნება აფხაზეთის პრობლემის დაძლევა. ბუნებრივ გადაწყვეტილებად მესახება ლტოლვილების დაბრუნება სოხუმში მათი უსაფრთხოების ერთობლივი უზრუნველყოფის პირობებში. ეს მომგებიანი იქნება რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც.** რეგიონში ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროა ბუნებრივი ურთიერთობის აღდგენა მართლმადიდებელ საქართველოსთან.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ რუსეთი დათანხმდება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნებას?**

— რუსეთს რომ სურდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერთება, ამას გააკეთებდა კიდეც. დღეს მათ დროებით დამოუკიდებელი სტატუსით ინარჩუნებს. რუსეთის ბიუჯეტს ორივე ზედმეტ ტვირთად აწევს.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ საქართველო უარს იტყვის ნატოში შესვლის იდეაზე და რუსეთთან ურთიერთობის გზას დაადგება, დათანხმდება რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მაგრამ სანაცვლოდ მოითხოვს მისთვის სუვერენიტეტის დაბრუნებას. ეს მომგებიანი იქნება რუსეთისთვისაც და საქართველოსთვისაც. თქვენი მხარე დაიბრუნებს ტერიტორიებს, რომლებიც თქვენთვის ასე მნიშვნელოვანია. რუსეთი შეწყვეტს ამ ტერიტორიების გამოკვებას, მაგრამ შეინარჩუნებს თავის სტრატეგიულ პოზიციებს.

მაგრამ ორივე მხარისთვის მთავარი სარგებელი მეგობრობისა და ურთიერთობის აღდგენაა. **საქართველოს გავლენა კავკასიაში, მიუხედავად შეცდომებისა და მარცხისა, დღეს ძლიერდება. მოსკოვში ხვდებიან, რომ რეგიონში ეფექტიანი პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროა ბუნებრივი ურთიერთობის აღდგენა მართლმადიდებელ საქართველოსთან.**

**— ე. ი. თქვენ გვთავაზობთ, კვლავ რუსეთის გავლენის ქვეშ მოვექცეთ?**

— არა. მე ვცდილობ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება, რა სჭირდება საქართველოს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი. **თქვენს ქვეყანას არც პროამერიკული ორიენტაცია სჭირდება, არც — პრორუსული, არამედ — მხოლოდ პროქართული.**

ვფიქრობ, რომ **თქვენი ამჟამინდელი პრეზიდენტი თავისი პროამერიკული ინსტინქტებით უფრო ხელმძღვანელობდა, ვიდრე საქართველოს ინტერესებით.**

არსებობს უმნიშვნელოვანესი კულტურული ასპექტიც. მე ხშირად ვუყურებ ტელეარხ „პიკს“, რომელიც ყოველთვის იაფფასიან ამერიკულ ფილმებს ატრიალებს. არადა, რა კარგი იქნებოდა, მისი მეშვეობით დიად ქართულ კულტურას რომ ვზიარებოდით. ამის ნაცვლად გაქვთ ამერიკული მასკულტურა და ანტირუსული პროპაგანდა. ეს მღვრიე ტალღა არღვევს თქვენს ტრადიციებს, ძირს უთხრის თქვენს მრავალსაუკუნოვან ოჯახურ წესებს. ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემა არასოდეს ასე მწვავედ არ მდგარა თქვენ წინაშე. ბავშვები მშობლებისადმი პატივისცემას კარგავენ. ეს ყველაფერი იაფფასიანი ამერიკული კულტურის გავლენის შედეგია.

**თქვენ უნდა გააძლიეროთ თქვენი საკუთარი ტრადიციონალიზმი.**

**რუსული კულტურის გავლენა კავკასიაში ყოველთვის სასიკეთო იყო. დღეს კი პოპსა გამოდევნის დიად ქართულ მემკვიდრეობას.**

**— როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო კამპანიას საქართველოში?**

— არ მინდა არანაირად ჩარევა ამ კამპანიაში, მაგრამ გულწრფელად მინდა გისურვოთ, რომ გაიმარჯვოს ყველაზე უფრო პროქართულმა ძალამ.

**— რა შეგიძლიათ თქვათ საქართველო-ისრაელის ურთიერთობაზე?**

— საიდუმლო არ არის, რომ ბოლო წლებში ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის გაცივდა. **ისრაელი მზად არ არის, ჩაერთოს რუსეთთან კონფლიქტში. ასეთმა პოზიციამ სააკაშვილის ადმინისტრაციის უკმაყოფილება გამოიწვია.** ბევრი რამ გააფუჭა ორი ისრაელელი ბიზნესმენის დაპატიმრებამ, რომელიც ჩვენთან არაკანონიერად მიიჩნიეს. თუ ამას დავუმატებთ საქართველოში თურქეთისა და ირანის გავლენას, აშკარა გახდება, რომ სახეზეა ზოგიერთი ნეგატიური პოლიტიკური ტენდენცია. აქვე უნდა ვთქვა, რომ **ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობა იმდენად მტკიცეა, რომ ვერავითარი დროებითი პოლიტიკური უთანხმოება ვერ შეცვლის ჩვენი ურთიერთობის სტატუსს.**

მინდა მჯეროდეს, რომ არჩევნების შემდეგ ცვლილებების დრო დადგება.

ისრაელთან დაახლოება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. შემთხვევითი არ იყო, რომ აზერბაიჯანმა ახლახან ისრაელისგან მილიარდ-ნახევრის იარაღის უდიდესი პარტია შეიძინა. ასეთი თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლოა, რადგან ისრაელი არ ფიქრობს არავითარ კულტურულ ან პოლიტიკურ ექსპანსიაზე თქვენს რეგიონში.

**— რა არის დღეს თქვენთვის საქართველო და რას უსურვებთ მას?**

— საქართველო უდიდესი სასწაულია, რომლის შედარება მხოლოდ ისრაელთან თუ შეიძლება. იგი მხოლოდ უძველესი ცივილიზაცია არ არის. იგი არის ცოცხალი სიძველე. შეადარეთ ათენს ან რომს. იქაურ წარსულს დღევანდელობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. საქართველოში ყველაფერი ძველი თანამედროვეობაში განაგრძობს ცხოვრებას.

შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს უდიდესი პოეტი და მოაზროვნე შოთა რუსთაველი სწორედ იერუსალიმშია დაკრძალული. ბიბლიური სული იყო და არის დიადი ქართული კულტურის შთაგონების წყარო. ღმერთმა თქვენს ქვეყანაზე კალთა დაიბერტყა.

მიიღეთ ჩემი კეთილი სურვილები იერუსალიმიდან.

**«თქვენი ამჟამინდელი პრეზიდენტი თავისი პროამერიკული ინსტიქტებით უფრო ხელმძღვანელობდა, ვიდრე საქართველოს ინტერესებით»**

**სიმონ ხალხოსანი,**

**პარიზი, სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“**

სტატისტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის 18 და მეტი წლის მოსახლეობამ 164 ათასით მოიმატა, მაგრამ საარჩევნო ასაკის მოსახლეობის ყოველი ერთი კაცით მატებაზე ამომრჩეველთა სიაში რვაკაციან მატებას ჰქონდა ადგილი, ანუ ამომრჩეველთა რაოდენობამ 2008 წელს, 2004 წელთან შედარებით, 1 მილიონ 296 ათასი კაცით, ანუ თითქმის 1,6-ჯერ მოიმატა.“

იოსებ არჩვაძე:

# საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაბერებულია

**რა ცვლილებები აღმოაჩინა ამომრჩეველთა სიის ანალიზის შედეგად, რა გავლენას მოახდენს არჩევნების ჩატარების ობიექტურობაზე აღნიშნული დასკვნა და რატომ მიმდინარეობს ერის დაბერების პროცესი, ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ეკონომიკის ექსპერტი, სტატისტიკის სპეციალისტი, პროფესორი იოსებ არჩვაძე ესაუბრება.**



— დემოგრაფიული მონაცემებისა და ამომრჩეველთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის შედარებისას აღმოჩნდა, რომ, პოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადობის მიხედვით, ცალკეული არჩევნების თარიღისთვის, ამომრჩეველთა და საარჩევნო ასაკის თანაფარდობა მკვეთრად იცვლება. თანაბარ საარჩევნო პირობებში, ამომრჩეველთა რაოდენობა, საარჩევნო ასაკის (+18 წელი) კონტინგენტზე უფრო მეტი არ უნდა იყოს. ჩვენს ხელთ არსებული, **ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2012 წლისთვის ქვეყნის მოსახლეობა 1990 წელთან შედარებით 926,8 ათასით შემცირდა (17,1%), ამომრჩეველთა რაოდენობა კი პირიქით — გაიზარდა 177,3 ათასით (5,1%-ით), ანუ ამომრჩეველთა თანაფარდობა მოსახლეობის რიცხოვნობასთან გაიზარდა 17 პროცენტული პუნქტით — 63,5%-დან — 90,5 პროცენტამდე.** ზოგადად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ვინც არის ქვეყნის მოქალაქე და მიაღწია 18 წლის ასაკს. ამომრჩეველთა სიაში არ ხვდებიან ქვეყანაში მცხოვრები სხვა ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთა რაოდენობაც მხედველობაში მიიღება ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის დადგენისას. ამომრჩეველთა სიაში ვერ მოხვდებიან ასევე საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო ხმის მიცემის უფლება შეჩერებული აქვთ.

მიუხედავად ამგვარი წინაპირობისა, **2008 წლის 5 იანვრის არჩევნებიდან მოყოლებული, საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა, 18 და მეტი წლის ასაკის მოსახლეობის რაოდენობას მნიშვნელოვნად აჭარბებს.** მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, ცესკოს მიერ გამოქვეყნებული ამომრჩეველთა სიით — დაახლოებით 67 ათასით (1,9%-ით) აჭარბებს. მართალია, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც იყო განსხვავება, მაგრამ საპირისპირო მიმართულებით. მაშინ საარჩევნო ხმის უფლების ასაკის მქონე კონტინგენტის რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობას 63 ათასით აღემატებოდა. 2003 წლის შემდეგ, ამომრჩეველთა თანაფარდობა მოსახლეობის რიცხოვნობასთან 73,2 %-დან — 80,5 პროცენტამდე გაიზარდა. შეგვიძლია შევადაროთ 2004 და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კონტინგენტი. **თუ 2004 წელს ამომრჩეველთა რაოდენობა იყო 2 მილიონ 232 ათასი, 2004 წლის შემდეგ 3 მილიონ 428 ათასია. გამოდის, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა მილიონ სამასი ათასით გაიზარდა. თუმცა, მაგალითად, 2003 წლის ნოემბრის პროპორციებს რომ შევადაროთ, დღეს ამომრჩეველთა რაოდენობა, სულ ცოტა, 255 ათასით ნაკლები მაინც უნდა იყოს.**

მაგალითად, თუ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, 18 და მეტი წლის მოსახლეობის თანაფარდობა ამომრჩეველთა მთლიან რიცხოვნობასთან შეადგენდა 145,3 პროცენტს. მომდევნო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის აღნიშნულმა მაჩვენებელმა მხოლოდ 96,6 პროცენტი შეადგინა. მართალია, **ამ ოთხი წლის განმავლობაში ქვეყნის 18 და მეტი წლის მოსახლეობამ 164 ათასით მოიმატა, მაგრამ საარჩევნო ასაკის მოსახლეობის ყოველი ერთი კაცით მატებაზე ამომრჩეველთა სიაში რვაკაციან მატებას ჰქონდა ადგილი, ანუ ამომრჩეველთა რაოდენობამ 2008 წელს, 2004 წელთან შედარებით, 1 მილიონ 296 ათასი კაცით, ანუ თითქმის 1,6-ჯერ მოიმატა.**

ამომრჩეველთა რაოდენობამ, ცესკოს ბოლო მონაცემებით, უკვე გადააჭარბა ქვეყნის მოსახლეობის 80 პროცენტიან ზღვარს. რაც, საკითხის პოლიტიკურ კონტექსტში განხილვას რომ თავი დავანებოთ, ერის დაბერების თვალსაჩინო ინდიკატორია.

**— რეალურად გაიზარდა ეს ციფრი თუ გარკვეული მაქინაციების წყალობით?**

— როგორც წესი, მკვეთრად არ უნდა ხდებოდეს მსგავსი ცვლილებები. ჯერ ერთი, ამომრჩეველთა რაოდენობა ახლოს უნდა იყოს 18 და მეტი ხნის მოსახლეობის რიცხოვნობასთან. ხოლო, თუ მათ შორის მკვეთრი განსხვავებაა, გამოდის, რომ რაღაცაშია საქმე. ან ხელოვნურად, ან გარკვეული მიზეზების გამო არის მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილი... ამიტომ საჭიროა უფრო მეტი ყურადღება და თვალყურის დევნება საზოგადოების მხრიდან. მხოლოდ კამპანიური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს ამომრჩეველთა სიების დადგენას. თამაშის წესები, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ, 20 წელიწადზე მეტია, დამოუკიდებლობა მიიღო, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დახვეწილი.

**— იძლევა თუ არა აღნიშნული მონაცემები იმის თქმის საფუძველს, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგები არ იქნება ობიექტური? რამდენად არსებობს არჩევნების გაყალბების საფრთხე?**

— არსებობს უდანაშაულობის პრეზუმფცია და ამიტომ მე ახლა არავითარი უფლება არ მაქვს, არც კანონიერი და არც მორალური, ამ საკითხში ეჭვი შევიტანო, მაგრამ ის ფაქტი, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე იცვლება ამომრჩეველთა რაოდენობა, კონტინგენტი, უკვე თავისთავად სერიოზული ეჭვის საფუძველს ქმნის. ამიტომ ზუსტადაც ერთგვარი პრევენციაა ჩვენი საუბარი, რათა საზოგადოებამ მეტი ყურადღება გამოიჩინოს საჭირო საარჩევნო სიების მიმართ და დროულად მოახდინოს რეაგირება.

ზოგადად, **ქვეყანაში სტატისტიკის მიმართ საზოგადოებისა და ხელისუფლების დამოკიდებულება ნიჰილისტურია. როდესაც ქვეყანაში სტატისტიკას სათანადოდ არ იყენებენ, იქ უკვე ბევრი მანიპულაციის საშუალება ჩნდება.**

**— მოგეხსენებათ, სიების დაზუსტების კომისიაც მუშაობს კარდაკარის პრინციპით. რა მონაცემებს ეყრდნობა ის და, თქვენი მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ მათი მუშაობა შედეგის მომტანი არ იქნება?**

— უნდა ვიცოდეთ, ჩვენს ხელთ არსებული რესურსები როგორ გამოვიყენოთ. ჩვენ რესურსების ყაირათიანი განკარგვით გაცილებით მეტი შედეგის მიღება შეგვიძლია. მაგალითად, **ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, შესაძლებელია, განხორციელდეს მოსახლეობის რეესტრი, რომელიც ბევრ პრობლემას მოხსნის და ყველა არჩევნებისთვის ახალი სიების დადგენა აღარ დაგვჭირდება.**

მახსენდება ერთ-ერთი არჩევნები, როცა, მაგალითად, „აღორძინების“ მხარდამჭერთა რაოდენობამ ოფიციალურად 269 ათასი შეადგინა, მაშინ, როდესაც 18 და მეტი წლის მოსახლეობა აჭარაში მხოლოდ 264 ათას 500 კაცი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გაყალბებასთან გვქონდა საქმე.

**— ზემოთ ერის დაბერების პროცესი ახსენეთ, სპეციალისტები ამ საკითხთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამენ, როგორია დღეს სტატისტიკური მონაცემები, არის ერი დაბერების სერიოზული საფრთხის წინაშე?**

— თანამედროვე მსოფლიოში დემოგრაფიულ დაბერებად ითვლება მდგომარეობა, როცა 65 წელზე გადაცილებული მოსახლეობის წილი მთელი მოსახლეობის 7%-ს აღემატება. ჩვენთან ეს მაჩვენებელი ძალიან მაღალია და 15% გადასცდა უკვე. ეს ხდება არა იმის გამო, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა, არამედ იმიტომ, რომ არ ხდება შესაბამისი ჩანაცვლება. ქვეყანაში შობადობაც შემცირებულია და მიგრაციაც მაღალია.

აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოში ადგილი ჰქონდა მასობრივ მიგრაციას. ქვეყნის მოსახლეობა უკანასკნელი 20-22 წლის მანძილზე შემცირდა. მიგრანტთა შორის განსაკუთრებით მაღალი იყო ყველაზე რეპროდუქციულ და შრომისუნარიან ასაკში გასულთა რაოდენობა. არაეთნიკურ მიგრანტთა 85% 20-25 წლის იყო, მაშინ, როდესაც აღნიშნული ასაკის მოსახლეობის წილი მოსახლეობის მთელ რაოდენობაში მხოლოდ 42-44 პროცენტია. 1897 წელთან შედარებით, 2011 წელს ბავშვთა წილი თითქმის სამჯერ (2,9-ჯერ) შემცირდა, ხოლო, 64 წელს გადაცილებულთა რაოდენობა თითქმის იმავე პროპორციით (2,7-ჯერ) გაიზარდა. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასაკოვანი მოსახლეობის ზრდის ტემპი 4,3-ჯერ აღემატებოდა მოსახლეობის მატების საშუალო ტემპს და 7,4-ჯერ — 60 წლამდე მოსახლოების მატების ტემპს. (+5,41%) ამ ხნის განმავლობაში, დაბერების ინდექსი, ანუ **64 წელზე უხნესი მოსახლეობის თანაფარდობა 14 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობასთან, თითქმის რვაჯერ გაიზარდა — 10,4%-დან 81,2%-მდე. ხოლო სოფლებში ხანდაზმულთა რაოდენობამ გადააჭარბა კიდეც ბავშვების რაოდენობას.**

**საქართველოს მოსახლეობა ამჟამად დემოგრაფიული სიბერის მდგომარეობაში იმყოფება. მე-20 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა სამჯერ გაიზარდა, ხოლო 59 წელს გადაცილებულთა რაოდენობა — 7-ჯერ. საქართველოს მოსახლეობა სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დაბერებულია.** მოსახლეობის საშუალო ასაკი აღემატება სომხეთისას 5 და აზერბაიჯანისას 8 წლით. ხოლო საპენსიო ასაკის მოსახლეობის თანაბარ რაოდენობაზე საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით სამჯერ, ხოლო სომხეთთან შედარებით 1,8-ჯერ ნაკლები ბავშვი ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა ხანდაზმულია მსოფლიოს საშუალო დონესთან შედარებითაც (დაახლ. 30%-ით).

გაეროს ექსპერტთა პროგნოზით, საქართველოს მოსახლეობის დაბერების პროცესი შემდგომშიც გაგრძელდება. 2050 წლისთვის 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში საუკუნის დასაწყისთან შედარებით თითქმის ორჯერ გაიზარდება და 35,8 პროცენტს მიაღწევს. ამიტომ **იმისთვის, რომ მყარი ზრდა მოხდეს, ყოველწლიური შობადობის მაჩვენებელი 73-75 ათასი მაინც უნდა იყოს, როცა დღეს, შობადობის მაჩვენებელი დაახლოებით 60-62 ათასამდეა.** რა თქმა უნდა, საქართველოს პატრიარქის მოწოდებამ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა. მანამდე უკიდურესად დაბალი შობადობის მაჩვენებელი გვქონდა — დაახლოებით 47-48 ათასის ფარგლებში. მართალია, ვითარება ცოტა გამოსწორდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი.

**— კიდევ ერთი სერიოზულ პრობლემას ქვეყანაში უმუშევრობა წარმოადგენს. შეიქმნა დასაქმების სამინისტრო, რამდენად მოახერხებს უმუშევრობის პრობლემის დაძლევას სამინისტროს ამოქმედება?**

— რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანაში არსებობს შრომის სამინისტრო, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი სამინისტროა, მაგრამ მას არ ევალება მარტო დასაქმება, არამედ ევალება შრომითი ნორმატივების, სოციალური დაცვის მარეგლამენტირებელი ნორმების შემუშავება. დასაქმება არის ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი ასპექტი შრომის სამინისტროსი.

**დღეს ბაზრის წილი დასაქმებაში ძალზე მოკრძალებულია. მეტი რიცხვი სახელმწიფო სექტორში დასაქმებულებზე მოდის და სახელმწიფო გამოდის ერთ-ერთ ძირითად დამსაქმებლად ქვეყანაში.** თუ სერიოზულად მიუდგება საქმეს, დასაქმების მინისტრი გრძელვადიან პერსპექტივაში, ვფიქრობ, შეძლებს მიზნების განხორციელებას, მაგრამ ამისთვის მნიშვნელოვანია დასაქმებულთა კონტინგენტის დადგენა. სტატისტიკა, მართალია, ითვლის, ზოგადად რამდენი უმუშევარია ქვეყანაში, მაგრამ ეს განყენებული ციფრებია.

**— სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, უმუშევართა რაოდენობა მხოლოდ 14-16%-ს თუ შეადგენს, თუმცა საზოგადოებას ამ რიცხვების არ სჯერა და დარწმუნებულია, რომ უმუშევართა რაოდენობა რეალურად ბევრად მაღალია. ამ შემთხვევაში ხელისუფლება თვითდასაქმებულთა რაოდენობას ეყრდნობა?**

— სახელმწიფო ვალდებულია, გამოიყენოს საერთაშორისო მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც უმუშევრად მიიჩნევა ადამიანი, რომელსაც კვლევის ჩატარებამდე ერთი კვირის განმავლობაში არ ჰქონდა ანაზღაურება შრომითი საქმიანობიდან, ეძებდა სამუშაოს, მზად იყო მუშაობის დაწყებისთვის, მაგრამ ვერ იპოვა. თუ ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ადამიანი უმუშევარია. ამის მიხედვით, საქართველოში 300 ათასი უმუშევარი გვყავს. ასევე არიან ადამიანები, რომლებმაც ხელი ჩაიქნიეს სამსახურის ძიებაზე. მათ მონაცემებს სტატისტიკის ეროვნული სამსახური არ აქვეყნებს, მაგრამ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მოითხოვს, რომ უმუშევრობა ორი კრიტერიუმით დავითვალოთ: მკაცრი და შედარებით რბილი მაჩვენებლით — როცა ადამიანი უიმედოდაა განწყობილი და აღარ ეძებს სამსახურს. თუ ამ მეორე კატეგორიას მივაკუთვნებთ უმუშევართა კატეგორიას, მაშინ უმუშევართა რაოდენობა იქნება არა 300 ათასამდე, არამედ დაახლოებით 380 ათასამდე მიაღწევს. ეს რაც შეეხება ოფიციალურ მეთოდიკას, მაგრამ არის კიდევ ერთი ნიუანსი: **დასაქმებულად ითვლება ყველა თვითდასაქმებული. მაშინ, როცა ევროპაში დასაქმებულთა 85% არის დაქირავებით დასაქმებული და მხოლოდ 15% თვითდასაქმებული, ჩვენთან 38% დაქირავებული და 68% თვითდასაქმებულია, ანუ საქართველოში თვითდასაქმებულთა რაოდენობა ხუთჯერ მეტია.**

**უმუშევართა რაოდენობა ოფიციალურ მონაცემებთან შედარებით გაცილებით მეტი — დაახლოებით 40%-ია. ესპანეთში უმუშევრობის 23%-ია, ასევე მაღალი მაჩვენებელია საბერძნეთში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, გამოდის, რომ ესპანეთსა თუ საბერძნეთში უმუშევრობის უფრო მაღალი დონეა, ვიდრე საქართველოში, მაგრამ გინახავთ საბერძნეთიდან ან ესპანეთიდან საქართველოში სამუშაოს საძიებლად ვინმე ჩამოსული? როგორც წესი, პირიქით ხდება.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**„ჯერ იყო, ნატოს გავიძახოდით და ხელი დაგვიქნიეს, შემდეგ ომი დაგვატყდა თავს. 300 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დაგვიტოვეს, ტერიტორიების ერთი მეხუთედი დავკარგეთ, რუსეთი გადავიმტერეთ და ბოლოს ხელში შეგვრჩა ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც ცოცხალი თავით არ უნდა წასვლა. მე თქვენ გეკითხებით, მთელი ამ უბედურების შემდეგ, საღად მოაზროვნე ადამიანი შეიძლება კიდევ მომხრე იყოს ამ კურსის და, საერთოდ, ამ პოლიტიკის?!“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სოსო ჯაჭვლიანი: ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აქ უნდა გაიმართოს მეორე ნიურნბერგის პროცესი

**მოახლოებულ არჩევნებზე, ხელისუფლების მიერ ქართული ოცნების მიმართ განხორციელებულ ქმედებებსა და მომავალში შესაძლო პროვოკაციებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი.**



**«მთელი ეს სიბინძურე, ეს პროვოკაციები და აღვირახსნილობა, რასაც ხელისუფლება კადრულობს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თვითონვე მიუბრუნდებათ ერთი-ორად»**

**— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინათ, ერთ-ერთ გამოსვლაში სააკაშვილმა თავის ოპონენტებს ასე მიმართა: მეტი საქმე არ მაქვს, ჩვენი აშენებული ქვეყანა თქვენ გადმოგაბაროთო. ცხადია, რომ ხელისუფლება რამე კომპრომისზე წამსვლელი არ არის. რა შეუძლია დღეს ოპოზიციას და საზოგადოებას მას დაუპირისპიროს?**

— ამასწინათ „მეცხრე არხზე“ ერთ-ერთ გადაცემაში საუბარი იყო თვითმფრინავის ფენომენზე ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში, ანუ იმაზე, თუ როგორ გადაფრინდა გმირი მიხეილ სააკაშვილი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თბილისიდან ფოთში, როგორ ემალებოდა იგი ღრუბლებში რუსულ ავიაციას და ა. შ. ახლა რატომ გიყვებით ამას, როცა საუბარია იმაზე, თუ რა შეიძლება დაუპირისპიროს ოპოზიციამ ამ ნაძირალა ხელისუფლებას, ყველაფერი ნათელია, აი, ზუსტად ამ მიუჰაუზენური ენით უნდა ველაპარაკოთ მომდევნო ერთი თვის განმავლობაში მოსახლეობას, რომ **ეს არის გიჟი, ჩამოყალიბებული შლეგი და, უბრალოდ, არ შეიძლება ასეთ არანორმალურს სერიოზულად ელაპარაკო; აზრიც არ აქვს ამას, იმიტომ, რომ ამათ შეყრილი აქვთ ისეთი სენი, რომლის განკურნებაც შეუძლებელია.** ასეთ დროს კი, ხომ იცით, რას აკეთებს მედიცინა: ან ხდება ქირურგიული ჩარევა და აცილებენ იმას, რაც ზედმეტია, ან იღუპება ავადმყოფი...

**— ხელისუფლება მთავარ აქცენტს ძალაზე აკეთებს. მაქსიმალურად მობილიზებულია პოლიცია და ცნობილია, რომ წვრთნიან სპეცდანიშნულების ახალ რაზმებს. ამისთვის რამდენად ხართ მზად?**

— სერიოზული ეჭვები არსებობს და მე პირადად დარწმუნებული ვარ, რომ **ეს ე.წ. ზონდერრაზმები, რომლებსაც ხელისუფლება ახლა ინტენსიურად აყალიბებს, ძირითადად, დაკომპლექტებულია მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოყვანილი ადამიანებით.** გათვლა მარტივია — რეჟიმს უცხოელი უფრო აწყობს იმიტომ, რომ მან იცის, საჭიროების შემთხვევაში, ის ვიღაც გადამთიელი თვალს არ დაახამხამებს, ისე გაგხვევს ცეცხლის ალში. ეს ნიშნავს, რომ **ხელისუფლება უკვე ღიად მიდის პროვოკაციაზე, ვინაიდან სხვა გზა მიხეილ სააკაშვილს აღარ დარჩა.**

ახლა რაში სჭირდებათ საბოლოოდ ეს პროვოკაცია და არეულობა: ყველაფერი ნათელია. მაგალითად, მე და თქვენ რომ ხალიჩაზე ვხვდებოდეთ ერთმანეთს, სანამ ოფიციალურად გამოვალთ, მანამდე თუ დავეჯახებით, იქ ხომ არ გამოჩნდება, მსაჯობა როგორი იყო, შენ უფრო მაგარი იყავი თუ მე, რამდენად სუფთად ვიბრძოდით და ა. შ. აი, ზუსტად ამას „ჩალიჩობენ“ ესენი — როგორმე ხალიჩამდე არ უნდა მივიდეთ. ამისთვის დაარბენინებენ ამ ე.წ. ზონდერჟურნალისტებსაც, მაგრამ, ამის მიუხედავად, მე ვამბობ, ყველაფერს აქვს საზღვარი. ამიტომ **დარწმუნებული ვარ, მთელი ეს სიბინძურე, ეს პროვოკაციები და აღვირახსნილობა, რასაც ხელისუფლება კადრულობს, საქმე საქმეზე რომ მიდგება, თვითონვე მიუბრუნდებათ ერთი-ორად.**

**— რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? მოსახლეობა დაშინებულია. იმავე ზონდერჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც თქვენ ახსენეთ, სახლებში აკითხავენ მოქალაქეებს და ატერორებენ...**

— ჩვენთვის ცნობილია ეს ყველაფერი დეტალურად. თითოეულ ფაქტზე, თითოეულ შემთხვევაზე გვაქვს ინფორმაცია. მეტსაც გეტყვით, ახლახან მამიდაშვილმა დამირეკა მესტიიდან და მაცნობა, თურმე იქაურ გამგეობაში ვიღაც დაინტერესებულა, კვირიკობაზე სვანეთში რომ ვიყავით ჩასული, რატომ მოინახულეს ჩემმა შვილებმა მამიდაჩემი. ხვდებით, რა დონის თახსირებზეა საუბარი?! კაცი ამას რომ იკადრებს, იმას რა უნდა ელაპარაკო საერთოდ. მე ყველგან, ყველა შეხვედრაზე ვამბობ ამას. ასევე მინდა, ვთქვა მესტიაში მცხოვრები ჩემი ახლობლების გასაგონად: **ვინც რამე ზეწოლას მიიღებს და ამაზე რეაქცია არ ექნება, ის არაკაცია. რა ტერორზეა საუბარი ბოლოსდაბოლოს, ჩვენ რა, კაცები არ ვართ?! ამათზე ნაკლები მკლავი გვერჩის, თუ როგორაა? სადაა ღირსება, თავში „დუბინკას“ რომ გიბრახუნებს ვიღაც ნაძირალა, გაუქანე და ჩამოუღე თავ-ყბა, მაგის დედაც ვატირე...**

**— ნებისმიერი ფორმით წინააღმდეგობის გაწევა რა შედეგით მთავრდება, არაერთხელ ვნახეთ, — „ურჩ მოქალაქეს“ გარანტირებული აქვს ხანგრძლივი პატიმრობა ან ქონების დაყადაღება.**

— და რამდენს დაიჭერენ ან დააყადაღებენ ერთი ესენი, საინტერესოა, მთელი საქართველო პატიმრად და პრობაციონერად უნდა აქციონ?! ანდა სად წავლენ ეს ადამიანები, ხელისუფლებაში რომ არ იქნებიან, რისი იმედი აქვთ? ჩაიდებენ, ალბათ, მილიონებს და დაითესებიან. მაგრამ ვერ უშველით ეს, სადაც უნდა წავიდნენ, იქიდან ჩამოიყვანს ამათ ქართველი ხალხი...

**— ისევ არჩევნებზე გკითხავთ, ვთქვათ და საზოგადოების მოლოდინი არ გამართლდა, უმრავლესობით კვლავ „ნაცმოძრაობა“ მოვიდა, რას მივიღებთ შედეგად?**

— შედეგად მივიღებთ იმას, რომ სააკაშვილი, თავის ავხორცებთან ერთად, ბოლომდე მიიყვანს იმ გეგმას, რისთვისაც ის მოიყვანეს თავის დროზე. ეს გეგმა, უწინარესად, მიზნად ისახავს ქართული სახელმწიფოს დაქსაქსვას, დაქუცმაცებას, რაც მან უკვე წარმატებით განახორციელა, და ასევე ითვალისწინებს საზოგადოების გახლეჩას. ამას თუ მიაღწიეს, ჩათვალეთ, რომ საქართველო ფაქტობრივად მკვდარია.

**— ვისგან მოდის ეს დავალება ან საიდან?**

— საიდან და საიდანაც გამოუშვეს ეს გიჟი. არ იცით, საიდან?

**— ამერიკას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, ამერიკიდან, ეს ხომ დღეს უკვე, როგორც ორჯერ ორი ოთხი, ისეა...

**— და, თქვენი აზრით, რაში სჭირდება ამერიკას გახლეჩილ-დაქსაქსული საქართველო?**

— მოდი ასე ვთქვათ: არსებობს ადამიანთა ჯგუფი მსოფლიოში, რომელსაც აქვს თავისი გარკვეული ჩანაფიქრი და ამოცანა. ამ ადამიანებს მუდმივად გააჩნიათ პრეტენზია რაღაცაზე და, ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენი მხრიდან კომპრომისი გამორიცხულია, მიდის ფარული ომი. მოკლედ, არაპირდაპირი გზით გაკნინებენ და გაცლიან საფუძველს. ასე მაგალითად, **შენ თუ კეთილმეზობლობა გინდა ჩემთან, მაშინ არ უნდა მედავებოდე იმაზე, რომ ვარძია ჩემია, რომ დავით გარეჯი ჩემი ისტორიული სიწმინდეა და საზღვრის დადგენაზე პრობლემებს არ უნდა მიქმნიდე; ასევე, შენ თუ პარტნიორად მიმიჩნევ და მჭიდრო ურთიერთობა გინდა ჩვენ შორის ჩამოყალიბდეს, მაშინ აზიზის მეჩეთს არ უნდა მიშენებდე ჩემს მიწაზე.** ერთი სიტყვით, სვანურად რომ გითხრათ, საქმე ისაა, რომ მაგრად ვერ გვიტანენ ქართველებს. ამიტომაც არიან ასე მოწადინებული, რომ როგორმე ამოგვშანთონ ისტორიიდან.

**— ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა იქნება ხელისუფლების შეცვლის შემდეგ? თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ შემდგომი პროცესები?**

— წინასწარ საუბარი იმაზე, რა იქნება ან რა უნდა იყოს მომავალში, მკითხაობას დაემსგავსება, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: **ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, უწინარესად, მან ხალხი უნდა დაამშვიდოს და დააცხროს ის აგრესია, რომელიც საზოგადოებაშია.** ჩემი აზრით, ამის მიღწევა ერთადერთი გზით შეიძლება: მოსახლეობას უნდა უთხრა, რომ არავინ დარჩება დაუსჯელი. მე შურისძიების მომხრე არ ვარ, მაგრამ საუბარია სამართლიანობაზე. ამის გარეშე კანონის უზენაესობა ვერ იქნება მიღწეული. **ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აქ უნდა გაიმართოს მეორე ნიურნბერგის პროცესი. მათ მიერვე მიღებულ კანონებით უნდა გასამართლდეს სააკაშვილის ნაძირალა ხელისუფლება...**

**— და ვინაა გარანტი, რომ ეს აუცილებლად მოხდება?**

— თუ ეს არ გაკეთდება, მე ვიქნები პირველი, ვინც გამოვა და იტყვის, რომ ესენი ყოფილან არაკაცები. ამაზე დიდ შეურაცხყოფას მომავალი ხელისუფლება ვერ მიაყენებს საზოგადოებას, ვინაიდან ამდენი დამნაშავის, ამდენი კრიმინალის არდასჯა ნიშნავს, რომ მას, უბრალოდ, ფეხებზე ჰკიდია ხალხის ინტერესები. დარწმუნებული ვარ, ეს არ მოხდება, მაგრამ კიდევ ვამბობ: **ვინც უნდა მოვიდეს სათავეში, თუ დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხს არ დააყენებს, პირველი მე გადავალ ოპოზიციაში.**

**— გასულ კვირას 2008 წლის აგვისტოს ომიდან 4 წელი შესრულდა. მმართველი გუნდი ტონს და რიტორიკას არ ცვლის. თქვენი აზრით, რამდენად გონივრულია ის პოლიტიკა, რომელსაც დღესდღეობით ჩვენი ხელისუფლება რუსეთის მიმართ ატარებს?**

— პირადად ჩემთვის ეს არის სასტიკად მიუღებელი და რატომ: თუ ამ რიტორიკით აგრძელებ მეზობლებთან საუბარს, გამოდის, რომ სულ გინდა, საომარ მდგომარეობაში გყავდეს ქვეყანა. არსებობს ურთიერთობის ათასნაირი ხერხი, დიპლომატია, მოლაპარაკებები და ა. შ. ხოლო როცა საუბარია სახელმწიფოთა შორის გარკვეულ კონტაქტებზე, იქ არ შეიძლება მთავარი ამოსავალი წერტილი იყოს მეგობრობა; ყველამ უნდა გაიგოს, რომ ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ქვეყნებს შორის იგება მათივე ინტერესებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ურთიერთობა არ არის თანასწორი და ორივე მხარისთვის მომგებიანი.

ახლა ამერიკის შეერთებული შტატები ავიღოთ, ხომ გვეუბნებიან, მეგობარია ჩვენიო, რეალურად რა მოგვიტანა ამ ე. წ. მეგობრობამ? — **ჯერ იყო, ნატოს გავიძახოდით და ხელი დაგვიქნიეს, შემდეგ ომი დაგვატყდა თავს. 300 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დაგვიტოვეს, ტერიტორიების ერთი მეხუთედი დავკარგეთ, რუსეთი გადავიმტერეთ და ბოლოს ხელში შეგვრჩა ავტორიტარული რეჟიმი, რომელსაც ცოცხალი თავით არ უნდა წასვლა. მე თქვენ გეკითხებით, მთელი ამ უბედურების შემდეგ, საღად მოაზროვნე ადამიანი შეიძლება კიდევ მომხრე იყოს ამ კურსის და, საერთოდ, ამ პოლიტიკის?!** რომელ მეგობრობაზეა საუბარი, შენ შენი საქმე აკეთო და მე ჭერი ჩამომენგრეს თავზე, ესაა მეგობრობა?!

**— ამგვარი რიტორიკით შეიძლება ამერიკასთან გავიფუჭოთ ურთიერთობა. ეს კიდევ უფრო საზიანო ხომ არ იქნება საქართველოსთვის?**

— ბოლო ოცი წლის განმავლობაში ამერიკისთვის ერთი ადგილის ლოკვამ დააქცია და დაღუპა საქართველო. ამიტომ, თუ გვინდა, ამ უბედურებას ერთხელ და სამუდამოდ თავი დავაღწიოთ, სიმართლე უნდა ითქვას. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. ეს პოლიტიკა შესაცვლელია, თუ არა და მაშინ შევეგუოთ ამ ძალადობას, არც გაყალბებულ არჩევნებზე ამოვიღოთ ხმა, რეჟიმსაც თავი დავუხაროთ... პრობლემა არ იქნება.

**— არჩევნების ბედი რამდენადაა დამოკიდებული ვაშინგტონის პოზიციაზე, როგორ ფიქრობთ?**

— არჩევნების ბედიც და საერთოდ ყველაფერი ამ ქვეყანაში დამოკიდებულია ქართველ ხალხზე. ჩვენ ვწყვეტთ, — მიშა იქნება შემდეგში, პეტრე თუ პავლე. მაღიზიანებს ხოლმე, როცა მეკითხებიან, ვის დაუჭერს მხარს ამერიკა? მე ვპასუხობ: **არავის საქმე არაა საზღვარგარეთ, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფალი, თუ მართლა გვინდა, რომ ვიღაც-ვიღაცებმა, უცხოელი იქნება თუ აქაური ნაძირალა, მუდმივად არ აფათურონ ხელი ჩვენს საქმეში.** ერთად დგომით ამის გაკეთება შესაძლებელია და დარწმუნებული ვარ, მომავალი არჩევნები ამის ნათელი მაგალითი იქნება.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ინტერვიუ

**„იმის მიუხედავად, რომ აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნები იყო ტოტალურად გაყალბებული და თავიდან ბოლომდე ერთი პოლიტიკური გუნდის, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს მორგებული, მე მაინც მჯერა, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. მეტსაც გეტყვით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს გარდაუვალია...“**

ტელ: 234-32-95



# პეტრე მამრაძე: ივანიშვილის «ოცნებას» 30 პროცენტზე მეტს არ დაუწერენ

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარლამენტის ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ წარმომადგენელი პეტრე მამრაძე.**

**— ბატონო პეტრე, 2008 წლის აგვისტოს ომის 4 წლისთავთან დაკავშირებით, ერთი კვირაა, სახელისუფლო არხებიდან პროპაგანდის ნიაღვარი მოედინება. ბრალდებები, ძირითადად, იმ პოლიტიკოსების მისამართით ისმის, რომლებიც თვლიან, რომ ომი ქართულმა მხარემ დაიწყო. რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ ხელისუფლების ეს პოლიტიკა და საერთოდ, როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორია მმართველი გუნდის დღევანდელი პოზიცია რუსეთთან მიმართებაში?**

— ხელისუფლების პროპაგანდა სხვა არაფერია, თუ არა ბინძური პოლიტიკური თაღლითობა, ვინაიდან მმართველი გუნდი საბოლოოდ გადაგვარდა ხაზინის ქურდების ავტორიტარულ რეჟიმად, რომელიც ემყარება მხოლოდ და მხოლოდ ტყუილს, ძალადობას და სიცრუეს. სხვა დასაყრდენი სააკაშვილს საქართველოში არ აქვს. რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს, მე ამ თემაზე წიგნი დავწერე — „აბსურდული ომი, რომელიც არ უნდა მომხდარიყო“ და იქ მომყავს უწმინდესის სიტყვები: **„ეს** (ომი იგულისხმება) **არ უნდა მომხდარიყო, შეიძლებოდა არ მომხდარიყო. ჩვენ გვქონდა იმის საშუალება, რომ აგვერიდებინა თავი ამ მოვლენებისათვის. გემი როცა მიდის ზღვაში, კაპიტანმა უნდა იცოდეს, სად არის კლდეები, რომ არ შეეხეთქოს. ჩვენ გვხვდებოდა და გვხვდება კედელი და თავით ვეხეთქებით ამ კედელს. ღმერთმა მოგვცეს ძალა და სიბრძნე, რომ ასეთი უაზრო ომები აღარ იყოს...“**

ზუსტად იგივე ბრძანეს ჩვენმა ამერიკელმა და ევროპელმა მეგობრებმაც, ანუ ვითარება როგორია, — რუსეთი დღესდღეობით რანაირიცაა, ეს არის მოცემულობა, რომელსაც ჩვენისთანა მცირე სახელმწიფო მოსახლეობით, ფართობითა და, შესაბამისად, ყველა თავისი საშუალებით ვერ შეცვლის. ის კი არა, წამყვანი ექსპერტები, მათ შორის ქართველებიც, მაგალითად, გეგეშიძე და სხვები, სამართლიანად აღნიშნავენ, რომ **დღევანდელ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც ოპერატიულად, სწრაფად შეცვლის რუსეთის მოქმედებას, ვინაიდან მას გააჩნია თერმობირთვული იარაღის სრული არსენალი და შეუძლია ნახევარი საათის განმავლობაში მოსპოს არა მარტო ამერიკა, არამედ გაანადგუროს მთელი მსოფლიო.** გარდა ამისა, რუსეთი არის ყველაზე დიდი ექსპორტიორი გაზისა და ნავთობის, ასევე იარაღის. რუსეთზეა დამოკიდებული, როგორც ამერიკელები აღნიშნავენ, ბირთვული იარაღისა და მასალების გავრცელება მსოფლიოში და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა. შესაბამისად, ეს არის რეალობა, რომელიც უნდა გაითვალისწინო, როგორც მოცემულობა, რომელსაც ვერ შეცვლი, და მთავრობა ვალდებულია, გააკეთოს ყველაფერი, რომ გადაარჩინოს სახელმწიფო სუვერენობის ხელყოფისგან, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისგან, მსხვერპლისგან და ა. შ.

**— საომარი მოქმედებების დაწყებამდე ხელისუფლება, ფაქტობრივად, ასი პროცენტით იყო დარწმუნებული, რომ კონფლიქტში რუსეთი, როგორც მხარე, არ ჩაებმებოდა. თქვენი აზრით, რის საფუძველზე შეიძლებოდა სააკაშვილსა და მის გარემოცვას ეს რწმენა გასჩენოდა?**

— ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, როცა მავნე საბავშვო ბაღი აყოლილია იმას, რაც თვითონ უნდა, რომ დაიჯეროს. გავიხსენოთ სააკაშვილის გამოსვლები ომამდე. 2007 წლის დეკემბერში, სტუდენტებთან შეხვედრაზე, მან განაცხადა: **„ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალებული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში ეს არის მართლაც კვირების ან თვეების საკითხი“.** იმავე 2007 წლის დეკემბერში მან ასევე განაცხადა: **„ამრიგად, საუბარია მართლა ძალიან მოკლე პერიოდზე. რუსებსაც წამოსცდათ რამდენიმეჯერ, რომ სამხრეთ ოსეთი მათ არ აინტერესებთ...“** ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ, რომელმაც დაიჯერა, რომ მოსკოვმა საბოლოოდ ხელი აიღო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებზე, განსაკუთრებით კი ცხინვალზე, ირწმუნა საკუთარი ძლიერება და ჩათვალა, რომ მას უკვე ხელს არავინ უშლიდა. **სააკაშვილმა ვერ დაინახა ქვეყნის წინაშე არსებული რეალური საფრთხეები და არა თუ ვერ შეძლო ამ საფრთხეების თავიდან აცილება, არამედ, როგორც დასავლელი პოლიტოლოგები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, ამ ხაფანგისა და ორმოს დიდი ნაწილი, რომელშიც ჩავარდა საქართველო, მან თვითონ ამოთხარა.**

**— ხშირად არის ხოლმე საუბარი, რომ საომარ მოქმედებებს ვაშინგტონმა აუნთო მწვანე შუქი. რამდენად სარწმუნოდ მიგაჩნიათ ეს მოსაზრება?**

— არანაირი რეალური საფუძველი, რომ შეერთებულ შტატებს დავდოთ ბრალი კონფლიქტის დაწყებაში, ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ ერთი რამ ზუსტად ვიცი, **2008 წელს სააკაშვილის გარემოცვაში მთლიანად დომინირებდნენ ადამიანები, რომლებიც ეუბნებოდნენ მას, რომ, რა თქმა უნდა, ომის დაწყება შეიძლება და რუსები განზე გაიწევიან.** მათ შორის ისეთი ხალხიც იყო, რომლებიც ცოტა ხნით ადრე, სანამ თანამდებობაზე დაინიშნებოდნენ, ყვიროდნენ პირდაპირ: გიჟია ეს სააკაშვილი, დაღუპავს საქართველოს, ომს დაიწყებს ან აფხაზეთში, ან სამაჩაბლოშიო. აი, სწორედ ამ გარემოცვამ დაარწმუნა იგი ომით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობაში, თორემ თვითონ სააკაშვილს შეიძლება ვერც გაებედა ცხინვალში შესვლა.

რაც შეეხება გამართლებას, არასრულწლოვანიც რომ ყოფილიყო ხელისუფლებაში, ასეთ უხეშ შეცდომას მაინც ვერავინ გაამართლებს, იმიტომ, რომ, როცა ძირძველ ქართულ ქალაქს, ცხინვალს, რომელიც, მოგეხსენებათ, ქრცხინვალადაა წოდებული ვახუშტი ბაგრატიონთან და სვეტიცხოვლის ყმების დასახლების სახელითაა ცნობილი უძველესი დროიდან, გრადებს დაუშენ, როცა ადგილს, სადაც ჩვენი სისხლი და ხორცი ცხოვრობს, მიწასთან გაასწორებ და ამ დროს ორი დღე იმის მეტი არაფერი გვესმის, ავიღეთ და ვაკონტროლებთო, რამე ახსნა ამას არ შეიძლება ჰქონდეს. არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: **ეს არის დანაშაული, პირველ რიგში, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რაზეც ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს...**

**— როცა საუბარია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე, ექსპერტთა და პოლიტიკოსთა მოსაზრებები, ძირითადად, ორ ნაწილად იყოფა. ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველომ განუხრელად უნდა გააგრძელოს პროდასავლური კურსი, ხოლო ზოგი ფიქრობს, რომ მოსკოვთან საერთო ენის გამონახვის გარეშე ჩვენ, უბრალოდ, პერსპექტივა არ გვაქვს. თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?**

— შეგახსენებთ, რომ ჩვენი ამერიკელი და ევროპელი პარტნიორები, წლებია, დღენიადაგ გვეუბნებიან, დაალაგეთ ურთიერთობა რუსეთთან, აღადგინეთ მასთან კეთილმეზობლობა, როგორც ადრე იყო და მხოლოდ ამის კვალობაზე შეიძლება ფიქრი თქვენს გაწევრიანებაზე დასავლურ სტრუქტურებში. ობამამ ეს, მოგეხსენებათ, განაცხადა საჯაროდ და მაშინვე პუბლიკაციების მთელი ნაკადი გაჩნდა დასავლეთში, რომ **არც ერთი ქვეყანა, რომელიც თავის პოლიტიკასა და პიარს აგებს რუსეთთან კონფრონტაციაზე, არც კი იფიქრებს ნატოსთან დაახლოებაზე ან, მით უმეტეს, ალიანსში შესვლაზე.** ანუ ვთქვათ ის, რაც სინამდვილეა. ამას ითხოვს საქართველოსგან მთელი დასავლეთი და ამიტომაც გვაფრთხილებდნენ ამდენი წლის განმავლობაში დაჟინებით: თქვენ გამო არა თუ ომს არ დავიწყებთ ამ უდიდეს სახელმწიფოსთან, არამედ ურთიერთობასაც არ გავიფუჭებთო.

თქვენ იცით, რომ **2008 წლის შემდეგ კრემლის ურთიერთობა ამერიკასთან და ევროპასთან მკვეთრად გაუმჯობესდა. მეტიც, 2010 წლის 8 აგვისტოს, ომიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, ერთად ატარებდნენ სამხედრო წვრთნებს რუსეთი, შეერთებული შტატები და კანადა, რაც არ მომხდარა ისტორიაში.** გაგახსენებთ იმავე ნიკოლა სარკოზის მიერ თავისუფლების მოედანზე გაკეთებულ განცხადებას: რუსეთი არის ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორიო... სხვათა შორის, ამის შემდეგ მან ერთ-ერთ პუბლიკაციაში ახსნა, რატომაა ეს ქვეყანა საფრანგეთისთვის მეგობარი და ხაზგასმით განაცხადა: ძალთა ბალანსი მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ევრაზიაში ისეთია, რომ, თუ რუსეთი და საფრანგეთი ერთად არ იქნებიან, სტაბილურობა არ იქნებაო. აი, ამ ყველაფრის ფონზე **იმაზე ლაპარაკი, რომ თუნდაც იოტისოდენა ნდობა გაუჩნდება დასავლეთის რომელიმე ლიდერს საქართველოს იმ მთავრობის მიმართ** (სააკაშვილზე საერთოდ საუბარიც აღარაა), **რომელიც მუდმივ კონფრონტაციაში იქნება მოსკოვთან, არის აბსურდი და ისეთივე განუხორციელებადი პოლიტიკა, როგორც ამათი ოცნება, ქვეყნის ნატოში შეყვანასთან დაკავშირებით...**

**— ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება?**

— პრობლემა მარტო ხელისუფლებაში არ არის, აქ ბევრად უფრო მასშტაბურად დგას საკითხი. ლაპარაკია იმაზე, რომ **მმართველ გუნდთან ერთად ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს პოლიტიკა და მიდგომა მთლიანად რიგ საკითხებთან, მათ შორის, რა თქმა უნდა, რუსეთთან მიმართებაშიც. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად შესაძლებელია ეს ყველაფერი, ჩემი სუბიექტური აზრია, რომ სანამ სააკაშვილი იქნება ქვეყნის სათავეში და სანამ მისი შეხედულებებით, მისი პოლიტიკური კურსით იმართება ქვეყანა, ამის შანსი, გნებავთ, თეორიული და მით უმეტეს პრაქტიკული ნულია. ფაქტობრივად, გამორიცხულია, ვინაიდან ამ ხელისუფლებას უკვე არც რესურსი და, რაც მთავარია, არც ნება არ გააჩნია საამისოდ.**

**— დღევანდელ ვითარებაში ომის განახლების საფრთხე თუ არსებობს?**

— მცირე, მაგრამ, სამწუხაროდ, საფრთხე მაინც არსებობს. ახლა რას ვგულისხმობ, თავის მხრივ, რუსეთის ხელისუფლებას დღესდღეობით ნამდვილად არ სჭირდება საომარი მოქმედებები, ვინაიდან 2008 წლის აგვისტოში მან, ფაქტობრივად, დაასრულა საქართველოსთან შეიარაღებული კონფლიქტი, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ მაინც ვერ გავთვლით იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. მაგალითად, ვთქვათ, **სააკაშვილმა რომ დაინახოს, აგებს ყველაფერს და მის რეჟიმს მხოლოდ დღეები აქვს დარჩენილი, რა, არ შეიძლება, გასცეს ბრძანება და დაარტყას კონფლიქტურ რეგიონებს?! ჩემი აზრით, ასეთი რამ ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს,** მაგრამ, კიდევ ვიმეორებ, საქართველოს ამჟამინდელი რეჟიმის თავკაცების, სააკაშვილისა და მისი ჯგუფის უგუნური, ავანტიურისტული მოქმედების გარეშე არაფერი მოხდება...

**— დასასრულს, მოახლოებულ არჩევნებზეც გკითხავთ, საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ამ გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. თქვენ რას ფიქრობთ?**

— იმის მიუხედავად, რომ აქამდე ჩატარებული ყველა არჩევნები იყო ტოტალურად გაყალბებული და თავიდან ბოლომდე ერთი პოლიტიკური გუნდის, ამ შემთხვევაში, „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს მორგებული, მე მაინც მჯერა, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია. მეტსაც გეტყვით, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეს გარდაუვალია...

**— დავაკონკრეტოთ, არჩევნების გზით მიგაჩნიათ შესაძლებლად?**

— არა, პროტესტების გარეშე ეს ვერ მოხერხდება და გეტყვით, რატომ, — **კატეგორიულად დგას ეს ჯგუფი, ავტორიტარულ-კლეპტოკრატული რეჟიმის თავკაცები იმ პოზიციაზე, რომ ივანიშვილის „ოცნებას“ 30 პროცენტზე მეტს არ დაუწერენ.** ბოლოს ასეთი ინფორმაცია სანდო წყაროსგან მივიღე სამი კვირის წინათ; შემხვდა ერთი ადამიანი არაფორმალურ ვითარებაში და მითხრა: გუშინ მომიწია სუფრაზე ყოფნა, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ და არხეინად არიან, 30 პროცენტზე მეტს არ მივცემთო. ახლა რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლებამ უკვე აამოქმედა გაყალბების მთელი რიგი მექანიზმები და ამასთან, მას უკვე მობილიზებული აქვს ადმინისტრაციული რესურსი; ერთი სიტყვით, **ეს ყმაწვილები ამჟამად იბრძვიან საკუთარი სიცოცხლის შენარჩუნებისთვის, ვინაიდან კარგად იციან, რომ, თუ ძალაუფლება ვერ შეინარჩუნეს, ნებისმიერი მათგან დამოუკიდებელი სასამართლო დაასაბუთებს მათ დანაშაულებებს და უვადო პატიმრობა არ ასცდებათ. ამიტომაა, რომ ახლა ესენი ფსონზე დებენ ყველაფერს, არამარტო შავ ფულს, ე. წ. ობშიაკს, არამედ, რომ დასჭირდეთ, სახლიდანაც გამოიტანენ...**

**— თქვენ თქვით, რომ პროტესტის გარეშე არსებული რეჟიმის შეცვლა შეუძლებელია. თუკი მოსახლეობა ქუჩაში გამოვა, რამდენად დიდია ალბათობა, რომ ხელისუფლებამ ძალა გამოიყენოს?**

— მეტსაც გეტყვით, მაქვს ინფორმაცია, რომ სრულ მზადყოფნაში ჰყავთ სპეცდანიშნულების რაზმები, ცალკე თავდაცვის სამინისტრო და ცალკე პოლიცია, თუმცა ბოლომდე მათაც არ ენდობიან, ამიტომ ძირითადი აქცენტი კეთდება ზონდერბრიგადებზე. ეს ზონდერრაზმები — ბასიშვილი, რურუა და სხვები, ყველაფერზე არიან წამსვლელები... ესაა ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი, მაგრამ მათ არ ესმით ერთი რამ, ის, რაც ტალეირანმა უთხრა ნაპოლეონს: ხიშტი ძალიან კარგი და ეფექტიანი რამაა, მაგრამ მასზე დიდხანს ჯდომა შეუძლებელიაო. ამით რის თქმა მინდა, როგორც კი მეტ-ნაკლებად მასობრივად სისხლი დაიღვრება ქვეყანაში, რეჟიმის რღვევა გარდუვალია და, სხვათა შორის, ეს რღვევა უკვე დაწყებულია. **მე ზუსტად ვიცი, რომ ძალოვან სტრუქტურებში, მინისტრის მოადგილეების დონეზე, არაერთი ოჯახი მუდმივად უკავშირდება თავის ნათესავებს, რომლებიც არიან „ოცნებაში“ და ეუბნებიან, რამე რომ იყოს, ჩემს ძმას, ჩემს შვილს, ქმარს ხომ არავინ ერჩის? ანუ ამ გარანტიებს უკვე ეძებენ და ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება სერიოზულადაა შეშინებული.**

ბუნებრივიცაა, იმიტომ, რომ ელემენტარული პოსტულატია, — როგორი რეჟიმიც უნდა იყოს, როგორც კი მოსახლეობის უმრავლესობა აქტიურად ადგება ამ რეჟიმის წინააღმდეგ, მისი დღეები დათვლილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას გარედან დაიცავენ, თუმცა ასეთი დამცველი მიხეილ სააკაშვილს დღეს არავინ ჰყავს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„არანაირი დაპირისპირება ხელისუფლებასა და საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიას შორის არ არსებობს. პატრიარქი, მეუფე კალისტრატე და წმინდა სინოდის მაღალი სასულიერო იერარქები ხელაპყრობილები ლოცავენ მიშას, ბოკერიას, ახალაიებს“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# დიტო ჩუბინიძე: ჩვენ, ოთარ კობერიძე კი არა, მიხეილ სააკაშვილი გვებრძვის

**თბილისის სააპელაციო სასამართლომ „ალია ჰოლდინგს“ ოთარ კობერიძის სასარგებლოდ 50 ათასი ლარის გადახდა დააკისრა. საქმე ეხება ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის პუბლიკაციებს, რომლებიც შარშან, ზაფხულში, დაიბეჭდა და ცნობილ მსახიობს პედოფილიაში ამხელდა. „ალია ჰოლდინგის“ ჟურნალისტები მომხდარს თავისუფალი პრესის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ პროცესად აფასებენ და აცხადებენ, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში მედიასაშუალება არსებობას შეწყვეტს. „საქართველო და მსოფლიოს“ „ალია ჰოლდინგის“ ჟურნალისტი დიტო ჩუბინიძე ესაუბრა.**



**— სასამართლომ „ალია ჰოლდინგი“ 50 ათასი ლარით დააჯარიმა. როგორც განაცხადეთ, თანხის გადახდის შემთხვევაში, მედიასაშუალებას დახურვა ემუქრება. რას აპირებთ?**

— საინტერესოა, რომ ეს ყველაფერი მოჰყვა ელიზბარ ჯაველიძესთან ინტერვიუს, რომელიც გასული წლის ზაფხულში, ოთარ კობერიძის ინტერვიუს საპასუხოდ, გაზეთ „ქრონიკაში“ დაიბეჭდა. ოთარ კობერიძე, გაზეთ „ასავალ-დასავალში“ სიტყვა-სიტყვით ამბობდა, რომ ელიზბარ ჯაველიძე, ნინო ბურჯანაძე, სოსო ჯაჭვლიანი, რეზო ესაძე, გია ბურჯანაძე და ნონა გაფრინდაშვილი სახრჩობელაზე არიან დასასჯელებიო. ბატონმა ელიზბარმა ოთარ კობერიძეს პასუხი გასცა ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში და 35 წლის წინათ ჩადენილი ცოდვებიც გაუხსენა, რასაც შემდეგ მოჰყვა ხილული თუ უხილავი რესპონდენტების გამოხმაურება. ზარები არ წყდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ამის შემდეგ დაიბეჭდა ორი ინტერვიუ ინკოგნიტო რესპონდენტებთან. ხოლო, როცა ოთარ კობერიძემ გვიჩივლა, ამას რა თქმა უნდა, უკვე ჩვენს გაზეთშიც მოჰყვა პუბლიკაციები, მაგრამ ყველაფერი დაიწყო ინტერვიუებით, რომლებშიც ჩემი კონკრეტული რესპონდენტები სდებდნენ კობერიძეს ბრალს და როგორ შეიძლება, გაზეთს მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრო იმის გამო, რომ მან რესპონდენტების მოსაზრებები გამოაქვეყნა?

**მე არ მეგულება დღეს საქართველოში არც ერთი თავისუფალი გაზეთი, რომელიც მსგავს ფინანსურ დარტყმას გაუძლებს. არ ვგულისხმობ გაზეთებს, რომლებიც ხელისუფლების სხვადასხვა უხერხულ ადგილზე არიან ჩამოკიდებულები და სასათბურე პირობებში იმყოფებიან. საქმე უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება, მაგრამ მიშას სასამართლოში გამარჯვების იმედი არ გვაქვს. ამიტომ ბრძოლას გავაგრძელებთ და პროტესტის აბსოლუტურად ყველა კანონიერ ფორმას მივმართავთ. ამ ამბავს მთელ მსოფლიოს გავაგებინებთ.**

მე და ჩემმა კოლეგებმა სკრუპულოზურად შევისწავლეთ აღნიშნული საქმე. ყველაფერი ვიცით, სად მიჰყავდათ ეს ბავშვები, ქუჩაც ვიცით, სახლიც, მეზობლების ნალაპარაკევიც მოვისმინეთ. რაკი ასე უნდათ, ჩვენ ამ საქმეს ბოლომდე გავქევავთ, ვინაიდან უკანდასახევი გზა არ დაგვიტოვეს.

**— საჭიროების შემთხვევაში რესპონდენტები გაამჟღავნებენ თუ არა ვინაობას?**

— ეს ადამიანები იმიტომ არიან ანონიმურები, რომ მათ არ სურდათ ვინაობის გამხელა. მინდა გითხრათ, რომ **ჩემთვის უკვე ცნობილია, იმ გამომძიებლის ვინაობა, რომელმაც კობერიძე და მისი ამფსონები ფაქტზე დაიჭირა. უახლოეს დღეებში შევხვდები ამ ადამიანს და საზოგადოება ყველაფერს გაიგებს და ეს საქმე ლოგიკურ დასასრულამდე მივა.**

მთელი უბედურება ის არის, რომ მარტო კობერიძეზე არ არის საუბარი. მე შეგნებულად არ ვასახელებ, თორემ, ჩვენდა სამწუხაროდ, **სხვა ცნობილი ადამიანები, სხვა მსახიობებიც არიან ამ გარყვნილ ქმედებებში გარეულები.**

უამრავი მასალა დამიწერია, ზოგი სადავოც გამხდარა, მაგრამ ხატთან დავიფიცებ, რომ ჯერ ჩემთან არ დაურეკავს არავის და არ უთქვამს, ამას რას კადრულობ, რატომ აბრალებ, რას წერ ოთარ კობერიძეზეო. პირიქით, ყველა ამბობს, რომ **ეს არის თბილისში, თავის დროზე ძალიან გახმაურებული და ცნობილი ბინძური ისტორია. ხალხი შოკირებული იყო. როგორც ერთ-ერთმა ქალბატონმა მითხრა, აქ მარტო გოგონების კი არა, ბიჭების გარყვნაზეც კი მიმდინარეობდა საუბარი.**

**— თუმცა კობერიძის ბრალეულობა თავის დროზე არ დადასტურდა. აქვს თუ არა „ალია ჰოლდინგს“ მტკიცებულებები?**

— თავის დროზე საქმე იყო აღძრული, კოტე ანთაძე გაასამართლეს და 5 წელი მიუსაჯეს, მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ედუარდ შევარდნაძემ ეს საქმე ჩაფარცხა, რადგან, როგორც ჩემი რესპონდენტები მეუბნებიან, შევარდნაძემ ერთ-ერთ დახურულ თათბირზე უთქვამს, კობერიძეს ისეთი როლი აქვს ნათამაშები „ბაში-აჩუკში“, რომ ქართველებს მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით თავი მოგვეჭრებაო. ამიტომ იყო სასამართლო პროცესი დახურული. თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა ეს საქმე, მოსამართლე გახლდათ შალვა მახარაძე. როგორც რესპონდენტები მეუბნებიან, ცხონებული ლია ელიავა გადაჰყვა ამ საქმეს. მათი მტკიცებით, მან მოიტანა სასამართლოზე ცნობა იმის შესახებ, რომ მისი მეუღლე იმპოტენტი იყო, მაგრამ ეს რა შუაშია, არ ვიცი, ბავშვის გარყვნა ნებისმიერ გარყვნილს შეუძლია.

**— მაშინ რატომ გამოიტანა სასამართლომ „ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ გამამტყუნებელი განაჩენი?**

**— ეს არის სააკაშვილის სასამართლოს მიერ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა მოკლას „ალია ჰოლდინგი“, არ მისცეს გაზეთს თავისუფლად მუშაობის საშუალება და, რადგან დღეს ყველაფერს აყადაღებენ, ეს ხერხი ჩვენს გასაჩერებლად მოიფიქრეს.** საქალაქო სასამართლოში ჩვენ პროცესი მოვიგეთ. ვინაიდან გაზეთი რესპონდენტთა მონათხრობს ეყრდნობოდა, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა კობერიძის საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ შეატრიალა ყველაფერი და აბსოლუტურად თავდაყირა დააყენა საქმე. კობერიძეს გაასაჩივრებინეს ეს საქმე, რადგან ის არის „მიშას ბაში-აჩუკი“.

**— თქვენ ეს ფაქტი პოლიტიკურ დევნად შეაფასეთ, მაგრამ ოთარ კობერიძე ხომ კერძო პირია და არა ხელისუფლების წარმომადგენელი?**

— ოთარ კობერიძე იყო „ნაციონალური მოძრაობის“ სახე და მიხეილ სააკაშვილის ფანკლუბის წევრი. „ნაციონალური მოძრაობის“ სარეკლამო რგოლებში აქვს მონაწილეობა მიღებული და წინა არჩევნებზე დადიოდა, ხალხს კოცნიდა და ეუბნებოდა, მე ვარ თქვენი ბაში-აჩუკი და მიშას მიეცით ხმაო. კაცი საზოგადოებრივ მაუწყებლის ბორდის წევრიც იყო. ის არის ცნობილი „მიშარასტი“ და ამ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო. ჩვენ, ოთარ კობერიძე კი არა, მიხეილ სააკაშვილი გვებრძვის.

**— როგორც თქვენ აღნიშნეთ, თუ მთელი ქალაქისთვის ცნობილი იყო ეს ფაქტი, რამ გამოიწვია ახლა კობერიძის გაღიზიანება და რატომ გიჩივლათ?**

— ვფიქრობ, ამან კობერიძის გაღიზიანება კი არ გამოიწვია, **ეს არის თავისუფალი პრესის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პროცესი. არ მგონია, ეს ყველაფერი ოთარ კობერიძის მიერ იყოს ინიცირებული. გამოდის, რომ, ხელისუფლებას თუ უნდა, ნებისმიერ მასალაზე შეუძლია ააგოროს ამბავი და დიდი ჯარიმა დააკისროს გამოცემას.**

**— „ალია ჰოლდინგის“ წინააღმდეგ სასამართლოში კიდევ რამდენიმე სარჩელია შესული. რატომ მომრავლდა „ალიას“ წინააღმდეგ საჩივრები?**

— ამ შემთხვევებშიც, რასაც გვედავებიან, ისეთივე ცილისწამება და ხელისუფლების მიერ დაკვეთილი საქმეებია, რაც ხდება ოთარ კობერიძესთან დაკავშირებით.

**— გაქურდეს სტუდია „მონიტორი“, დააყადაღეს ტელეკომპანია „მაესტროს“ სატელიტური ანტენები, „მეცხრე არხის“ ჟურნალისტს აშანტაჟებდნენ, რამდენად სოლიდარულია დღეს მედია?**

— მთელი უბედურება ისაა, რომ, როგორც ყველა სფეროში, ხელისუფლებამ ჟურნალისტებს შორისაც მოახერხა წყლის ამღვრევა და დღეს მასმედია ორად მაინც არის გაყოფილი. რა თქმა უნდა, **სინდისიანი ჟურნალისტები ჩვენ მიმართ სოლიდარულები არიან. მე ბევრი მირეკავს და მამხნევებს. ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერ ჟურნალისტს, მთელი „ალია ჰოლდინგის“ სახელით, ღრმეს მადლობას მოვახსენებ.**

**— ორიოდე სიტყვით საქართველოში ყველაზე აქტუალურ საკითხს, არჩევნების თემას მინდა შევეხოთ. თქვენ, როგორც ჟურნალისტს, პროგნოზი როგორია — რამდენად შეცვლის პოლიტიკურ გარემოს მიმავალი საპარლამენტო არჩევნები და რამდენად „ცხელი“ შემოდგომა გველოდება ამჯერად?**

— გასულ წელს ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას თავიდან ძალიან აღფრთოვანებული შევხვდი. რა თქმა უნდა, მისი საწინააღმდეგო არც ახლა მაქვს არაფერი, რადგან **დარწმუნებული ვარ, თუ ის ხელისუფლებაში მოვა, მინიმუმ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ბრძოლის ამ მეთოდებით, ამ სტრატეგიითა და ექსპრესიით, ეს არჩევნები ტოტალურად გაყალბდება.** ისე გაყალბდება, როგორც ჯერ არ გაყალბებულა. ხელისუფლების შიდა წრეებიდან ჩემთვის ცნობილია, რომ ნაციონალები პირდაპირ საუბრობენ ერთმანეთში, ბიძინა ივანიშვილს 15% დაუწერონ თუ 20% და ამაზე ხოცავენ ერთმანეთს.

**— მაგრამ დათანხმდება ბიძინა ივანიშვილი მეორე ადგილს, როგორც ზოგიერთები ამტკიცებენ? კოალიციის ლიდერების განცხადებებს თუ დავუჯერებთ, პირიქით, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში, ქუჩაში გამოვლენ.**

**— სანამ არჩევნები გაყალბდება, მანამდე უნდა გამოვიდნენ ქუჩაში.** არჩევნები თუ გაყალბდა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ჩვეულებრივი სტანდარტული განცხადება გააკეთა, რომ მართალია იყო მცირედი დარღვევები, მაგრამ არჩევნები ჩატარდა ყველა წინა არჩევნებთან შედარებით დემოკრატიულადო, ამის მერე გინდა ქუჩაში გამოვიდნენ და როგორც უნდა მოიქცნენ, არაფერი შეიცვლება. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, **საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ცნობილი სტრატეგია და ტაქტიკა უნდა აირჩიოს კოალიციამ: ქუჩას პლუს მოლაპარაკების მაგიდა, ანუ ხელისუფლებასთან უნდა გამართოს დიალოგი, მაგრამ ქუჩაში მასობრივი საპროტესტო აქციებითა და ქუჩების გადაკეტვით უნდა განხორციელდეს ხელისუფლებაზე ზეწოლა.** მხოლოდ ასეთ შემთხვევაში თუ ექნება ბრძოლას აზრი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი აქვს. არჩევნების შემდეგ გამოჩნდება, რომ დავით გარეჯი ჩვენ აღარ გვეკუთვნის, გაზსადენი გაყიდულია, თურქებთან, სომხებთან თუ რუსებთან კი — სიტუაცია მოგვარებული.

**— ზვიად გამსახურდია ახსენეთ. თუმცა „ქართულ ოცნებაში“ ყოფილი „ზვიადისტები“ და მოწინააღმდეგეები, ანუ რადიკალურად განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიები ერთად არიან, რომლებიც დღესაც არ ერიდებიან ზვიად გამსახურდიას კრიტიკას. დაიშლება თუ არა კოალიცია არჩევნების შემდეგ?**

— გამსახურდიას თემა მარად ძველი და ახალია. ვინც ზვიადს დაუპირისპირდა, არ მინდა სააკაშვილის ტერმინი ვახსენო, მაგრამ ფაქტია, ყველა „ჩაირეცხა“ და მომავალშიც ჩაირეცხება.

**— თუმცა ისინი დღესაც არიან პოლიტიკაში...**

— ბაჩუკი ქარდავასა და გურამ ჩახვაძის პოლიტიკაში ყოფნას ყოფნა ჰქვია? **განხვავებულთა ერთობა — ეს არის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ტაქტიკა.** ღმერთმა ქნას, შედეგი მოიტანოს და კოალიციამ გაიმარჯვოს, მაგრამ მე იმაშიც არ მეპარება ეჭვი, რომ, **როგორც კი ეს ძალა პარლამენტში შევა, პირველი, ვინც კოალიციას დატოვებს, რესპუბლიკური პარტია იქნება, ვინაიდან მათ აქვთ საქართველოში განხვავებული ნიშა, განცალკევებულად უყვართ ყოფნა და ამის შემდეგ კოალიციაც დაიშლება.** მგონი, ამის შესახებ თავად ბატონმა ბიძინამაც კარგად იცის. თავადაც უთქვამს, რომ კოალიცია არ არის „მოქკავშირ-ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსი სიმბიოზი, მუტანტური გაერთიანება, რომელმაც, როგორც დედაპარტიამ, მუდმივად უნდა იარსებოს.

**— მაშინ რატომ აირჩია ივანიშვილმა პოლიტიკურ პარტნიორებად რესპუბლიკელები?**

— ალბათ, წმინდა პრაგმატული მომენტიდან გამომდინარე, ვინაიდან საზოგადოებაში მიჩნეულია, რომ რესპუბლიკელები ამერიკელების ფავორიტები არიან და მას რომ აშშ-თან კარტ-ბლანში ჰქონოდა, შეარჩია რესპუბლიკური პარტია. ამავე ნიშნით შეარჩია ირაკლი ალასანია... თუმცა ვერ გეტყვით, რამდენად მომგებიანი იქნება და გაამართლებს.

**— კიდევ ერთი საკითხი, დღეს ბევრს წერენ ჟურნალისტები საპატრიარქოსა და ხელისუფლების დაპირისპირებაზე... თქვენს გაზეთშიც პერიოდულად იბეჭდება სასულიერო პირებთან ინტერვიუები.**

**— არანაირი დაპირისპირება ხელისუფლებასა და საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიას შორის არ არსებობს. პატრიარქი, მეუფე კალისტრატე და წმინდა სინოდის მაღალი სასულიერო იერარქები ხელაპყრობილები ლოცავენ მიშას, ბოკერიას, ახალაიებს** და ეს, რა თქმა უნდა, მათი უფლებაა, სასულიერო პირმა ყველა უნდა დალოცოს, მაგრამ ასე დალოცვილი ახალაიები, ბოკერია, შაშკინი, რურუა „იბრძვიან“ საქართველოს „გასაძლიერებლად“, ეკლესიის ასაღორძინებლად და ჩვენი ერის სულიერი გაჯანსაღებისთვის და შესაბამისად, ასე გაჯანსაღებულები და გაძლიერებულები ჩვენს მაღალ მეუფეებს ჯიპებსა და სხვა ძვირფას საჩუქრებს ურიგებენ.

**ესაუბრა შორენა ციქარაშვილი**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ მე არა მგონია, არჩევნების გზით საქართველოში რაიმე შეიცვალოს, ვინაიდან ობიექტური არჩევნები დემოკრატიულ ქვეყნებში ტარდება. საქართველოში კი ყველაფერია, გარდა დემოკრატიისა. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, თუ ვისჯებით და ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ესეც ჩვენი სულიერი მანკიერების ბრალია. გარეგნულად ვითომ აღორძინების გზაზე ვდგავართ, მაგრამ ყველაფერი ერის სულიერი დაკნინების ხარჯზე ხდება.“



მამა პეტრე:

# ცრუ ლიბერალიზმი დიქტატურაზე უარესია!

**როგორი უნდა იყოს ჩვენს პოლიტიზებულ საზოგადოებაში ეკლესიის როლი, რამ განაპირობა ერის სულიერი კრიზისი და რატომ არის თანამედროვე ლიბერალიზმი დიქტატურაზე მანკიერი, „საქართველო და მსოფლიოს“ წმინდა სამების ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი პეტრე (კვარაცხელია) ესაუბრება.**

**— პატრიარქმა მრევლს ლოცვის გაძლიერება სთხოვა, რათა წინასაარჩევნო პერიოდმა მშვიდობიანად ჩაიაროს. რას გულისხმობდა პატრიარქი, რამდენად სერიოზულია დღეს ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები?**

— თუ ისტორიას გადავხედავთ, ნებისმიერ ეპოქაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაცდელი დგებოდა, ძლიერდებოდა ერი და ეკლესია. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების დროს ეკლესია ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რამეთუ ქართველი ერისთვის მართლმადიდებლური სარწმუნოება არ არის მხოლოდ რელიგია, არამედ ეს არის სამშობლო, ქართველობა და, პირველ რიგში, ეს არის მისი იდეოლოგია. ვინაიდან ქართველმა მეფეებმა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან ის ქვეყნის იდეოლოგიად გამოაცხადეს და ერისთვის, ეკლესიისთვის და ქვეყნისთვის თავდადება მართლმადიდებლობისთვის თავდადებას გულისხმობდა.

როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებს, ქართველობა ეს იგივე ქრისტიანობაა, ხოლო ქრისტიანობა იგივე ქართველობაა და დღეს ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია. **როდესაც ჩვენს ქვეყანას დიდი განსაცდელი დაატყდებოდა ხოლმე თავს, ყველა გონიერი ადამიანი, პირველ რიგში, პრობლემას სწორედ უზნეობასა და ღვთისგან განდგომაში ხედავდა და ამიტომაც ერი სათანადოდ განისჯებოდა.** სწორედ ამიტომ მოუწოდა უწმინდესმა ლოცვისკენ, თუმცა არამხოლოდ დღეს, არამედ, რაც თავი მახსოვს, **პატრიარქი ყოველთვის მოგვიწოდებს, გავაძლიეროთ ლოცვა და ჩვენც გავძლიერდეთ, რათა უფალმა განსაცდელისგან დაგვიცვას.**

ამას გარდა, ახლოვდება არჩევნები, ახლოვდება მარიამობის დღესასწაული, მოგეხსენებათ, საქართველო სწორედ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრია, ამიტომ განსაკუთრებით გვმართებს ამ პერიოდში საკუთარ თავზე დაფიქრება და ლოცვისა და სულიერების გაძლიერება.

**— საზოგადოების ნაწილი სასულიერო პირების პოლიტიკაში ჩარევის კატეგორიული წინააღმდეგია. ნაწილი კი პირიქით ფიქრობს, რომ სასულიერო პირმა ხმა უნდა აღიმაღლოს უკანონობის წინააღმდეგ. როგორ უნდა მოიქცეს სასულიერო პირი — უნდა გაჩუმდეს თუ ამხილოს? მით უფრო, როცა დღევანდელ საქართველოში პოლიტიკა ჩვენს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე, სულიერებაზეც აისახება?**

— წმინდა მამები გვასწავლიდნენ, რომ მანკიერი მხარეების მხილება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ. თუმცა, რატომღაც ჩვენ ყოველთვის სხვისი გამოსწორების სურვილი უფრო გვაქვს, ვიდრე საკუთარი თავის. რაც შეეხება უშუალოდ, სასულიერო პირების პოლიტიკაში ჩარევას, **ეკლესია ცოცხალი ორგანიზმია და ვფიქრობ, სასულიერო პირი საკუთარ აზრს თუ გამოთქვამს, ეს არ არის პოლიტიკაში უხეშად ჩარევა.** ჩვენ ვიცით, რომ სინოდის ბოლო სხდომაზე, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ყველა სასულიერო პირს მიეცა გაფრთხილება, არ ჩაერიონ პოლიტიკაში და არ მიიღონ მონაწილეობა საპროტესტო აქციებში. თუმცა, ვფიქრობ, ეს ეხება არა მხოლოდ ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების მომხრეებსაც. **თუ იმ სასულიერო პირებისთვის აიკრძალა მიტინგებზე გასვლა, ვინც ოპოზიციას უჭერს მხარს, ვფიქრობ, ხელისუფლების მომხრე სასულიერო პირებსაც უნდა შეეხოთ აღნიშნული აკრძალვა.** წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე ტენდენციურობასთან გვექნება საქმე და მრევლი დაბრკოლდება. ჩვენ უფრო მეტი მოგვეთხოვება, ვიდრე რომელიმე პოლიტიკურ დაჯგუფებას.

**სასულიერო პირებს, პირველ რიგში, გვმართებს, ლოცვა გავაძლიეროთ. ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ, ვილოცოთ, ვადიდოთ უფალი. ჩვენ „არავისტები“ არ უნდა ვიყოთ და, თუ ჩვენ გარშემო პრობლემებს ვხედავთ, სათქმელი, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა ითქვას, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ სიმართლე არ უნდა ითქვას ზიზღით, სიძულვილითა და ანგარებით.**

მე პირადად ძალიან არ მომწონს, როდესაც სასულიერო პირები პოლიტიკაში ერევიან. დაუშვებელია, როგორც სასულიერო პირთა მხრიდან უხეში, აქტიური ჩარევა პოლიტიკაში, ასევე არასწორია სახელმწიფოს მხრიდან სასულიერო პირთა გამოყენება. ჩვენთვის პოლიტიკური პარტია უნდა იყოს ეკლესია. ჩემთვის ერთადერთი პარტია არსებობს — მამული, ენა, სარწმუნოება.

**— თუმცა სულ ახლახან პატრიარქის მიერ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის, რამაზ ნიკოლაიშვილის, სპეციალური სიგელით დაჯილდოებაც საზოგადოების ნაწილმა სწორედ ხელისუფლების მხრიდან, პატრიარქზე ზეწოლად და ეკლესიის საქმეებში ჩარევად აღიქვა.**

**«უფალი გვეუბნება, არ შევქმნათ კერპები. ყოველთვის უნდა შევინარჩუნოთ ჯანსაღი კრიტიკის უნარი. უნდა გვახსოვდეს, რომ ხორცშესხმული სრულყოფილება არ არსებობს, თუნდაც ის ჩვენი ფავორიტი იყოს»**

— არავინ იცის, რა მოხდა, მაგრამ ასე ადვილად პატრიარქზე ზეწოლა ვერ განხორციელდებოდა. პატრიარქზე ზეწოლა ასე ადვილი არ არის. **მე ვენდობი ჩემს პატრიარქს, მჯერა მისი. პატრიარქი უფლის ნების აღმსრულებელია. რაც შეეხება მითქმა-მოთქმას, ეს ყველაფერი მტრის წისქვილზეასხამს წყალს და სჯობს, თავი შევიკავოთ ასეთი ხმების აყოლისგან, არ წამოვეგოთ პროვოკაციაზე.**

გულწრფელი ვიქნები და ვიტყვი, რომ მე არა მგონია, არჩევნების გზით საქართველოში რაიმე შეიცვალოს, ვინაიდან ობიექტური არჩევნები დემოკრატიულ ქვეყნებში ტარდება, საქართველოში კი ყველაფერია, გარდა დემოკრატიისა. ეს ჩემი სუბიექტური აზრია და, თუ ვისჯებით და ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ესეც ჩვენი სულიერი მანკიერების ბრალია. გარეგნულად ვითომ აღორძინების გზაზე ვდგავართ, მაგრამ ყველაფერი ერის სულიერი დაკნინების ხარჯზე ხდება.

**— ანუ შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საზოგადოებაში სულიერი კრიზისია?**

— დღეს საზოგადოებაში რომ სულიერი კრიზისია, ეს, ვფიქრობ, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზეც აისახება.

**— რამ გამოიწვია სულიერი კრიზისი ერში?**

— ეს იმან გამოიწვია, რომ არც ერთი არ ვდგავართ მოწოდების სიმაღლეზე. მაგალითად, მე, როგორც სასულიერო პირს, თქვენზე მეტი მომეთხოვება, არა მხოლოდ ქადაგებით, არამედ ცხოვრების წესით. რა თქმა უნდა, გვყავს ძალიან კარგი სასულიერო პირები, ღმერთმა არ ქნას, რომ არ გვყავდეს და, პირველ რიგში, ჩვენს უწმინდესს დავასახელებ. ის ყოველთვის ავტორიტეტი და თავმდაბლობისა და სულიერების მაგალითია ჩემთვის.

მე არ მაშინებს განსაცდელი. **ქართველი ერი განსაკუთრებით მძიმე განსაცდელის ჟამსაც ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. გადამწყვეტი ბრძოლა წინ გველის, თუმცა, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, არ ვგულისხმობ არჩევნებს. დიდგორის ომი ჯერ არ დამთავრებულა...**

**— თქვენ იმ სასულიერო პირებს მიეკუთვნებით, რომლებიც რუის-ურბნისის ახალი საეკლესიო კრების ჩატარების მომხრენი არიან. რატომ იკავებს საპატრიარქო თავს კრების მოწვევისგან?**

— როდესაც საეკლესიო კრება ჩატარდა, მაშინ, მე-12 საუკუნეში, ერი, სულიერი თვალსაზრისით, მზად იყო, კრება გამართულიყო. დღეს სხვა ვითარებაა, **ვფიქრობ, ჯერ კიდევ არ ვართ მზად კრების მოსაწვევად, რომლის საჭიროებაც, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ ყველა სასულიერო პირმა ჯერ საკუთარ თავს რომ ჩაუტაროს საეკლესიო კრება, ის, როგორც მინიმუმ, გამოსწორების გზას დაადგება.**

**— საერო პირთა მხრიდან ზოგჯერ მოისმენთ სასულიერო პირების, თუნდაც პატრიარქის, კრიტიკას. მამაო, თუნდაც სამართლიანი იყოს, ცოდვაა სასულიერო პირის კრიტიკა? უბრალო მოკვდავს არ აქვს უფლება, ამხილოს ეკლესია?**

— დღეს ვინც პატრიარქს და ეკლესიას განიკითხავს, არა მგონია, მწუხარებით და ტკივილით განიკითხავდეს. პირიქით, მას ეს უხარია და ხმამაღლა აცხადებს ამის შესახებ. უნდა მივიდეთ პირადად იმ ადამიანთან, რომელიც ჩვენ გვაბრკოლებს და ვუთხრათ სიმართლე. თუ მეორედაც იგივე გააკეთა, ვიღაცასთან ერთად უნდა მივიდეთ და საჯაროდ ვამხილოთ. მაგრამ აღსანიშნავია, რომ დღეს იმ ლიბერალებსა თუ პოლიტიკურ თუ აპოლიტიკურ ორგანიზაციებს, რომლებიც თითს საპატრიარქოსკენ იშვერენ, გული კი არ შესტკივათ ეკლესიასა თუ ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე, პირიქით, სურთ, დააკნინონ ეკლესიის სახე. ვფიქრობ, **ცრუ ლიბერალიზმი დიქტატურაზე უარესია. ჩვენ უნდა შეგვეძლოს განსხვავებული აზრის არამხოლოდ მოსმენა, არამედ ატანა და გათავისება, როგორ შეიძლება მხოლოდ შენი აზრი იყოს პროგრესული და სხვების ბნელით მოცული?! ეს ხომ დიქტატურაზე უარესია?!**

**დღეს ჯანსაღ ლიბერალურ ფრთას საქართველოში მე ვერ ვხედავ. ეს არის აბსოლუტურად ხელოვნურად შექმნილი რაღაც ორგანიზაცია, რომელიც ლიბერალიზმს უნიჭოდ თამაშობს. ჩვენთვის წმინდა ილია მართალი ლიბერალიზმის მამაა, მაგრამ ილიას რომ თანამედროვე ლიბერალები დაენახა, დამერწმუნეთ, ლიბერალიზმზე უარს თავად იტყოდა.**

თუ ვართ, უნდა ვიყოთ ქრისტიანები, ლიბერალები, პოლიტიკოსები, მაგრამ არ უნდა ვიყოთ ფსევდოქრისტიანები, ფსევდოლიბერალები ან ფსევდოპოლიტიკოსები.

**— კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, საქართველოს პრეზიდენტისა და კათოლიკოს-პატრიარქის ალავერდში დახურულ კარს მიღმა შეხვედრის შესახებ; ითქვა, რომ საკაშვილმა პატრიარქი ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. რა ინფორმაციას ფლობთ თქვენ?**

— ამის შესახებ მეც იმავე ინფორმაციას ვფლობ, რასაც ნებისმიერი, და შეუძლებელია იმაზე კომენტარი გავაკეთო, რაც საკუთარი თვალით არ მინახავს და საკუთარი ყურით არ მომისმენია. უბრალოდ, საზოგადოებამ აიტაცა ეს ინფორმაცია, ვინაიდან საზოგადოება ყოველთვის ინტრიგას ეძებს, რათა ვიღაც, ამ შემთხვევაში თუნდაც პრეზიდენტი, დაადანაშაულოს.

**— ალბათ, საზოგადოებას გააჩნია გარკვეული საფუძველი, ასე იფიქროს ხელისუფლებაზე...**

— საფუძველი შეიძლება არსებობდეს, თუნდაც ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, მაგრამ ყველაფრის სხვაზე გადაბრალება, არა მგონია, სწორი საქციელი იყოს. პრეზიდენტს რომ არ დავიცავ, ჩემი პოზიცია ხელისუფლებასთან დაკავშირებით ყველამ კარგად იცის, მაგრამ მოდი ვთქვათ გულწრფელად: **შეუძლებელია ყველაფერში მხოლოდ ერთი ადამიანი იყოს დამნაშავე. დამნაშავეა ყველა, ვინც ეს ადამიანი თუნდაც აქამდე მიიყვანა, ამდენი უფლებები მიანიჭა.**

**— თქვენ ყოველთვის თამამად აფიქსირებთ საკუთარ მოსაზრებას. თუ მიგიღიათ ამის გამო საყვედური ან საპატრიარქოდან, ან რომელიმე სასულიერო პირის მხრიდან?**

— ჭორის დონეზე რაღაც საყვედურები გამიგია ჩემს შესახებ, მაგრამ ნამდვილად არავის დავუბარებივარ საპატრიარქოში და საყვედური არ უთქვამს. მე ყოველთვის მაქვს ჩემი აზრი, რომლის გამოთქმაც ნებისმიერი ჩვენგანის არა მხოლოდ უფლება, არამედ მოვალეობაცაა, თუმცა შეიძლება ზოგიერთი სასულიერო პირი არ მიიჩნევს საჭიროდ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარს. თუ მე თავის დროზე ხმა ამოვიღე, არა იმიტომ, რომ ვინმეზე მეტად მტკივა ჩემი ქვეყანა, იქნებ მათ მეტად უყვართ სამშობლო! ნუ შევქმნით გმირებს ხმამაღალი განცხადებების გამო. ვფიქრობ, ესეც არასწორია. გავიხსენოთ, **ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან დაწყებული, არსებობდნენ, დღემდე არსებობენ და მომავალშიც იარსებებენ კერპთაყვანისმცემლები. მე გამსახურდიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ უფალი გვეუბნება, არ შევქმნათ კერპები. ყოველთვის უნდა შევინარჩუნოთ ჯანსაღი კრიტიკის უნარი. უნდა გვახსოვდეს, რომ ხორცშესხმული სრულყოფილება არ არსებობს, თუნდაც ის ჩვენი ფავორიტი იყოს.**

ესაუბრა **შორენა ციჭქარაშვილი**

„სამწუხაროდ, პატრიარქის ეს უმთავრესი მოვალეობანი არ ესმის პოლიტიკურად ანგაჟირებულ ჩვენს საზოგადოებას და პატრიარქს მიიჩნევს პოლიტიკურ ფიგურად ერთი, მათი აზრით, მარტივი მიზეზით — პატრიარქს ძალზე მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს და ის მათი უფროსია. ესე იგი, პატრიარქი შეიძლება გამოგვადგეს, როგორც პოლიტიკური მხარდამჭერი. ამიტომ ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს პატრიარქის გამოყენებას თავისი ინტერესებისთვის.“

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მამა თეოდორე:

# ვინც პატრიარქის წინაშე ბობოქრობს და ყვირის, თვით ქრისტეს წინაშე ბობოქრობს და ყვირის

**უკვე გახმაურდა, რომ 22 ივლისს ალავერდში, დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე, პრეზიდენტმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე დაადანაშაულა ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერაში, რასაც დებოშიორის მხრიდან თან ახლდა ცოფის ყრა დუჟითურთ... მიუხედავად იმისა, რომ კარგად შეგნებული მაქვს სიბრძნე: „კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო“, მაინც თავს მოვალედ ვთვლი, აღვირახსნილ ხულიგანსა და მის თანამოძმეებს ეკლესიის მეშვეობით ავუხსნა, რას ნიშნავს პატრიარქობა. გვესაუბრება თბილისის ჯვართამაღლების ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე.**

**— მამაო, რას ნიშნავს კათოლიკოს-პატრიარქი, როგორც თანამდებობა?**

— როცა ჩვენ ვსაუბრობთ კათოლიკოს-პატრიარქზე, მისი მოღვაწეობა შეგვიძლია განვიხილოთ და შევაფასოთ ორი კუთხით: თანამდებობრივად და, მეორე მხრივ, როგორც ერის სულიერი მამა.

რა თანამდებობაა ეს? არსებობს სხვადასხვა ტიტულატურა, მათ შორის, „უწმინდესი და უნეტარესი“, რომელიც წმინდას და ნეტარს არ ნიშნავს. ეს მხოლოდ მიმანიშნებელია მოციქულთა საყდარზე — საღვთო მადლზე, რომელიც არის წმინდა და ნეტარების მომნიჭებელი. თავად სიტყვა „თანამდებობა“ მომდინარეობს სიტყვა „თანამდებიდან“, ანუ „ვალიდან“, ისევე, როგორც რუსული სიტყვა „должность“ წარმოიშვა სიტყვა „долг“-იდან. ადამიანი, რომელიც იერარქიულ საფეხურზე იმყოფება, თანამდებობა უკავია — მევალე ხდება; და რაც უფრო მაღალია თანამდებობა, მით უფრო დიდია მისი ვალი.

**— ვალი ვის წინაშე, მამაო?**

— ვალი ერის წინაშე, ქვეყნის წინაშე და ვალი ღვთის წინაშე! ამ კუთხიდან გამომდინარე, **პატრიარქის თანამდებობა არის უმაღლესი, არათუ რომელიმე პრეზიდენტის, რომელსაც, დროდადრო ირჩევენ, არამედ განუზომლად აღემატება თვით მირონცხებული მეფის თანამდებობას! მეფეს გვირგვინს ხომ პატრიარქი ადგამს!** თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ პატრიარქს უფრო მეტი ფიზიკური ძალაუფლება აქვს მეფეზე ან თუნდაც პრეზიდენტზე. აქ იგულისხმება პატრიარქის თანამდებობის აღმატებულობა ღვთის წინაშე, რაც ნიშნავს მის მეტ მოვალეობას ერისა და ქვეყნის მიმართ.

**თანამდებობრივი კუთხით კიდევ შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ეპისკოპოსი და, მითუმეტეს, ეპისკოპოსთა ეპისკოპოსი — პატრიარქი, მოციქულთა საყდარზე ზის.**

**— რას ნიშნავს მოციქულთა საყდარი?**

— ყველაფერი გამომდინარეობს ჩვენი სარწმუნოებრივი დოქტრინიდან: ღმერთი არის წმინდა სამება; ამ სამებიდან მეორე პირი (ძე) ხდება ადამიანი და ადამიანურად საზოგადოდ მოღვაწეობს სიცოცხლის ბოლო სამწელიწად-ნახევარი. მას ჰყავს მოწაფეები — მოციქულები, რომელთაც საკუთარ ჯვარზე აღსრულების, აღდგომის და ამაღლების შემდეგ, თავისი საქმის გამგრძელებლად და მემკვიდრეებად, თანამუშაკებად ტოვებს და უნაწილებს საღვთო ძალაუფლების გარკვეულ ნაწილს; ესაა შეკვრისა და გახსნის ძალაუფლება, ანუ მიტევების და არ მიტევების ძალაუფლება — **„რასაც შეკრავთ მიწაზე, ის ზეცაში შეიკვრებაო“**, — მოძღვრავს მათ უფალი. ხედავთ, რა საშინელ ძალაუფლებას აძლევს მოციქულებს! ასევე, აძლევს ადამიანის მეორედშობის ძალაუფლებას (აქ სულიერი შობა იგულისხმება); და საიდუმლო სერობის ძალაუფლებას — იმას, რაც ადრე თვითონ გააკეთა, როცა ღვინითა და პურით, თავისი სისხლითა და ხორცით, აზიარა მოციქულები. ისინი, თავის მხრივ, ასრულებდნენ იმ მისიას, რა მისიაც ჰქონდა მათ მასწავლებელს — ქრისტეს, განკაცებულ ღმერთს, დედამიწაზე. მოციქულები თავის ძალაუფლებას გადასცემენ საკუთარ მოწაფეებს; მოწაფეები თავის მოწაფეებს და, აი ასე, ხელდასხმის უწყვეტი ჯაჭვის გზით, მოვედით დღემდე; ანუ დღევანდელი ეპისკოპოსები არიან მოციქულთა მემკვიდრეები. მაშასადამე, ეპისკოპოსს აქვს სამოციქულო ძალაუფლება და მისდამი დამოკიდებულებით განისაზღვრება, რა დამოკიდებულება მექნებოდა, დავუშვათ, მე მაცხოვრის მიმართ, თუ დავიბადებოდი ორი ათასი წლის წინ, ანუ ვიქნებოდი მაცხოვრის თანამედროვე და ვიცხოვრებდი პალესტინაში; და ღმერთმა არ ქნას, რომ მე დავიმსახურო ეპისკოპოსის სამართლიანი რისხვა, რადგან ეს ძალზე საშიშია!

რა თქმა უნდა, **თანამედროვე ლიბერალურ, უფრო ზუსტად, ფსევდოლიბერალურ საზოგადოებას არა თუ ვინმეს, თვით ქრისტეს ძალაუფლებაც არ მოსწონს და არ სიამოვნებს. საკუთარ თავზე მაღლა ღმერთიც არ უნდა! ეს მისი არჩევანია, მაგრამ ამით ხომ ღმერთი არ უქმდება, ის არსებობს!**

ასე თუ გაგრძელდა, ხვალ ფსევდოლიბერალური საზოგადოება მიზიდულობის კანონსაც გააპროტესტებს: „რატომ მიზიდავს დედამიწა?! რა უფლებით მიზიდავს ისე, რომ ვერ მივფრინავ მარსზე?!“ **ამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ წუწუნიც კი ყველა შეზღუდვაზე, რაც ადამიანს ბუნებრივად გააჩნია, როგორც ქმნილ არსებას, ფიზიკური იქნება, ფიზიოლოგიური თუ სულიერი — არის ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ; მეამბოხენი კი, ძალიან ცუდად ამთავრებენ!**

**თუ ღმერთმა წყალობა მოიღო, აქვე იგრძნობ ამ შენს სავალალო მდგომარეობას და მოინანიებ; თორემ, თუ ღმერთმა ხელი ჩაიქნია, ამ ქვეყანაზე ისე იცხოვრებ, რომ ვერაფერს იგრძნობ,** როგორც წამალგაკეთებული ნარკომანი ვერაფერს გრძნობს და „იპარება“. მერე, როგორც კი შენი სული ხორციდან გამოვა, ის ფხიზლდება და დაინახავს იმ საშინელებას, რომელიც შენ შექმენი, — ჯოჯოხეთს!..

**— თუ პატრიარქი თავად სცოდავს, მამაო?**

— თუ პატრიარქი ან რომელიმე სხვა იერარქი სცოდავს იმგვარად, რომ თავად ებრძვის საკუთარ მდგომარეობას, საკუთარ ხარისხს, საკუთარ ღირსებას, მოკლედ, საკუთარ თავში ქრისტეს ებრძვის, ეს ყოველთვის დასაგმობია! მაგრამ, როგორც წესი, არაა დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს. აი, მაგალითად, ადამიანი იუდაა, მოღალატე. იუდა ყოველთვის საკუთარ თავს ავლენს, ის ყოველთვის ყიდის ქრისტეს და მერე ყოველთვის საკუთარ თავს იღუპავს! ხოლო, **თუ ადამიანი იუდა არაა, თუ, უბრალოდ, ჩვეულებრივი ცოდვილი ადამიანია, მათ შორის, პატრიარქიც, თუ ადამიანი არაა ქრისტეს მოღალატე, მაშინ არავის აქვს უფლება, იერარქის ცოდვებზე ილაპარაკოს ისევე, როგორც სხვის ცოდვებზე.** „არა განიკითხოთო!“ პეტრემ სამჯერ უარყო ქრისტე, მაგრამ ის პეტრედ დარჩა! **ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პატრიარქი მოციქულთა საყდარზე ზის; მოციქულივით ცოდვილია, მაგრამ მოციქულივით ერთგულია ქრისტესი!**

**— რა მოვალეობები აქვს პატრიარქს, სხვა იერარქებს?**

— მათი უპირველესი მოვალეობაა საიდუმლო სერობის აღსრულება, იგივე წირვის დაყენება; იმ საიდუმლოებისა, როდესაც პური და ღვინო ხდება ქრისტეს ხორცი და სისხლი და მორწმუნეები ამ სიწმინდის საშუალებით ეზიარებიან ღმერთსა და ერთმანეთს — ერთიანდებიან ქრისტეში!

ევალება, აგრეთვე, საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგება, ანუ როგორ იცავენ ეკლესიის წევრები ქრისტეს მცნებებს და როგორია ზნეობრივი მდგომარეობა ეკლესიაში.

**«პატრიარქის დამოკიდებულება ყველასადმი არის თანაბარი და ამიტომ ეფერება პატრიარქი ყველას. ისინი ხომ მისი შვილები არიან!»**

ევალება კიდევ მისიონერობა. მისი თვალსაწიერი ეკლესიის საზღვრებს იქით უნდა გადადიოდეს, რათა მრავალი ადამიანი, რომელიც ჯერ ეკლესიის წიაღში არაა, გახდეს ღვთის მაძიებელი, მოვიდეს ეკლესიაში — ქრისტეს ორგანიზმში და აქ იპოვოს ღმერთი! ეკლესია ხომ ღმერთთან შეხვედრის ადგილია!

**სამწუხაროდ, პატრიარქის ეს უმთავრესი მოვალეობანი არ ესმის პოლიტიკურად ანგაჟირებულ ჩვენს საზოგადოებას და პატრიარქს მიიჩნევს პოლიტიკურ ფიგურად ერთი, მათი აზრით, მარტივი მიზეზით — პატრიარქს ძალზე მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს და ის მათი უფროსია. ესე იგი, პატრიარქი შეიძლება გამოგვადგეს, როგორც პოლიტიკური მხარდამჭერი. ამიტომ ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს პატრიარქის გამოყენებას თავისი ინტერესებისთვის.** ზოგს მათგან, პატრიარქი უყურებს, როგორც ღვთის მაძიებლებს და იმედიანადაა მათთან დამოკიდებულებაში, ზოგს კი, სამწუხაროდ, როგორც ჯვარმცმელებს, მაგრამ არ უარყოფს მათ, არამედ, როგორც უფალი, ლოცულობს თავის მკვლელებზე: ღმერთო, მიუტევე, რამეთუ არ იციან, რას აკეთებენ!..

როგორც ხედავთ, **პატრიარქის დამოკიდებულება ყველასადმი არის თანაბარი და ამიტომ ეფერება პატრიარქი ყველას. ისინი ხომ მისი შვილები არიან!**

**— რას ნიშნავს, როდესაც ამბობენ, პატრიარქი ერის სულიერი მამააო?**

— მე მახსენდება წმინდა სერაფიმე საროველის განსაცვიფრებელი სიტყვები. როცა მას ჰკითხეს, როგორი უნდა იყოს ეკლესიის წინამძღვარიო, ის უპასუხებს: **„წინამძღვარი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს თავისი სამწყსოს, ანუ შვილების დედა და მხოლოდ შემდეგ — მამაო“.** ვინაიდან ღმერთმა მიიღო მამაკაცის სახე და არა ქალის, სამღვდელოება ყოველთვის მამაკაცებისგან შედგებოდა. რას ნიშნავს დედა? დედა ნიშნავს სითბოს, სიყვარულს, სინაზეს და შვილის ტკივილს უფრო მეტად ითავისებს, ვიდრე მამა. ბუნებითაც ასეა. პატრიარქს **ერთი საოცარი თვისება აქვს, რომელიც მას, მართლაც დედის სტატუსს ანიჭებს, გარდა იმისა, რომ ის მამაა. მას შეუძლია ადამიანის ტკივილის გათავისება, რითაც იგი ძალიან ემსგავსება მაცხოვარს.** პატრიარქი პავლე მოციქულის მცნების — **„მტირალთან იტირეთო და, ვისაც უხარიაო, მასთან ერთად გაიხარეთო“** — აღმსრულებელია! პატრიარქს შეუძლია სხვა ადამიანის უბედურების გამო გულამოსკვნილი ტირილი! ესაა საოცარი თვისება ჩვენი პატრიარქისა, რომელიც მხოლოდ სიწმინდის შემთხვევაში აქვს ადამიანს, რასაც, რაც უნდა ეცადო, ხელოვნურად საკუთარ თავში ვერ გამოიწვევ! როცა მე მას ვუყურებ, ვაკვირდები და ვუსმენ, მგონია, რომ ქრისტე მესაუბრება!

**— რატომ, მამაო?**

— იმ თვისებებსა და მიმართულებებში, რაც პატრიარქს უნდა ჰქონდეს, მან სრულყოფილად გამოავლინა თავისი პიროვნება და, აქედან გამომდინარე, ის არის ჭურჭელი, რომლითაც უფალი საკუთარ თავს გვაჩვენებს ამ ადამიანის საშუალებით! ამიტომ, **როცა მის ქმედებაში მე რაიმეს ვერ ვიგებ, ვცდილობ, არ განვიკითხო ჩემი პატრიარქი და გავჩერდე, ვიფიქრო, ჩავუღრმავდე. იგი, 35 წელია, პატრიარქია და თუ ვინმეს არ მოსწონს და მისი ქმედებები არასწორად მიაჩნია, მე მგონია, რომ ეს ვინმე თავად ქრისტეს განიკითხავს, იმიტომ, რომ ქრისტე არ დატოვებდა 35 წელი პატრიარქად ადამიანს, რომელიც ცუდად მართავს ეკლესიას.** მე კიდევ ვიმეორებ: **პატრიარქი ცოდვილია, როგორც მოციქული, მაგრამ მოციქულივით ერთგულია ქრისტესი!** რაც ახლა ვთქვი, ღვთის წინაშე ამაზე ხელს ვაწერ! არც ერთი სიტყვა არ მომიტანია ჰაერიდან. ესაა ჩემი მსოფლმხედველობა და ესაა ჩემი შინაგანი რწმენა და, ამავე დროს, ესაა ჩემი გამოცდილება ჩვენს პატრიარქთან ურთიერთობისა!

**— მამაო, ვის აქვს უფლება, პატრიარქს უყვიროს ან შენიშვნები მისცეს?**

— მხოლოდ იმას, ვინაც საკუთარ თავს მიანიჭა უფლება, იყვიროს მაცხოვრის წინაშე და შენიშვნები მისცეს მას. გავიხსენოთ, რომ პატრიარქი მოციქულთა საყდარზე ზის. მოციქულები მაცხოვრის მემკვიდრეები იყვნენ, აქედან გამომდინარე, პატრიარქიც მაცხოვრის მემკვიდრეა! ანუ, **ვინც პატრიარქის წინაშე ბობოქრობს და ყვირის, თვით ქრისტეს წინაშე ბობოქრობს და ყვირის, არც მეტი და არც ნაკლები!**

საერთოდ, ღვთის უარყოფა და ღვთის მცნებების არდანახვა ადამიანისთვის არაბუნებრივია, რადგან ადამიანის შინაგანი მდგომარეობა ისწრაფვის ღვთისკენ. ეს ბუნებრივია, მაგრამ, როცა ადამიანი ამაზე უარს ამბობს, ის თავის ბუნებაზე, ადამიანობაზე ამბობს უარს, მაშასადამე ავადაა — ან პირუტყვია, ან დემონი. ბავშვი ძუძუს რა შემთხვევაში არ იღებს? როცა ავადაა! თუ ჯანმრთელია, ის მიისწრაფვის ძუძუსკენ, რათა დედის რძე მიიღოს!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2004 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში ჩრდილში იყო მოქცეული, ანუ აღურიცხავი იყო 56,7 პროცენტი, 2005 წელს, შესაბამისად, — 57,5 პროცენტი; 2006 წელს — 49 პროცენტი; 2007 წელს — 38,8 პროცენტი; 2008 წელს — 42 პროცენტი; 2009 წელს — 38 პროცენტი, 2011 წელს — 48,5 პროცენტი; 2012 წლის იანვარ-მარტში — 46,5 პროცენტიჟ ამ რვა წლის განმავლობაში საქართველომ დააფიქსირა მილიარდ 386,9 მილიონი დოლარით ნაკლები თანხის პროდუქტი, რომელიც ამერიკიდან მივიღეთ, ვიდრე ეს შტატების შესაბამისმა სამსახურმა აჩვენა.“**

# «დემოკრატიის შუქურამ» ამერიკას მილიარდ 900 მილიონი დოლარი «მოუტეხა»

**ბატონი შალვა მექვაბიშვილი ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში აღიარებული იყო, როგორც მაღალი დონის პროფესიონალი, აბსოლუტურად მოუსყიდველი და უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება: მუშაობდა კომუნისტების პერიოდში, გამსახურდიას დროს, „მოქალაქეთა კავშირის“ პერიოდში და სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგაც. არავის ეპუებოდა და ყოველთვის ობიექტურ ანალიზს დებდა მაგიდაზე. კრიტიკა მწარეა, სიმართლე ყველას ხელს არ აძლევს. „ჩარეცხილების“ ტალღას გააყოლეს, მოიცილეს. სამაგიეროდ სიმართლისთვის ბრძოლის ტალღაზე, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენისთვის ასიათასობით ხელმოწერის ორგანიზების შედეგად მივიდა „ქართულ ოცნებაში“, დემურ გიორხელიძესთან ანალიტიკური ჯგუფის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. იქ შევხვდი, ერეკლე მეორეს მოედანზე, ყოფილ „ჟურნალისტთა სახლში“.**



**თემა — ელიტური კორუფცია, რომელზეც ყველა ლაპარაკობს, დამტკიცება რომაა ძნელი, კი ვიცით, მაგრამ — „დედიჯან, შენ ხელი დაადე!“ — არ შეგვიძლია.**

**გახმაურებულია ჩვენი ამბავი საერთაშორისო მასშტაბით, იმდენად, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც მოხვდა და მისი შეშფოთების (როგორც ყოველთვის — „შეშფოთების“) საგანიც გახდა: „არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე გამოხატეს შეშფოთება ბიზნესთან მთავრობის კავშირის, კერძოდ, კორუფციული გარიგებების გამო“.**

ყველა შფოთავს, მექვაბიშვილი კი ფაქტებით ამტკიცებს და საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს ის შემზარავი რეალობა, რომელიც 2004-2012 წლებში საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობაში არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებს ეხება.

— ერთ-ერთ პუბლიკაციაში, — **ამბობს ბატონი შალვა,** — რომელიც სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას ეხებოდა, ნათქვამი იყო, რომ საქართველოსთან ექსპორტ-იმპორტი 10-ჯერ გაიზარდა, 2011 წელს 534 მილიონი დოლარის ექსპორტი (ჩვენთვის — იმპორტი) განხორციელდა ამერიკიდან. მთლიანმა სავაჭრო ბრუნვამ კი 734 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამ ციფრებმა მეტისმეტად დამაეჭვა. გავეცანი ამერიკის აღწერის ბიუროს მონაცემებს (სტატისტიკის სამსახური შტატებში არ აქვთ), რომლებშიც აღნუსხულია 1992 წლიდან დღემდე თვეების მიხედვით რომელი საქონელი, როდის და რა რაოდენობითაა გამოგზავნილი საქართველოში.

აღმოჩნდა, რომ მათ უფრო დიდი რაოდენობა ჰქონდათ დაფიქსირებული, ვიდრე საქართველოში იყო ნაჩვენები. კერძოდ, **აღწერის ბიურო აღნუსხავდა 579,3 მილიონი დოლარის ექსპორტს, ჩვენი სტატისტიკის დეპარტამენტი — 245,8 მილიონს, ანუ 2,4-ჯერ ნაკლებს. ამერიკის მხარე აფიქსირებდა, რომ 2011 წელს ჩვენგან შევიდა 176 მილიონი დოლარის საქონელი, ჩვენები კი 143 მილიონს მიუთითებდნენ.**

**«სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ პერიოდში მარტო გადასახადების სახით დაკარგა, მინიმუმ, მილიარდ ლარზე მეტი, აშშ-დან შემოსული სხვადასხვა საქონლის განუბაჟებლობის გამო»**

რაც მთავარია, გამოიკვეთა უარყოფითი სავაჭრო სალდო: **ამერიკა აფიქსირებდა 403 მილიონ დოლარს, ჩვენები — 102 მილიონს, ანუ ოთხჯერ ნაკლებს.**

აშშ-ის ოფიციალური მონაცემებით, 2004-2012 წლებში საქართველოსთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ **4316,9 მილიონი აშშ დოლარი** შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, იმავე პერიოდში საგარეო სავაჭრო ბრუნვა **2418,2 მილიონი აშშ დოლარი იყო. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 1898,8 მილიონი აშშ დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი ბრუნვის მხოლოდ 56 პროცენტი.**

მათ შორის: აშშ-ის ექსპორტმა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში, ამერიკის მონაცემებით, შეადგინა **3049,3 მილიონი დოლარი,** ხოლო იმავე პერიოდში, საქართველოს მონაცემებით, აშშ-ის იმპორტმა საქართველოში შეადგინა **1662,4** მლნ დოლარი. **საქართველოს მხარემ დააფიქსირა 1386,9 მილიონი დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 54,5 პროცენტი** (აღურიცხავი აღმოჩნდა ამ პერიოდში აშშ-დან საქართველოში ექსპორტირებული პროდუქციის 45,5 პროცენტი; ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2000-2003 წლებში 34 პროცენტი შეადგინა). **სახელმწიფო ბიუჯეტმა ამ პერიოდში მარტო გადასახადების სახით დაკარგა, მინიმუმ, მილიარდ ლარზე მეტი, აშშ-დან შემოსული სხვადასხვა საქონლის განუბაჟებლობის გამო.**

**2004-2012 წლებში, აშშ-ის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში შეადგინა 1267,6 მილიონი დოლარი, ხოლო, საქართველოს მონაცემებით, იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 755,8 მილიონი დოლარი. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 512,2 მილიონი დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 59,6 პროცენტი** (ამ პერიოდში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებული პროდუქციის 40,4 პროცენტი აღურიცხავი აღმოჩნდა; ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2000-2003 წლებში 66,5 პროცენტი შეადგინა).




ბატონი ბიძინა ივანიშვილი გაკვირვებული დარჩა, ამ ციფრებს რომ გაეცნო. შესაბამის სამსახურებს გამოქვეყნება დაავალა, მაგრამ სამი თვე ვერ გავარღვიეთ წინააღმდეგობის რკალი და ვერ გამოვაქვეყნეთ.

ამასობაში სასტუმრო „მერიოტში“ ბატონების — ვახტანგ ხმალაძისა და დავით ნარმანიას დახმარებით გაიმართა ამ თემის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ აშშ-ის, იაპონიის, გერმანიის, რუმინეთის, ირანის წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე წარვადგინეთ ჩემი კვლევის შედეგები, რომლებმაც საერთო ინტერესი გამოიწვია, გვთხოვეს მასალები და გავუგზავნეთ კიდეც ყველას.

**— შედეგი?**

— ეს იმ დროს დაემთხვა, როცა საქართველოში აშშ-ის ელჩი შეიცვალა...

**— ესე იგი, ახალი ამბავია.**

— დიახ, სულ ახალი. წავიდა ელჩი, შემცვლელი არ მოსულა და, როგორც ყოველთვის გარდამავალ პერიოდში, ამერიკის საელჩოშიც, როგორც ჩანს, „საჩემოდნო განწყობილება“ იყო. ახალი ელჩის მოსვლის შემდეგ როგორი რეაქცია ექნებათ, დღეს ძნელი სათქმელია.

**— მაგრამ საკითხი სიმწვავეს არ დაკარგავს და არც ეჭვი გაქრება... ბატონო შალვა, წლების მიხედვით როგორი დინამიკაა?**

— **2004 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის საგარეო ვაჭრობაში ჩრდილში იყო მოქცეული, ანუ აღურიცხავი იყო 56,7 პროცენტი, 2005 წელს, შესაბამისად, — 57,5 პროცენტი; 2006 წელს — 49 პროცენტი; 2007 წელს — 38,8 პროცენტი; 2008 წელს — 42 პროცენტი; 2009 წელს — 38 პროცენტი, 2011 წელს — 48,5 პროცენტი; 2012 წლის იანვარ-მარტში — 46,5 პროცენტი** (*იხ. დიაგრამა №1*).

თანხობრივად ეს უზარმაზარი ოდენობაა!

ამ რვა წლის განმავლობაში **საქართველომ დააფიქსირა მილიარდ 386,9 მილიონი დოლარით ნაკლები თანხის პროდუქტი, რომელიც ამერიკიდან მივიღეთ, ვიდრე ეს შტატების შესაბამისმა სამსახურმა აჩვენა.**

ამავე პერიოდში, ამერიკის მაჩვენებლებით, საქართველოდან 512 მილიონი დოლარით მეტი პროდუქტი გაიგზავნა, ვიდრე ეს ჩვენებმა დააფიქსირეს. ▶

## ტეხასში გონებრივად არასრულფასოვანი პატიმარი სიკვდილით დასაჯეს

**ტეხასში სასიკვდილო ინექციის მეშვეობით გონებრივად არასრულფასოვანი პატიმარი დასაჯეს. მას სასჯელის უმაღლესი ზომა ჰქონდა მისჯილი.** 54 წლის მარვილ უილსონი პოლიციის ინფორმატორის მკვლელობისთვის 20 წლის წინ გაასამართლეს. პატიმრის ადვოკატების მტკიცებით, მისი დასჯა არ შეიძლებოდა დაბალი IQ-ი გამო (61 ქულა მინიმალური 70-ის პირობებში). დასჯამდე რამდენიმე ხნით ადრე აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ ადვოკატების სარჩელი არ დააკმაყოფილა. გამოძიებამ 1992 წელს გამოავლინა, რომ უილსონმა მკვლელობის დაგეგმვისას გამოამჟღავნა გამომგონებლობა, მიზანდასახულობა და ლიდერის თვისებები. 2002 წელს აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ აკრძალა გონებრივად ჩამორჩენილი პატიმრების დასჯა, მაგრამ რიგ შტატებს უფლება აქვთ, თავად განსაზღვრონ, თუ რა ითვლება გონებრივ ჩამორჩენილობად.



**„არცერთი ქვეყანა, რომელთაც ჩვენგან გააქვთ ავტომანქანები — არც აზერბაიჯანი, არც ყაზახეთი, არც სომხეთი — არ გვიფიქსირებს, რომ თუნდაც ერთი მანქანაა ჩვენგან ჩატანილი. ისინი მიუთითებენ იმ ქვეყნებს, რომლებშიც წარმოებულია — აშშ, გერმანია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ა.შ. ჩვენი ხალხის მოსატყუებლად კეთდება ეს თვალთმაქცობა.“**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ესე იგი, ზუსტად **მილიარდ 900 მილიონი დოლარის ღირებულების პროდუქტი სად გაქრა, კაცისშვილმა არ იცის.**

ზოგიერთმა ვაი თუ უი ექსპერტმა (არ ვიცი, რა დავარქვა) განაცხადა, რომ ასეთი შეუსაბამობა მეთოდოლოგიის ბრალია. ვიცოდი, რომ ამას იტყოდნენ და სპეციალურად ისეთი პროდუქტები შევარჩიე გასაანალიზებლად, რომ ყოველგვარი ეჭვი გამომერიცხა. **ამერიკის მხარე გვიფიქსირებს, რომ 2011 წელს საქართველოში გამოგზავნილია 101,3 მილიონი დოლარის ღირებულების ყველანაირი ხორცი. ქართული მხარის მიხედვით, მიღებულია 33,9 მილიონი დოლარის ღირებულების.**

**— დანარჩენი სად არისო?**

— გემები ჩაიძირა, აორთქლდა თუ სად გაქრა, გაუგებარია.

**— მახსოვს, დაახლოებით ასეთივე სიტუაცია იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა საქართველოდან ეშელონებით იგზავნებოდა საქონელი ავღანეთის დასახმარებლად, მაგრამ, როგორც ამტკიცებდნენ, ან მოჯაჰედები „აფეთქებდნენ“ ამ ეშელონებს, ან სასაზღვრო ქაოსში იკარგებოდა... და ვიღაც კეთდებოდა.**

— აქ რაღაც სხვა მექანიზმები მუშაობს, გაცილებით უფრო სრულყოფილი, ვიდრე ეშელონების „აფეთქებით“ კორუფციის დამალვა იყო.

ყველაზე დიდი განსხვავება ნავთობპროდუქტებშია. მაგალითად, მანქანის ძვირადღირებული ზეთები. **ამერიკიდან წამოსულია სხვადასხვა მარკის ზეთები საერთო ღირებულებით 56 მილიონ 685 ათასი დოლარი. ჩვენი მხარე 771 ათასისას აჩვენებს, ანუ 1,4 პროცენტს** *(იხ. დიაგრამა №2)*.

**თევზი.** საინტერესო სტატისტიკაა: წამოსულია **5 მილიონ 548 ათასი** დოლარის, აქ კი დაფიქსირებულია **4 მილიონ 965 ათასი** დოლარის, ანუ — 90 პროცენტი. ეტყობა, თევზის ბიზნესს არც დიდი მონოპოლისტი მისდევს, არც ბობოლა პატრონი ჰყავს. ამიტომაც დიდი სხვაობა არ არის. სხვადასხვა მეთოდიკების შემთხვევაში განსხვავების პროპორციები შენარჩუნებული იქნებოდა.



დიაგრამა №2



დიაგრამა №3

**— მაგრამ, ბატონო შალვა, აქაც რომ არის სხვაობა — ათი პროცენტი?**

— სხვა შემთხვევებშიც ამაზე მეტი რომ არ ყოფილიყო, ქვეყანა ასე არ გაღატაკდებოდა.

განვაგრძოთ: ალკოჰოლური სასმელები — ძვირადღირებული ვისკების, ჯინების ნაირსახეობა და სხვა ძვირფასი სასმელები.

ამერიკის მხარე გვიფიქსირებს, რომ **2011 წელს წამოსულია 4 მილიონ 373 ათასი დოლარის, ჩვენი მხარის მაჩვენებლით, 470 ათასი დოლარის, ანუ 87 პროცენტით ნაკლები. 4 მილიონამდე დოლარი გაქრა** *(იხ. დიაგრამა №3)*.

**ბრინჯი.** რატომ შემოდის ამერიკიდან, ვერ გეტყვით. ბრინჯი ამერიკელების ექსპორტის საგანი არ არის, მაგრამ აქაც იგივე სიტუაციაა: **2 მილიონ 36 ათასი დოლარისაა წამოსული, ჩვენები წერენ 265,5 ათას დოლარს. 87 პროცენტი აქაც გამქრალია.**

**«2004-2012 წლებში, აშშ-ის მონაცემებით, საქართველოს ექსპორტმა აშშ-ში შეადგინა 1267,6 მილიონი დოლარი, ხოლო, საქართველოს მონაცემებით, იმავე პერიოდში ანალოგიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 755,8 მილიონი დოლარი. საქართველოს მხარემ დააფიქსირა 512,2 მილიონი დოლარით ნაკლები, ანუ მთლიანი მონაცემის მხოლოდ 59,6 პროცენტი»**

ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რომ აღმოვაჩინე ერთი პროდუქტი, რომელსაც საერთოდ არ ჰყავს პატრონი. ეს არის კატებისა და ძაღლების საკვები გრანულები. შარშან ამერიკიდან გამოაგზავნეს 4 მილიონ 779 ათასი დოლარის ეს პროდუქცია. ჩვენები 4 მილიონ 771 ათასი დოლარისას აფიქსირებენ, ანუ 99,93 პროცენტს.

როგორც ჩანს, ეს ბიზნესი აბსოლუტურად არაელიტური, არაპრესტიჟულია.

**— მაგრამ ძაღლებსა და კატებს 4 მილიონის სპეციალურ საკვებს რომ ვაჭმევთ, ეტყობა, კარგად ვცხოვრობთ... ან, იქნებ, რეექსპორტით გაიგზავნა შემდეგ საქართველოდან?**

— ესეც შევისწავლე. მანქანის ზეთები თითქმის 57 მილიონი დოლარის ხომ შემოვიდა?

**— დიახ, ასე თქვით.**

— მხოლოდ 187 ათასი დოლარისაა გასული რეექსპორტზე, ანუ — 0,3 პროცენტი, რაც, ცხადია, ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა საერთო სურათზე.

**— ბატონო შალვა, ჩემისთანა უბირმა ადამიანებმაც იციან, რომ, როცა იმპორტი ექსპორტს აჭარბებს, იმ ქვეყანაში ეკონომიკის საქმე კარგად არ არის. ჩვენი სტატისტიკა სწორედ ამას ასახავს. საქართველოს ხელისუფლება ასე რატომ მანიპულირებს ამ ციფრებით? რა ინტერესი ამოძრავებს?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ სურათის გაუმჯობესებას მანქანების ე. წ. ექსპორტით ცდილობს. შარშან ამ მაჩვენებელმა 450 მილიონს გადააჭარბა და ჩვენ რეექსპორტად ჩავითვალეთ.

ამით სალდო უმჯობესდება.

მაგრამ უბედურება ისაა, რომ **არცერთი ქვეყანა, რომელთაც ჩვენგან გააქვთ ავტომანქანები — არც აზერბაიჯანი, არც ყაზახეთი, არც სომხეთი — არ გვიფიქსირებს, რომ თუნდაც ერთი მანქანაა ჩვენგან ჩატანილი. ისინი მიუთითებენ იმ ქვეყნებს, რომლებშიც წარმოებულია — აშშ, გერმანია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ა.შ. ჩვენები ხალხს ატყუებენ, თვალთმაქცობენ.**

მონაცემები, რომლებზეც ახლა ვისაუბრეთ, ოფიციალურად წაიღო შემოსავლების სამსახურმა, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა. მოსალოდნელი იყო, რომ რაღაც რეაგირება მოჰყვებოდა, მაგრამ ყველა გატრუნულია.

**«ამერიკიდან წამოსულია სხვადასხვა მარკის ზეთები საერთო ღირებულებით 56 მილიონ 685 ათასი დოლარი. ჩვენი მხარე 771 ათასისას აჩვენებს, ანუ 1,4 პროცენტს»**

**— რატომ არ რეაგირებენ?**

— იმიტომ, რომ არეულია ყველაფერი ამ ქვეყანაში. **მანქანების ექსპორტს ჩვენი ფინანსთა სამინისტრო საერთოდ არ აფიქსირებს. ამ უწყებას, ეტყობა, აკონტროლებს ან სავალუტო ფონდი, ან მსოფლიო ბანკი, ვიღაცა მაინც, ამიტომაც თავს იკავებს. სტატისტიკა „თავისუფალ ცურვაშია“.**

**ისეთი ქაოსია, რომ ყველა იმას აკეთებს, რაც ხელს აძლევს.** 2011 წელს, მაისში ფინანსთა სამინისტრომ აჩვენა, რომ თითქოს ჩვენგან ინდოეთში გავიდა **305 მილიონი** დოლარის არმატურა.

სტატისტიკის სამსახური კი 2011 წელს ინდოეთში გატანილად მიიჩნევს მხოლოდ **3,5 მილიონი** დოლარის არმატურას, ანუ 87-ჯერ ნაკლებს. მთელი ექსპორტი კი ამ ქვეყანაში 19 მილიონ დოლარს არ აჭარბებს.

**— რისი ბრალია?**

— იმისი, რომ კონტროლის პალატა არ არსებობს.

**— სამაგიეროდ არსებობს ემანსიპირებული ნათია მოგელაძის ოპოზიციასთან ბრძოლის სპეცსამსახური.**

— 2006 წლამდე, ზურა სოსელიას პერიოდში, რაღაც კონტროლი მაინც ხორციელდებოდა. შემდეგ ყველაფერი თვითდინებით წავიდა.

**ხელისუფლება ტრაბახობს — ბიუჯეტი 20-ჯერ გავზარდეთო.**

**აქაც თაღლითურად მანიპულირებენ. სინამდვილეში ბიუჯეტი, 20-ჯერ კი არა, 5-ჯერ გაიზარდა.** შევარდნაძის დროს სამი სახის ბიუჯეტი ქვეყნდებოდა, მათ შორის ერთ-ერთი — სახელმწიფო ბიუჯეტი. ამათ ყველა საგადასახადო შემოსავალი (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი) სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიტანეს და „არნახულად გაზარდეს“.

აი, ასეთი რეფორმატორები გვყავს.

**— ბატონო შალვა, ჩვენი საუბრის დასაწყისში თქვენ დაასახელეთ აშშ-სა და საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩრდილში მოქცეული 50 პროცენტზე მეტი. მილიარდ 900 მილიონ დოლარზე ლაპარაკობდით, რაც ჩვენმა მხარემ არ აღრიცხა.**

**სად მიდის ელიტური ბიზნესის ეს სხვაობა?**

— ჯიბეში! ნებისმიერი ხელისუფლება, თუ მოისურვებს, ძალიან ადვილად გაარკვევს, კერძოდ ვის ჯიბეში ილექება ეს კოლოსალური თანხა.

**— თუ არ არკვევს?**

— მაშასადამე, დამტკიცებულად ჩათვალეთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სხეულს ელიტური კორუფციის მეტასტაზები ისე აქვს მოდებული, რომ რადიკალური ამოკვეთის გარდა არაფერი უშველის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«მანქანების ექსპორტს ფინანსთა სამინისტრო საერთოდ არ აფიქსირებს. ამ უწყებას, ეტყობა, აკონტროლებს ან სავალუტო ფონდი, ან მსოფლიო ბანკი, ვიღაცა მაინც, ამიტომაც თავს იკავებს»**

**P.S. ჩვენი ბობოლები ამერიკას მილიარდ 900 მილიონს „უტეხავენ“ იმ დროს, როცა შტატებს თავისი გასჭირვებია: წლევანდელ ივლისში აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი 70 მილიარდი დოლარით გაიზარდა და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, წლის ბოლოსთვის, შესაძლებელია, ერთ ტრილიონ დოლარს გადააჭარბოს.**

**2012 წლის ბიუჯეტის პირველ ათ თვეში (საბიუჯეტო წელიწადი აშშ-ში 30 სექტემბერს მთავრდება) დეფიციტმა 974 მილიარდი დოლარი შეადგინა. თეთრ სახლში მიიჩნევენ, დეფიციტი ერთ ტრილიონ დოლარზე ნაკლები, შესაძლებელია, 2013 წელს იყოს.**

**ყველა ბელელს თავისი თაგვები ჰყავს შესეული. ჩვენებურები თავისას ხომ ხრავენ, მაგრამ, როგორც ნახეთ, არც კეთილისმყოფელთა ბელლის „ხორბალზე“ ამბობენ უარს.**

მოკლედ

## პაკისტანის პრემიერს სასამართლოში იბარებენ

**პაკისტანის პრემიერ რაჯა პერვეზა აშრაფს სასამართლოში იბარებენ იმის გამო, რომ იგი გამოძიებას ქვეყნის პრეზიდენტთან კავშირში არსებული კორუფციული საქმის გამოძიებაში არ ეხმარება.** აშრაფის წინამორბედი იუსუფ რეზა გილანი პრემიერის თანამდებობიდან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით გადადგა. სასამართლომ იგი ბრალდებულად აღიარა. მისი ბრალი მდგომარეობდა იმაში, რომ მან უარი თქვა, ეთანამშრომლა გამოძიებასთან და პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარის ანგარიშების შესახებ ინფორმაცია სამართალდამცავებისთვის გადაეცა.

## აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციებს აწესებს

**აშშ სირიის წინააღმდეგ სანქციების ახალ პაკეტს ამზადებს. სანქციების ეს პაკეტი, შესაძლოა, შეეხოს უცხოურ ორგანიზაციებს, რომლებიც ბაშარ ასადის რეჟიმს უჭერენ მხარს.** განცხადება ამის შესახებ აშშ-ის მაღალჩინოსნებმა გააკეთეს, რომლებიც აფრიკის ქვეყნებში ვიზიტისას აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონთან ერთად იყვნენ. „სანქციებს მომავალშიც გავამკაცრებთ იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც რეჟიმს უჭერენ მხარს როგორც სირიის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც“, — აცხადებს თეთრი სახლის წარმომადგენელი.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პოლიტიკური თვალსაზრისით, ბურჯანაძემ ეს პარტია ივანიშვილს მოუგო. 40-პროცენტიანი „გამარჯვების“ შემთხვევაში ივანიშვილის რეიტინგი მკვეთრად დაეცემა, მაშინ, როცა ბურჯანაძე არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმით ამ შედეგის დადგომისთანავე გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება.**



## კურორტ სიმონეთით ინვესტორები არ ინტერესდებიან

**პოტენციალი, რომელიც კურორტ სიმონეთს აქვს, დღემდე აუთვისებელი რჩება. როგორც commersant.ge-ს თერჯოლის მუნიციპალიტეტში განუცხადეს, კურორტს პოპულარიზაცია და ინვესტორები სჭირდება, რომლებიც ტურისტულ ზონას ადრინდელ იერ-სახეს დაუბრუნებენ.**

როგორც მუნიციპალიტეტში აცხადებენ, **კურორტზე დამსვენებელი იშვიათად ჩადის, ვინაიდან სიმონეთში არც ერთი სასტუმრო არ ფუნქციონირებს, მათ შორის — არც საოჯახო. საკურორტო ზონაში დაუსრულებელი 30 აბაზანაა, რომლებიც მწობრიდან დიდი ხნის წინათ გამოვიდა.**

კურორტი სიმონეთი თერჯოლის რაიონში მდებარეობს, სადაც 42-გრადუსიანი მინერალური ცხელი წყალია. ეს წყლები ისეთი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება, როგორიცაა მწვავე ქრონიკული ართრიტები, ნივთიერებათა ცვლის მოშლა და სხვ. კურორტზე 420 მინერალური ცხელი წყაროა.



## გარდაიცვალა სერგეი კაპიცა

**მოსკოვში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა აკადემიკოსი სერგეი კაპიცა, სატელევიზიო პროგრამის — „აშკარა დაუჯერებელი“ ავტორი და წამყვანი.**

სერგეი კაპიცა 1928 წელს კემბრიჯში (დიდი ბრიტანეთი) დაიბადა. მისი მამა ნობელის პრემიის ლაურეატი, ფიზიკოსი პეტრე კაპიცა იყო. 1935 წელს ოჯახი საბჭოთა კავშირში გადასახლდა. უმცროსი კაპიცა მეცნიერულ მოღვაწეობას 1949 წლიდან ეწეოდა. იგი ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი, პროფესორი იყო. 33 წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციებს მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში.

2012 წლის თებერვალში სერგეი კაპიცა მეცნიერების პროპაგანდისთვის რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით დააჯილდოეს. იყო სხვადასხვა ორდენისა და მედლის, სახელმწიფო პრემიისა და სატელევიზიო პრემია „ტეფის“ კავალერი.

# ჰა — ბურთი, ჰა — არჩევნები!

**ინფორმაციას იმის შესახებ, რომ „დემოკრატიული მოძრაობა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ცალსახად დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. ძირითად მოტივად ის სახელდება, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ იმედის უკანასკნელ ნაპერწკლად აღიქმება და მისთვის „ფართო გზის“ მიცემა პოზიტიურ ნაბიჯად ჩაითვალა.**

პოლიტიკური ტექნოლოგიები ორ ძირითად ვექტორს სცნობს: ამომრჩევლისკენ და ოპონენტებისკენ მიმართულს. ის, რაც ამომრჩევლის გულს მალამოდ ეფინება, სულაც არ უნდა იყოს სასიამოვნო პოლიტიკური სუბიექტისთვის, ამ შემთხვევაში — „ქართული ოცნებისთვის“. **ტაქტიკამ, რომლითაც ივანიშვილმა ოპოზიციურ ფლანგზე ზოგი პარტია შეიწოვა, ზოგი ფაქტობრივად დაშალა, ხოლო ზოგიერთის სრული დემორალიზაცია მოახერხა, ნინო ბურჯანაძის შემთხვევაში არ გაამართლა.**

მისი პარტიისა და „სახალხო კრების“ ლიდერებმა ივანიშვილის ფორმულას — „ყველა მინუს ბურჯანაძე“ უარით უპასუხეს. ორი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც „ოცნებისგან“ იყრის კენჭს, საბოლოო ჯამში უფრო ბურჯანაძის აქტივია, ვიდრე ივანიშვილის. მაჟორიტარების საკითხი ერთობ საინტერესოა და ამაზე ცალკე ღირს მსჯელობა, აქ მხოლოდ იმას დავსძენ, რომ კანდიდატების მიმართ რეგიონებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულების გამო „ქართულმა ოცნებამ“ უკვე მიანიშნა მათ შესაძლო შეცვლაზე.

დღემდე ქართულ პოლიტიკაში არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა ბოიკოტს უკავშირდებოდა. ბურჯანაძის განცხადება კი ცალსახად ემიჯნება არჩევნების ბოიკოტირების იდეას (რომელიც, სხვათა შორის, არასოდეს ყოფილა წარმატებული საქართველოში): **„აღნიშნული გადაწყვეტილება არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობს არჩევნების ბოიკოტს, მით უფრო არ ნიშნავს „დემოკრატიული მოძრაობის“ დაწყებული ბრძოლის შეწყვეტას... „დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს ყველას, რომ 1 ოქტომბერს ქუდზე კაცი გამოვიდეს, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და მხარი დაუჭიროს რეალურ ოპოზიციურ ძალას, რომლის გამარჯვების იმედიც დღეს აქვს საქართველოს მოსახლეობას“.**

ამ განცხადებაში კიდევ ერთი აბზაცია, რომელიც ნათლად აჩვენებს ბურჯანაძის გადაწყვეტილების მოტივს: **„ჩვენს პოლიტიკურ ძალას კვლავ მიაჩნია, რომ მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ოპოზიციური ფრონტის ჩამოყალიბებით და არაერთხელ გამოვედით საჯაროდ ამ ინიციატივით, ოპოზიციური ერთობის მისაღწევად ჩვენ უარიც კი განვაცხადეთ საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე“.** როგორც ცნობილია, ოპოზიციურ ერთობაზე ივანიშვილმა იმთავითვე თქვა უარი და აზრი არც დღეს შეუცვლია.

**რამდენად ძლიერია ამომრჩეველში ოპოზიციის გაერთიანების სურვილი, 26 მაისს დაღუპულთა პარაკლისზე, ივანიშვილი-ბურჯანაძის მისალმებისას ტაძარში მყოფთა ტაშმა აჩვენა, თუმცა ვერც ამან შეაცვლევინა გადაწყვეტილება ივანიშვილს. მისი სურვილი — ბურჯანაძე ხელს ნუ შემვიშლისო, დღეს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა შეუსრულა და ის ვითარება შექმნა, რომელსაც ქართულად ეწოდება „ჰა — ბურთი, ჰა — მოედანი“.**

სააკაშვილის რეჟიმთან დაპირისპირებისას „წუნია პატარძალივით“ მოქცევა კარგს რომ არაფერს მოიტანს, ცხადია. იგი დათმობას არ აპირებს და მასთან დაპირისპირება მართლაც მხოლოდ ერთიანი ფრონტითაა შესაძლებელი. საუკეთესო შემთხვევაში ყველა იდეური შეუთანხმებლობა (თუ ასეთი არსებობს) **გვერდით უნდა გადადებულიყო რეჟიმის დამარცხებამდე.** თუმცა „ოცნების“ ბანაკის მხრიდან მოტანილი ყველა მოტივი ერთმანეთის მიყოლებით გაბათილდა; ჯერ ბურჯანაძის მიერ „პუტინისთვის ხელის ჩამორთმევის“ მიზეზი ამოიწურა, რადგან „ოცნებაში“ „ჟირინოვსკისთვის ხელის ჩამომრთმევები“ აღმოჩნდნენ, შემდეგ ბურჯანაძის „ქუჩის აქციების მიმდევრობაზე“ საყვედური გაუაზროვდა, რადგან „ოცნება“ იძულებული გახდა, თავადაც განეცხადებინა, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ქუჩაში გამოვა.

ერთი სიტყვით, დარჩა აუხსნელი სუბიექტური მიზეზები, რის გამოც ივანიშვილის გარშემო გამაგრებულ ძალებს ბურჯანაძის იქ ყოფნა არანაირად არ აძლევთ ხელს. ეს ის ძალებია, რომელთაც დამოუკიდებლად საარჩევნო ბარიერის დაძლევა არ შეუძლიათ. ივანიშვილი მათთვის ლოკომოტივია, ოღონდ ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა მასზე მიბმული ვაგონები კარნახობენ ლოკომოტივს თამაშის წესებს.



**სულ ახლახან ირმა ინაშვილისთვის მიცემულ ინტერვიუში ივანიშვილმა განაცხადა, რომ ყველაზე უარესი შედეგი „ქართული ოცნებისთვის“ საპარლამენტო არჩევნებში მიღებული 40 პროცენტი იქნება.**

ნუ დავწვრილმანდებით და ნუ შევახსენებთ მას, რომ იგი გადამწყვეტი უმრავლესობით გეგმავდა პარლამენტში მოსვლას; ამ 40 პროცენტზე შევჩერდეთ. **ვინ მიიღებს დანარჩენ 60 პროცენტს?**

ივანიშვილი რომ უშვებდეს სხვა ოპოზიციური ძალის გასვლას, მას ელემენტარული პოლიტიკური ლოგიკით გვერდით უნდა იყენებდეს. რაკი არ იყენებს, **ივარაუდება, რომ იმ 60 პროცენტში იგი „ნაცმოძრაობასა“ და მის სატელიტებს გულისხმობს. განა ეს გამარჯვებაა?**

ცხადია, არა.

ეს გამარჯვება იქნება მხოლოდ იმ პარტიებისთვის, რომლებსაც თავად არ შეუძლიათ საპარლამენტო მანდატების მოპოვება, ხოლო „ოცნების“ წყალობით ფრაქციების შექმნის შესაძლებლობასაც კი მიიღებენ. ეს დამარცხებაა ქართველი ხალხისთვის, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის მოცილება სურს. **ბურჯანაძის გამბიტი ამ მხრივ ივანიშვილს შიშველს ტოვებს: მან ან უნდა მოიგოს და დაიცვას საკუთარი ხმები** (რაც ამ კონფიგურაციით ძალიან გაუჭირდება), **ან აგვისტოს ბოლომდე მთლიანად შეცვალოს კოალიციის კონფიგურაცია და ნაციონალური რეჟიმი გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენოს.**

წმინდა პოლიტიკური თვალსაზრისით, ბურჯანაძემ ეს პარტია ივანიშვილს მოუგო. 40-პროცენტიანი „გამარჯვების“ შემთხვევაში ივანიშვილის რეიტინგი მკვეთრად დაეცემა, მაშინ, როცა ბურჯანაძე არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმით ამ შედეგის დადგომისთანავე გაცილებით უფრო მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი კიდევ ერთი წლით რჩება პრეზიდენტად და, შესაძლოა, ექვს თვეში მან თავად დაშალოს პარლამენტი. საარჩევნო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა არჩევნების შედეგები არც გამარჯვებულს აძლევს ხელს და არც დამარცხებულს. **ოქტომბრის არჩევნების გამოტოვებით ბურჯანაძე არაფერს აგებს, ხოლო ივანიშვილი გაუმართლებელ რისკზე მიდის. 2013 წელს კი საპრეზიდენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, რომლისთვისაც საწყისი პირობები ბურჯანაძეს ბევრად უკეთესი აქვს, ვიდრე რომელიმე სუბიექტს „ქართულ ოცნებაში“.**

ამდენად, ბურჯანაძის ნაბიჯი, რომელიც მას ექსპერტებმა ღირსეულად ჩაუთვალეს, ამავე დროს უაღრესად პრაგმატულია. პოლიტიკას კი სწორედ პრაგმატული ნაბიჯები ქმნის და არა მხოლოდ ღირსეული. ამ გამბიტით ბურჯანაძემ ოქტომბრის არჩევნები მომავალ გამარჯვებას შესწირა, ხოლო ივანიშვილს ცაიტნოტი აქვს კონტრგამბიტისთვის; მას ვადა მხოლოდ აგვისტოს ბოლომდე დარჩა.

**ნანა დევდარიანი**

# «სისხლით გამძღარი დემოკრატები»

**ეს ფოტოები 2011 წლის 27 მაისს არის გადაღებული. ქართველთა სისხლით გამძღარი „დემოკრატები“ — გიგა ბოკერია, მიხეილ თავხელიძე, კახა ბენდუქიძე, ანდრეი ილარიონოვი** და სააკაშვილის მიერ განსაკუთრებული „დამსახურებისათვის“ საქართველოს მოქალაქეობა მირთმეული **ოლეგ პანფილოვი** თავდავიწყებით ქეიფობენ. არც სინანული, არც მწუხარება წინა ღამეს მოკლული და ნაგვემი ქართველების გამო მათ არ აწუხებს.

ეს **„ოლეგ-სანდრო“ პანფილოვი** ჩინებულად ართმევს თავს სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმის გამართლებას. ამის საფასურად იგი მაღალ ანაზღაურებას და „ცნობილი“ ჟურნალისტის წოდებას იღებს — რას დაეძებს ქართველების სისხლს?!

**გიგა ბოკერია** რეჟიმის ცინიკური სადამსჯელო ოპერაციების შემოქმედი და განმახორციელებელია. იგი 26 მაისის „წარმატებას“ აღნიშნავს, ხოლო „მიუკერძოებელ“ ექსპერტად გასაღებული **მიშა თავხელიძე,** რომელსაც ქართველები „თავთხელიძეს“ უწოდებენ, აშკარად სიამაყით ივსება, რომ თვით გიგა ბოკერიას ხელის შეხებას ეღირსა!

**კახა ბენდუქიძე** კომენტარის გარეშეა, თუმცა სოციალურ ქსელებში უკვე „დააკომენტეს“: **„ქართული სისხლით გამძღარი „რეფორმატორები“ და კოლაბორაციონისტები თბილისში მოწყობილი სასაკლაოს მეორე დღეს — 27 მაისს ქეიფობენ“!**

სურათის მარცხენა კუთხეში, რუსეთის პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი **ანდრეი ილარიონოვი** ზის; ისიც კომენტარის გარეშეა, თუმცა რა კომენტარი სჭირდება ადამიანს, რომელმაც საზოგადოებას თავი საკუთარი ქვეყნის და პრეზიდენტის ღალატით დაამახსოვრა.

„გამარჯვებულთა“ ეს ნადიმი დაახლოებით ისე გამოიყურება, მილიონობით ებრაელის გაჟლეტის შემდეგ ჰიტლერული ელიტა რომ შეკრებილიყო და ბანკეტი გადაეხადა. **27 მაისს მოქეიფეებო, გეშინოდეთ, ოქტომბერი მოდის!**





ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## იტალიის პროკურატურა ჰიტლერის ეტიკეტიანი ღვინით დაინტერესდა




**იტალიის ქალაქ ვერონას პროკურატურა შეამოწმებს ღვინოს და ლუდს, რომლის ეტიკეტზეც ადოლფ ჰიტლერია გამოსახული. შემოწმება მიზნად ისახავს იმის დადგენას, წარმოადგენს თუ არა ეს ფაშიზმის გამართლებას. ქალაქის მერმა განაცხადა, რომ იგი ამ საქმეში ჩაერევა და „ჰიტლერიანი" ღვინის ლიკვიდაციას მიაღწევს.** ფიურერის ფოტოებით გაფორმებულ ღვინის ბოთლებს ყურადღება ამერიკელმა ებრაელმა ცოლ-ქმარმა მიაქცია. იტალიაში დასასვენებლად ჩასულმა 53 წლის იურისტმა მეტიუ ჰირშმა ცოლისთვის ხილისა და ღვინის ყიდვა გადაწყვიტა და ებრაელების „დაუძინებელი მეგობრის" – ადოლფ ჰიტლერის ფოტოებით გაფორმებული ღვინო შერჩა ხელში. **„ეს არა მარტო ებრაელებს, არამედ მთელ კაცობრიობას შეურაცხყოფს",** – განაცხადა მისმა მეუღლემ — სენდიმ. 2009 წელს იტალიაში უკვე მოხდა სკანდალი იმის გამო, რომ ღვინის ბოთლებზე ადოლფ ჰიტლერი და ბენიტო მუსოლინი იყვნენ გამოსახულნი.

## ქანდაკების «გოგონა ველოსიპედით» ავტორს გასამრჯელო სრულად არ მიუღია

**ბათუმის ბულვარში განთავსებული ქანდაკება „გოგონა ველოსიპედით" შადრევნის შუაში დგას. დამთვალიერებლებმა არ იციან, ვინ არის მისი ავტორი. ბათუმის ბულვარის დირექტორი ვანო ჭეიშვილი ამბობს, რომ ქანდაკება შარშან ზაფხულში აჩუქეს, თუმცა მოქანდაკე მისთვისაც უცნობია: „აქამდე მისი დადგმა ვერ მოხერხდა, რადგან შადრევანი არ იყო გაკეთებული. ქანდაკება გვაჩუქა კომპანია „თბილისის შადრევნებმა" და არც მოქანდაკე ვიცი, ვინ არის".**



livepress.ge-მ გაარკვია, რომ ქანდაკების ავტორი მოქანდაკე მიხეილ წოწორიაა. იგი აცხადებს, რომ დაკვეთა შპს „თბილისის შადრევნებისგან" მიიღო.

**„თბილისში, პლეხანოვის ბაღში, შადრევნისთვის გავაკეთე, მაგრამ შემდეგ რატომღაც ადგილმდებარეობა შეუცვალეს და ბათუმის ბულვარში დაიდგა, პროცესში მეც ვმონაწილეობდი. სახელი მე არ დამირქმევია, მაგრამ იყო იდეა, რომ ნინო დაერქმიათ",** — ამბობს მოქანდაკე და განმარტავს, რომ ჯერჯერობით გასამრჯელო სრულად არ მიუღია.

**„ხელოვანებს ასე გვიწევს შრომა. მასალის თანხა ნაწილობრივ მივიღე. დანარჩენსაც ველოდები. შპს „თბილისის შადრევნების" მენეჯერი ჩემი ახლობელია და მასთან შედგა სიტყვიერი შეთანხმება. რაღაც პრობლემები იყო და გაჭიანურდა თანხის სრულად გადმორიცხვა, თუმცა იმედი მაქვს, რომ დანარჩენსაც გამისტუმრებენ. საუბარია ძალიან მიზერულ თანხაზე. პრინციპში, გამორიცხული არაფერია, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, თანაც ჩემთვის მთავარი მაინც ის არის, ხალხს მოწონდეს ჩემი ქანდაკება",** – ამბობს მიხეილ წოწორია.

ბათუმის ბულვარის დირექტორ ვანო ჭეიშვილის განცხადებით, ეს მეორე ქანდაკებაა, რომელიც ბათუმის ბულვარს საჩუქრად აქვს მიღებული. კიდევ ერთი ნაჩუქარი ქანდაკება თენგიზ სეფიაშვილისგან აქვთ მიღებული, რომელიც ახალ ბულვარში დგას.

## კიდევ ერთი «მილიარდერი» გურიიდან



PROCREDIT
BANK

DATE: 09.08.12
TIME: 11:51
TERMINAL: GBA03012
ADDRESS: 20 DUMBADZE STR.
CARD NUMBER
[redacted]8
TRAN. ID [redacted]3

ACCOUNT NUMBER ?
BALANCE INQUIRY
AVAILABLE -999999999.00 GEL

***THANK YOU***

**ზურაბ კოტრიკაძე „ქართული ოცნების" მხარდამჭერია. კონსერვატიული პარტიის წევრი გასული წლის ნოემბრამდე „ენერგო პრო ჯორჯიას" ჩოხატაურის ფილიალის თანამშრომელი იყო. სწორედ იქ მუშაობის პერიოდში გახსნა სახელფასო ანგარიში საქართველოს ბანკში.**

როგორც კოტრიკაძე ამბობს, სამსახურიდან ჯანმრთელობის პრობლემების გამო წამოვიდა. მას შემდეგ მის სახელფასო ანგარიშზე დიდი თანხა არ ჩარიცხულა: **„ამ ანგარიშს არ ვიყენებდი ხშირად. ხანდახან 20-30 ლარით ვავსებდი. სულ ეს იყო. ნოემბრის შემდეგ ამ ანგარიშზე დიდი თანხა ერთხელაც არ ჩარიცხულა",** — უთხრა „გურია-ნიუსს" ზურაბ კოტრიკაძემ.

მაგრამ ორი დღის წინ ბანკომატთან მისულმა აღმოაჩინა, რომ მის ანგარიშზე მილიარდიანი ჯარიმაა. **„კარდაკარზე" ვმუშაობდი, ამისთვის ანგარიში „ლიბერთი ბანკში" გავხსენი. ჩოხატაურში სხვა ბანკი არ არის, ამიტომაც გუშინ „ლიბერთი ბანკის" ბანკომატზე შევამოწმე „საქართველოს ბანკის" ანგარიში და დავალიანება აღმოვაჩინე — მილიარდს ერთი ლარი აკლია",** — აღნიშნავს „ქართული ოცნების" წევრი.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის შემოწმებისას, **„საქართველოს ბანკის"** ბანკომატი ვალს არ აჩვენებს, თუმცა იმავე პლასტიკური ბარათით, იმავე ანგარიშის შემოწმებისას სხვა ბანკების ბანკომატებზე მილიარდიანი ვალი ფიქსირდება — **„საქართველოს ბანკში"** უთხრეს, ბანკომატის შეცდომა იქნებაო. ამიტომ, **„პროკრეტიდ ბანკის"** ბანკომატზეც შეამოწმა. ისეთივე ქვითარი მიიღო, როგორიც **„ლიბერთი ბანკში."**

**„საქართველოს ბანკის"** წარმომადგენლები ზურაბ კოტრიკაძეს ამ დავალიანების მიზეზს ვერ უხსნიან და ოფისში მისვლას სთხოვენ.

## «კარდაკარმა» სამეგრელოში 15 ათას ამომრჩეველთან კონტაქტი ვერ დაამყარა

**ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ ჩატარებული „კარდაკარის" საველე სამუშაობის ჩატარების დროს კონტაქტი ვერ დამყარდა დაახლოებით 15 ათას ამომრჩეველთან, – უთხრა livepress.ge-ს კომისიის ხელმძღვანელმა რეგიონში კახა ჯიქიამ.**



**„ვერ დამყარდა კონტაქტი ნიშნავს, რომ კონკრეტულ მისამართზე რამდენიმეჯერ მისვლის შემდეგაც არავინ გაუღო კარი ჩვენს რეგისტრატორებს",** — განაცხადა კახა ჯიქიამ. მისივე თქმით, **„კარდაკარმა", რეგიონის მასშტაბით, ამომრჩეველთა სიებში აღმოაჩინა 3 ათასამდე გარდაცვლილი და 20 ათასამდე საზღვარგარეთ გასული.**

კახა ჯიქია ამბობს, რომ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების პროცესი 1 სექტემბრამდე გაგრძელდება, თუმცა, ამომრჩევლის მოთხოვნით, შეიძლება სიების დაზუსტების ვადა კიდევ გაგრძელდეს.

ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ ჩატარებული „კარდაკარის" შედეგად, რეგიონში 369 ათას 943 ამომრჩეველია. აქედან ყველაზე მეტი ამომრჩეველი (129 170) ზუგდიდის მუნიციპალიტეტშია.

ცესკო

## ნაციონალებმა «ზონდერი ქალების» ჯგუფები ჩამოაყალიბეს!

**პარლამენტის ოპოზიციონერ წევრ დიმიტრი ლორთქიფანიძის ინფორმაციით, მმართველმა პარტიამ „ზონდერი ქალების" ჯგუფები ჩამოაყალიბა. დეპუტატის თქმით, „ქალი ზონდერები" ზონდერ-საქმიანობაში ხელფასსაც იღებენ.**

ამის თქმის საფუძველს დეპუტატს კოდის სამხედრო დასახლებაში — დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების ადგილას მომხდარი ინციდენტი აძლევს, რა დროსაც „მეცხრე არხის" ჟურნალისტს, თამარ გოგესაშვილს, ფიზიკურად გაუსწორდნენ.

**„თამარ გოგესაშვილი კოდის დევნილთა კომპაქტურად დასახლების ადგილზე იქ არსებული ვითარების შესწავლისა და გადაღების მიზნით მივიდა, თუმცა მას ზონდერი ქალები დახვდნენ, დასახლებაში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს და ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. ეს ქალები არიან: თამარ ტურაშვილი, სონია მენაბდე, მაკა ხადური და მარიკა ტუაევა, რომლებიც, ჩემი ინფორმაციით, ინციდენტის დროს ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ზონდერ ქალებს კოორდინაციას უწევს ზედამხედველი ზონდერი, ვინმე ზურაბ რომელაშვილი. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, ისინი**



**არარსებულ სამსახურებში არიან გაფორმებული დამლაგებლად, მზარეულად და სინამდვილეში კი 108-ლარიან ხელფასს ზონდერობაში იღებენ. მათი ზედამხედველის ანაზღაურება კი 1500 ლარია",** — განუცხადა „პირველს" ლორთქიფანიძემ.

დეპუტატის თქმით, კოდაში მომხდარ ინცინდენტს ჰყავს მოწმეც – დევნილი სვეტა ჩხვიმიანი, რომელმაც მომხდარი გააპროტესტა და ამის გამო მას ზურაბ რომელაშვილი სახლში შეეჭრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ლორთიქფანიძე აცხადებს, რომ ამ ინციდენტით სახეზეა სისხლის სამართლის დანაშაული, რომლითაც პროკურატურა უნდა დაინტერესდეს.

დეპუტატის თქმით, სვეტა ჩხვიმიანს აქვს 40-წამიანი ვიდეო, რომელიც მისმა ქალიშვილმა გადაიღო და მზადაა, ის სამართალდამცველ ორგანოებს გადასცეს.

## გეიპროპაგანდის ამკრძალავი კანონის ავტორი მადონას სასამართლოში უჩივის

**პეტერბურგის სათათბიროს მიერ დამტკიცებული გეიპროპაგანდის ამკრძალავი კანონის ავტორი ვიტალი მილონოვი მადონას სასამართლოში უჩივლებს. მისი განცხადებით, მადონამ 9 აგვისტოს კონცერტზე კანონი დაარღვია, რომელიც კრძალავს გეიპროპაგანდას არასრულწლოვანთა მიმართ.**

**„არსებობს კონცერტის ვიდეოჩანაწერი. იქ 12 წლის ბავშვებიც იყვნენ",** – აცხადებს მილონოვი. მადონა კონცერტამდეც აცხადებდა, რომ ლგბტ-ს აქტივისტების მხარდაჭერას აპირებდა. კონცერტის წინ დამსწრეებს ვარდისფერი სამაჯურები დაურიგეს. შოუს დასაწყისში მადონამ მაყურებელს მოუწოდა, სამაჯურიანი ხელები აეწიათ ლგბტ-ს საზოგადოების მხარდასაჭერად. აღსანიშნავია, რომ ამ მოწოდების შემდეგ ბევრმა მაყურებელმა სამაჯური მოიხსნა.

გარდა ამისა, კონცერტის დროს მადონამ მაისური გაიხადა და დარბაზს შიშველი ზურგი უჩვენა, რომელზეც ეწერა: „არა შიშს". მან ასევე სცენაზე გამოიტანა ცისარტყელას პლაკატი იმავე წარწერით.

სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორმა გიორგი პოლტავჩენკომ კანონს გეიპროპაგანდის აკრძალვის შესახებ ხელი 2012 წლის 11 მარტს მოაწერა. ამ კანონის დამრღვევმა მოქალაქემ 5 ათასი რუბლის, ხოლო თანამდებობის პირმა 50



ათასი რუბლის ჯარიმა უნდა გადაიხადოს, იურიდიულმა პირმა კი 250-დან 500 ათას რუბლამდე. კანონი ძალაში 30 მარტს შევიდა.

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მაინა კიაიმ „ოპოზიციური პარტიების, პროფკავშირული გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების წინააღმდეგ დაშინებებისა და ზეწოლის ატმოსფეროს ინტენსიფიკაციის“ გამო შეშფოთება გამოხატა.**

# ალისტრახოს «მსუბუქი კავალერია» და გიგა ბოკერიას მელაძუობა

**უცხოეთის ბეჭდვითი მედია თანდათან თავისუფლდება მიხეილ სააკაშვილის ხიბლისგან, რომელიც მანვე შექმნა, ვერ ვიტყვით, რომ ყოველთვის უანგაროდ. თანდათანობა კი იმაში გამოიხატება, რომ კრიტიკულ პუბლიკაციებში, რომლებიც დღეს ასე მომრავლდა, ხარკის მოხდასავით ახსენებენ სააკაშვილის „რეფორმებს“, მის „დემოკრატიულ შუქურობას“. რაღაცით ხომ უნდა იმართლონ თავი, როცა მათი ნაქები საქონელი გაფუჭდა, ვადა გაუვიდა, ახლა ჯანმრთელობისთვის საშიშია.**


ალისტრახო „მუშაობს“

Associated Press-ის კორესპონდენტი **მარია დანილოვა** ამ კვალში დგას და კრიტიკულ პათოსზე „სააკაშვილის კრიტიკოსების“ „ბუფერული პლატფორმის“ დახმარებით გადადის: **„კრიტიკოსთა თქმით,** — წერს იგი, — **სააკაშვილის რეფორმები დემოკრატიული თავისუფლების ხარჯზე გატარდა“.**

მარია დანილოვა ყოფილი „კავეენშჩიკის“, ალისტრახოს, „მსუბუქ კავალერიას“ გაული ზიანებია განსაკუთრებით და წერილსაც ასე იწყებს:

სადაც გინდა წავიდეს, ჟურნალისტ **ეკა დუგლაძეს** ვიდეოკამერებით აღჭურვილი კაცების ჯგუფი დასდევს. ისინი ამბობენ, რომ ჟურნალისტები არიან, პირში მიკროფონებს სჩრიან, თავს აბეზრებენ უაზრო შეკითხვებითა და ვულგარული შენიშვნებით.

**დუგლაძე, რომელიც ოპოზიციის მიერ დაფინანსებულ საინფორმაციო სააგენტოში მუშაობს, ამტკიცებს, რომ ისინი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დამქაშები არიან და მის სადევნად არიან გამოგზავნილნი.**

„ისინი მხოლოდ მუშაობაში კი არ მიშლიან ხელს, გადაადგილებასაც მიზღუდავენ, — ამბობს დუგლაძე. — **აი ასე უპასუხებს ხელისუფლება ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს“.**

სააკაშვილი იკვეხნის, რომ საქართველო „დემოკრატიის შუქურად“ იქცა მას შემდეგ, რაც 2004 წელს ის პრეზიდენტად აირჩიეს. მაგრამ ოპონენტები ამბობენ, რომ დემოკრატია კლებულობს: **ოპოზიციის ლიდერები, დამკვირვებლები და ჟურნალისტები დაშინების თაობაზე განცხადებებს აკეთებენ და მთავრობას განსხვავებული აზრის წინააღმდეგ საბჭოთა მეთოდებით ბრძოლაში ადანაშაულებენ.**

სამხრეთ კავკასიის სტრატეგიულ წერტილში მდებარე ეს პატარა ქვეყანა რეგიონში დასავლეთის ყველაზე ერთგული მოკავშირეა. შეერთებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ისინი ყურადღებით დააკვირდებიან ოქტომბრის არჩევნებს და დემოკრატიის მდგომარეობას ამ ქვეყანაში.

არჩევნების წინ **ბიძინა ივანიშვილს**, მულტიმილიარდერს, რომელიც საქართველოში ყველაზე დიდ ოპოზიციურ ჯგუფს უდგას სათავეში, კოლოსალური ჯარიმები დააკისრეს და მოქალაქეობა წაართვეს. გასულ თვეს საერთაშორისო უფლებადაცვითმა ჯგუფმა „საერთაშორისო გამჭვირვალობამ“ მთავრობას „არჩევნების წინ ოპოზიციის წინააღმდეგ ძალადობის შეწყვეტისკენ“ მოუწოდა. თებერვალში **გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა მაინა კიაიმ „ოპოზიციური პარტიების, პროფკავშირული გაერთიანებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წევრების წინააღმდეგ დაშინებებისა და ზემოქმედების ატმოსფეროს ინტენსიფიკაციის“ გამო შეშფოთება გამოხატა.**

2007 წელს პოლიციამ ცრემლმდენი გაზი გამოიყენა იმ დემონსტრაციის შესაწყვეტად, რომელიც სააკაშვილის გადადგომას მოითხოვდა და დამოუკიდებელი ტელეკომპანიის მუშაობა აკრძალა. **სააკაშვილის პოპულარობა დაეცა რუსეთთან 2008 წლის გამანადგურებელი ხუთდღიანი ომის შემდეგაც. ამ ომმა დააზიანა გაღატაკებული ქვეყნის ინფრასტრუქტურა, ათიათასობით ადამიანი ლტოლვილად აქცია და განამტკიცა რუსეთის ძალაუფლება ორ სეპარატისულ რეგიონზე.**

შარშან პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა საპროტესტო გამოსვლა, რომელიც დღეების განმავლობაში მიმდინარეობდა დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე. პოლიციელი და მოქალაქე დაიღუპნენ, როდესაც მათ დიდი სიჩქარით მიმავალი მანქანა დაეჯახა.

**56 წლის ივანიშვილმა, რომლის პარტიასაც „ქართული ოცნება“ ეწოდება, თავისი ქონების (6,4 მილიარდი დოლარი) დიდი ნაწილი რუსეთის საბანკო და სამთო ინდუსტრიაში დააგროვა და ასობით მილიონი დოლარი საქართველოში, საქველმოქმედო პროექტებში დახარჯა.**

ივანიშვილის მოსვლამ ახალი ენერგია შესძინა და გააერთიანა დანაწევრებული ოპოზიცია და იგი სააკაშვილის მთავარ ოპონენტად იქცა.

„ქართული ოცნება“ ძალას იკრებს. ამერიკული ორგანიზაციის „ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტის“ მიერ ივნისში ჩატარებული გამოკითხვა ცხადყოფს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობს 36 პროცენტით, მაგრამ თებერვალში მას 47 პროცენტი ჰქონდა, ხოლო ქართული ოცნების მაჩვენებელმა 10 პროცენტიდან 18 პროცენტამდე მოიმატა.

— **მე მას ნიღაბი ჩამოვხსენი: ის არ არის დემოკრატი, ის ნამდვილი დიქტატორია,** — უთხრა ივანიშვილმა „ასოშეიტედ პრესს“ ინტერვიუში, რომელიც სააგენტოს ზღვისპირა ქალაქ ბათუმთან მდებარე რეზიდენციაში მისცა, — **აქ დემოკრატიის სუნიც კი არ დგას.**

მას შედეგ, რაც ივანიშვილმა თავისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ განცხადება გააკეთა, მის წინააღმდეგ უამრავი საქმე აღიძრა.

მთავრობამ შარშან ივანიშვილს ქართული პასპორტი წაართვა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დაბადებით ქართველია, მას ფრანგული პასპორტიც აქვს (ის წლების მანძილზე ცხოვრობდა საფრანგეთში), ხოლო საქართველოში აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა. ამან რეალურად ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობა აუკრძალა, თუმცა **დასავლეთის პოზიციამ შეარბილა სააკაშვილი და მან მიიღო კანონი, რომელიც ევროკავშირის მოქალაქეებს არჩევნებში კენჭისყრის უფლებას აძლევს.**

ივანიშვილს რუსული პასპორტიც ჰქონდა, რადგან 1990-იან წლებში რუსეთში ცხოვრობდა, მაგრამ მან უარი თქვა რუსეთის მოქალაქეობაზე, როდესაც კამპანია დაიწყო.

ხელისუფლებამ ივანიშვილი თანამგზავრული თეფშების უფასოდ დარიგების, თავისი პარტიისთვის მანქანების შეთავაზებისა და საარჩევნო დაფინანსების სხვა წესების დარღვევის გამო ამომრჩეველთა მოსყიდვაში დაადანაშაულა და ათობით მილიონი დოლარით დააჯარიმა.

**ივანიშვილის მთავარ მოკავშირეს, ფეხბურთელ კახი კალაძეს, საბანკო ანგარიშები დაუყადაღეს და ფულის გათეთრებაში ეჭვმიტანილად დაასახელეს. პარასკევს თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, რომ კალაძის შემოწირულობა ივანიშვილის „ქართული ოცნებისთვის“ უკანონო იყო და მას ერთ კვირაში 10 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. მისი ანგარიშები დაბლოკილია.**

ამასობაში ივანიშვილის აქტივისტები ჩივიან, რომ ადგილობრივი მმართველები ხელს უშლიან კამპანიის ჩატარებასა და ამომრჩევლებთან შეხვედრებში მთელი საქართველოს მასშტაბით.

**„იმის გამო, რომ აღარაფერს ერიდება, რათა დაბლოკოს ლეგიტიმური პოლიტიკური მეტოქე, სააკაშვილმა, გარკვეული თვალსაზრისით, თავისი, როგორც დემოკრატის, რეპუტაცია შელახა“,** — ამბობს **ჯემა ფირსტი** — ევრაზიის ჯგუფის კავკასიის საკითხთა ექსპერტი.

**ნოდარ ჩაჩუა, ჟურნალისტი, რომელიც ივანიშვილის მიერ დაფინანსებულ ტელევიზიაში მუშაობს, უშიშროების ჩინოვნიკებს ბრალს სდებს იმაში, რომ მას თავისი კოლეგებისა და ივანიშვილის თვალთვალი მოსთხოვეს.** ჩაჩუას ემუქრებოდნენ, რომ, თუ ის უარს იტყოდა თანამშრომლობაზე, გავრცელდებოდა ვიდეო, რომელზეც ასახულია მისი სექსუალური კავშირი ყოფილ მეგობარ ქალთან.

**„ეს დემოკრატია არ არის, ეს საზოგადოებისადმი დამოკიდებულების ტიპური საბჭოთა მეთოდია“,** — ამბობს, 26 წლის ჩაჩუა, რომელიც „მეცხრე არხზე“ მუშაობს. ამ არხის მფლობელი ივანიშვილის ცოლია. პროკურატურა მის საჩივარს იძიებს.

**გიგა ბოკერია, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი და სააკაშვილის მთავარი მოკავშირე, უარყოფს ბრალდებებს იმის შესახებ, რომ სიტყვის თავისუფლება საფრთხის ქვეშაა** და ამბობს, რომ რეალურად მთავრობა იტანს უწესრიგო და ყველაფერზე წამსვლელ მედიაგარემოს. ის არ გააკეთებს კომენტარს ჩაჩუას ბრალდებებზე, სანამ გამოძიება არ დასრულდება.

ქართული მედია **„არის ძალიან აქტიური და კრიტიკული და ხანდახან ამჟამინდელი მთავრობისადმი აგრესიულ გზავნილებსაც ავრცელებს, რაც სრულიად ლეგიტიმური და კანონიერია“,** — უთხრა ბოკერიამ AP-ს.

უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ახსენებს ახლახან მიღებულ კანონს, რომელმაც გაზარდა იმ სატელევიზიო არხების ხელმისაწვდომობა, რომლებიც კრიტიკული არიან მთავრობისადმი. ასე იქნება არჩევნებამდე ორი თვის განმავლობაში და ეს ფაქტი უშიშროების საბჭოს მდივანს თავისუფალი სიტყვისადმი მთავრობის ერთგულების დასტურად მოჰყავს.

ბოკერია ამბობს, რომ კაცები, რომლებიც დუგლაძეს დასდევენ, კონკურენტი რეპორტიორები არიან და მათ მიბაძეს ოპოზიციური მედიასაშუალების აგრესიულ მეთოდს (?!).

**„ეს ახალი ტაქტიკა თავად „ინფო 9“-მ დანერგა და მერე ამაზე ასე ირეაგირეს – გადაიღეს მათი ქცევა ადგილობრივ საჯარო მოხელეებთან,** — ამბობს ბოკერია. — **ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ იმას, თუ როგორ იქცევა მედიასაშუალება ამა თუ იმ მხარეს“.**

**მარია დანილოვა,**
**Associated Press**

**P.S.** ჩვენს მკითხველს გაუკვირდებოდა, ცნობილ დემაგოგს გიგა ბოკერიას, სხვა პასუხი რომ გაექცა.

თვალთმაქცობს, მელაძუობს, როგორც ყოველთვის, და ნაციონალ-ბოლშევიკების პროვოკატორულ მეთოდებს სხვებს აბრალებს. არსად, არც ერთხელ, არავის დაუფიქსირებია ეს „ახალი დევნის ტაქტიკა“, როგორც ბოკერია აფასებს, — ალისტრახოელებმა შემოიღეს პატრონების კარნახით, შემსრულებლებიც იგივენი არიან.

## ინდოელ მამაკაცს 38 წელი არ უბანავია

**66 წლის ინდოელ კაილაშ საინს 38 წელი არც უბანავია და არც თმა შეუჭრია. კაილაშმა 1974 წელს ცოლი შეირთო და პირობა დადო, რომ ვიდრე ბიჭი არ შეეძინებოდა, არც თმას შეიჭრიდა და არც იბანავებდა.** ინდოელი პირობას დღემდე იცავს, ვინაიდან ვაჟი ჯერ არ შეძენია, თუმცა უკვე 7 ქალიშვილის მამაა. როგორც კაილაში ამბობს, დადებულ პირობას არ დაარღვევს და მხოლოდ მაშინ იბანავებს, როდესაც ნანატრი ვაჟი შეეძინება. ინდოელის თქმით, მართალია, არ ბანაობს და თმას არ იჭრის, მაგრამ ჰიგიენის წესებს იცავს: კაილაში ყოველდღე კოცონს ანთებს და „ალის შხაპს“ იღებს.

## უტერფებო ბიჭი «ბარსელონაში» მიიწვიეს

**11 წლის ბრაზილიელმა გაბრიელმა, რომელიც ორივე ტერფის გარეშე დაიბადა, საფეხბურთო კლუბ „ბარსენოლას“ მესვეურები გააოგნა.** ვირტუოზი ბიჭუნა, საოცარი სპორტული მონაცემებით, უკვე მიწვეულია ესპანეთში. გაბრიელი პირველი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდია, რომელიც „ბარსელონას“ იუნიორთა სკოლაში მიიღეს. მეოთხეკლასელი გაბრიელი, რომელიც ყველა ბრაზილიელი ბიჭის მსგავსად ფეხბურთით ცხოვრობს, თანატოლებისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ დაბადებიდან სპეციალურ პროთეზებს ატარებს. „ბარსელონა“ გაბრიელით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ერთი თვის წინ ბრაზილიურმა სატელევიზიო არხმა მასზე ვრცელი რეპორტაჟი მოამზადა. 11 წლის ბიჭმა მეორე დღესვე მიიღო მოწვევა „ბარსელონას“ საზაფხულო სკოლიდან, რომელიც კლუბმა რიო-დე-ჟანეიროში მოაწყო.

საააკაშვილის თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყანა კიდევ უფრო გახლეჩილია, მისი დემოკრატია კი — კიდევ უფრო მოწყვლადი, ვიდრე ოდესმე ამ ქვეყნის პოსტსაბჭოთა ისტორიაში. სააკაშვილის პერსონალური ინსტიქტები კი თითქოს სულ უფრო ავტორიტარული ხდება.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჰანს ვან ბალენი:

# «ვარდების რევოლუცია» უფერულდება

## ევროპარლამენტარი დემოკრატიას გვიწუნებს

**მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი წინასაარჩევნოდ საკუთარი თავის გასამხნევებლად „ხალხის მასების“ წინაშე სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის გალვიძებული და მოძალებული ინსტიქტებით იწყებს ყელყელაობას — ისღა მაკლია, ჩემი აშენებული ქვეყანა ამათ გადავაბაროო, ხან იმას ყვება, თუ როგორ დაფრთხნენ ათეულობით „ბეტეერზე ამხედრებული“ რუსი ჯარისკაცები საქართველოსთან გაიგივებული მისი სახელის ხსენებაზე და ფოთის კარიბჭიდან უკანმოუხედავად გაბრუნდნენ, ევროპარლამენტარი ლიბერალი, ჰოლანდიელი ჰანს ვან ბალენი European Voice.com-ში აქვეყნებს წერილს, რომელშიც ამტკიცებს, რომ „საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად საქართველოს დემოკრატიას თითქოს სულ უფრო მეტი საფრთხე ემუქრება“.**

**ეს „თითქოს“ სტატიაში თანდათან უფერულდება, როგორც ე. წ. რევოლუციის ე. წ. ვარდები.**



ასე იწყებოდა მიშა

რევოლუციებს ერთი საძაგელი თვისება აქვს, — **წერს ავტორი,** — მათ სიტუაციის წარსულ პოზიციებზე დაბრუნება ახასიათებს. ეგრეთ წოდებულმა არაბულმა გაზაფხულმა, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინათ ასეთი იმედისმომცემი იყო, იმედგაცრუება და წუხილი დატოვა. 2004 წლის უკრაინის „ნარინჯისფერმა რევოლუციამ“ უარი უთხრა ვიქტორ იანუკოვიჩის მმართველობას, თუმცა დღეს ის ძლევამოსილი პრეზიდენტია, ხოლო მისი მთავარი ოპონენტი იულია ტიმოშენკო, 2004-05 წლების გარდაქმნების სიმბოლო, ციხეშია...

**საკუთარი ხიბლი „ვარდების რევოლუციამაც“ დაკარგა. სააკაშვილის თითქმის ათწლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყანა კიდევ უფრო გახლეჩილია, მისი დემოკრატია კი — კიდევ უფრო მოწყვლადი, ვიდრე ოდესმე ამ ქვეყნის პოსტსაბჭოთა ისტორიაში. სააკაშვილის პერსონალური ინსტიქტები კი თითქოს სულ უფრო ავტორიტარული ხდება.**

ოქტომბერში საქართველო ახალ პარლამენტს ირჩევს – მალევე მას შემდეგ, რაც არჩევნები ჰოლანდიაში, ჩემს ქვეყანაში, ჩატარდება. მაგრამ იმ თვალსაზრისით, თუ რა დევს სასწორზე, ამ ორ ქვეყანას შორის შეიძლება დიდი სხვაობა იყოს. ჰოლანდია, ჩვეულებრივ, შეთანხმებულ კოალიციებს ირჩევს, რაც ზოგჯერ მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს აერთიანებთ. **საქართველო კი მკვეთრად პოლარიზებულია და არ იქნება გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ ამ არჩევნებს შეუძლია ქვეყნის ისედაც მყიფე დემოკრატიის როგორც კონსოლიდაცია, ასევე დანაწევრება.**

მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა ამ ორ დამდეგ არჩევნებს შორის არის ის, თუ რამდენად მაღალია საქართველოში პერსონალიებზე აქცენტის ხარისხი. **არ მიმდინარეობს, ფაქტობრივად, არანაირი დისკუსია პოლიტიკურ პროგრამებზე, ამ პროგრამების მემარცხენე ან მემარჯვენე ხასიათზე. პოლიტიკური დისკურსი დიდწილად საქართველოს საგარეო ურთიერთობების თემით შემოიფარგლება და მას ფონად სააკაშვილის რუსეთისადმი ზიზღი გასდევს.**

პერსონალიებზე ფოკუსირება უდავოა, რადგან ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სააკაშვილის დომინირება პირველად დგას ყველაზე სერიოზული გამოწვევის წინაშე. **ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი და მისი კოალიცია „ქართული ოცნება“ სულ უფრო სერიოზულ საფრთხეს უქმნის სააკაშვილის ხელისუფლებაში დარჩენას.** და იმის გამო, რომ სააკაშვილმა იცის, რომ არცთუ დიდი მიღწევები აქვს, რომლის გამოც შეუძლია შემდგომი მხარდაჭერა მოითხოვოს, იგი ივანიშვილის წინააღმდეგ პერსონალურ თავდასხმებზე გადავიდა. შეგიძლიათ ამას უწოდოთ „ივანიშვილიფიკაცია“.

**ყოველთვის, როცა ივანიშვილს ახასიათებენ, დასავლურ გაზეთებშიც კი, მის მილიარდერობაზე ისე წერენ, თითქოს წარმატება სალანძღავი სიტყვა იყოს, სიმდიდრე კი — პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან შეუსაბამო. სააკაშვილი მუდმივად გმობს ივანიშვილის მიერ დაქირავებულ კონსულტანტებს, რომლებიც ცდილობენ, ხაზი გაუსვან ქვეყნის მომავალზე „ქართული ოცნების“ ალტერნატიულ ხედვას, და ცდილობს იმ ფაქტის მიჩქმალვას, რომ სააკაშვილის მთავრობას ქართველ გადამხდელთა დიდი თანხები აქვს დახარჯული პირადად მისი და მისი მთავრობის რეკლამირებისთვის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირში, მათ შორის, კრემლთან პიაროში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდეგ.**

პერსონალური თავდასხმები პოლიტიკას ახასიათებს, თუმცა თავდასხმები, რომლებიც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგაა მიმართული, სცდება დემოკრატიაში მიღებული წესების საზღვრებს. ადგილი აქვს „ქართული ოცნების“ ელექტორალური პერსპექტივის შერყევის სისტემატურ მცდელობას სისხლის სამართლის საქმეების აღძვრით, პრესის მანიპულაციითა და დაშინებით.

**როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიების გლობალური ოჯახის, საერთაშორისო ლიბერალების პრეზიდენტი, მე ვაცხადებ, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ ორი პარტია საერთაშორისო ლიბერალების წევრია. მაგრამ როგორც ყველა დემოკრატს, მე მჯერა, რომ დემოკრატია თავისთავად გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე პარტია ან მოძრაობა. ქართველებს სჭირდებათ სტაბილური, სამართლიანი და კონკურენტული პოლიტიკური გარემო, რომელშიც ისინი შეძლებენ თავიანთ მომავალზე თავისუფალი არჩევანის გაკეთებას.**

თუმცა ეს, როგორც ჩანს, ნაკლებსავარაუდოა. **საქართველოში პოლიტიკური სიტუაციის სიმწვავეს სულ უფრო ხმამაღლა აკრიტიკებენ წამყვანი უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები.** შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა სულ ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, რომელიც ნათელს ჰფენს საქართველოში არსებულ სერიოზულ პრობლემებს. **ევროკავშირმაც კი, რომელსაც პირდაპირი საუბარი არ ახასიათებს, გააფრთხილა სააკაშვილი, რომ ელოდება თავისუფალ, სამართლიან და გამჭვირვალე არჩევნებს, და ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს, უწინარეს ყოვლისა, მისი პასუხისმგებლობაა.**

ისეთი ქვეყნისგან, როგორიც საქართველოა, ერთ ღამეში მტკიცე დემოკრატიას ვერ მივიღებთ. მაგრამ ევროკავშირმა მკაფიოდ უნდა განუმარტოს თბილისს, რომ საქართველოსადმი მისი ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა დემოკრატიის გაძლიერებაზე და არა მის შესუსტებაზეა დამოკიდებული. **პოლიტიკა საქართველოში და, მით უფრო, დებატები, რომლებიც ევროპაში საქართველოს პოლიტიკასა და პოლიტიკურ პერსონალიებზე გვაქვს, უნდა გასცდეს პირად მტრობას, ერთმანეთისთვის ტალახის სროლას და წარიმართოს მომავალზე ორიენტირებული მოწიფული დისკურსისკენ.** საქართველო ბევრი საშინაო და საგარეო გამოწვევის წინაშე დგას, მაგრამ ქართველებს არ აქვთ უფლება, საფრთხე შეუქმნან დემოკრატიას.

**ჰანს ვან ბალენი,**

ევროპარლამენტის ლიბერალი ჰოლანდიელი წევრი

# სურსათის მსოფლიო ფასები მკვეთრად გაიზარდა

**გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით, ივლისში სურსათის მსოფლიო ფასები 6 პროცენტით გაიზარდა სამთვიანი გაიაფების შემდეგ. გაძვირება, პირველ რიგში, მარცვლეულსა და შაქარს შეეხო.**



FAO-ს შეფასებით, სასურსათო ნედლეულის ერთობლივმა ინდექსმა 213 პუნქტი შეადგინა, რაც 12 პუნქტით მეტია, ვიდრე ერთი თვის წინ იყო. თუმცა ეს მაჩვენებელი 2011 წლის თებერვლის 238-პუნქტიან რეკორდს ვერ მიუახლოვდა. მარცვლეული კულტურების ფასების ინდექსი 260 პუნქტია. ფასების მატება აშშ-ში გვალვითა და რუსეთში მოსავლის დაბალი პროგნოზით აიხსნება. ხორცის ფასი დაბალ დონეზე რჩება და იკლებს კიდეც, რძის პროდუქტებზე კი ფასები შენარჩუნებულია.

საქართველოში, როგორც ყოველთვის, მსოფლიო ფასების ცვლილება მხოლოდ ცალმხრივად მოქმედებს: როცა იქ ძვირდება, ფასები ჩვენთანაც იმატებს, ხოლო როცა იქ იაფდება, ჩვენთან ფასი ისევ მაღალ დონეზე რჩება. თუ საქართველოს მონაცემებსაც ითვალისწინებს, მაშინ მსოფლიო ფასების ინდექსი მთლად სარწმუნოდ ვერ უნდა გამოიყურებოდეს.

# საკეისრო კვეთა უარყოფით გავლენას ახდენს თავის ტვინზე

**ბუნებრივი მშობიარობისას, საკეისრო კვეთისგან განსხვავებით, ბავშვის თავის ტვინში ირთვება სპეციფიკური ცილის გამომუშავება, რომელიც ზრდის პროცესში ტვინის სტრუქტურების განვითარებას, ასტიმულირებს და ზრდასრულობისას ტვინის ფუნქციებს არეგულირებს. ამ დასკვნამდე იელის სამედიცინო სკოლის მკვლევარები მივიდნენ.**

საუბარია ცილაზე UCP2, რომელიც ნეირონული კავშირების განვითარებას არეგულირებს ჰიპოკამპუსში. ტვინის ეს ნაწილი ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებაზე, სივრცეში ორიენტაციაზე, ემოციების ფორმირებაზეა პასუხისმგებელი. ამ ცილის ერთ-ერთი საკვანძო ფუნქციაა დედის რძეში შემავალი ცხიმოვანი მჟავების უტილიზაციაში მონაწილეობა, რომელიც ნეირონებისთვის საჭირო ენერგიას გამოიმუშავებს.

ბუნებრივი მშობიარობისას ფიზიოლოგიური სტრესი ამ ცილის გამომუშავებას აღძრავს, ხოლო საკეისრო კვეთისას მისი დონე ძალიან დაბალია. **„კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ცილა UCP2 საკვანძო როლს ასრულებს თავის ტვინის ფორმირებასა და განვითარებაში. უკანასკნელ ხანებში არასამედიცინო ჩვენებით გახშირებულ საკეისრო კვეთას შეიძლება კაცობრიობისთვის ისეთი უარყოფითი გრძელვადიანი შედეგები მოჰყვეს, რაზეც ჩვენ ადრე წარმოდგენა არ გვქონდა“,** — აცხადებს მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი ტამას ხორვატი.

საქართველო და მსოფლიო
მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რასაც ჩაგვჩიჩინებს დღევანდელი ტენდენციური მასმედია ისეთ მოვლენაზე, როგორიც მეორე მსოფლიო ომია, რაც სახელდახელოდ გადაკეთებულ სახელმძღვანელოებშია ჩაწერილი ან დაინტერესებული სპონსორების მიერ კარგად დაფინანსებულ ფილმებშია გადმოცემული, პოლიტიკური დაკვეთაა, ან დილეტანტების უვიცობის ნაყოფია, ან დაგეგმილი პიარკამპანიის წარმავალი ამოცანა.**

# ოთხი გავრცელებული დასავლური მითი მეორე მსოფლიო ომის შესახებ

**ეს წერილი უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის მომზადებული. „საქართველო და მსოფლიოს“ მიკერძოებულ პუბლიკაციაში ბრალს ვერავინ დასდებს. ისტორია ამ შემთხვევაშიც კანონზომიერად მიდის ჭეშმარიტებისკენ: დრონი სიმართლის სასარგებლოდ ღალადებენ.**



**ამბობენ, რომ ისტორიას გამარჯვებულები წერენ, რომელთაც არ ასამართლებენ.**

**დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ისტორია პოპულარულ, გავრცელებულ, მოცემული პერიოდისთვის დაკანონებულ შეხედულებათა გათვალისწინებით იწერება.**

**სიმართლე შემდეგ მოდის, როგორც ამღვრეული წყლის დაწმენდის შემთხვევაში ხდება, გნებავთ, მაჭრის დაღვინების შემდეგ.**

**ამიტომ, რასაც ჩაგვჩიჩინებს დღევანდელი ტენდენციური მასმედია ისეთ მოვლენაზე, როგორიც მეორე მსოფლიო ომია, რაც სახელდახელოდ გადაკეთებულ სახელმძღვანელოებშია ჩაწერილი ან დაინტერესებული სპონსორების მიერ კარგად დაფინანსებულ ფილმებშია გადმოცემული, პოლიტიკური დაკვეთაა, ან დილეტანტების უვიცობის ნაყოფია, ან დაგეგმილი პიარკამპანიის წარმავალი ამოცანა.**

**შორს რომ არ წავიდეთ, ამის სახიერ მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შესახებ ჰოლივუდში გაკეთებული ბლოკბასტერი გამოდგება, მაგრამ ეს წვრილმანია...**

## 1. ფაშისტებს ბედი არ სწყალობდათ, თორემ მოიგებდნენ ომს

**გერმანია 40-იან წლებში ისეთი სამხედრო კოლოსი იყო, რომლის შეტევას ვერ გაუძლებდა მთელი პლანეტა, მაგრამ რაიხმა ორიოდ უმნიშვნელო შეცდომა დაუშვა. ასეთია ამ სულელური იდეის ლოგიკა, რომელსაც პუბლიცისტები მწარე სატირით უპასუხებენ.**

**რატომაა ეს სისულელე:**

თქმა იმისა, რომ ჰიტლერმა საგულდაგულოდ აწონ-დაწონა გადაწყვეტილება ომის თაობაზე, ნიშნავს იგნორირებას უეჭველი ფაქტისა, რომ ამის განსახორციელებლად მას ზებუნებრივი იღბალი უნდა ჰქონოდა. მაგალითად, ბედის ისეთი გაღიმება, როგორიც 1938 წელს მასზე მოწყობილი თავდასხმის დროს უვნებლად გადარჩენა იყო. ეს კი მოხდა მანამდე, სანამ იგი თავის საომარ გეგმებს წარადგენდა.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ვერასოდეს წაიწევდა ასე შორს, ასე მაღლა ვერ ავიდოდა, მამამისს თავის დროზე რომ არ შეეცვალა თავისი არაპრესტიჟული გვარი — შიკლგრუბერი.

მაგრამ მთავარ მიზეზად რჩებოდა საბჭოთა კავშირი. დღეს დასავლეთში დამკვიდრებული და აღიარებულია აზრი, რომ ჰიტლერს (ან ვინც გინდა ყოფილიყო მის ადგილზე) საბჭოთა კავშირთან ომის მოგების ისეთივე შანსი ჰქონდა, როგორც თოვლის გუნდებით შეიარაღებულ კაცს ნავთისძრავიანი ხერხით აღჭურვილ მარკ ტაისონის დამარცხების.

დიახ, ჰიტლერმა სატკეპნით გადაუარა ევროპას, კუთხეში მიიმწყვდია ბრიტანეთი და უფრო უარესის გაკეთება შეეძლო. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მას ელოდა სტალინი და ჰიტლერი ვერასოდეს შეძლებდა იმ ომის მოგებას.

თქვენ თუ გგონიათ, რომ ჰიტლერი იდიოტი იყო, მაშინ მომდევნო მითს მივადგებით.

## 2. ჰიტლერი ბოროტი გენია იყო

**რატომაა ეს სისულელე:**

**ნუ დავწვრილმანდებით, როცა საქმე ჰიტლერს ეხება და ერთი მომენტი გავარკვიოთ: გაქვთ თუ არა წარმოდგენა, ვინ უნდა იყოს აბიტურიენტი, ხელოვნების სკოლაში რომ არ მიიღონ? კრის ოფილი ამ სკოლაში მოეწყო, მიუხედავად იმისა, რომ ფეკალიებით (ღმერთო, გვაპატიე!) ღვთისმშობელი დახატა.**

ჰიტლერმა მოახერხა და მისაღებ გამოცდაზე ჩაიჭრა. ორჯერ. და მისი ჩავარდნები კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. ის ერთდროულად უვარგისი იყო ყველაფერში და, ამასთან, — არაჩვეულებრივად იღბლიანი.

მისი მიუნჰენის პუტჩი თავისი არსით იყო რაღაც მსგავსი მოწოდების „აბა, წავიდეთ, ბიჭებო, მთავრობის დასაპატიმრებლად!“, მაგრამ სახელმწიფო ღალატის ბრალდებას რამდენიმეთვიანი პატიმრობით გადაურჩა. ციხეში ყოფნისას დაწერა უნიჭო წიგნი, თუმცა ისეთი ჰონორარი მიიღო, რომ პატიმრობისას იმ ფულით „მერსედესი“ იყიდა.

როგორც პოლიტიკოსი, იგი აღიარებული სპიკერი იყო, მიუხედავად თავისი საშინელი აქცენტისა, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებში 40-პროცენტიანი ჩამორჩენისა და ოპოზიციის „გამეჩხრების“ მიუხედავად. *(მიმომხილველსა და მკითხველს აზრი და ხელი აქ უნებურად საქართველოს დღევანდელ მმართველთან შედარებისკენ შეიძლება გაექცეს, მაგრამ უმჯობესია, შევიკავოთ თავი, თემას რომ არ ავცდეთ).*

მისი, როგორც სამხედრო ტაქტიკოსის, წვლილი რეალურად არსებულ მულტპერსონაჟთან — ბენიტო მუსოლინისთან კავშირით ამოიწურებოდა. ეს წიწაკა იტალიაში იყო აღმოცენებული. ჰიტლერმა ბევრი პლიუსი მიიწერა იმ ადამიანების გადაწყვეტილებათა წყალობით, რომლებიც მის გარემოცვაში იყვნენ. მაგალითად, საფრანგეთში წარმატებულ შეჭრას საერთო არაფერი ჰქონდა ჰიტლერის დაგეგმვასთან. დიუნკერკთან ბრძოლაში მისი წვლილი გამოიხატა იმაში, რომ ნება დართო მოკავშირეთა 300-ათასიან ჯარს, გაქცეულიყო; მიუხედავად იმისა, რომ სრული უპირატესობა მის მხარეს იყო, უარი თქვა ბრიტანეთში შეჭრაზე და ამით წააგო კიდეც ომი ინგლისისათვის. საპირისპიროდ რომ მოქცეულიყო, ეს „დიდი სტრატეგოსი“, გამორიცხული არ არის, თავის სასარგებლოდ შემოაბრუნებდა ომის მსვლელობას.

მოკლედ, **ჰიტლერი იყო უვიცი, რომელსაც არაფერი ესმოდა ტაქტიკისა და სტრატეგიის, მაგრამ ახერხებდა მოგებას იმიტომ, რომ იღბალი უფრო მეტი ჰქონდა, ვიდრე ტვინი.**

მაგრამ რომელიღაც მომენტში ბედმა უმტყუნა და 99-ე რაუნდში გამარჯვებულმა ფინალი წააგო. შედეგი მისთვის იმდენადვე იყო უსახელო, რამდენადაც კანონზომიერი — საწამლავით მოწამვლა და — ტყვია შუბლში.

## 3. უინსტონ ჩერჩილი „კარგების“ უსაყვარლესი ბელადი იყო

**ამას ამტკიცებენ: ბიოგრაფები, ინგლისელი ისტორიკოსები და ადამიანები, რომლებსაც არასოდეს არაფერი გაუგიათ კოლონიურ ბრიტანეთზე.**

**რატომაა ეს სისულელე:**

ჩერჩილი საომარი რიტორიკის უეჭველი ოსტატი იყო, ასევე უეჭველი ლიდერი იმ დროს, როცა ფაშისტები ლონდონს ბომბავდნენ. მაგრამ მისი პოპულარობა არ სცილდებოდა „დროშის გარშემო გაერთიანების კონცეფციას“. ჩერჩილი სწრაფად ამოაგდეს პრემიერის სავარძლიდან გერმანიის კაპიტულაციიდან ორიოდ თვეში. რატომ?

ჩერჩილი მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის მანიით იყო შეპყრობილი. მაგრამ მისი ეღოს მიზეზით მილიონობით ადამიანი დაიღუპა და ამიტომ ბრიტანეთის არმიაში არაპოპულარული იყო. ჩერჩილის ყველაზე გიჟური იდეა იყო 1945 წლის 1 ივლისს საბჭოთა კავშირში შეჭრა გადაიარაღებული გერმანული ჯარების მხარდაჭერით. იგი მზად იყო, დაეწყო მესამე მსოფლიო ომი მანამდე, სანამ სსრკ გადატანილი ომის ნანგრევებისგან მოასწრებდა ქვეყნის გაწმენდას. მან ამ ოპერაციას უწოდა „ოპერაცია „წარმოუდგენელი“, რომელსაც მისი ახლობლებიც კი შიზოფრენიით დაავადებულის სიგიჟედ მიიჩნევდნენ.

ბრიტები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი მშვიდობიან პერიოდში მისი პრემიერმინისტრობისადმი. მას არაფრად უღირდა ოპონენტებისთვის, რომლებიც მის კაბინეტში იყვნენ, მაგრამ მის იდეებს არ იზიარებდნენ, გესტაპოელები ეწოდებინა. ამ და ბევრი სხვა მიზეზის გამო მას უარი უთხრეს პრემიერობაზე. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ეს იყო არჩევნებში ყველაზე შთამბეჭდავი დამარცხება.

## 4. ამერიკამ ომი მარტომ მოიგო

**ამას აცხადებენ: ჰოლივუდი, კომპიუტერული თამაშები, „ცივი ომის“ დროინდელი პოლიტიკოსები და შოვინისტები.**

60 წლის განმავლობაში ფილმები მეორე მსოფლიო ომის შესახებ და ათწლეულის მანძილზე კომპიუტერული თამაშები იმავე თემატიკაზე ერთხმად ერთსა და იმავეს ჩაგვჩიჩინებენ: **ამერიკა რომ არ ყოფილიყო, ყველანი გერმანულად ვილაპარაკებდით.**

**რატომაა ეს სისულელე:**

არსებობს მეორე მსოფლიო ომის ორი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ისტორია.

ერთის მიხედვით, ამერიკა ნამდვილად იბრძოდა.

მეორის მიხედვით, ამერიკა ყველას შიშის ზარს სცემდა.

მეორე მსოფლიო ომი მხოლოდ ჭკვიანური სახელწოდება არ იყო. იგი იყო გლობალური კონფლიქტი, რომლის დროსაც ეპიკური გმირობა ნამდვილად ხდებოდა — მადაგასკარის შტურმი, ბრძოლა ვესტერპლატთან, მოსკოვის მისადგომებთან, კურსკის ბრძოლა და მრავალი სხვა. ამერიკელებს არც ერთი მათგანის შესახებ არასოდეს არაფერი სმენიათ.

**მაგრამ ოთახში ერთი სპილო იმალება, რომლის შესახებ ამერიკას ლაპარაკი არ სურს — საბჭოთა კავშირი. „დიდი სამამულო ომი“ ისტორიაში უდიდეს სამხედრო ოპერაციად წარმოგვიდგება, ხოლო სტალინგრადის ბრძოლა, შესაძლოა, უდიდესი შემობრუნების პუნქტი იყო ამ ომის.**

ომის ის ნაწილი, რომლითაც საბჭოთა კავშირი გერმანიას დაუპირისპირდა, ამერიკელების ნაწილზე არა მხოლოდ უფრო მნიშვნელოვანი იყო, არამედ მთელ დასავლეთ ფრონტზე ოთხჯერ უფრო მასშტაბური და ომის ერთად აღებულ ყველა ფაზაზე გაცილებით მეტი. საბჭოთა არმიამ ამ ომს 8 მილიონი ჯარისკაცი შესწირა — დაღუპულ ამერიკელ ჯარისკაცებზე 20-ჯერ უფრო მეტი. დაუმატეთ ამას 13,7 მილიონი დაღუპული მშვიდობიანი საბჭოთა მოქალაქე.

**P.S. ისტორიას გამარჯვებულები წერენ.**

**ამიტომ დღეს დაწერილი ერთგვარად ტენდენციურია და, თუ დროის საცერმაც არ უშველა, შეიძლება სიმართლე დაიკარგოს მომავალი თაობებისთვის.**

**ჩვენი ეს პუბლიკაცია შეხსენებასავითაა.**

მოკლედ

## ირანი ინტერნეტით სარგებლობას სექტემბერში შეწყვეტს

ირანის ისლამური რესპუბლიკა 2013 წლისათვის ინტერნეტით სარგებლობის შეწყვეტასა და ამის ნაცვლად ქვეყნის ფარგლებში არსებული შეზღუდული ინტერნეტის გამოყენებას აპირებს. ირანის კომუნიკაციებისა და ინფორმაციის მინისტრმა რეზა ტაკიპურმა ინტერნეტზე განაცხადა, რომ „ის ნდობას არ იმსახურებს“ და რომ „იგი ერთი ან ორი გარკვეული ქვეყნის ხელში იმყოფება“. ტაკიპურმა ასევე განაცხადა, რომ ირანის ოფიციალური დაწესებულებებისა და სამინისტროების ვებ-გვერდები მსოფლიო ქსელიდან უკვე მიმდინარე წლის სექტემბერში გამოვლენ. მთლიანობაში გადასვლა 2013 წელს დასრულდება. ირანის „შიდა ინტერნეტის“ პროგრამაზე ცოტა რამ არის ცნობილი. დახურული ინტერნეტი უკვე არსებობს კუბაში.

## ტონი ბლერი პოლიტიკურ ცვლილებებს ელის

**ევროზონის კრიზისი ევროკავშირში სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებს მოახდენს, — განაცხადა ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა.** ტონი ბლერმა შეშფოთება გამოთქვა იმაზეც, რომ, თუ კი ბრიუსელს მეტი უფლებამოსილება მიენიჭება, მაშინ ბრიტანეთის რეფერენდუმზე, შესაძლოა, მიღებული იყოს გადაწყვეტილება ევროკავშირიდან გამოსვლის შესახებ. „საჭიროა ბალანსი ევროპულ ინსტიტუტებსა და სახელმწიფოებს შორის. თუ კი ეს არასწორად იქნება გაკეთებული, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ისეთი პოლიტიკური კრიზისი როგორიც ევროს კრიზისია“, — განაცხადა ბლერმა.

**ტერორისტების არმია რეგიონული და მსოფლიო პოლიტიკის მუდმივ ფაქტორად ჩამოყალიბდა. თუ ტერორისტებს გაყრიან სირიიდან, ისინი თავს მოიყრიან თურქეთში, ლიბანში, იორდანიაში და ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან ირანში ინფილტრაციისთვის დაიწყებენ მზადებას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თეირანი-2012 — სირიული ტრანზიტი



სირიელი ამბოხებულები

**ცნობას იმის თაობაზე, რომ რამდენიმე თვის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ჰუსეინ ობამამ მითითება მისცა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, დაეხმაროს სირიის ოპოზიციას, დიდად არავინ გაუკვირვებია. მონაცემებმა იმის თაობაზე, რომ შეიარაღებულ ამბოხებულებს ამერიკის მთავრობამ 25 მილიონი დოლარი გამოუყო, რომ თურქეთში მოთარეშეთა წვრთნისთვის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ინსტრუქტორები გაიგზავნა და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ ეს ყველაფერი სიმართლის მხოლოდ მცირე ნაწილია. ვინ აანაზღაურებს ყველა ხარჯს, საიდუმლოდ რჩება, თუმცა თვლიან, რომ სირიელ ამბოხებულთა მთავარი სპონსორები საუდის არაბეთი და ყატარია.**

ასეა თუ ისე, მომზადებას, შეიარაღებას, აღჭურვას იმათი, ვისაც დავალებული აქვს ბაშარ ასადის დამხობა, დიდძალი ფული სჭირდება, რაც 25 მილიონ დოლარზე გაცილებით მეტია.

მიმომხილველები იხსენებენ 80-იან წლებს, ავღანეთს, და პარალელს ავლებენ ამჟამინდელი სირიელი ამბოხებულებისა და მაშინდელი მოჯაჰედების, ერთის მხრივ, მეორე მხრივ კი, აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს აქტიურ ურთიერთკავშირებს შორის. ადარებენ და დიდ მსგავსებასაც პოულობენ.

ცსს-მ ავღანელი მოჯაჰედები და „ალ ქაიდა" „ფეხზე დააყენა".

ეჭვი არავის ეპარება, რომ დღეს აშშ სირიის აჯანყების დაინტერესებული მონაწილეა. ვაშინგტონის ზეამოცანაა, თავის სასარგებლოდ შეცვალოს გეოპოლიტიკური ბალანსი დიდ ახლო აღმოსავლეთში. ამის გაკეთებას ამერიკა სხვისი ხელით აპირებს: რაც უფრო ღრმავდება კრიზისი სირიაში, მით უფრო აშკარავდება, რომ აშშ-ს დაგეგმილი არ აქვს ამ არეულობაში საკუთარი სამხედრო ძალებით ჩაბმა. **აშშ-მა მობილიზება გაუკეთა ტერორისტულ ინტერნაციონალს, რომელიც მთელ მსოფლიოში შეაგროვა.**

**ეს სიტუაცია სერიოზულად აშფოთებს ირანის ხელმძღვანელობას, რომელსაც ეჭვი არ ეპარება, რომ ტერორისტული ურდოები, მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება დაპირისპირება სირიაში, ისლამურ რესპუბლიკას დიდ საშიშროებად მოევლინება.**

ირანის უმაღლესმა ლიდერმა **აიათოლა ალი ჰამენეიმ** ამ დღეებში სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის თათბირი მოიწვია და განაცხადა, რომ ქვეყანა **უახლოეს დღეებში უნდა ელოდოს სამხედრო ინტერვენციას,** რომელსაც სრულ მზადყოფნაში უნდა დახვდეს. ეს უჩვეულო მაგრამ ბევრისმთქმელი განცხადება იყო.

რატომ შფოთავს ირანი? იმიტომ, რომ სირიის კრიზისის დასასრული ახლოვდება: ან პრეზიდენტი ასადი გაყრის ამბოხებულებს ქვეყნიდან, ან ამბოხებულები დამასკოში ძალაუფლებას ხელში აიღებენ. ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაიწყება ამბოხების მომზადება ირანში სირიის სცენარით. ისიც სათქმელია, რომ სირიაში ამბოხის ჩახშობის შემთხვევაში ირანისთვის საშიშროება არ შემცირდება.

ეს ალბათობა არ არის, რეალობაა, რადგან **ტერორისტების არმია რეგიონული და მსოფლიო პოლიტიკის მუდმივ ფაქტორად ჩამოყალიბდა. თუ ტერორისტებს გაყრიან სირიიდან, ისინი თავს მოიყრიან თურქეთში, ლიბანში, იორდანიაში და ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან ირანში ინფილტრაციისთვის დაიწყებენ მზადებას.**

ბოლო 12 თვეში ირანულმა რეალმა დოლართან შედარებით თავისი ღირებულების ნახევარი დაკარგა. ასეთია ამ ქვეყნის წინააღმდეგ გამოცხადებული ეკონომიკური ბლოკადისა და საბანკო სანქციების შედეგი.

**ამერიკა ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს თავისი გეოპოლიტიკური მიზნის განხორციელებისკენ: სირია სატრანზიტო პუნქტია, წინ თეირანი-2012 გველოდება.**

ამ მოლოდინის რეალობას ადასტურებს თუნდაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, უილიამ ჰეიგის, განცხადება, რომელიც მან სირიელი მოთარეშეების მიერ 48 ირანელის 5 აგვისტოს მძევლად აყვანის შემდეგ გააკეთა და რომლითაც შეეცადა, დაერწმუნებინა საზოგადოებრივი აზრი, რომ სირიელთა ქმედება რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირების შედეგი იყო. ეს იმის მომასწავებელი იქნებაო, რომ გველოდება სისხლისმღვრელი კონფლიქტი, რომელიც სირიაში ხელისუფლების სრულ კოლაფსს გამოიწვევს.

**სხვა ლიანდაგზე შეაგდო მინისტრმა კონფლიქტის გაღრმავებისა და გაფართოების მიზეზები და მასშტაბი: „წმინდა ომის" — ჯიჰადის დაწყებაზე მიგვანიშნა.**

ამ დროს კი ბრიტანული გაზეთი **Sunday Times** 5 აგვისტოს ნომერში აქვეყნებს **ჯონ კენტლის** მასალას, რომელიც მის მეგობარ ნიდერლანდელ კოლეგასთან ერთად სირიიდან გაიტაცეს „საერთაშორისო ჯიჰადისტებმა". მათ ბანაკში იმყოფებოდა ეს ორი ადამიანი, სანამ არ გაათავისუფლეს. ჰოდა, „რწმენისთვის მებრძოლთა" ამ ბანაკში ვერც ერთი სირიელი ვერ აღმოაჩინეს ევროპელმა ტყვეებმა. სამაგიეროდ, — წერს კენტლი, — აქ იყვნენ მხოლოდ პაკისტანიდან, ბანგლადეშიდან, დიდი ბრიტანეთიდან და რუსეთიდან (ჩეჩნეთი) ჩამოსული „ბოევიკები". 30 კაციდან 12 ლაპარაკობდა ინგლისურად, მათ შორის 9 — ლონდონური აქცენტით.

არც ერთი სირიელი, არც ერთი ირანელი.

მეორე ბრიტანული გაზეთი **Daily Mail** აქვეყნებს წერილს, რომლის თანახმად, დიდი ბრიტანეთი სირიელ ამბოხებულებს ამარაგებს კავშირგაბმულობის თანამედროვე თანამგზავრული საშუალებებით, რაც თავდაცვის სამინისტროს სირიული მისიის შემადგენელი ნაწილიაო, რომელიც მიმართულია ამ ქვეყნის შეიარაღებული „ოპოზიციური ძალების" ერთიან კოალიციად ჩამოყალიბებისკენ.

**არ დუმს ამერიკული პრესაც.** **Wall Street journal**-ში სპეცჯარების ყოფილი მრჩეველი **სეტ ჯონსი** წერს, რომ თურქეთი, საუდის არაბეთი და ყატარი „ბოევიკებს" იარაღით ამარაგებს და ამისთვის არ თაკილობს იმ კონტრაბანდისტების დახმარებას, რომლებიც დაკავშირებული არიან თურქეთისა და ერაყის გავლით ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოსულ მოთარეშეებთან.

**ივლისის ბოლოს აშშ-ის მთავრობამ შექმნა ახალი სტრუქტურა — „სირიის მხარდაჭერის ჯგუფი", რომელიც განლაგებულია ვაშინგტონში და რომელმაც ამ დღეებში აშშ-ის ფინანსთა სამინისტროდან მიიღო ლიცენზია, ნებართვა უშუალოდ მიაწოდოს სირიელ ამბოხებულებს ფინანსური, ინფორმაციული და ლოჯისტიკური, ასევე სხვა დახმარება, რისი გაწევაც სხვა პირობებში აკრძალულია.** ინფორმაცია, თუ რა სახსრებია გამოყოფილი ამ მიზნებისთვის, დახურულია.

**კორუმპირებული მასმედიის ცენტრალურ თემად დღეს სირია დამკვიდრდა.** გამოაცხადეს, რომ „ასადი ხოცავს თავის მოქალაქეებს", ისე, მტკიცებულებათა გარეშე. შემდეგ „პროპაგანდისტებმა" კიდევ ერთი დებულება წამოაყენეს: „ეს კიდევ ერთი ქვაა არაბული გაზაფხულის კედლისკენ ნასროლი, ამბოხებულების მხარდაჭერაა საჭირო, ასადი — გადადგეს!" და ასე შემდეგ. უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა უმსხვილესი მედიაკონცერნები, განუწყვეტლივ ისმოდა მოწოდებები დამოუკიდებელი სირიის განადგურებისა და მისი მოქალაქეების მონებად გადაქცევის შესახებ.

მაგრამ შემდეგ ზოგიერთმა დასავლელმა ჟურნალისტმა სიმართლის ლაპარაკი დაიწყო, ხიბლი გაიფანტა. ივლისში გერმანულმა გაზეთმა **Frankfurter Allgemeine Zeitung**-მა დაწერა, რომ ჰულაში ადამიანების გაჟლეტის სავალალოდ ცნობილი ტრაგედია ასადის ძალების მიერ კი არ იყო მოწყობილი (რასაც მაქსიმალურად წარმოაჩენდა დასავლური პროპაგანდა), არამედ ოპოზიციონერი ტერორისტების მიერ, რომელთაც ნატო მხარს უჭერდა. ოფიციალური ვერსია ქარს გაატანეს, როგორც ქარისავე მოტანილი.

გავლენიანმა მედიაჰოლდინგებმა თანდათან დაკარგეს მათთვის ხელსაყრელი „რეალობის" პროპაგანდის მონოპოლია. დამარხულმა ჭეშმარიტებამ იხილა მზის სინათლე, ობიექტური რეალობა ალტერნატიული მასმედიის დამსახურებით საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. მოსყიდული პრესა იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ცრუობდა და მისი მილიტარისტული მოსაზრებები არ ესადაგებოდა საზოგადოებრივ აზრს. ძირითადი მასმედიის ჟურნალისტების სინამდვილის ფუნდამენტური კანონების საწინააღმდეგოდ სვლა არის გზა დამარცხებისკენ.

ყველას ამ თარგზე ვერ მოვჭრით, დასავლეთში ცოტა როდია პატიოსანი ჟურნალისტი. „ალაბამას მთვარის" ერთერთი თანამშრომელი წერს: „დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ სირიაში სიტუაციის გაშუქებას აშკარად ატყვია აქცენტების გადანაცვლების დაღი. **გერმანიაში იმატა რეპორტაჟების რაოდენობამ, რომლებშიც აჯანყებულები წარმოდგენილია ისეთებად, როგორებიც არიან: მომთაბარე ჯიჰადისტებად, უცხოეთიდან დაფინანსებულ ბრბოდ...**

ასევე თანდათან გადანაცვლდება აქცენტები საერთაშორისო მედიაკონცერნების პუბლიკაციებში. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში დასავლეთის მედიასაშუალებები ყოვლისშემძლე იყო და მათ მონათხრობს უკრიტიკოდ ირწმუნებდა საზოგადოებრიობა, **დღეს ისინი სწრაფად კარგავენ ლეგიტიმურობას და აღარ ძალუძთ, დააჯერონ ადამიანები მთავრობის ტყუილში".**

**ტონი კარტალუჩი** თავის სტატიაში **„აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო: „ალ ქაიდა" ხელმძღვანელობს ამბოხს სირიაში",** — წერს იმის შესახებ, რომ ალეპოში „ალ ქაიდას" უპრეცედენტოდ ამარცხებს არა დასავლეთის ანტიტერორისტული ძალები, არამედ სირიის არმია. **„ამის თავიდან ასაცილებლად დასავლეთი განახორციელებს სტრატეგიების მთელ რიგს: უცხოელი მებრძოლების რეპორტაჟებიდან დაწყებული, რომლებშიც აღწერილია მათი მხეცობანი ალეპოში, დამთავრებული იმის მტკიცებით, რომ „ალ ქაიდა" ნამდვილად მოქმედებს სირიაში და დასავლეთის ჩარევით უნდა იქნას შეჩერებული...**

დასავლეთისადმი წინააღმდეგობის ზრდის კვალზე სულ უფრო ძნელდება საკუთარი ტყუილის გასაღება, პროპაგანდის შეთანხმებულობა აშკარად ირღვევა".

შემდეგ: **„უცნაურია, როცა გესმის, რომ ვაშინგტონი „ალ ქაიდას" ებრძვის იემენში, ამასთანავე, თანამშრომლობს „ალ ქაიდასთან" სირიაში. ამ ორ მტკიცებულებათაგან მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს მართალი: ვაშინგტონი ან ებრძვის „ალ ქაიდას", ან არა".**

ვაშინგტონის ლოგიკა, მართალია, საკმარისად ჩახვეულია, მაგრამ სულაც არ არის ორიგინალური. ასეთია მსოფლიო. ისტორიის მანძილზე იმპერიები თრგუნავდნენ სიმართლეს, ობიექტურობას, შემდეგ კი შეიჭრებოდნენ რესურსებით მდიდარ მიწებზე. იმპერიის ძალაუფლება დამოკიდებულია რწმენის კულტსა და პიროვნების კულტზე, რომლებიც რეჟიმის სიმკაცრის გასამართლებლადაა შექმნილი როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს მიღმა.

მაგრამ სიმართლე იმპერიების დაუნდობლობაზე ძლიერია, კაცობრიობის ისტორიის პერიოდის მიუხედავად.

**Fondsk.ru-ს მიხედვით**

---

მოკლედ

## იულია ტიმოშენკოს ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებენ

**უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს საგამოძიებო იზოლატორის თანამშრომლისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებენ. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს.** განცხადება ამის შესახებ უკრაინის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ რენატ კუზმინმა გააკეთა. „არის კიდევ სხვა საქმეები, რომლებზეც გამოძიება მიმდინარეობს და მინდა დაგარწმუნოთ, რომ არც ერთი საქმე ისე არ დარჩება და თითოეული კანონით დადგენილ ვადაში დამთავრდება და სასამართლოში გადაიგზავნება", — აცხადებს კუზმინი. შეგახსენებთ, რომ იულია ტიმოშენკოს რუსეთთან გაზის კონტრაქტების გაფორმებისას თანამდებობრივი უფლებამოსილების გადაჭარბების გამო 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

## ავღანელმა სამხედრომ 3 ამერიკელი სპეცრაზმელი დაცხრილა

**ავღანეთის ჰელმენდის პროვინციაში ავღანელმა სამხედრო მოსამსახურემ 3 ამერიკელი სპეცრაზმელი დაცხრილა.** ჰელმენდის პროვინციის გუბერნატორის პრესსამსახური იტყობინება, რომ ამერიკელი სამხედროები ოპერატიულ თათბირს ესწრებოდნენ, სადაც მოხდა კიდეც ეს ინციდენტი. მიმდინარე წლის მანძილზე ავღანელი სამხედროების მხრიდან მსგავსი თავდასხმის ეს უკვე 22-ე შემთხვევაა, რასაც 35 უცხოელი ჯარისკაცი ემსხვერპლა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კანონის ტექსტში ხაზგასმულია, რომ მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს, ეყოლება თუ არა ბავშვს მესამე ან მეოთხე დამატებითი მშობელი. სენატორის აზრით, საუბარია თანამედროვე „მრავალგვარი ოჯახის“ აღიარებაზე და ბავშვთა უფლებების დაცვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტამდე არც ამერიკაში და არც სხვაგან არ უმოქმედია კანონს, რომლის თანახმადაც ბავშვს შეიძლება ერთი დედისა და ერთი მამის გარდა სხვა დამატებითი კანონიერი მშობლებიც ჰყავდეს.**

# ცნობილმა ამერიკელმა მოძღვარმა აშშ სოდომსა და გომორს შეადარა

**ცნობილმა ამერიკელმა ბაპტისტმა მოძღვარმა, 93 წლის ბილი გრემმა ინტერნეტში გამოაქვეყნა ერისადმი წერილი, რომელშიც აცხადებს, რომ მისი ქვეყანა სულ უფრო მეტად შორდება უფალს.**

მოძღვარი წერილს იწყებს თავისი აწ განსვენებული ცოლის — რუთის სიტყვებით: „თუ უფალი არ დასჯის ამერიკას, მას ბოდიშის მოხდა მოუწევს სოდომისა და გომორის წინაშე“. ეს ის ქალაქებია, რომლებიც, ძველი აღთქმის თანახმად, უფალმა მოსახლეობის ცოდვების გამო გაანადგურა.

**„მილიონობით ბავშვი დედის მუცელშივე მოკლეს, ჩვენს ქვეყანას კი, როგორც ჩანს, ეს არ აღარდებს.**

**ეგოისტური შემწყნარებლობა საკუთარი თავის მიმართ, სიამაყე და სირცხვილის არარსებობა ჩადენილი ცოდვის გამო — ეს არის ახლა ამერიკის ცხოვრების წესის სიმბოლოები“,** — წერს მოძღვარი.

გრემს მოჰყავს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ქვეყანაში ქრისტიანები შეავიწროვეს, მაგალითად, პოლიციის სამართველოში მომსახურე პოლიციელებს ლოცვის დროს ქრისტეს სახელის ხსენება ეკრძალებოდათ.

**„ჩვენი საზოგადოება ცდილობს, გაექცეს ნებისმიერ შესაძლებლობას, რომ არ აწყენინოს ვინმეს, გარდა უფლისა.**



**რაც უფრო ვშორდებით უფალს, მით მეტად კარგავს მსოფლიო კონტროლს. გული მტკივა ამერიკისა და მისი მოტყუებული ხალხის გამო“,** — აღიარებს წერილის ავტორი.

ამავე დროს, მისი აზრით, ამერიკელებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, მოინანიონ და შეცვალონ საკუთარი ცხოვრების წესი.

**„მშვენიერი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ უფალი მოწყალეა და იგი ყოველთვის უპასუხებს მონანიებას“,** — ამბობს მოძღვარი.

newsru.com

# კალიფორნიული ცარცის წრე

**თუ კალიფორნიულ კანონპროექტს მოიწონებენ, ჰომოსექსუალური წყვილების შვილების კანონიერი მშობლები იქნებიან როგორც თავად ეს წყვილი, ასევე ბავშვის ბიოლოგიური მშობლებიც.**



ჰომოსექსუალური წყვილებისა და იმ ოჯახებისთვის ცხოვრების გასამარტივებლად, რომელთაც წინა ქორწინებებიდანაც ჰყავთ შვილები, ამერიკელებმა დაწერეს კანონპროექტი, რომლის თანახმადაც ბავშვს უფლება აქვს, სამიდან ოთხამდე მშობელი ჰყავდეს.

არატრადიციული ორიენტაციის ორი ქალიდან, რომელთაც შვილი ეყოლათ ერთ-ერთის მეგობარი მამაკაცის წყალობით, ჩხუბის შემდეგ ერთი ციხეში აღმოჩნდა, მეორე — საავადმყოფოში. მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიურ მამას თავის შვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მართლმსაჯულებამ მას გოგონას მეურვეობაზე უარი განუცხადა და მიზეზად ის დაასახელა, რომ მამაკაცი ბავშვის კანონიერი მშობელი არ იყო. ბავშვი გააშვილეს და კალიფორნიელ დემოკრატ სენატორს, მარკ ლენოსაც, სწორედ ამ შემთხვევამ უკარნახა იმ კანონპროექტის შინაარსი, რომლის თანახმადაც ბავშვს სამი ან სულაც ოთხი კანონიერი მშობლის ყოლის უფლება მიენიჭება.

**კანონის ტექსტში ხაზგასმულია, რომ მხოლოდ მოსამართლეს შეუძლია გადაწყვიტოს, ეყოლება თუ არა ბავშვს მესამე ან მეოთხე დამატებითი მშობელი. სენატორის აზრით, საუბარია თანამედროვე „მრავალგვარი ოჯახის“ აღიარებაზე და ბავშვთა უფლებების დაცვაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონპროექტამდე არც ამერიკაში და არც სხვაგან არ უმოქმედია კანონს, რომლის თანახმადაც ბავშვს შეიძლება ერთი დედისა და ერთი მამის გარდა სხვა დამატებითი კანონიერი მშობლებიც ჰყავდეს.**

კალიფორნიაში ძალიან აწუხებთ მშობლების სიმცირე და იმდენად სურთ, მათი რაოდენობა თითო ბავშვზე, ოთხამდე თუ არა, სამამდე მაინც გაზარდონ, რომ ბებიები და ბაბუები ასევე შეიძლება შვილიშვილების კანონიერ მშობლებად გადაიქცნენ, შესაბამისად, ბავშვები და მათი ბიოლოგიური დედები ან მამები კანონიერი და-ძმებიც იქნებიან.

**რესპუბლიკელი სენატორები აღშფოთებას ვერ ფარავენ და აცხადებენ, რომ ასე შეიძლება ერთ ბავშვს მალე ექვსი, რვა ან თორმეტი კანონიერი მშობელიც ეყოლოს, რაც ოჯახის ფუნდამენტურ ბუნებაზე დაუნდობელი თავდასხმაა — ბავშვს მხოლოდ ერთადერთი დედა და ერთადერთი მამა შეიძლება ჰყავდეს.**





მიუხედავად ამისა და იურისტების შეშფოთებისა, სენატმა მრავალმშობლიანობის კანონპროექტი მოიწონა და მას რამდენიმე კვირაში კონგრესი განიხილავს.

Le Figaro

# როგორ მოკლეს ამერიკული ოცნება

**ობამას ანტიამერიკანიზმის შესახებ ყველა წინასწარმეტყველება გამართლდა. იგი ამერიკელი ერის საფუძვლის საფუძველს გადასწვდა. ბარაკ ობამას ანტიამერიკანიზმში უფრო მეტად ადანაშაულებდნენ, ვიდრე ამერიკის სხვა ყველა პრეზიდენტს ერთად. ამ ბრალდებას ესროდნენ მას ყველაფრისთვის: ჯანდაცვის რეფორმისთვის, ირანის დაბომბვაზე უარისთვის, იმისთვისაც, რომ მისი მეორე სახელი ჰუსეინია. ობამამ კი ამ დროს წარმოთქვა მთელი ამერიკისთვის შოკისმომგვრელი სიტყვა, რომელსაც ანტიამერიკულის გარდა ვერაფერს უწოდებ.**



ობამა ნახევრად წინასაარჩევნო სიტყვით გამოვიდა ვირჯინიაში თავისი მხარდამჭერების წინაშე. იგი პოპულარულ ენაზე უხსნიდა ამომრჩეველს, თუ რატომაა გადასახადების გაზრდის თაობაზე მისი წინადადება სწორი. გადასახადების მომატება ისეთი თემაა, რომ საბოლოოდ მომხრე, შესაძლოა, ერთადერთი მიდგომა აღმოჩნდეს: **მდიდრები არ იმსახურებენ საკუთარ სიმდიდრეს, ანუ თავიანთი ფულის ნაწილი უნდა მისცენ მათ, ვისაც უსამართლოდ მოუჭრეს ყველა გზა საკუთარი წარმატებებით.**

ბარაკ ობამა თანმიმდევრული და ლოგიკური ორატორია, ამიტომ, საკუთარი გამოსვლის დასასრულს, როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ ამ არგუმენტამდე მივიდა. მართალია, ესმოდა, რომ საფრანგეთში არ გამოდიოდა სიტყვით და თავიდან ძალიან ფრთხილობდა, მაგრამ შემდეგ ორატორულ აზარტში შევიდა და თავისი გამოსვლის ლოგიკის შესაბამისად დაასკვნა: **„თუ თქვენ გაქვთ ბიზნესი, ის თქვენი შექმნილი არაა, ეს სხვათა წყალობით მოხდა“.**

რესპუბლიკელებს სარეკლამო რგოლებისათვის ტექსტების მოფიქრება აღარ სჭირდებათ — ობამამ თავად შეასრულა მთელი მათი სამუშაო. რესპუბლიკელებს პრეზიდენტის ამ გამოსვლის ციტატები საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ეყოფათ. ერთადერთი, რაც მათ დასჭირდებათ, ციტატების შემდეგ უნდა დაამატონ: როგორც პრეზიდენტმა ობამამ ბრძანა.

ასეც მოიქცნენ. რესპუბლიკელებმა უკვე ამოჭრეს ობამას გამოსვლის ის ფრაგმენტები, რომლებშიც საუბარია დაუმსახურებელ წარმატებებზე და ამას მიაბეს ბიზნესმენების გაოგნებული და განრისხებული კომენტარები, მაგალითად, ასეთი: **„ჩემს ფირმაში დღე-ღამეში 15 საათს ვატარებ, დამავიწყდა, რა არის შვებულება, დასვენების დღეები იშვიათობაა და ასე გრძელდება, უკვე 20 წელია. ნულიდან დავიწყე, ჯიბეში 50 დოლარით და არავინ დამხმარებია, მითუმეტეს სახელმწიფო. ახლა მოდის პრეზიდენტი ობამა და ამბობს, რომ ეს ყველაფერი ჩემი შექმნილი არაა“.**

თავზარდაცემულმა დემოკრატებმა უმალ გააპროტესტეს, ციტატა კონტექსტიდან ამოგლეჯილად არის გამოყენებულიო. რესპუბლიკელებმა წინასაარჩევნო რგოლს ობამას ციტატის რამდენიმეწუთიანი კონტექსტი დაუმატეს, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა.

გაჩნდა ახალი ციტატები: **„თუ შენ წარმატებას მიაღწიე, ეს შენ არ გაგიკეთებია. წარმატებას იმიტომ არ მიაღწიე, რომ ასეთი ჭკვიანი ხარ. იქ, ცხოვრების კიდეზე, უამრავი ჭკვიანია. შენ წარმატებას მიაღწიე არა იმიტომ, რომ ასეთი შრომისმოყვარე ხარ. თუ წარმატებას მიაღწიე, ეს ნიშნავს, რომ რაღაც, ვიღაც დაგეხმარა“.**

ამერიკელმა ბიზნესმენებმა თავიანთ სამსახურებში გააკრეს ლოზუნგი „ობამა, ეს ბიზნესი მე თავად შევქმენი“. რამდენიმე შტატში უკვე დაიგეგმა ანტიობამური მიტინგები ლოზუნგით: **„არა, ეს ჩვენ შევქმენით“.** ამერიკელ ბიზნესმენებს არ ესმით, როგორ ასწავლის მათ ვიღაც მატრაკვეცა, რომელსაც საღეჭი რეზინების ჯიხურიც კი არ შეუქმნია თავად და საღეჭ რეზინსაც კი მათი გადასახადების ხარჯზე ღეჭავს, რომ ისინი ვინმესთან ვალში არიან.

**ამერიკელებმა მშვენივრად იციან, რომ სახელმწიფომ კი არ აუშენა მათ გუვერის დამბა და სახელმწიფომ კი არ განავითარა ინტერნეტი, როგორც ამას ობამა აყვედრის, არამედ ჯერ მათ, რიგითმა მოქალაქეებმა, გადაიხადეს გადასახადები, საიდანაც მიღებული ფულით აშენდა ეს დამბა და, რომ არა კერძო კომპანიები, ინტერნეტი ახლაც მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელი იქნებოდა.**

ამ გამოსვლით ობამა უხეშად შეეხო აშშ-ის საფუძველს — ამერიკულ ოცნებას, ამერიკელების რწმენას, რომ, თუ ბევრს და მონდომებით იშრომებენ, აუცილებლად მოიპოვებენ წარმატებასა და სიმდიდრეს.

fin.org.ua

**აშშ-ისა და ბრიტანეთის მიერ ავღანეთში ჩატარებული „ანტიტერორისტული ოპერაციისა“ და თალიბანის დამხობის შემდეგ ამ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოება გაათმაგდა. ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით, ოპიუმის დამზადებით, ტრანსპორტირებით, გადამუშავებითა და ჰეროინის ადგილამდე ჩატანით მილიონობით ადამიანია დაკავებული.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ სამოქალაქო მღელვარებისთვის ემზადება

**კალიფორნიის შტატის კემპ პენდლტონში, საზღვაო ქვეითთა ბაზაზე ჩამოაყალიბეს განსაკუთრებული დანიშნულების სამხედრო ძალების საპატრულო-პოლიციური ბატალიონი, რომელიც მომზადდება ნარკოტიკების ბრუნვის, მატარებლებზე თავდასხმისა და ტერორიზმის დანაშაულებათა გამოძიებისათვის. ბატალიონში 500-მდე სამხედრო მოსამსახურე და გაწვრთნილი ძაღლია. დაზვერვასა და პოლიციაში თავიანთი გამოცდილების უპირატესობის გამოყენებით ისინი საკუთარ თავზე იღებენ ოპერატიული ქუჩის პოლიციელების როლს და ამავე დროს საზღვაო ქვეითთა კორპუსის შემადგენლობაში რჩებიან.**




პირველი საპატრულო პოლიციური ბატალიონის გენერალ-მაიორი იან დარემი ამბობს: „უკანასკნელი 11 წლის ნაძილზე ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებმა მძიმე გაკვეთილები ჩაგვიტარა, იყო მზარდი აღიარება და იზრდებოდა იმ საბრძოლო მოქმედებების მწარმოებელი სამხედრო მოსამსახურეების მოთხოვნა იმ უნიკალურ ცოდნასა და შესაძლებლობებზე, რომელსაც ფლობდნენ სამხედრო პოლიციელები. ჩვენ თვალს ვადევნებთ მოძრაობის წესების დაცვას, გამოვწერთ პროტოკოლებს და ეს კარგია, მაგრამ ჩვენ გაცილებით მეტსაც ვაკეთებთ“.

**მანამდე სამხედრო პოლიციის ძალებს საზღვარგარეთ იყენებდნენ. ახლა ახალ ადგილებზე განლაგებული ეს ძალები უზრუნველყოფენ მოწმეების უსაფრთხოებას და დაეხმარებიან პოლიციის ადგილობრივ განყოფილებებს მანამდე გამოვლენილი დამნაშავეობრივი ქსელების წინააღმდეგ საქმეების წარმოებაში. მათ ქალაქებში რეიდების ჩატარებაც კი შეუძლიათ და ობივატელის დაშინების მიზნით საკუთარი ძალის დემონსტრირებაც.**

სამხედრო პოლიცია იმუშავებს ნებისმიერი სამოქალაქო მღელვარების შემთხვევაში დახმარების გასაწევად, დაკავებულთა გაცილებისათვის, გამოიყენებენ ბიომეტრიულ მონაცემებს ეჭვმიტანილთა იდენტიფიცირებისათვის და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისათვის. გადაკვალიფიცირებული საზღვაო ქვეითები მხოლოდ ნასვამი მძღოლების დაკავებაში არ მიიღებენ მონაწილეობას.

სამხედრო ანალიტიკოსი ლორენ ტომპსონი ამბობს: „ეს კარგი იდეაა, იმიტომ, რომ საზღვაო ქვეითების დიდი პრობლემა არის ის, რომ მათ საქმე აქვთ დაბალი ინტენსივობის საფრთხეებთან და, შესაბამისად, ნასწავლი აქვთ ადამიანების მოკვლა. კარგია, რომ ისინი ახალ რაღაცებს ისწავლიან და ამის საშუალებით შეძლებენ საფრთხის შეკავებას უმსხვერპლოდ“.

გასული წლის ივნისში თავდაცვის სამინისტრომ დაიწყო საცდელი სამხედრო სწავლებები მისურიში. სანტ-ლუისის მცხოვრებლები გააფრთხილეს, არ შეშინებულიყვნენ, როდესაც საცხოვრებელ კვარტლებში აშშ-ის არმიის ტანკები გაივლიდნენ. ხალხი დაამშვიდეს, რომ ეს არ ნიშნავს სამხედრო მდგომარეობის დასაწყისს.

**2010 წელს ჩატარებულ სწავლებებს, რომლებშიც სამხედროებს სამოქალაქო მღელვარებების იმიტაციისათვის იყენებდნენ, „ფხიზელი მცველი“ ერქვა. „ამერიკელებს“ უნდა მოეთხოვათ სურსათი და თავიანთი კონსტიტუციური უფლებების დაცვა, სამხედროები კი ვარჯიშობდნენ მათ დამორჩილებასა და შეკავებაში.**

ნატოს სამიტის დაწყებამდე ჩიკაგოში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. ჩიკაგოს ირგვლივ განლაგდა „თავისუფალი წითელი ზონა“, ტრანსპორტის სამინისტრომ კი გადაკეტა ქალაქის ცენტრში შესვლაცა და გამოსვლაც.ტერორისტული შეტევის შემთხვევისათვის ქალაქის ევაკუაციის გეგმა მზად იყო.

**შტატის ციხე გადაკეთებულ იქნა ნატოს საგამოძიებო იზოლატორად.**

**სამიტამდე რამდენიმე კვირით ადრე ჩატარდა საქალაქო სამხედრო სწავლებები ქალაქის ევაკუაციისათვის მოსამზადებლად.**

**კერძო დეტექტივ დუგ ჰაგმანის განცხადებით, უშიშროების სამინისტროში მისმა ინფორმატორმა, მაღალი თანამდებობის პირმა, დაადასტურა, რომ უწყება აშშ-ში მასშტაბური სამოქალაქო ომისათვის ემზადება.**

ჰაგმანი ამბობს: **„ჩვენ პრობლემები გვაქვს... ფედერალური ხელისუფლება ემზადება სამოქალაქო ამბოხებისათვის. ასე რომ, ყოველთვის, როდესაც რაიმეს გაიგებთ ჯარების ან სამხედრო ტექნიკის გადაადგილების შესახებ, პოლიციის მილიტარიზაციის შესახებ, საბრძოლო მასალების შესყიდვის შესახებ და სხვა ამგვარებს, იცოდეთ, რომ ეროვნული უშიშროების სამინისტრო მასობრივი ამბოხებისთვის ემზადება. არჩევნების მოახლოებისას სიტუაცია გაუარესდება და არც კი ვარ დარწმუნებული, რომ არჩევნები ჩატარდება“.**

ყველაფერი რომ ძალიან ცუდადაა, ამის შესახებ სხვა წყაროებიც იტყობინებიან. ერთ-ერთმა წყარომ პირდაპირ ასე განაცხადა: **„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ცუდადაა ყველაფერი. ეს რეალობაა, ეროვნული უშიშროების სამინისტრო მზადაა, იომოს ამერიკელ ხალხთან“.**

ჰაგმანი ადასტურებს, რომ საგანგებო მდგომარეობის მიზეზი აშშ დოლართან იქნება დაკავშირებული. მისი არამდგრადობა ჰიპერინფლაციას განაპირობებს, ფული გაუფასურდება და ამას მასობრივი პანიკა მოჰყვება.

**მიმდინარე წლის მარტში ობამამ ხელი მოაწერა ადმინისტრაციულ ბრძანებას ნაციონალური თავდაცვისათვის რესურსების მზადყოფნის თაობაზე, რომელიც ფედერალურ ხელისუფლებას უფლებას აძლევს ნებისმიერი ქონების კონფისკაციისათვის ნაციონალური უშიშროების უზრუნველსაყოფად როგორც მშვიდობიან დროს, ასევე საგანგებო მდგომარეობისას.ეს პირობები განუმარტავი დარჩა, რაც სიტუაციური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.**

ობამას ეს ბრძანება 1950 წლის თავდაცვით მრეწველობაზე კანონის პირდაპირი ასლია და იგი პრეზიდენტს ყველაფრის კონფისკაციის უფლებას აძლევს. კანონიამერიკელ მოსახლეობას ართმევს ყველა სამოქალაქო და კონსტიტუციურ უფლებას საგანგებო მდგომარეობის დროს. კონგრესის როლი მასში საერთოდ არაა მოხსენიებული, ასე რომ, გასაგებია პრეზიდენტის გეგმები ხელისუფლების ამ შტოსთან დაკავშირებით.

ხელისუფლებისათვის რესურსების გადაცემის ნებისმიერი შემთხვევა კვალიფიცირდება, როგორც ერის დაცვისათვის საჭირო აუცილებლობა. ეს ბუნდოვანი განმარტება ფედერალურ და სამხედრო უწყებებს საშუალებას აძლევს, კერძო საკუთრება განიხილოს როგორც საკუთარი.

**ობამას ადმინისტრაციული ბრძანების ამოქმედება კიდევ ერთ ლურსმანს ჩაარჭობს ამერიკელთა საკონსტიტუციო თავისუფლებების კუბოში. ქუჩებში სამხედროები დღესვე ჩანან, ეროვნული უშიშროების სამინისტრო სპეცრაზმს ამზადებს და მასიურად ყიდულობს საბრძოლო მასალებს. მომდევნო ნაბიჯის წინასწარ განსაზღვრა რთული არაა.**

Global Research





# ნარკოჯიჰადი პენტაგონისთვის

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ შეადგინა ავღანეთის მინერალური რესურსების რუკა. ეს რესურსები კოსმოსიდან დაასკანერეს და გადაიღეს. პირველად ამ საბადოების არსებობა არაოფიციალურად აღიარეს 2010 წელს, როდესაც ავღანეთის მაღაროებისა და სამთო მრეწველობის სამინისტრომ ქვეყნის მინერალური რესურსები ტრილიონ დოლარად შეაფასა. პრესა კი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელის ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ ავღანეთში არის სპილენძის, ოქროს, კობალტისა და ლითიუმის მარაგები. მარაგები იმდენად დიდია, რომ ავღანეთი მსოფლიოში მთავარი ექსპორტიორი გახდება.**



## ამერიკელების შესვლიდან უკვე ერთ წელიწადში ავღანეთი მსოფლიო ლიდერი გახდა ჰეროინის წარმოებაში

საქმე ისაა, რომ **აშშ-ისა და ბრიტანეთის მიერ ავღანეთში ჩატარებული „ანტიტერორისტული ოპერაციისა“ და თალიბანის დამხობის შემდეგ ამ ქვეყანაში ნარკოტიკების წარმოება გაათმაგდა. ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით, ოპიუმის დამზადებით, ტრანსპორტირებით, გადამუშავებითა და ჰეროინის ადგილამდე ჩატანით მილიონობით ადამიანია დაკავებული.**

ამერიკელების შესვლიდან უკვე ერთ წელიწადში ავღანეთი მსოფლიო ლიდერი გახდა ჰეროინის წარმოებაში. ოპიუმის ყაყაჩოს ნათესებზე გამოყენებული მიწის საერთო ფართი აღემატება კოლუმბიაში, პერუსა და ბოლივიაში ნათესების საერთო რაოდენობას. ავღანელი ღარიბები დაკავებულნი არიან ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანით, რათა როგორმე თავი გაიტანონ და შიმშილით არ დაიხოცნონ, თითქოს მათ ქვეყანას მეტი არაფერი გააჩნდეს. არადა, საბჭოთა მეცნიერებმა ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის წინ დაამტკიცეს, რომ ავღანეთი ძალიან მდიდარი ქვეყანაა.

**ამერიკელმა სამხედროებმა მხოლოდ დაადასტურეს საბჭოთა გეოლოგების დიდი ხნის დასკვნა იმის შესახებ, რომ ავღანეთი უზომოდ მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, პირველ რიგში, ძვირფასი მეტალებით. მათ არა მხოლოდ დაამტკიცეს, არამედ ავღანეთის მთელი სიმდიდრეების რუკაც შეადგინეს.**

ამ ფაქტორის მნიშვნელობა უდიდესია იმიტომაც, რომ ავღანელი მოჯაჰედებისა და მათი დასავლელი მფარველების ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს 20 წლის წინ დასრულდა საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლით, სინამდვილეში არ დამთავრებულა. 2000-იან წლებში ამ ომმა ახალი ფორმები შეიძინა და ნარკოტიკულ მინდორზე გადაინაცვლა. ამ ომში რუსეთის ადამიანურმა დანაკარგმა ბევრად გადააჭარბა ბრძოლის ველზე დანაკარგებს. **მაშინ, ომის 10 წლის განმავლობაში, დაახლოებით 15 ათასი ადამიანი დაიღუპა, ახლა კი ყოველწლიურად ავღანური ნარკოტიკებისაგან დსთ-ს ტერიტორიაზე 20 ათასი ადამიანი იღუპება,გაცილებით მეტი ინვალიდდება.** ამ ომში ძირითადი მსხვერპლი ახალგაზრდობაა. ახლა, როდესაც უკვე აღიარებულია, რომ ავღანეთი უზომოდ მდიდარია და მის მოსახლეობას სიცოცხლის გადასარჩენად და თავის გასატანად მხოლოდ ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანა არ უწევს, ამერიკელები ამით ვეღარ გაამართლებენ ავღანური ნარკოტიკებით ადამიანთა სიკვდილს.

fondsk.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ნატოს მოწოდება იყო ტერორის განხორციელება თავად ალიანსის წევრი ქვეყნების შიგნით, რათა ატლანტიკური ბლოკის შემადგენლობაში მათი დაკავება მოეხერხებინა. „დემოკრატიული ღირებულებების დამცველად“ წარმოდგენილი ნატო სინამდვილეში მთავარ ამოცანად ისახავდა, საკუთარი წევრი ქვეყნების მოქალაქეებში ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მკვლელობებითაც, ჩაეხშო ყველანაირი დემოკრატიული იმედი და თავს მოეხვია მათთვის საკუთარი კურსი.**

# საიდუმლო ომი — თურქეთში

**მრავალმხრივი და მრავალსაფეხურიანი თურქულ-ამერიკული თანამშრომლობა კვლავ ძალებს იკრებს. აი, მხოლოდ ორი მაგალითი ბოლო პერიოდის მოვლენებიდან: ცნობილი გახდა, რომ სტამბოლში, ე.წ. ტერორიზმთან ბრძოლის გლობალურ ფორუმზე თავმჯდომარე იქნება აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი. 2012 წლის 12 და 13 მაისს კი ბოსფორის სანაპიროებზე ჩატარდა კავკასიის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენცია, რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ანტირუსული რეზოლუცია, რამაც მოსკოვის მხრიდან მკვეთრი რეაქცია განაპირობა.**



**დღეს «ჩრდილოატლანტიკური ალიანსი» მოქმედებს თავისი გეოგრაფიული საზღვრებიდან და პასუხისმგებლობის ზონებიდან საკმაოდ შორს, იმყარებს პოზიციებს შუა აზიაში და სამხედრო ოპერაციებს ატარებს ჩრდილოეთ აფრიკაში**

**დღეს, როდესაც რუსეთ-თურქეთის გულწრფელი და ნდობით აღსავსე ურთიერთობის თაობაზე ილუზიები ნელ-ნელა იფანტება, ანკარა კი სულ უფრო აქტიურად თამაშობს ახლო აღმოსავლეთის რეგიონულ კონფლიქტებში დასავლეთის მხარეს, უდავო ინტერესს იწვევს ამ ალიანსის ისტორიული წინაპირობები. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ახლახან რუსულ ენაზე გამოცემული შვეიცარიელი მკვლევარის, დენიელ განსერის, წიგნი „ნატოს საიდუმლო არმიები: ოპერაცია „გლადიო“ და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში“. მკვლევარი შეისწავლის 1945 წლის შემდეგ შექმნილი ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფების სკანდალურ ისტორიას. აშშ-ის დასავლელი მოკავშირეების პარალელურად თურქეთიც მათი დაჟინებული ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა.**

დანიელ განსერი შეისწავლის იმ საიდუმლო ქვედანაყოფების ისტორიას, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ბრიტანული „მი-6“-ის მცდელობით შეიქმნა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეროვნულ სპეცსამსახურებთან ერთად. მათი შექმნის მიზანი იყო საბჭოთა კავშირთან ბრძოლა ამ უკანასკნელის თავდასხმის შემთხვევაში. სინამდვილეში ნატოს შტაბ-ბინაში არსებული საიდუმლო კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი ეს საიდუმლო არმიები, რომლებიც შედგენილ იქნენ ფაშისტური და ულტრამემარჯვენე ელემენტებისაგან, ამერიკული „დესტაბილიზაციის სტრატეგიისა“ და „სხვისი დროშის ქვეშ ტერორიზმის“ ნაწილი გახდა. საიდუმლო ქსელს იტალიაში „გლადიო“ უწოდეს, სხვა სახელმწიფოებში ქვედანაყოფებს საკუთარი სახელწოდებები ჰქონდათ.

ტერორისტული აქტები, არასასურველი პოლიტიკოსების, მათ შორის იტალიის პრემიერ-მინისტრის, ალდო მოროს,ლიკვიდაცია ხორციელდებოდა მემარცხენე ძალების დისკრედიტირებისათვის, რომელთაც ბრალდებოდათ ეს ყველაფერი, და საზოგადოების დაშინებისათვის.დასავლეთევროპული ქვეყნების ნატოში გაწევრებისას სახელმწიფოებს ხელი უნდა მოეწერათ საიდუმლო პროტოკოლებისთვის, რომლებიც ამ ქვეყნების ხელისუფლებებს ავალდებულებდა, ნებისმიერი საშუალებებით უზრუნველეყოთ შიდა ორიენტაცია დასავლური ბლოკისაკენ, თუნდაც ელექტორატს სულ სხვა მისწრაფებები ჰქონოდა. დასავლურმა მედიამ ნატოს საიდუმლო არმიების ისტორიას ყველაზე საგულდაგულოდ დამალული და სახიფათო სამხედრო-პოლიტიკური საიდუმლო უწოდა მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ამ დრომდე.

ნატოს საიდუმლო ქვეგანყოფილებების შექმნის მიზეზი გახდა დასავლეთის მზადება ვითომდა საბჭოთა ოკუპაციისათვის: ეს იატაკქვეშა ნაწილები დარჩებოდნენ საბჭოთა ზურგში დივერსიული მუშაობისათვის. **იმ დროს, როდესაც ყველაზე სისხლისმღვრელ ომში დანგრეული საბჭოთა კავშირი მთლიანად ქვეყნის აღდგენაზე იყო გადართული, ამერიკასა და ევროპაში რადიკალებს სწორედაც რომ საბჭოთა საფრთხე სჭირდებოდათ თავიანთი რეპრესიული აპარატის ასაშენებლად ყველაზე დასავლეთევროპულ ქვეყნებში, რათა თავიდან აეცილებინათ მემარცხენე ძალების ხელისუფლებაში მოსვლა.**არადა, მემარცხენეები ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მოსახლეობაში ომის წლებში გმირული ბრძოლის წყალობით.

**ამრიგად, დენიელ განსენის კვლევამ გამოაჩინა ნატოს მოღვაწეობის მეორე, გაცილებით უფრო გასაიდუმლოებული მხარე: საბჭოთა კავშირსა და ვარშავის შეთანხმების ქვეყნებზე საომარი საფრთხის პროეცირების გარდა, ნატოს მოწოდება იყო ტერორის განხორციელება თავად ალიანსის წევრი ქვეყნების შიგნით, რათა ატლანტიკური ბლოკის შემადგენლობაში მათი დაკავება მოეხერხებინა. „დემოკრატიული ღირებულებების დამცველად“ წარმოდგენილი ნატო სინამდვილეში მთავარ ამოცანად ისახავდა, საკუთარი წევრი ქვეყნების მოქალაქეებში ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის მკვლელობებითაც, ჩაეხშო ყველანაირი დემოკრატიული იმედი და თავს მოეხვია მათთვის საკუთარი კურსი.** როგორც ბერძენი პარლამენტარი ეფრემიდისი ამბობდა, საქმე ისაა, რომ „გლადიო“ ნატოსა და ცსს-ს მიერ შეიქმნა, ისინი კი დემოკრატიის დაცვის ეგიდით ფაქტობრივად ანადგურებდნენ მისმდგრადობას და იყენებდნენ საკუთარი არაკეთილსინდისიერი მიზნებისთვის.

საბჭოთა სისტემის განადგურებამ ნატოს აგრესია ვერ შეაჩერა. პირიქით. დღეს „ჩრდილოატლანტიკური ალიანსი“ მოქმედებს თავისი გეოგრაფიული საზღვრებიდან და პასუხისმგებლობის ზონებიდან საკმაოდ შორს, იმყარებს პოზიციებს შუა აზიაში და სამხედრო ოპერაციებს ატარებს ჩრდილოეთ აფრიკაში. ნატოს ახლადგამომცხვარი წევრების ქუჩებში აბსოლუტურად შეუნიღბავად მარშირებენ ესესის ვეტერანები და ნეონაცისტები: ნატოს საიდუმლო ქვედანაყოფების იდეალური რეკრუტები.**მოაწერეს თუ არა ხელი ნატოს ახალი წევრების ხელისუფლებებმა საიდუმლო პროტოკოლებს, რომ ნებისმიერი საშუალებებით უზრუნველყონ საკუთარი ქვეყნის შიდა ორიენტაცია დასავლურ ბლოკზე?**

ნატოს საიდუმლო ქვეგანყოფილებებზე პუბლიკაცია დღეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ქვეყნებმა, მათმა ხელისუფლებებმა და მოსახლეობამ ამ ალიანსში გაწევრებამდე უნდა იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს ნატო, რა მეთოდებით მუშაობს და რა შედეგები მოაქვს ამ ორგანიზაციასთან მჭიდრო თანამშრომლობას ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მთლიანდ სახელმწიფოსთვის.

თურქეთში საიდუმლო არმიის ისტორია გაცილებით უფრო სასტიკია, ვიდრე ასეთივე არმიების ისტორია დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში.ეს აიხსნება ეთნიკური ქურთების ნაციონალური მოძრაობით. ძალადობის ფესვები XX საუკუნის დასაწყისიდან მოდის.პირველი მსოფლიო ომის პერიოდში დიდი და ამაყიოსმალეთის იმპერია დაინგრა და 1923 წელს მის ადგილას ზომებით გაცილებით პატარა თურქეთის რესპუბლიკა შეიქმნა. თითქმის მთელი მოსახლეობა მუსლიმანი იყო, მაგრამ გაჩაღდა მწვავე შეტაკებები თურქების, ქურთებისა და სომხების ეთნიკურ გამყოფ ხაზებზე.მოსახლეობის 80%-ის წარმომადგენელი და ასევე ახალი დედაქალაქის, ანკარას, მმართველ ელიტაში შემავალი თურქული ეთნიკური ჯგუფი ცდილობდა, შეექმნა ერთგვაროვანი სახელმწიფო და დანარჩენი ორი ეთნიკური ჯგუფი გაედევნა.

ქურთების ეთნიკური ჯგუფი აერთიანებს ახალი ეროვნული ტრადიციების მიმდევარ დაახლოებით 12 მილიონ ადამიანს. მათი ნაწილი სირიაში, ირანსა და ერაყში ცხოვრობდა, უმეტესობა კი — სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში და ახალი რესპუბლიკის მოსახლეობის თითქმის 20%-ს შეადგენდა. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გაცილებით მცირე სომხური ეთნიკური ჯგუფი ტრაგიკულად იქცა თურქული გენოციდის მსხვერპლი. დაახლოებით ორი მილიონი სომხიდან, რომლებიც ოსმალეთის იმპერიაში ცხოვრობდნენ, მხოლოდ 200 000 გადარჩა ცოცხალი. 1 800 000 ადამიანი მოკლეს.

ამავე პერიოდში **ქურთებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, სიკვდილიანობა მაღალი იყო, მაგრამ თურქებმა ყველა ქურთის მოკვლა ვერ მოახერხეს, ამიტომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა XXI საუკუნის დასაწყისშიც სახეზეა.**

ახალი თურქული სახელმწიფოს ძალადობრივი დაბადება ასევე ნეგატიურად აისახა თურქეთის კომუნისტურ პარტიაზე. 1921 წელს ხელახლა შექმნილი კომუნისტური პარტიის მთელი ხელმძღვანელობა მოკლულ იქნა, პარტია კი კანონგარეშედ გამოცხადდა.

**თურქი ნაციონალისტები განაგრძობდნენ იმის გაკრიტიკებას, რომ ოსმალეთის იმპერიის დამხობის გამო მრავალი ეთნიკური თურქი მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ იძულებული გახდა, ტყვესავით ეცხოვრა ახალი თურქული სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ.ისინი საკუთარ იდეოლოგიას ამყარებდნენ ეგრეთწოდებულ პანთურქიზმის მოძრაობაზე, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს უკვე იმედოვნებდა, რომ ყველა თურქს ერთიან სახელმწიფოში გააერთიანებდა და ეს სახელმწიფო დასავლეთ ჩინეთიდან ესპანეთამდე იქნებოდა გადაჭიმული.**

ოსმალეთის იმპერიის დამხობის შემდეგ ამ „ტყვე თურქებიდან“ მრავალი ახალ კომუნისტურ საბჭოთა კავშირში ან კიპრზე ცხოვრობდა.საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის დამხობა იმპერატივი გახდა იმ თურქებისათვის, რომლებიც გაერთიანდნენ პანთურქულმოძრაობაში და იმედოვნებდნენ, რომ „ტყვე თურქების“ ხარჯზე გააფართოებდნენ თურქულ სახელმწიფოს საბჭოთა კავშირის დამხობისთანავე.

**მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ოფიციალურად თურქეთს ნეიტრალიტეტი ეჭირა, მაგრამ იმისათვის, რომ მომავალში გამარჯვებულების მხარეს აღმოჩენილიყო, 1945 წელს ანკარამ გერმანიას ომი გამოუცხადა. ჰიტლერსა და მუსოლინის მხარს უჭერდნენ პანთურქული მოძრაობის ნაციონალისტები. ფაშისტური მოძრაობის რასობრივი თეორიების გავლენით პანთურქიზმი სულ უფრო ხშირად აღნიშნავდა ხაზგასმით ყველა თურქის საერთო რასობრივ კავშირებს. ქადაგებდნენ რასობრივ უპირატესობასაც.**

საბჭოთა კავშირში გერმანიის შეჭრა პანთურქულმა მოძრაობამ ენთუზიაზ- ►

მოკლედ

## ჩინეთის უმდიდრესმა სოფელმა საკუთარი ავიაკომპანია შექმნა

**ჩინეთის პროვინცია ციანსუს სოფელ ხუასის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საკუთარ ავიაკომპანიას ქმნის. სოფელი, სადაც 1,5 ათასი ადამიანი ცხოვრობს, ჩინეთში ყველაზე მდიდარ სოფლად ითვლება.** ამ სოფლის თითოეული მოსახლის ყოველთვიური შემოსავალი საშუალოდ 10 ათასი დოლარია. სოფლის მთავარი ეკონომიკური მაცოცხლებელი არის ტექსტილის წარმოება და ტურიზმი. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, სოფელი ყოველწლიურად 2 მილიონზე მეტ ტურისტს იღებს. სოფლის ხელისუფლების განმარტებით, სოფლის კიდევ უფრო განვითარებისთვის ავიაკომპანიის შექმნა და ზოგადად სოფლიდან ფრენების განხორციელება მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ 26 ივლისს ქვეყნის ხელისუფლებამ რეგისტრაციაში გაატარა სოფლის ავიაკომპანია Jiangsu Huaxi General Aviation Co. ავიაკომპანიის პარკი 2 ვერტმფრენისგან შედგება, მათი საერთო ღირებულება 14 მილიონი დოლარია.



**ადამიანებით ვაჭრობის შესახებ უკანასკნელი ანგარიშის თანახმად, ეგვიპტეში ძირითადად მდიდარი არაბი ტურისტები ჩადიან სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან და „ახალგაზრდა ცოლების“ მომსახურებაში დიდ ფულსაც იხდიან. საზაფხულო არდადეგების პერიოდში არასრულწლოვანი ეგვიპტელი გოგოს ყიდვა, როგორც გაირკვა, რთული საქმე არაა — მსურველი თავზესაყრელადაა. ადგილი აქვს მხოლოდ ორიოდე ფორმალობას, რაც ასევე ფულის საშუალებით უმარტივესად გვარდება. ეგვიპტეში მოქმედი კანონის თანახმად, უცხოელს ეგვიპტელ ქალზე დაქორწინების უფლება არ აქვს, თუ წყვილს შორის ათ წელზე მეტი ასაკობრივი სხვაობაა. ადგილობრივმა მრეწველებმა გამოსავალი იპოვეს: უმალ დაამზადეს ყალბი დაბადების მოწმობები პატარძლებისთვის.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქურთებმა დიდი დანაკარგი განიცადეს, სიკვდილიანობა მაღალი იყო, მაგრამ თურქებმა ყველა ქურთის მოკვლა ვერ მოახერხეს, ამიტომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა XXI საუკუნის დასაწყისშიც სახეზეა**

◀ მით მიიღო. 1942 წელს, იწინასწარმეტყველეს რა სტალინგრადის დაცემა, პანთურქული ჯარები კავკასიის საზღვარზე განლაგდნენ, რათა საბჭოთა კავშირის დამხობით ეხეირათ. მაშინ არ გამოუვიდათ — მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირმა მოიგო, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ, როდესაც საბჭოთა კავშირი უკვე დაიშალა, პანთურქულმა მოძრაობამ იზრუნა იმაზე, რომ აზერბაიჯანში, თურქეთთან აღმოსავლეთ საზღვარზე, პანთურქიზმის იდეების მხარდამჭერი რეჟიმი დამყარებულიყო.

**მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აშშ-ის მთავარი ინტერესი თურქეთთან დაკავშირებითიყო ქვეყნის ინტეგრირება დასავლურ, ანტიკომუნისტურ თავდაცვის სისტემაში.თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო თურქეთს სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი ტერიტორიები ჰქონდა.როგორც ომის დროს, ასევე მისი დასრულების შემდეგაც იგი ფუნქციონირებდა, როგორც მნიშვნელოვანი მოედანი აშშ-ისა და ნატოს ოპერაციებისთვის ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს მოედანი სპარსეთის ყურეში მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.**

**ვინაიდან თურქეთი იცავდა ვარშავის შეთანხმების ქვეყნებთან ნატოს საზღვრების მესამედს, თურქული ელიტა მშვენიერ დაქირავებულ თავდაცვად იქცა აშშ-ის სამხედრო მრეწველობისთვის და მისგან მილიარდობით დოლარსაც იღებდა.**

ცივი ომის პერიოდში აშშ-ის მიერ შეიარაღებულმა თურქეთმა ევროპაში ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები შექმნა. ეს არმია ახლა ნატოში სიდიდით მეორეა, აშშ-ის არმიის შემდეგ. **1961 წელს აშშ-ის უგუნური ავანტიურის შედეგად თურქეთში ბირთვული რაკეტები განთავსდა. ისინი საბჭოთა კავშირისკენ იყვნენ მიმართულნი. როდესაც ერთი წლის შემდეგ საბჭოთა ლიდერმა ნიკიტა ხრუშოვმა გაიმეორა იგივე უგუნურება და კუბაში განათავსა ბირთვული რაკეტები, რომლებიც აშშ-ისკენ იყო მიმართული, წარმოიქმნა კარიბის სარაკეტო კრიზისი, რომელმაც კინაღამ მიიყვანა მსოფლიო საბედისწერო ბირთვულ ომამდე.** პრეზიდენტმა კენედიმ კრიზისი მშვიდობიანი გზით გადაჭრა — შეჰპირდა ხრუშოვს, რომ თურქეთიდან საკუთარ ბირთვულ რაკეტებს გაიტანდა, თუ საბჭოთა კავშირიც ანალოგიურად გაიტანდა თავის რაკეტებს კუბიდან.

ნატოში თურქეთის მეტი ინტეგრაციის მიზნით, აშშ იძულებული გახდა, გამოეყენებინა დომინირებადი და მეომარი პანთურქული მოძრაობა. ამ მოძრაობის წევრებმა, თავის მხრივ, საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენეს ქვეყნის გაცილებით უფრო ღრმა ინტეგრაცია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. მემარჯვენე ექსტრემისტი **ალპარსლან ტიურქეში** ამაში მთავარ როლს ასრულებდა. მეორე მსოფლიო ომის დროს პოლკოვნიკი თურქეთში გერმანელი ნაცისტების საკონტაქტო პირი იყო. პირველად იგი საყოველთაოდ ცნობილი გახდა 1944 წელს, როდესაც იგი და სხვა 30 თურქი დააპატიმრეს ანტიკომუნისტურ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღების გამო.

დარწმუნებული იყო რა რასობრივი უპირატესობის თეორიის სისწორეში და კერძოდ თურქების უპირატესობაში, პოლკოვნიკი უამრავი გამოსვლისას იშველიებდა ციტატებს ჰიტლერის „მაინ კამფიდან“. ომის შემდეგ, 1948 წელს, მან კავშირები გააბა ცსს-სთან და, სავარაუდოდ, სწორედ მაშინ, ცსს-ს მითითებითა და დავალებით დაიწყო თურქეთში საიდუმლო ანტიკომუნისტური არმიის შექმნა.

ვინაიდან აშშ-თან თანამშრომლობა ძლიერდებოდა, ქარიზმატული ლიდერი, პოლკოვნიკი თურქეში ბევრს მოგზაურობდა თურქეთსა და აშშ-ს შორის და მჭიდრო კავშირები დაამყარა როგორც პენტაგონთან, ასევე ცსს-სთან. 1955-1958 წლამდე იგი აშშ-ში, ვაშინგტონში, მსახურობდა ნატოს თურქულ სამხედრო მისიაში.

**1952 წლის აპრილში თურქეთი ნატოს წევრი გახდა. ამ დროისათვის პოლკოვნიკ თურქეშს უკვე შექმნილი ჰქონდა საიდუმლო არმია. მის შტაბს ტაქტიკური სამობილიზაციო საბჭო ეწოდა და იგი ცსს-ს ორგანიზაციის, დახმარების ამერიკული დელეგაციის შენობაში იყო განთავსებული თურქეთის დედაქალაქ ანკარაში. ტაქტიკური სამობილიზაციო საბჭო რეორგანიზებულ იქნა 1965 წელს და მას სპეციალური ოპერაციების სამმართველო ეწოდა. ამ სახელით თურქეთის საიდუმლო არმიის სამეთაურო ცენტრი ცნობილი გახდა 1990 წელს, გლადიოს გამოაშკარავებისას. ამ გამოაშკარავების გამო სპეციალური ოპრაციების სამმართველოს კიდევ ერთხელ მოუხდა სახელის შეცვლა და ახლა მას „სპეცდანიშნულების ჯარების სარდლობა“ ეწოდება.**

bs-kavkaz.org

# ზნეობა «გამარჯვებული» დემოკრატიის ეპოქაში

**დემოკრატიისათვის ბრძოლა ტკბილია, მისი ნაყოფი კი... მთავარი ლიბერალური ღირებულებებია, სხვა ყველაფერი კი — მხოლოდ ადგილობრივი კოლორიტი.**



ორგანიზაცია „არაბ ქალთა ალიანსის“ მონაცემებით, ახალგაზრდა ეგვიპტელი ქალები იძულებულნი არიან, „საზაფხულო ქორწინებას“ დათანხმდნენ, რომ მისი საშუალებით ოდნავ მაინც დაეხმარონ საკუთარ ოჯახს.

სირიის პროცესებმა გარკვეული დროით მოადუნა მსოფლიო მედიის ყურადღება ეგვიპტის რეგიონზე. ხელისუფლების შეცვლა სულაც არ ნიშნავს, რომ იმპერიაში ყველაფერი კარგადაა.

თუმცა, საუბარია არა ეგვიპტის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებზე რევოლუციისშემდგომ ეპოქაში. **არაბული მედია სულ სხვა თემას წამოსწევს წინა პლანზე და ეს თემა გაცილებით უფრო მტკივნეული და არატიპიურია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. „არაბული გაზაფხულის“ შედეგები წარმოუდგენელი აღმოჩნდა: იმისათვის, რომ როგორმე გადარჩნენ, მშობლები იძულებულნი არიან, თავად მიჰყიდონ თავიანთი არასრულწლოვანი ქალიშვილები მდიდარ ტურისტებს, თუ ასეთი კიდევ მოიძებნება ამ დაპირისპირებებისგან განადგურებულ ქვეყანაში.**

მკაცრი არაბული კანონების დარღვევას აუცილებლობა განაპირობებს. ამ ბიზნესით თავს ირჩენს უამრავი ადამიანი, რომლებმაც უკვე დაკარგეს იმედი, როგორმე სხვაგვარად გამოაცოცხლონ გაპარტახებული ტურისტული სფერო. საეჭვოა, ქვეყნის ახლადგამომცხვარ ხელისუფლებას ამ ახლი საქმიანობისთვის ეცალოს. საბრალო მოზარდი გოგონები მდიდრების სატყუარებად აქციეს და მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა ელით ცხელი ეგვიპტური ზაფხულის დასრულების შემდეგ.

და რადგან ამ საკითხით თვით აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი დაინტერესდა, როგორც ჩანს, საქმე ძალიან რთულადაა. **ადამიანებით ვაჭრობის შესახებ უკანასკნელი ანგარიშის თანახმად, ეგვიპტეში ძირითადად მდიდარი არაბი ტურისტები ჩადიან სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან და „ახალგაზრდა ცოლების“ მომსახურებაში დიდ ფულსაც იხდიან. საზაფხულო არდადეგების პერიოდში არასრულწლოვანი ეგვიპტელი გოგოს ყიდვა, როგორც გაირკვა, რთული საქმე არაა — მსურველი თავზესაყრელადაა. ადგილი აქვს მხოლოდ ორიოდე ფორმალობას, რაც ასევე ფულის საშუალებით უმარტივესად გვარდება.**

**ეგვიპტეში მოქმედი კანონის თანახმად, უცხოელს ეგვიპტელ ქალზე დაქორწინების უფლება არ აქვს, თუ წყვილს შორის ათ წელზე მეტი ასაკობრივი სხვაობაა. ადგილობრივმა მრეწველებმა გამოსავალი იპოვეს: უმალ დაამზადეს ყალბი დაბადების მოწმობები პატარძლებისთვის.**

საზაფხულო ქორწინების ხანგრძლივობა და მისი ანაზღაურებაც ტურისტის უკან დასაბრუნებელი ბილეთის თარიღზეა დამოკიდებული. უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც კი ტურისტი ეგვიპტის საზღვარს გადაკვეთს, საქორწინო კონტრაქტი იურისდიქციას კარგავს და ავტომატურად უქმდება. **საზაფხულო ცოლის, ანუ ერთდროულად სექს-მონისა და ქმრის მსახურის ანაზღაურება 500-დან 5000 დოლარამდე მერყეობს. საშუალო ეგვიპტელისათვის, რომლის საშუალო შემოსავალიც თვეში 50 დოლარს არ აღემატება, ეს ასტრონომიული ფასია.**

ხშირად ამ გარიგებების ინიციატორები გოგონების მშობლები არიან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბიზნესი მუსლიმანურ ქვეყნებში აბსოლუტურად დაუშვებელია. **ეს არ არის მეძაობა, რითაც ეგვიპტეში მხოლოდ არაისლამისტი უცხოელები არიან დაკავებულნი. ეს არის ბიზნესი აბსოლუტურად წესიერი მუსლიმანური ეგვიპტური ოჯახებისთვის, რომელთაც სიცოცხლის გადასარჩენად სხვა აღარაფერი დარჩენიათ.**

ხშირად გოგონებმა არც იციან, რა ხდება მათ თავს, ისინი თვლიან, რომ მართლაც გათხოვდნენ და მეუღლის უეცარი გაუჩინარება უდიდესი სტრესის საბაბი ხდება.



ამ გოგონებს მომავალი დალუპული აქვთ. მათ უმეტესობას მეძავობის გარდა აღარაფერი რჩება, ზოგიერთებს კი უმართლებს და ცოლად მიჰყვებიან სუტენიორებს, რომლებიც მუსლიმან ცოლებს საკუთარი ბიზნესის შესანიღბად იყენებენ.

forum.polismi.org

მოკლედ

## საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვება კვლავ შესაძლებელია

**საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვების შესაძლებლობა კვლავ რჩება. ამის შესახებ ევროჯგუფის ხელმძღვანელმა ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა.** იუნკერმა გერმანიის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვება ამ ეტაპზე ნაკლებად მოსალოდნელია და თუ ეს მაინც მოხდება, სავარაუდოდ, შემოდგომის ბოლოსთვის უნდა ველოდოთ. მისივე თქმით, საბერძნეთის მიერ ევროზონის დატოვება არაა სასურველი და ის მთელი რიგ სერიოზულ რისკებს უკავშირდება.

## ქალაქი საქმიანი ქალბატონებისათვის

**საუდის არაბეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქვეყნის სამხრეთში ახალი ქალაქი აშენდება სპეციალურად საქმიანი ქალბატონებისათვის.** ასეთი ქალაქის აშენების იდეა უკვე მოიწონა ქვეყნის მუნიციპალიტეტებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, პრინცმა მანსურ ბინ აბდულაზიზმა. ახლადაშენებულ ქალაქში განლაგდება საწარმოები, რომელთაც ფლობენ ქალები, ასევე ფაბრიკები, რომლებიც ქალებისათვის აწარმოებენ პროდუქციას. საუდის არაბეთში ქალთა უფლებები ძლიერ დაკნინებულია შარიათის პრინციპებზე დაფუძნებული კანონმდებლობის გამო. კერძოდ, ქალებს აკრძალული აქვთ ავტომობილის მართვა, მოგზაურობა თანმხლები მამაკაცის გარეშე. ოლიმპიურ თამაშებზეც ამ ქვეყნის წარმომადგენელი ქალბატონები მხოლოდ 2012 წელს დაუშვეს.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


იგორ კვესელავა

**ცალკეულ მილიარდერს შეუძლია შემოსავლების რაღაც ნაწილი გაიღოს ღარიბთა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა, მას არ შეუძლია აღმოფხვრას სისტემური წესრიგის დაპირისპირება. თუ კაპიტალიზმი ამთავრებს თავის არსებობას, მის მიმართ გაწეული ე. წ. სარემონტო სამუშაოები ფუჭი იქნება და პრობლემას ვერ მოხსნის. მითუმეტეს, ვალლერსტაინი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ კაპიტალიზმი, როგორც მსოფლიო სისტემა, 50 წელიწადში საერთოდ არ იარსებებს.**

# XXI საუკუნე — თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრული?

**თუ ისტორიკოს პიტერ ჰეილის თეზას გავიზიარებთ, რომ „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“, იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ „ისტორიის დასასრულის“ ეპოქა არასოდეს დადგება, მაგრამ ისტორიამ შეიძლება იკამათოს და განსაჯოს საკაცობრიო პრობლემები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა ჩვენს სიახლოვეს და თავისი მასშტაბურობით ღრმა დაფიქრებისკენ გვიბიძგებს.
საკითხი ეხება თანამედროვე „კაპიტალიზმის დასასრულის“ პრობლემას, რომელიც „სიბერის“ განუკურნებელმა სენმა მოიცვა და ხსნის გზებს ეძებს.**

2012 წლის იანვრის ბოლოს შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე შეკრებილმა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა სახეებმა არა მარტო მსოფლიო ულრმესი ეკონომიკური კრიზისი ფაქტის კონსტატაცია მოახდინეს, არამედ აღიარეს, რომ დღევანდელი ფორმატით კაპიტალისტურმა სისტემამ თავისი თავი ამოწურა.

დავოსში არც ისე ცოტა დრო დაეთმო დისკუსიებს ევროზონის შესახებ, მაგრამ ძალიან სწრაფად გაირკვა, რომ დღევანდელი პრობლემები – ერთიანი ევროპული ვალუტის შესახებ, სოციალური პროტესტები, რევოლუციები ახლო აღმოსავლეთში, საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიკავე უოლ სტრიტი“ და სხვები, თანამედროვე კაპიტალიზმის ავადმყოფობის ცალკეული სიმპტომებია. **საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა ქრისტინა ლაგარდმა, მსოფლიოს მოუწოდა, ეძებონ ყველაზე გადამწყვეტი მეთოდები პრობლემის გადასაჭრელად, მითუმეტეს, ცენტრალურ ბანკებთან ფინანსური სისტემის დარეგულირება და მთავრობის მხრიდან მომავალში მრავალმილიარდიანი საბიუჯეტო სტიმულირება, არ არის პრობლემის მოგვარების გზა.**

დავოსის ფორუმზე ეკონომიკური ელიტის ცნობილი წარმომადგენელი, კლაუს შვაბა ირწმუნებოდა, რომ **„კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი თავი და აბსოლუტურად არ ეწერება თანამედროვე მსოფლიოს მოდელში“**, აშშ-ის ფინანსთა ყოფილი მინისტრის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ლარი სამერსის მტკიცებით: **„ჩვენ ვდგევართ ეკონომიკის ცვლილების წინაშე, რომელიც იქნება ისეთი სერიოზული, როგორც თავის დროზე იყო ინდუსტრიალიზაცია“.**

საინვესტიციო ფონდის მმართველმა სარლუილე დევიდ რუბინშტეინმა თავისუფალი ბაზრის დასავლეთის მოდელს 3-4 წლის არსებობა უწინასწარმეტყველა და მისი სასწრაფოდ შეცვლის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი. დავოსში ისიც გაისმა, რომ კაპიტალიზმმა XX საუკუნეში დაამთავრა თავისი წარმატების დემონსტრირება, მოძველდა და ნგრევით დაემუქრა XXI საუკუნის საზოგადოებას. შესაბამისად, დადგა დრო მისი დასაფლავების შეკვეთის მისაცემად.

**საყურადღებო და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ დავოსში კაპიტალიზმის ყოფნა-არყოფნის დისკუსიის ინიციატორებად გამოვიდნენ არა მხოლოდ მეცნიერები და პოლიტიკოსები, არამედ უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლები: ბ. გეიტსი, ჯ. სოროსი, ვ. პინჩუკი** და სხვები. საგულისხმოა, რომ, ფაქტობრივად, დისკუსიის დასაწყისს, სათავე დაუდო ფორუმის წინ, გაზეთ The Financial Times-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ, სახელწოდებით „კაპიტალიზმი – უმძიმესი დრო“. მისი ლაიტმოტივი გახდა თეზა: **„ადამიანებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის ნდობა: სისტემა ჩამოიშალა“. სხვათაშორის, გამოკითხვის შედეგად, ფორუმის მონაწილეთა 70 პროცენტმა გაიზიარა მოსაზრება, რომ „სისტემა გაჭირვებაშია“.**

ცხადია, თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ მეცნიერული წრეების წარმომადგენლებსაც. საკითხი კაპიტალიზმის ისტორიული დასასრულის შესახებ, რამდენიმე ათეული წელია, განიხილება სამეცნიერო გამოცემებში. მათ შორის საყურადღებოა, აშშ-ის ერთ-ერთი ცნობილი ეკონომისტის, პიტერ დრიუკერის 1993 წელს გამოცემული წიგნი: **„პოსტკომუნისტური საზოგადოება“.** 2003 წელს დაიბეჭდა მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული სოციოლოგის ემანუილ ვალლერსტაინის ნაშრომი: **„ნაცნობი მსოფლიოს დასასრული“.** ამ წიგნში და სხვა გამოცემებში მეცნიერი




**ამავე დროს, კაპიტალიზმმა დაიწყო თავისი თავის უარყოფა. მის წიაღში წარმოიშობა ახალი სტრუქტურები, რომლებიც ინარჩუნებენ კაპიტალიზმის ნიშან-თვისებებს, მაგრამ, იმავდროულად, უარყოფენ კაპიტალიზმის სპეციფიკას**

ირწმუნება, რომ **„კაპიტალიზმი ცდილობს გააკეთოს უკანასკნელი ამოსუნთქვა, ახალი სუნთქვის შეძენის გარეშე“.** მისი აზრით, ჩვენ ვცხოვრობთ რაღაც ახალი, მსოფლიო სისტემის გადასვლის ეპოქაში.

2012 წლის იანვარში აღნიშნული პრობლემა გააანალიზა უკრაინელმა მეცნიერმა ანატოლი გალჩინსკიმ სტატიაში **„კაპიტალიზმის საზღვრებს მიღმა“.** მისი აზრით, ამ საკითხში მეცნიერება არ დუმს, თუმცა, მას ყოველთვის არ უსმენენ. კაპიტალიზმის წინააღმდეგ დაიწყო „მოძრაობა „ქვემოდან“, ანუ „ზეგავლენა ქუჩიდან“, რომელიც არ არის მხოლოდ მეცნიერული ტრაქტატი, არამედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაპირისპირების სერიოზული გამოძახილია. ცხადია, **ცალკეულ მილიარდელს შეუძლია შემოსავლების რაღაც ნაწილი გაიღოს ღარიბთა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა, მას არ შეუძლია აღმოფხვრას სისტემური წესრიგის დაპირისპირება. თუ კაპიტალიზმი ამთავრებს თავის არსებობას, მის მიმართ გაწეული ე. წ. სარემონტო სამუშაოები ფუჭი იქნება და პრობლემას ვერ მოხსნის. მითუმეტეს, ვალლერსტაინი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ კაპიტალიზმი, როგორც მსოფლიო სისტემა, 50 წელიწადში საერთოდ არ იარსებებს**. ამასვე ადასტურებს გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ელვინ ტოფლერიც. ის მიუთითებს არსებულ პროცესებზე, როდესაც „იცვლება ყველაფერი“, ცხადია, მეცნიერს აქ მხედველობაში აქვს საზოგადოების ინსტიტუციონალური ცვლილება, როგორც მისი ფუნქციონალური, ისე მსოფლმხედველობრივი საფუძვლების ჩათვლით.

უდავოა, ამაში დევს ლოგიკა. **კაპიტალიზმი ადეკვატურია ინდუსტრიალიზმზე, რომლის ფუნდამენტზე მოხდა მისი გენეტიკური ბირთვის ფორმირება. ახლა კი ინდუსტრიალიზაციის ეპოქა წარსულს ბარდება და მის შესაცვლელად მოდის პოსტინდუსტრიალიზმი, რომლის მატერიალური, სოციალური და სულიერი წანამძღვრები კაპიტალიზმის მიერ არის შექმნილი. შესაბამისად, ამაში მდგომარეობს მისი ისტორიული დამსახურებაც.**

ამავე დროს, კაპიტალიზმმა დაიწყო თავისი თავის უარყოფა. მის წიაღში წარმოიშობა ახალი სტრუქტურები, რომლებიც ინარჩუნებენ კაპიტალიზმის ნიშან-თვისებებს, მაგრამ, იმავდროულად, უარყოფენ კაპიტალიზმის სპეციფიკას. აქ შეგვიძლია ანალოგია გავავლოთ ფეოდალიზმთან, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა აგრარული ცივილიზაციის ფუნდამენტზე და ისტორიული არენიდან წავიდა, როგორც ცივილიზაციური განვითარების შესაბამისი საფეხური.

მეცნიერები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თანამედროვე ვითარებაში არ ხდება კაპიტალიზმის რევოლუციური უარყოფა მარქსის პრინციპით **„ექსპლუატირებულები ექსპლუატატორთა წინააღმდეგ“,** არამედ წინწამოწეულია უარყოფის ლოგიკა, რომელიც თავის დროზე გააჟღერა XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდმა მეცნიერმა იოზეფ შუმპეტერმა. **ესაა „კონსტრუქციული უარყოფის“ ლოგიკა, რომელიც გულისხმობს უარყოფას მხოლოდ განვითარების გზით. საზოგადოება აუცილებლად დაემშვიდობება კაპიტალიზმს, მისი მიღწევები მას ზედმეტს და არასაჭიროს გახდის. ამ აზრით, სრული საფუძველი გვაქვს „კაპიტალიზმის დასასრული“ გამოვაცხადოთ, როგორც მისი ტრიუმფი. თუმცა იმავე ლოგიკით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოხდა კაპიტალიზმის ტრიუმფიც და ტრაგედიაც.**

თანამედროვე კაპიტალიზმის სისტემის ყავლგასულობის შესახებ დაუფარავად ლაპარაკი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს დასავლეთელმა მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, იყო ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი **ალბერტ გორი.** მის წიგნში **„დედამიწა სასწორის თეფშზე“** ვკითხულობთ: **„ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა სადღეისოდ იმდენად არის გაცვეთილი და ბოროტად გამოყენებული, რომ ეროვნული განვითარების გზაზე გონივრული არჩევანის უნარი არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, ხოლო მისი გამეორება ცივილიზაციას სრულ კრახამდე მიიყვანს“.**

უდავოა, სხვადასხვა ეპოქას აქვს დაბადებისა და დასასრულის პერიოდები და, ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე, კაპიტალიზმიც ექვემდებარება შეცვლას. ცხადია, ახლა ძნელია, გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ, რა სისტემაში მოუწევს მსოფლიოს მომავალში ცხოვრება, მაგრამ ანგარიშგასაწევია მეცნიერთა **(ი. ფრანგიშვილი)** ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, ეს იყოს უფრო ჰუმანური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა — **დასავლური სოციალიზმი ან სოცკაპიტალიზმი, რომელიც, სავარაუდოდ, 400-500 წელს იარსებებს.** აღნიშნულ საზოგადოებაში მოხდება კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ძირითადი მონაპოვრების შერწყმა. შორეულ მომავალში კი **მას ჩაენაცვლება უფრო ზეპიროვნული სისტემა – ჰარმონიული საზოგადოება. თუმცა, მკვლევართა გაანგარიშებით, იგი ხანმოკლე იქნება და მისმა არსებობამ სულ 100-150 წელი უნდა მოიცვას.**

ამ კონტექსტში საყურადღებოდ გვეჩვენება რუსული, ანუ სტალინური სოციალიზმის პარადიგმაც. ცნობილია, რომ მისი დამარცხება განაპირობა შინაგანმა და საგარეო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა მიზეზებმა. ამერიკამ მაშინ შეძლო საბჭოეთი გამალებული შეიარაღების შეჯიბრში „ჩაეთრია“. გაეშალა უძლიერესი ანტისაბჭოთა კამპანია და მასში ჩაერთო საერთაშორისო ორგანიზაციები; გამოეყე- ▶

# თვით ევროკავშირი არ არის მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია. ბოლო ათი წლის განმავლობაში მისი ზრდის ტემპები დაბალია. „ლისაბონის სტრატეგიამ (2001 წ.) ერთობლიობით განევითარებინათ ეკონომიკა, ვერ გაამართლა. ევროპული „კოლექტიური იდენტობა“ ვერ შედგა, ნაციონალური საზღვრების ადვილად „გადალახვის“ დემონსტრირებამ, ბევრი ვერაფერი შესძინა ევროპული ქვეყნების თანამეგობრობას.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნებინა საერთაშორისო მასმედია და პოლიტიკური ძალები, მათ შორის დასავლეთში არსებული კომპარტიებიც.

ცხადია, არსებობდა შინაგანი მიზეზებიც: ერთპარტიულობა, ყველა დონის ბიუროკრატიული ნომენკლატურის არსებობა, სიტყვისა და საქმის შეუსაბამობა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრად გაუარესება, ადგილობრივი თვითმმართველობის გაღრმავება ცენტრსა და რეგიონებს შორის, საბჭოეთის რიგ რესპუბლიკებში დისიდენტური და ეროვნული გამათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება და ა.შ.

**საბჭოეთის საბოლოო დანგრევის შეჩერება შეუძლებელი ჩანდა, თუმცა ხელისუფლების სათავეში სტალინური ტიპის კადრების მოსვლით** (შელეპინი, ანდროპოვი) **შესაძლებელი იყო მისი არსებობის გახანგრძლივება. არ არის გამორიცხული სახელმწიფო მოწყობის „ბერიასეული მოდელის“ გამოყენების შემთხვევაში პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სოციალურად გარდაქმნილი საბჭოეთის ერთიან კონფედერაციას დიდი ხანი ეცოცხლა.**

ცხადია, ყოველივე ეს მიუღებელი იყო დასავლეთისთვის, ამიტომ სავარაუდოა, რომ ბერიას ფიზიკურად განადგურების გეგმა საზღვარგარეთ დაიგეგმა და განხორციელდა კრემლის ავანტიურისტების მიერ (ხრუშჩოვი, მიქოიანი, ბულგანინი, მალენკოვი და სხვ.).

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, დასავლეთის ზეგავლენით შექმნილმა საბჭოეთის „ლიბერალურმა“ სისტემამ თვითონ შექმნა თავისი მესაფლავეები – პოლიტბიუროს წევრები – ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, გორბაჩოვი, იაკოვლევი, ელცინი, შევარდნაძე და სხვები.

ნიშანდობლივია, რომ საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივნის, მორის ტორეზის, შვილი, ცნობილი ფრანგი მეცნიერი **პიერ ტორეზი** მიიჩნევს, რომ, **„ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირის დაშლა იყო კატასტროფა“.** მისი აზრით, რუსეთში ყველა სოციალური მონაპოვარი გაქრა, უუფლებო გახდა პროფკავშირები; ცალკეულ სფეროებში (ენერგეტიკა, ტრანსპორტი) აიკრძალა გაფიცვები და საპროტესტო გამოსვლები; მუშებს არ აქვთ შესაძლებლობა დაიცვან თავიანთი უფლებები; დამკვიდრდა „ველური კაპიტალიზმი“, ქვეყანა დაიყო მდიდრებად და ღარიბებად; არ არსებობს საშუალო კლასი, დეზორგანიზებულია ეკონომიკა; გაფართოვდა ავტორიტარიზმი, ბიუროკრატია, კრიმინალი, ქსენოფობია; **„რუსეთის ცივილიზაციას“ უდგას დაისის პერიოდი და, ფაქტობრივად, მოხდა „ველური კაპიტალიზმის“ აღდგენა. კომპრომიტირებულია რუსეთის კომპარტია და თანდათანობით ფართოვდება მხარდაჭერა და სიმპათიები სტალინის ფიგურისადმი.**

საინტერესოა, რომ პიერ ტორეზი ხანგრძლივი დროის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოში და ის რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ომამდე რამდენიმე საათით ადრე დატოვა.

აღსანიშნავია, რომ ახალი საზოგადოების გააზრებისა და მომავლის შესაძლო სურათის შექმნის პროცესს თან სდევს მის სახელდებასთან დაკავშირებული პრინციპული დისკუსიები. ერთ-ერთი პირველი, ვინც 1959 წელს ახალი ეპოქის შესახებ გამოთქვა მოსაზრება და ის პოსტინდუსტრიულად მოიხსენია, იყო ამერიკელი მეცნიერი დ. ბელი. დღეისათვის ახალი ეპოქის ათობით ცნებაა ცნობილი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: **პოსტმოდერნისტული, პოსტკაპიტალისტური, პოსტეკონომიკური, ინფორმაციული, მომსახურეობითი, ცოდნის, ტექნოტრონული, პროგრამირებული, სუპერინდუსტრიული და სხვა საზოგადოებები.**

უნდა გავიცნობიეროთ ისიც, რომ **ერთი საზოგადოებრივი წყობის მეორით ჩანაცვლებამდე აუცილებელია გარდამავალი ეტაპის გავლა. თუმცა ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია, წინასწარ ვილაპარაკოთ ახალი საფეხურის სრულყოფილი სურათის შექმნაზე. მითუმეტეს, მოსალოდნელია, სპეციფიკური ნიშან-თვისებების, მახასიათებლების თუ მოვლენათა განვითარების შესაძლო ტენდენციების გამოვლენა.**

მეცნიერულ ლიტერატურაში ხაზს უსვამენ, რომ კაპიტალიზმის დამხობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც კონსტრუქციული ობიექტურობა. ამ კონტექსტში ასახსნელია თეზისი, რომელიც ეხება კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ ახალ სტრუქტურებს და ზოგადად კაპიტალიზმის საზღვრებს. დღეს არავინ დავობს კაპიტალიზმის ისტორიული განვითარების კანონზომიერებებზე, რომელშიც ადამიანი არ არის მხოლოდ „წარმოების სუბიექტი“, არამედ ეკონომიკური პროცესის უშუალო მონაწილეა, რომელიც მის მიერ არჩეულ თავისუფლების პარამეტრებს აღრმავებს არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში, თუმცა აქ ბევრი რამ უსაზღვრო არ არის, მითუმეტეს, რომ მოქმედებს პრინციპი: **„იყო“, „არის“** და **„არ არის“.**

სხვათა შორის, **მეცნიერები ხშირად საუბრობენ მაღალ ფასეულობებზე – არჩევის თავისუფლება, ადამიანის კეთილდღეობა, თანასწორობა და ა.შ., მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს სენტენცია რეალურად ძალიან შორსაა მილიონობით ადამიანისაგან.** მაგალითად, **საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო გადატრიალების საშუალებით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ძალებმა „ველური კაპიტალიზმის“ გზა აირჩიეს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლად და საქართველო სახელმწიფო ქონების მიტაცების ბუმმა მოიცვა. პრივატიზაციამ სახელმწიფო ქონების „პრიხვატიზაციის“ ფორმა მიიღო და ადამიანები სიღატაკეში აღმოჩნდნენ. სოციალური უთანასწორობა გაღრმავდა და საზოგადოების დიდი ნაწილი ღატაკთა და ღარიბთა ფენად ჩამოყალიბდა.**

შევარდნაძის მმართველობაში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა კლასმა — ხელისუფლების ნომენკლატურამ, რომელიც არც თესავდა და არც აშენებდა, ქურდობდა, ძარცვავდა ქვეყანას და ამტკიცებდა, რომ მოახდინა ე.წ. „დემოკრატიული რევოლუცია“. **ფაქტობრივად, ქვეყანაში დაიწყო „ნაძარცვის ძარცვა“ და სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი აღმოჩნდა შევარდნაძის პოლიტიკური კლანის ხელში.** შესაბამისად, მათ „ბუბლიკი“ ერგოთ, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს კი მისი ხვრელი. ამ პერიოდში არ გადადგმულა ნაბიჯები ნორმალური ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად და ღია, კერძო საკუთრების დასამკვიდრებლად, რამაც ხელი შეუწყო მონოპოლიისა და მაფიის გაძლიერებას. **საკუთრება ზოგადასაკაცობრიო ფასეულობაა, მაგრამ, ამ ახალი აზროვნების დამკვიდრებას ქვეყანაში ოფლითა და გამოცდილებით კი არ ცდილობდნენ, არამედ ნომენკლატურის პროპაგანდისტული კამპანიით.**

**ძველი ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები შესამჩნევად წინ ვერ წავიდა, რაც სოციალური მღელვარების საშიშროებას ქმნის და გამორიცხული არ არის, ქვეყანაში გაძლიერდეს სოციალური მოძრაობა ლოზუნგით „დაიკავე რუსთაველი“.**

მართალია, ცალკეული მეცნიერები ამერიკაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს ადარებენ 1930 წლის „დიდ დეპრესიას“, მაგრამ ბევრი მიიჩნევს, რომ ახლა ქუჩაში გამოვიდა „საშუალო კლასი“, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ კაპიტალიზმი კარგავს თავის სოციალურ საფუძველს — საშუალო კლასს.

ცხადია, კაპიტალიზმს აქვს შესაძლებლობა, დროებით „დააპუროს“ სოციალური მოძრაობის მონაწილეები, მაგრამ არ არის უნარიანი, უზრუნველყოს სისტემური ეკონომიკური გარდაქმნა და შეცვალოს მისი მიზნობრივი ფუნქცია. მითუმეტეს, **ამერიკული კაპიტალიზმის განვითარების ისტორიის ხაზი ეფუძნება პროტესტანტული ეთიკის პრინციპებს, ხოლო ევროპული საზოგადოების ორგანიზაციის განსაკუთრებული მატრიცა ყოველთვის ევროპული კულტურის ტრადიციების გამოხატვაა.** თუმცა, ძალიან ხშირად ხდებოდა მისი იმპლემენტირება სხვა რეგიონებში, ერთვექტორული, ევროცენტრისტული უნიფიკაციის იძულებითი მოდერნიზაციის საფუძველზე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ აღმოსავლურ აღორძინებაზე (ჩრდ. აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი), მაშინ თითოეულისთვის გასაგებია, რომ აღმოსავლური კულტურული და სულიერი ღირებულებების ადეკვატურობის პრობლემა სახეზეა და ბევრ შემთხვევაში კაპიტალისტური ფორმირებით დეფორმირებული მეურნეობა ღებულობს [illegible] მნიშვნელობას.

ბევრი გვერდს უვლის პარადიგმას, რა იქნება კაპიტალიზმის შემდეგ, არ მარჩიელობს ამ თემაზე და მიიჩნევს, რომ საქმე უფრო ეხება ლოგიკის დომინანტობას, ცალკეული სუბიექტების საზოგადოებრივი პროცესებით თვითკმაყოფილებას, თავისუფლების ხარისხობრივად ახალ სახეს და ინდივიდუალიზაციას, ახალ კლასზე ჰუმანურობის ფუნქციონალური სისტემის თანმიმდევრობით განვითარებას, მისი ყოველგვარი გართულების გარეშე. ბუნებრივია, კაპიტალიზმი ამაში არ შეასრულებს პასიურ როლს, მითუმეტეს, მის „ბეღლებში“ ჯერ კიდევ ინახება არასრულად რეალიზებული შესაძლებლობები. თუმცა, **ძირითადად, ყველა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი ადაპტაციის ყველა ნაბიჯი, იმავდროულად მოძრაობაა თვითუარყოფისაკენ. ასეთია თანამედროვე ეპოქის ლოგიკა, რომელსაც ადრე უწოდებდნენ – გარდამავალს. ასეთია კაცობრიობის სირთულე, რომელსაც თითქმის ყოველდღიურად ვაწყდებით, თუმცა აუცილებელია სერიოზულად დავფიქრდეთ ამ დილემაზე.**

დავოსის ფორუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ევროსა და ევროკავშირის პრობლემას. **თუ დაეცემა ევრო, დაიშლება ევროკავშირიც. „თანამედროვე სიტუაცია ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე რთულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“,** — გამოაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა და ბევრმა ანალიტიკოსმა ეს კაპიტალიზმის მომავალს დაუკავშირა. საფრანგეთისა და გერმანიის ხელისუფლება საკმაოდ პესიმისტურია ამ ქვეყნების მომავლის გამო. აქ წინა პლანზე იწევა ევროს პრობლემაც, რომელიც, როგორც ფინანსისტები ამტკიცებენ, ხელოვნური ვალუტაა. ვალუტა — „ობოლი“, როგორც მას უწოდებენ, განკუთვნილია მხოლოდ „კარგი ამინდისთვის“. თუმცა ფულადი ერთეული – ნაციონალური ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია და, შესაბამისად, მისი საფუძველიც. ცხადია, ევროს ასეთი საფუძველი არ აქვს. ის უმთავრესად პოლიტიკური პროექტია, რომლის რეალიზაცია ხდება აშშ-ის ჰეგემონიზმის საპირისპიროდ. პარალელურად შენარჩუნებულია ნაციონალური ფულადი ერთეულებიც. **ეჭვგარეშეა, ევროპის წამყვანი ქვეყნები დაიცავენ თავიანთ ეკონომიკურ პოტენციალს, მაგრამ ევრო ყოველთვის დარჩება ევროპის სუსტ წერტილად.**

**თვით ევროკავშირი არ არის მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია. ბოლო ათი წლის განმავლობაში მისი ზრდის ტემპები დაბალია. „ლისაბონის სტრატეგიამ“ (2001 წ.) ერთობლიობით განევითარებინათ ეკონომიკა, ვერ გაამართლა. ევროპული „კოლექტიური იდენტობა“ ვერ შედგა, ნაციონალური საზღვრების ადვილად „გადალახვის“ დემონსტრირებამ, ბევრი ვერაფერი შესძინა ევროპული ქვეყნების თანამეგობრობას.** სამართლიანად შენიშნა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა ***უ. ბეკმა***: **„ჩვენ, ევროპელებს, საქმე მიგვყავს, თითქოს ახლაც არსებობენ გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია და სხვები. თუმცა, სინამდვილეში, იმ სახით, როგორადაც ეს ქვეყნები არსებობენ ადამიანთა წარმოსახვაში, ისინი უკვე რა ხანია არ არის“.**

ცხადია, ევროპაშიც ბევრს ლაპარაკობენ სოციალური კაპიტალიზმის აღმავალ ფუნქციებზე, რომლის ფორმირება უნდა მოხდეს ნდობის საფუძველზე და პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. თუმცა ევროკავშირი — ერთ-ერთი, ასე თუ ისე, მოწყვლადი პოზიციის მატარებელია. სამართლიანად წერდა ახლახან ერთ-ერთი დასავლური გაზეთი: **ევროკავშირში არ არსებობს იდენტობის გრძნობა, არ არის საერთო ისტორიული მეხსიერება. რჩება უნდობლობა ერთი ქვეყნისა მეორისადმი; ჩრდილოეთ ევროპელებს არ ესმით, სამხრეთმა როგორ შეძლო გამხდარიყო ასეთი ხელგაშლილი თუ მფლანგველი.**

ამ კონტექსტში საინტერესოა გლობალური მსოფლიოს იდეოლოგების მოსაზრება იმის შესახებ, რომ **ევროპის სახელმწიფოებს** (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.) **ზღუდავს სახელმწიფო საზღვრები.** ჯერ კიდევ გლობალისტური იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი **გასეტი** თავის გახმაურებულ ნაშრომში **„მასების ამბოხი“** (1930) შენიშნავდა, რომ **„ინგლისელი“, „გერმანელი“, „ფრანგი“ ნიშნავს იყო პროვინციელი.** ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მწერალი ქალი **ჰ. ბაკი** 1965 წელს გამოცემულ წიგნში მიუთითებს მსოფლიო **მთავრობის შექმნის, ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებამოსილების შეზღუდვის, მსოფლიო საერთო პოლიტიკური და სამხედრო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.**

დაახლოებით ანალოგიურად მსჯელობდა **აინშტაინი: „მე მთელი არსებით მჯერა, რომ სუვერენულ ერთა არსებულ სისტემას მივყავართ მხოლოდ ომისკენ, ბარბაროსობისკენ, მხოლოდ მსოფლიო სამართალს შეუძლია პროგრესისკენ წარმართოს ცივილიზაცია“.**







პროფესორი
**იგორ კვესელავა**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მსოფლიო ომის ფრონტებზე ჩამოყალიბებული ვითარების გამო, რაც მომგებიანი იყო საბჭოთა კავშირისთვის, სტალინს შეეძლო უფრო დაჟინებით ეკარნახა თავისი პირობები მოკავშირეებისთვის. თუ იგი ამას არ აკეთებდა, უთუოდ, პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც მას ამერიკასთან საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი თანამშრომლობის სახით წარმოედგინა.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-30 (139-168)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### მომავალზე ორიენტირებული

**8 თებერვალს სტალინისა და რუზველტის შეხვედრა შედგა, ესწრებოდნენ — საბჭოთა მხრიდან მხოლოდ მოლოტოვი, ამერიკელების მხრიდან — მხოლოდ ელჩი ჰარიმანი და, რა თქმა უნდა, ორი პირადი თარჯიმანი.**

აშშ-ის შეიარაღებული შტატების უფროსები პესიმისტურად აფასებდნენ თავიანთი ჯარების პერსპექტივას. მათი აზრით, იაპონიის კუნძულებზე შეჭრა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 1945-1946 წლების ზამთარში, ხოლო თუ ომი ევროპაში გაჭიანურდებოდა, მაშინ — უფრო გვიან. თავიანთ მემორანდუმში რუზველტისადმი ისინი ხაზს უსვამდნენ: **„რუსეთის ჩართვა... სრულიად აუცილებელია წყნარ ოკეანეზე ჩვენი მოქმედების მაქსიმალური დახმარების უზრუნველსაყოფად...“**

სტალინმა წამოაყენა წინადადება საბჭოთა ინტერესების უზრუნველსაყოფად ჩრდილოეთ ჩინეთში. რუზველტმა, რომელსაც სხვა არგუმენტები არ გააჩნდა, დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ვერ მოასწრო ამ თემაზე მოლაპარაკება ჩან კაიშისთან; ჩინელებთან კი საერთოდ ძნელია გულახდილად ილაპარაკო: 24 საათში მათთან საუბრების შესახებ, ტოკიოს ჩათვლით, მთელი მსოფლიო იგებს ხოლმე.

სტალინმა შენიშნა, რომ აუცილებელი არ არის ჩინელების სასწრაფოდ ინფორმირება. მას მხოლოდ ის სურს, რომ მის მიერ შეთავაზებული წინადადებები წერილობითი ფორმით იყოს ჩამოყალიბებული და ჩერჩილის და რუზველტის თანხმობით იყოს დადასტურებული კონფერენციის დამთავრებამდე. რუზველტი დათანხმდა.

10 თებერვალს რუზველტთან პირისპირ დარჩენილმა სტალინმა ერთგვარად შეარბილა თავისი პოზიცია რუზველტის დათმობათა საპასუხოდ. ერთობლივ დოკუმენტში, რომელსაც 11 თებერვალს ხელი მოაწერეს, ნახსენები იყო საბჭოთა კავშირის უპირატესი ინტერესები. ამერიკის ელჩი სსრკ-ში, ავერელ ჰარიმანი ასეთი ფორმულირების წინააღმდეგი იყო და ეცადა კიდეც, დაეყოლიებინა რუზველტი, მხარი დაეჭირა მისთვის, მაგრამ რუზველტმა უარით უპასუხა.

მსოფლიო ომის ფრონტებზე ჩამოყალიბებული ვითარების გამო, რაც მომგებიანი იყო საბჭოთა კავშირისთვის, სტალინს შეეძლო უფრო დაჟინებით ეკარნახა თავისი პირობები მოკავშირეებისთვის. თუ იგი ამას არ აკეთებდა, უთუოდ, პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც მას ამერიკასთან საბჭოთა კავშირის ხანგრძლივი თანამშრომლობის სახით წარმოედგინა. მას ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა არა იმდენად უახლოესი პოლიტიკური სარგებელი, რამდენადაც მოვლენების შემდგომი განვითარება.

**სტალინისა და რუზველტის საუბრის ჩანაწერი. ყირიმი, 1945 წლის 8 თებერვალი:**

**„რუზველტი კორეის საკითხზე გადადის და აცხადებს, რომ იგი თეირანში ლაპარაკობდა კორეაზე მეურვეობის დაწესების შესახებ. დგება საკითხი, ვინ უნდა იყოს მეურვე. იგი, რუზველტი, ფიქრობს, მეურვეებად მოიწვიონ ჩინეთი, საბჭოთა კავშირი და ამერიკა.**

**სტალინი ეკითხება, ხომ არ იქნება ეს პროტექტორატი?**

**რუზველტი უპასუხებს, რომ — არავითარ შემთხვევაში...**

**სტალინი ამბობს, რომ საჭირო იქნება მეურვეობის ვადის დაწესება. რაც უფრო მოკლე იქნება მეურვეობის ვადა, მით უკეთესია.**

**რუზველტი ეკითხება, რა ვუყოთ ინგლისელებს?**

**სტალინი უპასუხებს, რომ ისინი განაწყენდებიან, თუ მათ არ მოვიწვევთ.**

**რუზველტი ამბობს, რომ მათ, კაცმა რომ თქვას, მეურვეობაზე პრეტენზიის საფუძველი არ აქვთ.**

**მოლოტოვი შენიშნავს, რომ ინგლისელები კორეიდან შორს იმყოფებიან. სტალინი ამბობს, თუ ჩერჩილი გაიგებს, რომ არ ვაპირებთ მის მოწვევას, ორივეს მოგვკლავს. მისი აზრით, შეიძლება ინგლისელების მოწვევა“.**

სავსებით შესაძლებელია, რომ რუზველტი ამოწმებდა სტალინის პოზიციას ამ საკითხზე, ან ამ რეგიონში აშშ-ის ბატონობის დემონსტრირებას ახდენდა. ყოველ შემთხვევაში სტალინმა (მოლოტოვისგან განსხვავებით) მესამე მოკავშირისადმი სიფრთხილე და პატივისცემა გამოამჟღავნა. საეჭვოა, მას შეშინებოდა ჩერჩილის მრისხანე რეაქციის. უფრო სწორი იქნება, თუ ამას შევაფასებთ ინგლისის მთავრობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების ჟესტად. არც ისაა, გამორიცხული, რომ იგი მიანიშნებდა რუზველტს — მათი საუბრის შესახებ ჩერჩილი მალე ყველაფერს გაიგებდა.

ცხადია, — რუზველტისგან.

რუზველტის თანამებრძოლებმა მაღალი შეფასება მისცეს სტალინის როლს იალტის კონფერენციაზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა **ე. სტეტინიუსმა** აღნიშნა: **„საბჭოთა კავშირმა უფრო მეტი დაუთმო მოკავშირეებს, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა მას“.**

პრეზიდენტის მრჩეველმა **ჰარი ჰოპკინსმა** დაასკვნა: **„რუსებმა დაამტკიცეს, რომ შეუძლიათ იყვნენ ბრძენნი და შორსმჭვრეტელნი“.**

სტალინისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო პოლონეთის ახალი მთავრობის საკითხი, იგი მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე და არავისთვის არაფერი დაუთმია. პოლონეთთან დაკავშირებით კომპრომისზე წაუსვლელობით, მას საშუალება მიეცა საბჭოთა კავშირისადმი მეგობრული ქვეყნები ჰყოლოდა საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებთან: ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ასევე — იუგოსლავია. სწორედ ყირიმის კონფერენციაზე ჩაეყარა ამას საფუძველი.

მეორე მსოფლიო ომის სპეციალისტი, ერთ-ერთი ამერიკელი ისტორიკოსი იალტის კონფერენციის შესახებ წერდა: **„საკმარისია, ერთხელ დავხედოთ რუკას და პოზიციები, რომლებიც წითელ არმიას 1945 წლის თებერვალში ეკავა, დაარწმუნებდა ნებისმიერ საღად მოაზროვნე ადამიანს დასავლეთში, რომ სტალინისთვის აუცილებელი არ იყო, შეესრულებინა მოვალეობანი ან შეენარჩუნებინა კავშირი ანტიჰიტლერულ კოალიციასთან. მაგრამ მარშალს სურდა, რომ კოალიციას შემდგომშიც ეარსება“.**

**ასეთი იყო მისი სტრატეგიული გეგმა**, რომელიც ათწლეულებზე იყო გათვლილი. მან ამის გაკეთება შეძლო. შეძლო კი იმიტომ, რომ ომი გრძელდებოდა და დასავლელ მოკავშირეებს იგი უფრო მეტად სჭირდებოდათ, ვიდრე მას ისინი. უწინარეს ყოვლისა, ეს რუზველტს ეხებოდა, რომელიც იაპონიის უსწრაფესად განადგურებისკენ ილტვოდა.

ანდრეი გრომიკო იხსენებდა რუზველტის ქცევას საერთაშორისო მოლაპარაკებების მსვლელობისას: „თავისი დაავადების გამო, საუბრის დასაწყისიდან ბოლომდე იგი, რა თქმა უნდა, იჯდა. მაგრამ ამავე დროს შეეძლო ისე მოქცეულიყო, რომ იქ მყოფთ დავიწყებოდათ მისი ფიზიკური შეზღუდულობა... **დისკუსიის წარმართვის ყაიდით რუზველტი სტალინს ჰგავდა. მისი სიტყვები აზრს არასოდეს უსწრებდა... ვაკვირდებოდი, როგორი პატივისცემით ლაპარაკობდა სტალინზე“.** ▶



სსრკ ჰიმნის ავტორები: ელ-რეგისტანი, ალექსანდროვი (კომპოზიტორი), მიხალკოვი

# სტალინი კომპრომისის მიღწევის გზაზე პრინციპებს არ ღალატობდა. პირდაპირობა და სიმტკიცე მისი დიპლომატიური ორთაბრძოლების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი იყო.

უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

### მოკავშირეობა საკუთარი პოზიციის დაკარგვას არ ნიშნავს

1945 წლის გაზაფხულზე ამერიკისა და საბჭოთა კავშირის ლიდერების ურთიერთობას ღრუბელი გადაეფარა მას შემდეგ, რაც სტალინმა შეიტყო ამერიკელების სეპარატული მოლაპარაკების შესახებ გერმანელებთან. ამ მომენტზე ჩვენს პუბლიკაციებში საფუძვლიანად ვილაპარაკეთ, ამიტომ ამჯერად დავუმატებთ სტალინის თარჯიმნის — ვ. ბერეჟკოვის მოსაზრებას, რომელიც მან შემდგომ გამოაქვეყნა:

**„არ შეიძლება, რა თქმა უნდა, გამოვრიცხოთ, რომ პრეზიდენტმა რუზველტმა სრული სიმართლე არ იცოდა ბერნის მოლაპარაკებათა შესახებ... შეიძლება დავუშვათ, რომ სტრატეგიული სამსახურის სამმართველო თავის საიდუმლო ოპერაციას ზოგიერთ პრეზიდენტის ზურგს უკან ატარებდა“.**

1945 წლის 13 აპრილს სტალინმა რუზველტისგან შემრიგებლური დეპეშა მიიღო: **„ყველა შემთხვევაში, არ უნდა იყოს ურთიერთუნდობლობა და ასეთი ხასიათის უმნიშვნელო გაუგებრობა მომავალში არ უნდა წარმოიშვას“.**

ეს იყო პრეზიდენტ რუზველტის უკანასკნელი დეპეშა, რომელიც მან სტალინს სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე გაუგზავნა.

დასრულდა საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის მთელი ეპოქა. ეპოქა, რომელიც ხშირად ცვალებადი, ზოგჯერ დაპირისპირებული, მაგრამ საბოლოოდ მაინც კომპრომისული იყო და, რაც მთავარია, — ორივე ქვეყნის ხალხებისთვის სასარგებლო და იმედის მომცემი.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტალინი კომპრომისის მიღწევის გზაზე პრინციპებს ღალატობდა. რა თქმა უნდა, არა. პირდაპირობა და სიმტკიცე მისი დიპლომატიური ორთაბრძოლების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი იყო.

მაგალითისთვის უპრიანია ბერნის სეპარატული მოლაპარაკებების გამო პრეზიდენტ რუზველტისადმი გაგზავნილი წერილის ერთი ფრაგმენტი გავიხსენოთ.

**პირადად და საიდუმლოდ პრემიერი ი.ბ. სტალინი პრეზიდენტ**
**ბ-ნ ფ. რუზველტს**

**5 აპრილს თქვენი წერილი მივიღე.**

**1. 3 აპრილს ჩემს წერილში ლაპარაკია არა პატიოსნებასა და საიმედოობაზე. არასოდეს დავეჭვებულვარ თქვენს პატიოსნებასა და საიმედოობაში, ისევე, როგორც ბ-ნ ჩერჩილის პატიოსნებასა და საიმედოობაში. მე ვამბობ, რომ მიმოწერის დროს ჩვენ შორის გამომჟღავნდა აზრთა სხვადასხვაობა იმაზე, თუ რისი უფლება შეიძლება მისცეს საკუთარ თავს მოკავშირემ მეორე მოკავშირის მიმართ და რისი — არა.**

**ჩვენ, რუსები, ვფიქრობთ, რომ ფრონტზე ახლანდელ ვითარებაში, როცა მტერი გარდაუვალი კაპიტულაციის წინაშე დგას, გერმანელებთან კაპიტულაციის საკითხებზე ერთ-ერთი მოკავშირის წარმომადგენელთა ნებისმიერი შეხვედრის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ შეხვედრაში მეორე მოკავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობა. ყოველ შემთხვევაში, ამის გაკეთება უეჭველად აუცილებელია, თუ ეს მოკავშირე მოითხოვს ასეთ შეხვედრაში მონაწილეობას. ამერიკელები და ინგლისელები კი სხვაგვარად ფიქრობენ და რუსების თვალსაზრისს არასწორად მიიჩნევენ. აქედან გამომდინარე, რუსებს უარი გვითხრეს შვეიცარიაში გერმანელებთან შეხვედრაში მონაწილეობის უფლებაზე.**

**უკვე გწერდით და, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება, გავიმეორო, რომ ანალოგიურ ვითარებაში რუსები არავითარ შემთხვევაში უარს არ ეტყოდნენ ამერიკელებსა და ინგლისელებს ასეთ შეხვედრაში მონაწილეობაზე.**

**რუსების თვალსაზრისს მე კვლავაც ერთადერთ თვალსაზრისად ვთვლი, რადგან იგი ურთიერთუნდობლობის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს და მოწინააღმდეგეს ჩვენ შორის უნდობლობის ჩამოგდების შესაძლებლობას უსპობს“.**

დიპლომატიური ტაქტი, რა თქმა უნდა, დაცულია, მაგრამ პრინციპული პოზიციიდან არავითარი უკანდახევა არ იგრძნობა.

სტალინისა და რუზველტის დიპლომატიური მოლაპარაკებები სწორხაზოვანი და მარტივი არ არის, ზოგჯერ გაორებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ, მოდით, ეს თემა ცალკე განვიხილოთ, ახლა კი მივყვეთ ქრონოლოგიას.

1945 წლის 5 აპრილს საბჭოთა მთავრობამ დენონსაცია მოახდინა საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1941 წლის 13 აპრილის პაქტის ნეიტრალიტეტის შესახებ.

პირად მდივან ჰასეტთან და დოქტორ ბრიუნთან საუბარში პრეზიდენტმა რუზველტმა აღიარა, რომ ეს იყო **„ვაჟკაცური ნაბიჯი სტალინის მხრიდან“**. იმ მომენტში, როცა წითელ არმიას უმძიმესი ბრძოლები ჰქონდა გერმანიაში, იაპონიასთან გართულებებს საბჭოთა კავშირისთვის შეიძლება სარისკო სიტუაცია შეექმნა.

### „НАС ВЫРАСТИЛ СТАЛИН...“

**მაშ, ვისაუბროთ სტალინისა და რუზველტის დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე.**

ერთის მხრივ, ეს მოლაპარაკებები ორი არაორდინალური პიროვნების ურთიერთპატივისცემის დემონსტრაციაა. მეორე მხრივ, მათში ასახულია ორი ზესახელმწიფოს ინტერესების მუდმივი დაპირისპირება.

უნდა გავითვალისწინოთ უაღრესად მნიშვნელოვანი ვითარებაც:

**სტალინი იყო თავისი პარტიის, თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის ერთადერთი და უცვლელი ლიდერი. მას ჰქონდა სრული შესაძლებლობა, განეხორციელებინა ის პოლიტიკა, რომელიც ხალხისა და ქვეყნისთვის სწორად და გამართლებულად მიაჩნდა.**

ამ კუთხით ნიშანდობლივია

იოსებ სტალინისა და ფრანკლინ რუზველტის პირისპირ შეხვედრა



ასეთი ფაქტი: საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტში ავტორებს: სერგეი მიხალკოვსა და გაბრიელ ელ-რეგისტანს (გაბრიელ არაქელიანს) ეწერათ:

Нас вырастил Сталин,
**Избранник народа.**

ბელადმა თავისი ხელით ჩაასწორა:

Нас вырастил Сталин,
**На верность народу.**

წიგნის ავტორებს ეს ჩასწორება თავიანთი დებულების დასასაბუთებლად მოჰყავთ, „სტალინი იყო თავისი პარტიის, თავისი სახელმწიფოს, თავისი ხალხის ერთადერთი და უცვლელი ლიდერი“.

მიხალკოვმა და ელ-რეგისტანმა ჩაწერეს — რჩეული, ხალხის რჩეული, ე. ი. ხალხის მიერ არჩეულიო.

სტალინმა **„რჩეული“** ამოიღო.

რატომ? უთუოდ, არა იმიტომ, რომ არ იყო არჩეული (გენერალურ მდივნად იგი მართლაც არჩეული იყო პარტიის ყრილობების მიერ), ხელისუფლება უზურპირებული, მიტაცებული კი არ ჰქონდა, არამედ დემოკრატიული გზით იყო მისული პარტიის, ქვეყნის სათავეში.

ამოიღო ეს სიტყვა იმიტომ, რომ ხაზი გაესვა თავისი ბელადობისთვის, თავისი მდგომარეობისთვის, რომელიც დემოკრატიაზე მაღლა იდგა?

გამორიცხულია, რადგან არაერთგან, არაერთგზის არის დაფიქსირებული მისი დამოკიდებულება თავისი პირველკაცობის მიმართ, მისი არაერთგზისი თხოვნა გენერალური მდივნობიდან გათავისუფლების თაობაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ მისი დამოკიდებულების შესახებ. ბოლოს და ბოლოს, კონსტიტუცია პრაქტიკულად მისი შექმნილია. კონსტიტუცია, რომელიც მსოფლიოს წამყვანი კონსტიტუციონალისტების მიერ აღიარებულია ძირითადი კანონის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.

მაშ, რატომ შეცვალა სტალინმა ჰიმნის ის სტრიქონი?

შეცვალა თავმდაბლობისა გამო.

რუსულ სიტყვის **избранник**-ის ძირითადი მნიშვნელობა ერთია — **რჩეული.**

იხ. ოჟეგოვის Толковый словарь русского языка:

„Избранник. Тот, кто избран кем-нибудь. Поэт — избранник божий. Избранник судьбы (счастливец). Найти своего избранного. Народный избранник (о депутатах). ხალხის რჩეული და არა ხალხის მიერ არჩეული. ფუძე ერთია, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ **არჩეული** მეორადია, **რჩეული** პირველადი და ძირითადი მნიშვნელობაა.

ყოველ შემთხვევაში, ჰიმნის ტექსტში ასეა. არჩეულია თუ არა, დემოკრატიული ხელისუფალია, ეს დატვირთვა **избранник**-ისთვის ავტორებს არ მიუციათ. რჩეულიაო და — მორჩა.

ეგებ, არც ღირდა „ლინგვისტური ძიებანი“ ამ დეტალისა გამო, რომ არა ერთი მომენტი. კერძოდ, ის, რომ წიგნის ავტორები სტალინის სტატუსს ადარებენ რუზველტისას და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი აშშ-ის პრეზიდენტად „არჩეული იყო გარკვეული ვადით... მას უნდა გაეთვალისწინებინა არა მარტო საზოგადოებრივი აზრი, არამედ ამომრჩეველთა ცალკეული გავლენიანი ჯგუფების განწყობილებაც“ და ა.შ. „ასეთი რთული მდგომარეობა აიძულებდა მას, ელავირა, ეეშმაკა, ცბიერიც კი ყოფილიყო. იგი სტალინზე გაცილებით ნაკლებად იყო თავისუფალი თავის მოქმედებაში“.

ე. ი. სტალინი არ ითვალისწინებდა საზოგადოებრივ აზრს, ცალკეული გავლენიანი ჯგუფების, თუნდაც პოლიტბიუროს წევრების, პარტნომენკლატურის, ინტელიგენციის განწყობილებას?

საკამათოა.

ჰიმნის ტექსტს დავუბრუნდეთ.

სტალინისეული ჩასწორების შემდეგ ამ სტრიქონმა სულ სხვა დატვირთვა მიიღო: **„სტალინმა ხალხის ერთგულებად აღგვზარდა“: არც — რჩეული, არც — ამორჩეული.**

დაბოლოს სტალინმა, რომელსაც ქართულ ხალხურ პოლიფონიურ სიმღერებზე ჰქონდა ყური გახედნილი, ზუსტად შეამჩნია, რომ სიტყვა **избранник** მელოდიაში ვერ ჯდებოდა, წაბორძიკებასავით იქნებოდა მუსიკის მდინარებაში.

სიტყვები, სიტყვები... 1956 წლიდან 1977 წლამდე საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ხრუშჩოვის მითითებით, უსიტყვოდ სრულდებოდა, 1977 წლის 27 მაისის ბრძანებულებით — ახალი ტექსტით აჟღერდა. ცვლილებები ფრიად ხანდაზმულმა სერგეი მიხალკოვმა შეიტანა. მისი თანაავტორი ელ-რეგისტანი 1945 წელს გარდაიცვალა.



საბჭოთა სამხედრო ეშელონები იაპონიასთან საომრად მიემართებიან

ელ-რეგისტანის ნამდვილი გვარი (ზემოთაც მივანიშნე) არაქელიანია, გაბრიელ არაქელიანი. ნიჭიერი ჟურნალისტი, მწერალი, უზბეკეთში დაბადებული და გაზრდილი. ფსევდონიმი ელ-რეგისტანი სამარყანდის ცნობილი მოედნის დასახელებიდან გადმოიღო. ამ მოედანზეა თემურ ლენგისა და დედამისის, ბიბი ხანუმის, განსასვენებელი მეჩეთი.

სტალინი მას გაბოს ეძახდა და მეგობრობდა ამ არაორდინალურ პიროვნებასთან. რეგისტანმა თანაავტორად მიხალკოვი მიიწვია, რათა საბჭოთა კავშირის ჰიმნის ტექსტს რუსი ავტორი ჰყოლოდა.

ჰიმნის ტექსტის დამტკიცების შემდეგ გამართულ სახელდახელო ვახშამზე სტალინმა ჰკითხა ავტორებს, რის მიღებას ისურვებდნენ გაწეული სამუშაოს საფასურად?

ელ-რეგისტანმა იმ ფანქრის წაღება მოისურვა, რომლითაც სტალინი ტექსტის ვარიანტებს ასწორებდა. მიხალკოვმა კი ბინა სთხოვა ბელადს.

სტალინმა სხვა ჩასწორებებიც შეიტანა ტექსტში, მაგრამ, ამ თემას რომ გავყვეთ, თხრობის ძაფი გაგვიწყდება.

თუმცა სტალინთან დაკავშირებული ყოფითი ისტორიებისადმი ჩვენი მკითხველების ინტერესს თუ გავითვალისწინებთ, ეგებ ღირდეს ერთი, ნაკლებად ცნობილი ამბის გადმოცემაც.

იმ სახელდახელო ვახშამზე, რომელიც სტალინმა ვიწრო წრისთვის გამართა, ბელადს უკითხავს, რეგისტანი უცოლოდ რატომ არის? მიწვეულთაგან უმრავლესობა მეუღლეებით ყოფილან წარმოდგენილი.

კლიმენტ ვოროშილოვს უხუმრია:

— ამბობენ, იშვიათი სილამაზის ცოლი ჰყავს და არავის აჩვენებსო.

რეგისტანის ქვრივი ვალენტინა გალანინა აგრძელებს თხრობას:

„მაშინ სტალინი მიუბრუნდა რეგისტანს და ჰკითხა:

— რეგისტან, მართალია?

— მართალია, იოსებ ბესარიონის ძევ. მაგრამ თქვენ მას მე ვერ გაჩვენებთ. რომანტიკული ნატურაა, ვინ იცის, შეიძლება შეუყვარდეთ კიდეც!

სტალინმა მხიარულად გაიცინა და თქვა:

— ო, ეშმაკია რეგისტანი! ო, ეშმაკია რეგისტანი! მაგრამ... ჩვენია“.

„მაგრამ ჩვენია“.

აზრის ასეთი მოულოდნელი შემობრუნების ავტორობას, მოგეხსენებათ, ფრანკლინ დელანო რუზველტს მიაწერენ. ნიკარაგუას დიქტატორის სომოსას (უფროსის) 1939 წელს ვაშინგტონში ვიზიტის კვირაძალს უთქვამს აშშ-ის პრეზიდენტს: „იგი, შეიძლება, შობელძაღლია, მაგრამ ჩვენი შობელძაღლია“.

ეს ისე, გაკვრით და, რა თქმა უნდა, არავითარი პარალელები.

რუზველტის ხსენებამ ჩვენი თხრობის მთავარი ღერძისკენ უნდა შემოგვაბრუნოს.

ასეც მოვიქცეთ, მაგრამ უკვე მომდევნო ნომერში.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ყველაზე ძვირადღირებული ტეკილა

**მექსიკელმა ხელოვანმა ფერნანდო ალტამირანომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ტეკილა „The Diamond Sterling“ შექმნა.** ტეკილას ბოთლი თეთრ ოქროშია ამოვლებული და 4 000 ბრილიანტითაა მორთული; ბრილიანტი 328 კარატიანია. ბოთლში მოთავსებული სასმელი კი 7-წლიანი დაძველებისაა. ბრილიანტის ტეკილა მსოფლიო ტურნეში გადის და ტურისტები მის ხილვას სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ სასტუმროებში შეძლებენ — ლონდონში, პარიზში, შვეიცარიაში, ესპანეთში, მონაკოსა და დუბაიში. ტეკილას ბოთლის აუქციონზე გატანაც იგეგმება. მისი საწყისი ღირებულება 3.5 მილიონი დოლარია.





## ყველაზე ძვირადღირებული სათამაშო სახლი

**ამ სათამაშო სახლის მოსართავები ოქროსგანაა დამზადებული, შიგნით კი ალმასით გაფორმებული ჭაღი კიდია.** 83 წლის ფერიების სასახლე ჩიკაგოში, მეცნიერებისა და ინდუსტრიის მუზეუმში ინახება გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან. სახლის სიმაღლე 3 მეტრია, მასში არის დიდი დარბაზი, პრინცესას ოთახი და ეზოც, თვალწარმტაცი ბაღით. ერთ დროს მისი მფლობელი, მუნჯი ფილმების ვარსკვლავი კოლინ მური იყო, რომელმაც ის 1928 წელს ააშენა თავის სცენოგრაფ ჰორაციუს ჯექსონთან ერთად. დასრულების შემდეგ სახლმა „გასტროლებზე“ შემოიარა შტატები, ბოლოს კი ჩიკაგოს მუზეუმის სიამაყედ იქცა. ყოველწლიურად 1,5 მილიონი ტურისტი ჩამოდის აქ, რათა ამ საოცარ ქმნილებას შეავლოს თვალი. როცა მსახიობმა ის მუზეუმს გადასცა, სახლის ფასი 500 ათასი დოლარი იყო, მაგრამ, მუზეუმის წარმომადგენლის, ბეტა ბოსტონის, აზრით, ეს შედევრი დღეს ბევრად ძვირად ფასობს.



## დეტიფოსი — ევროპის ნიაგარა

**მართალია, ისლანდიის კუნძულზე არ არის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ღირსშესანიშნაობები, მაგრამ მას ყოველ წელს უამრავი ადამიანი სტუმრობს, რათა დატკბეს იმ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით, რომლებიც ისლანდიაშია.**

ერთ-ერთი მშვენება ჩანჩქერი დეტიფოსია. ის არა მხოლოდ ისლანდიის, არამედ ევროპის ყველაზე მძლავრი ჩანჩქერია. დეტიფოსი ისლანდიის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იოკულსაურგლუვურის ნაციონალურ პარკში, მდინარე იოკულსაუ-აუ-ფიოდლუმზე მდებარეობს.

დეტიფოსის სიმაღლე ნიაგარას ჩანჩქერისას 9 მეტრით აღემატება და 44 მეტრს შეადგენს, სიგანე კი 100 მეტრამდეა. დეტიფოსს მეორენაირად ევროპის ნიაგარას უწოდებენ.







## ქაღალდის ციხესიმაგრე

ეს წარმოუდგენლად ლამაზი ციხესიმაგრე „ააგო“ იაპონელმა მხატვარმა ვატარუ იტურმა, თანაც საშენ მასალად მხოლოდ ქაღალდი გამოიყენა. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ციხის განათება, რომელიც ქაღალდის შედევრს განსაკუთრებულ იერს აძლევს. შემქმნელმა ციხესიმაგრეს დაარქვა სახელი „umo no ue no osiro“, რაც ქართულად ნიშნავს „ციხესიმაგრე ოკეანეზე“.



## მსოფლიო ჩემპიონი მკლავჭიდში

**იგი ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდება თავისი თანატოლებისგან, მაგრამ სინამდვილეში ძლიერი ქალია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, და თავს არავის დააჩაგვრინებს.**
**21 წლის სარა ბაქმენი შვედია და, როგორც ამბობს, ჯერჯერობით დაუმარცხებელი.**



სარა ბაქმენი, მიუხედავად თავისი პატარა ასაკისა, მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონია და ვინაიდან ქალთა შორის ვერავინ ერევა მის ძლიერ მკლავს, ორთაბრძოლებში ხშირად მამაკაცებსაც იწვევს. სარამ სპეციალურად მოაწყო კონკურსები მკლავჭიდში, სადაც ყველა მსურველს სთავაზობს მონაწილეობას, მაგრამ ჯერჯერობით მისი დამარცხება ვერც ქალმა შეძლო და ვერც კაცმა.

სარა არასდროს იცავს კვების განრიგს და, რაც მოუნდება, იმას მიირთმევს; ძალიან უყვარს პოპულარული ალკოჰოლური სასმელები, განსაკუთრებით ლუდი.



## სტრიპტიზი სპორტის ოლიმპიური სახეობა ხდება



**ძელთან ცეკვის საერთაშორისო ორგანიზაცია სპორტსმენებს მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ამზადებს. სტრიპტიზი, შესაძლოა, სპორტის ოლიმპიური სახეობა გახდეს. ამის შესახებ ოლიმპიურ კომიტეტში განცხადება უკვე შეტანილია და მას 4000-მდე ადამიანი აწერს ხელს.**

ძელთან ცეკვამ ყველა ის სტანდარტული მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, რასაც ოლიმპიური კომიტეტი სპორტის სხვა სახეობისგან ითხოვს.

„ძელთან ცეკვით მილიონობით ადამიანია გატაცებული და ეს ფაქტი არ უნდა უარყოს სპორტის ფედერაციამ“, — აცხადებენ ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები.

ბოძზე ცეკვის საერთაშორისო ფიტნეს-ასოციაციის დირექტორის — ტიმოტი ტრაუტმანის განცხადებით, მთავარი მიზანი სტრიპტიზის მოცეკვავეებისადმი არსებული სტერეოტიპების დანგრევაა.

მისი თქმით, სტრიპტიზის მოცეკვავეებს აქვთ ყველა მონაცემი იმისთვის, რომ საკუთარი ქვეყანა ოლიმპიურ თამაშებზე წარადგინონ.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 23 წლის ბებია



**23 წლის რუმინელი ბოშა რიფკა სტანესკუ გინესის რეკორდების წიგნში მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ბებიის სახელით შევიდა. გოგონამ ქალიშვილი, მარია, 12 წლის ასაკში გააჩინა.** თავის მხრივ მარიამ არ გაითვალისწინა დედის თხოვნა სწავლის გაგრძელების შესახებ და დედა 11 წლის ასაკში გახდა. რიფკას მეორე შვილიც ჰყავს, ბიჭი, რომელმაც მამობა 12 წლის ასაკში გადაწყვიტა. ამრიგად, 23 წლის ასაკში რიფკა უკვე ორი შვილის დედა და ორი ბავშვის ბებიაა. აღსანიშნავია, რომ ბოშებისთვის, რომლებიც პატარა ასაკში ქორწინდებიან, რიფკას შემთხვევა მაინც რეკორდულია. ასეთ პატარა ასაკში ბავშვის გაჩენა მათთვისაც კი უჩვეულოა. რიფკა ბებიის ამპლუაში თავს მშვენივრად გრძნობს, თუმცა მაინც ერჩივნა, რომ მის შვილს ესწავლა.

# ყველაზე სასარგებლო მენიუ

**გერმანულმა ჟურნალმა Focus-მა გამოაქვეყნა 10 პროდუქტის სია, რომლებიც, გერმანელი მეცნიერების აზრით, ყველაზე სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის.**



## სოიო

**იგი შეიცავს უამრავ ლეციტინს და B ჯგუფის ვიტამინებს,** რომლებიც აუმჯობესებენ აზრობრივ შესაძლებლობებს და აძლიერებენ ნერვულ სისტემას. სოიო ცნობილია, როგორც შეუცვლელი ცილის წყარო, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ცხოველური ცილები.



## მწვანე ჩაი

**მწვანე ჩაის სასწაული თვისებები დამოკიდებულია მასში კატეხინას შემცველობაზე.** ეს ბიო-აქტიური ნივთიერება ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას და იცავს პროსტატის კიბოთი დაავადებისგან.



## მარწყვი

**რომ მიეწოდოს ორგანიზმს C ვიტამინი, არ არის აუცილებელი, მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ლიმონი: მარწყვი შეიცავს გაცილებით მეტ C ვიტამინს.** მარწყვი კარგია არა მხოლოდ ამით, არამედ იმითაც, რომ მასში რკინის მაღალი შემცველობა ზრდის ორგანიზმის იმუნიტეტს.

მეცნიერები გვირჩევენ, მივიღოთ ყველაფერი ზომიერად და გვარწმუნებენ, რომ ასე ჩვენი ორგანიზმი ბევრად უფრო მოგებული იქნება.



## ბანანი

**ბანანი მდიდარია ნახშირწყლებით.** იგი შეიცავს სხვადასხვა ნივთიერებას, რომელიც ხელს უშლის სისხლში შაქრის სწრაფ მოხვედრას. ხოლო მაგნიუმის რაოდენობა ერთ ბანანში შეადგენს ორგანიზმის ყოველდღიური მოთხოვნის ერთ მეექვსედ ნაწილს.



## სტაფილო

**სტაფილოში ბეტა-კეროტინის შემცველობა ანეიტრალიზებს თავისუფალ რადიკალებს, რომლებიც ანადგურებს გენის სტრუქტურას და იწვევს კიბოს.** გარდა ამისა, სტაფილოს აქვს დადებითი გავლენა კანის სტრუქტურასა და მხედველობაზეც.



## ნიორი

**ნიორი შეუცვლელია გაცივების მკურნალობის დროს.** გარდა ამისა, ნიორის გამოყენება ამცირებს კუჭის, ნაწლავების სიმსივნის რისკს და აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობას.



## თევზი

**ვინც თავის გულზე ზრუნავს, უნდა ჭამოს რაც შეიძლება მეტი თევზი,** ხორცის ნაცვლად. სამი თევზის სადილი კვირაში ან 30 გრამი თევზი დღეში ამცირებს გულის შეტევის რისკს 50%-ით.



## ვაშლი

**ვაშლის კანი შეიცავს დიდი რაოდენობით კვერცეტინ-ანტიოქსიდანტს, რომელიც საუკეთესოდ მოქმედებს ფილტვებზე, ამცირებს ქოშინს და ფილტვებს თამბაქოს კვამლისა და ჰაერში არსებული მავნე მინარევებისგან იცავს. მკვლევარები თვლიან, რომ მას შეუძლია ორგანიზმში მოხვედრილი მავნე ნივთიერებების (ტყვია და დარიშხანი) მოქმედების დროებით შეჩერება და მერე გამოდევნა ორგანიზმიდან.**

დღეში ერთ ვაშლს ვინც მიირთმევს, ალცჰაიმერის დაავადების ნაკლები საფრთხე ელის. უზმოზე ერთი ფინჯანი ყავის ნაცვლად თუ ვაშლს მიიღებთ, ტვინი და ორგანიზმი უფრო სწრაფად გამოფხიზლდება და ტონუსში იქნება.

მასში არსებული დიდი რაოდენობით რკინა სისხლნაკლებობისგან დაგიცავთ. ვაშლი 8-ჯერ უფრო მეტ იოდს შეიცავს, ვიდრე ბანანი და 14-ჯერ უფრო მეტს, ვიდრე ფორთოხალი. გარდა ამისა, ვაშლი განსაკუთრებით სასარგებლოა იმ ადამიანებისთვის, რომელთაც მაღალი წნევა აწუხებთ, ვინაიდან მას ორგანიზმიდან ზედმეტი სითხე და მარილი გამოაქვს.



## რძე

**რძეს ტყუილად კი არ მიაკუთვნებენ კვების ძირითად პროდუქტებს.** იგი შეიცავს ღირებულ ცილებს, ადვილად მოსანელებელ ცხიმებს და სასარგებლო შაქარს – ლაქტოზას. რძე მდიდარია, აგრეთვე, კალციუმით.



## წიწაკა

**მწარე პიკანტური წიწაკა აუმჯობესებს მეტაბოლიზმს — ნივთიერებათა ცვლას, რაც ხელს უწყობს წონის დაკლებას.** კაპსაცინი, განპირობებული წიწაკის მწარე გემოთი, ხელს უწყობს კუჭის წვენის გამომუშავებას და ხელს უშლის მავნე ბაქტერიების გამრავლებას კუჭ-ნაწლავში.



# მოგზაურობა გურიაში — ვანო მერაბიშვილის ალე, ვახტანგი და დიმა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ენერგეტიკის „აყვავების“ გამო ალექსანდრე ხეთაგური დააწინაურა, მის ნაცვლად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ ბალავაძე წარადგინა და გურიაში ორი დღით დარჩენაც დააანონსა.**

პრემიერ-მინისტრი კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრის რეჟიმით ცხოვრობს და მისი პრესსამსახურიც ძველებურად ცდილობს, ვანო მერაბიშვილთან მედიის წარმომადგენლებმა ნაკლებად ან უმჯობესია, სულ არ იკონტაქტონ. „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, მედიის წარმომადგენლებისთვის დახურული აღმოჩნდა ფერმერებთან შეხვედრაც კი...

მხოლოდ სამთავრობო ცვლილებები მოგვასმენინა ექსკლუზიურად ვანო მერაბიშვილმა და შემდეგ გვითხრა, რომ ცალკე სასაუბრო ჰქონდა ფერმერებთან. **ეს ე. წ. ფერმერები კი, რამდენიმე ადამიანის გარდა, სოფლის რწმუნებულები, მისი მოადგილეები და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატები იყვნენ. როგორც ჩანს, ახლა საჯარო პირებს ფერმერები ჰქვიათ.**

ვანო მერაბიშვილი: **„ოზურგეთში მინდა წარვადგინო ახალი მინისტრი და თქვენ პირველები გაიგებთ ამის შესახებ. ყველაზე მეტად რომელი პრობლემა გაწუხებდათ თქვენ და ყველაზე უფრო რომელი პრობლემა გაწუხებთ ახლა? მე ვფიქრობ, ასეთი პრობლემა არის დენის პრობლემა, ყველა ჩვენგანს ეს პრობლემა აწუხებდა რამდენიმე წლის წინ, ჩვენ როდესაც დავდიოდით არჩევნებზე, ხალხს ვეკითხებით, რომელი პრობლემა გაწუხებს ძაან და ხალხი გვეუბნებოდა, უდენობის პრობლემა გვაწუხებს. დღეს, პრაქტიკულად, საქართველოში არავის არ აწუხებს უდენობის პრობლემა და ეს არის დამსახურება ბატონი ხეთაგურის, ამიტომ მე გადავწყვიტე, რომ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობაზე, ფინანსთა მინისტრად წარვადგინო ბატონი ალე, ხოლო მის ნაცვლად მინდა წარვადგინო ჩვენი ახალგაზრდა პარტიული ლიდერი ვახტანგ ბალავაძე და ეს დალაგებული ენერგეტიკის საქმე ჩავაბარო ვახტანგ ბალავაძეს.**

**მე ორ დღეში დავბრუნდები თბილისში გურიიდან და დიმა გვინდაძე (ორი დღე მოუწევს დიმა გვინდაძეს ლოდინი სიურპრიზის გამხელამდე. – ავტ.), რომელმაც ძალიან ბევრი საქმე გააკეთა, მას ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან, კარგ თანამდებობას ვუმზადებთ და ამის პრეზენტაციას თბილისში გავაკეთებ, როდესაც ჩვენ ამ ორ დღეში მოვივლით მთელ გურიას, შევისწავლით გურიის პრობლემებს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ვახტანგ ბალავაძემ ჩაიბარა ძალიან გამართული სისტემა იმიტომ, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, ენერგეტიკის გლობალური პრობლემები მოხსნილია და მომავალ წელს დამთავრდება მთლიანი გამრიცხველიანება, მაგრამ რჩება ერთი დიდი პრობლემა, რომლის მოგვარებაშიც, ალე ხეთაგური, ასე ვთქვათ, ფინანსურად დაეხმარება. ეს არის სტაბილური, მაღალი ხარისხის დენი.

**„იმის გამო, რომ საქართველოში ბოლო წლებში დენის მოხმარება ძალიან გაიზარდა, წარმოუდგენლად სწრაფად გაიზარდა, 50%-ით გაიზარდა. გაიზარდა ძალიან ბევრი მოხმარება, როგორც ქარხნებისა და ფაბრიკების, ასევე ინდივიდუალური, მხედველობაში მაქვს კონდიციონერები, ამის გამო ზაფხულში თქვენ აჭყობთ, დენის ხარისხი არის გაფუჭებული იმიტომ, რომ ერთდროულად ირთვება ბევრი გენერატორი, ბევრი კონდიციონერი, ამიტომ ჩვენი ამოცანაა, რვა თვეში საქართველოში გვქონდეს არამარტო 24-საათიანი მომარაგება, არამედ გვქონდეს ასევე სტაბილურად ხარისხიანი დენი“.**

დაბოლოს, როგორც „გურია ნიუსს“ შეხვედრიდან გამოსულმა რამდენიმე ადამიანმა უთხრა, საუბარი ყოფილა ფერმერების ხელშეწყობაზე და ასევე იქმნება შპს, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს მოპოვებული პროდუქციის გატანას.

# რუზგენ გოგოხია: ბარემ მოვეკალით აფხაზებს

**ოცი წელი გავიდა ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან. ამ დღეს სხვადასხვანაირად აღნიშნავენ ქართველები და აფხაზები. აფხაზეთში 14-15 აგვისტოს მთელი რიგი კულტურული ღონისძიებები ჩატარდა. მოიგონეს ომში დაღუპულები. სოხუმში იყო საზეიმო განწყობა, ჩატარდა გრანდიოზული კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც აფხაზი, ისე ჩამოსული შემსრულებლები. ქართველებს კი საზეიმო არაფერი გვაქვს. ამ ხნის განმავლობაში არათუ რაიმე ნაბიჯი არ გადაგვიდგია წინ, არამედ დამატებით დავკარგეთ ტერიტორიები.**

ზუგდიდში 14 აგვისტოს აფხაზეთის ომის მონაწილეები შეიკრიბნენ. შეხვედრას ესწრებოდა ყოფილი 24-ე ბრიგადის 224-ე ბატალიონის მეთაური რუზგენ გოგოხია, რომელმაც აფხაზთა ტყვეობაში 4 წელი და 2 თვე დაჰყო. მას სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, მაგრამ სასწაულებრივად გადარჩა.

**„ბარემ მოვეკალით აფხაზებს. ნეტავ, ცოცხალი არ დავრჩენილიყავი ამ ქვეყნის შემხედვარე, რადგან ასეთ ქვეყანაში ცხოვრება ნაღდად არ ღირს. მე სიკვდილი მქონდა მისჯილი იმიტომ, რომ არ შევაგინე ჩემს ქვეყანას, ახლა კი ჩემი ქვეყანა შესაგინებელიც არის და შესაფურთხებელიც. მე ასეთი ქვეყნისთვის არ მიბრძოლია,“** — აცხადებს რუზგენ გოგოხია. მისი თქმით, იგი საერთოდ არ იცნობს ბიძინა ივანიშვილს, არც მისი გარემოცვიდან მოსწონს ბევრი, თუმცა სჯერა, რომ ის უკეთეს საქართველოს ააშენებს. **„უნდა მიეცეს მას ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმართვის უფლება, რადგან ხალხი ამ არჩევნების იმედადაა. ხალხი არჩევნებმა შეაჩერა, თორემ აჯანყება გარდაუვალი იყო,“** — აღნიშნა რუზგენ გოგოხიამ, რომელსაც სჯერა, რომ ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ გამოინახება საერთო ენა აფხაზებთან და რუსეთთანაც.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

# ძლიერი წვიმის შედეგად ფოთის რამდენიმე უბანი დაიტბორა

**გვიან ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ ფოთის რამდენიმე უბანი დატბორა. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, წყალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულზე შევარდა და მოსახლეობა დააზარალა. ფოთის მერიაში აცხადებენ, რომ წყლის ამოტუმბვა ელექტროენერგიის გათიშვის გამო ვერ მოხერხდა.**



ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ლაშა ბერაიას თქმით, აუცილებელია ქალაქში დამატებითი სატუმბი სადგურების აშენება, რათა პრობლემა აღმოიფხვრას. **„შეუძლებელია, მუდმივად ეს პრობლემა არსებობდეს ქალაქში. მე შევეცდები, მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას ახალი სატუმბი სადგურების აშენების საკითხი დავსვა,“** — აცხადებს ბერაია. ფოთის სამაშველო სამსახურის უფროსის, თენგიზ ხაზალიას ინფორმაციით, ღამის განმავლობაში მხოლოდ ოთხი გამოძახება დაფიქსირდა. მოსახლეობის თქმით, სტიქიას საკუთარი ძალებით უმკლავდებოდნენ.

როგორც ფოთის მერიაში აცხადებენ, დაზარალებულთა შესახებ ზუსტი მონაცემები ამ დროისთვის არ არსებობს.

# ბეთქილ შუკვანი განცხადებას ავრცელებს

ქართველი სპორტსმენი ბეთქილ შუქვანი ავრცელებს განცხადებას, რომელშიც ლონდონის ოლიმპიადაზე მომხდარსა და თავისი გეგმის შესახებ საუბრობს. „ჯი-ეიჩ-ენი“ განცხადებას უცვლელად აქვეყნებს:

**„ალბათ თქვენთვის ცნობილია ჩემს თავს გადამხდარი ისტორია. მე ჩამოვედი ლონდონში და ვიწყებ ლეგალურ პროცედურებს. ამასთან დაკავშირებით მსურს გავავრცელო განცხადება:**

**სამწუხაროდ, არაჯანსაღმა ქართულმა პოლიტიკამ სპორტშიც შეაღწია. მე მისი ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ. საზოგადოებამ კარგად იცის ლონდონის ოლიმპიადის მსვლელობისას ჩემს თავს გადახდენილი ისტორია. თუმცა, ის უმსგავსობა, რაც დღეს ქართულ სპორტში ტრიალებს, მხოლოდ ჩემი ამბით არ შემოიფარგლება. მე ახლა კვლავ ლონდონში ვიმყოფები, გავდივარ იურიდიულ კონსულტაციებს და ვაპირებ, საერთაშორისო სასამართლოს მივმართო. მე ბოლომდე ვიბრძოლებ სიმართლისთვის, გამოვააშკარავებ იმ მძიმე რეალობას, რაც დღეს ქართულ სპორტში არსებობს და ქართულ საზოგადოებას დროულად შევატყობინებ პროცესის მსვლელობის შესახებ,“** — ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის ბეთქილ შუკვანი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ლადო ვარძელაშვილსა და მის მეგობარ გია უდესიანს პოლიტიკური ნიშნით ზეწოლაში ადანაშაულებს. სპორტსმენი ამბობს, რომ ლონდონში ოლიმპიადაზე, ტურნირის დაწყებამდე უდესიანმა მას „ქართულ ოცნებასთან“ ურთიერთობის შეწყვეტა ურჩია. მისივე თქმით, ტურნირის შემდეგ საღამოს, სასტუმროსთან მას არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი უდესიანი 10 მეგობართან ერთად საქმის გასარჩევად ელოდებოდა, რის გამოც ის იძულებული გახდა სასტუმროს ფანჯრიდან გაპარულიყო და შემდეგ მეგობრების დახმარებით საქართველოში დაბრუნებულიყო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო შუკვანთან რამე სახის კონფლიქტს უარყოფს.

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894